კვირის პალიტრა

# აზია

N50 (444)
11/XII-17

ფასი 80 თეთრი

1168
2008

## დიდი ბელადი — ღმინდანი თუ ტირანი

## რეპორტაჟი სანქტ-პეტერბურგიდან

## თანამედროვე აზდაკი და ევროპული აზროვნების ქართველი მამა...

## „კიკუები მომრავლდნენ და კატები აყეფდნენ“...

## რამ აღაშფოთა პროფესიონალი მუსიკოსები

## „ჩემი ქალიშვილის მეგობარი ბიჭი ჩაიზე დავპატიჟე...“

## გამოჩენილთა სეხნიები

## რას ნიშნავს, როცა საზოგადოებისთვის ცნობილ გვარ-სახელს ატარებ

## სახლიდან „პოკერებში“ გაპარული ქალები...

ISSN 1987 - 5029

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



## დეკორატიული საღებავები
## და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№50 (444)
11 - 17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2008 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲘ


■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲓᲘᲡᲜᲔᲘᲚᲔᲜᲓᲘ“ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲜᲣ „ᲐᲜ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲠᲐ ᲘᲧᲝ, ᲐᲜ ᲜᲐᲡᲕᲚᲐ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ?!“ 5

■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲯᲐᲤᲣᲡᲐᲜᲓᲐᲚᲘᲕᲘᲗ ᲐᲣᲠᲘᲐ“ 6

■ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ
ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘ — ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲪᲘᲠᲐᲜᲘ?! 8

■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ 10

■ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲓᲘ
ᲕᲔᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲚᲣᲡᲙᲝᲜᲘ — ᲚᲔᲓᲘ ᲛᲐᲙᲑᲔᲗᲘ ᲗᲣ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲝᲡᲐᲜᲧᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ?! 14

■ ᲗᲔᲛᲐ
ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲗᲐ ᲡᲔᲮᲜᲘᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲐᲠᲔᲑ 18

■ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ
ᲜᲘᲙᲝ ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲘ: „ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲕᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲕᲐᲠ“... 22

■ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ
ᲐᲜᲯᲔᲚᲘᲜᲐ ᲯᲝᲚᲘᲡ ᲜᲐᲥᲝᲜᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲘ, ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲘᲠᲐ ᲓᲐ „ᲞᲘᲔᲠ ᲙᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ“ ᲞᲐᲚᲡᲢᲣᲨᲘ 7 ᲚᲐᲠᲐᲓ 24

■ ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲛᲢᲕᲠᲔᲕᲡ ᲗᲔᲤᲨᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ? 27

■ ᲡᲐᲪᲝᲑᲘ
ᲓᲐᲗᲠᲒᲣᲜᲕᲘᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲣᲘᲚᲑᲚᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ 29

■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
ᲜᲘᲒᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲚᲔᲥᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ „ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲡ“ 30

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲜᲐᲮᲝᲕᲜᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

# ᲒᲖᲘᲡ ᲬᲜᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲘᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲕᲔᲜ, ᲚᲝᲚᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡ — ᲑᲐᲯᲚᲝᲛᲔᲑᲘ.

ᲤᲝᲢᲝᲢᲔᲡᲢᲘ

35

## „ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲕᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲕᲐᲠ“...

„საკუთარ გემოვნებაზე არასდროს დავფიქრებულვარ. არა მგონია, უგემოვნო ვიყო... არ მიყვარს ისე ჩაცმა, რომ ხალხისგან გამოვირჩეოდე და ყურადღების ცენტრში მოვხვდე. სასაცილოა, როცა უგემოვნო ადამიანები ხშირად საკუთარ გემოვნებას აქებენ“.



22

## ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲛᲢᲕᲠᲔᲕᲡ ᲗᲔᲤᲨᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ?

„რაში მჭირდება კაცი, რომელსაც ჭკუას ვასწავლი და ვურჩევ, რა ჩაიცვას, კბილები როდის გაიხეხოს ან ხელები როდის დაიბანოს?!. ეს კატასტროფაა. ასეთი მამაკაცი ჩემ გვერდით არასოდეს იქნება“.

27

## ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ, ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

ᲑᲔᲕᲠᲡ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲡ. ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ, ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲐᲫᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ, ᲘᲛ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲥᲠᲗᲐᲛᲔᲑᲡ ᲐᲑᲚᲔᲕᲔᲜ.

80

■ ამბავი

„მის ბიკინიმ“ გარემოს დაცვის სამინისტროში სამსახური დაიწყო 32

■ ჯანმრთელობა

ანგინა 33

■ ქურნალი ქურნალში

✓ცხოვრება 35

✓გზავნილები 51

■ ემიგრანტი

როგორ ღიღინებდა პატარა იტალიელი ქართულ „იავნანას“ 67

■ ქვალი

„ქაკოს თავგადასავალი“ ანუ შეწყვეტილი მოგზაურობა 68

■ რომანი

სეეტა კვარაცხელია. სხვისი ოცნების ქალი (გაგრძელება) 70

■ ბაიმ-აუტი 74

■ საკითხავი ქალებისთვის

✓გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული იერი? 76

✓კვების ხუთი ოქროს წესი 77

■ ჟარსკვლავები 78

■ ისტორიის გაკვეთილები

ორი საუკუნის ანექსიები, კონტრიბუციები და მტაცებელი მაღალჩინოსნები 80

■ საფრთხე

„როდესაც დასჭირდება, ტერაქტებს მაშინ მოაწყობს. ტერორისტებად კი ჩვენ მოგვნათლავს“... 83

■ თინეიჯერული პონტები

✓ნაადრევი და თანაც უსიყვარულო ქორწინება 86

✓„ქმარი ყველას უნდა გერჩივნოს“ 88

✓„სხვის ჯიბეში ჩიჩქნა როგორ არ „გიტყდება?“ 89

■ აზარტი

მოგების წყურვილი და სახლიდან „პოკერებში“ გაპარული ქალები ანუ როდის თამაშობს თამაში ჩვენით? 90

■ კრიმინალი

ყოფილი პარლამენტარის დაყაჩაღების საქმე კვლავ გაუხსნელია 92

■ სპორტული მოზაიკა 94

■ ავტო 95

■ სკანვორდი 96

■ ტესტი 97

■ პროგნოზი 98



გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## ისწავლეთ სტრესის დაძლევა

მოძებნეთ მყუდრო ადგილი, სადაც ყურადღებას არავინ გაგიფანტავთ და არც თქვენ შეუშლით ხელს ვინმეს. სკამზე ან იატაკზე დაჯექით, წელში გაიმართეთ, არ მოიხაროთ – ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია! დამშვიდდით და თვალები დახუჭეთ.

76

## ანჯელინა ჯოლის ნაძონი შარვალი

„შენ იცინე და, ჩვენი პარლამენტარების ნახევარი ჩემს მაღაზიაში იმოსება. შევარდნაძის დროინდელი მთავრობა კი სულ ჩემთან ნაყიდ პიჯაკებში გამოწყობილი დადიოდა“.

24

## გამოჩენილთა სენიმები

„ყოველთვის მომწონდა, რომ ასეთი ნიჭიერი მსახიობის გვარ-სახელს ვატარებდი. ამას ერთი არასასიამოვნო ამბავიც ახლდა: სასკოლო ქურნალის სიაში ჩემი გვარი ყოველთვის პირველი ეწერა“.

18




– რას აკეთებ?

– დრამატულ წრეს ვხელმძღვანელობ. მოსწავლეები ავიყვანე.

– ბევრნი არიან?

– ჯერჯერობით თოთხმეტნი. შენც ხომ არ გინდა?

– რატომაც არა? სიამოვნებით!

– სამწუხაროდ, შენ დიდი ხარ, მე მერვე, მეცხრე და მეათე კლასის ბავშვებს ვამეცადინებ.

– შენი აზრით, არ ვგავარ სკოლის მოსწავლეს?

– ჰგავხარ, მაგრამ მაინც არ გამომადგები... ამ საქმეში, რა თქმა უნდა, – ღიმილით დავაყოლე.

70

# „დისნეილენდი" კანცელარიაში

## ანუ „ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა რა არის?!"

კიდევ ერთი გადანაცვლების წყალობით, როგორც იქნა, დალაგდა მინისტრთა კაბინეტი და ახლა სწორად იკითხება — „მინისტრთა კაბინეტი", თორემ აქამდე ისე იყო არეული, რომ „ტრთამინის ნეტიკაბი" იკითხებოდა. იქ მისული ადამიანიც აშკარად გაუგებრობაში ხვდებოდა: საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვიდოდი და კულტურის მინისტრი შეგეგებებოდა, იუსტიციის მინისტრი კიდევ ისე გაგიღიმებდა, რომ განათლების მინისტრი გეგონებოდა და იყავი დაბნეული...



ახალი ცოცხი კარგად გვისო, — მართალი ყოფილა, მაგრამ ჩვენს „ახალ ცოცხს" ასეთი ძლიერი ტარი თუ აღმოაჩნდებოდა, ვინ იფიქრებდა?! ხალხმა ხუმრობაც კი დაიწყო ახალ პრემიერ-მინისტრზე, — პრეზიდენტმაც არ იცის, ვინ არისო, — და ისე მიხვეტ-მოხვეტა მთელი მთავრობა, რომ კაი მეოჯახე ქალი ვერ გააკეთებს ასეთ გენერალურ „უბორკას" სასექტემბროდ... თუმცა საქართველო იმითაც გამსაკუთრებული ქვეყანაა, რომ ამხელა საკადრო ცვლილებებიც კი უმარტივესად შეგიძლია აკეთო: დააჭერ ღილაკს ხელს, ჩაირთვება კანცელარიაში დამონტაჟებული „დისნეილენდი" და ისეთი კარუსელი ტრიალებს, რომ გლდანელ ბავშვებსაც კი არ დაესიზმრებათ.

ამ კარუსელს კიდევ ერთი მსგავსება აქვს საბავშვო ატრაქციონთან: ახალი დამჯდარიც კმაყოფილია და უკვე ჩამოსულიც. ჯერ არ მახსოვს, რომელიმე მოხსნილ მინისტრზე ეთქვათ, ცუდი მინისტრი იყო და იმიტომ შევცვალეთო... რა თქმა უნდა, სადაა საქართველოში ცუდი მინისტრი, როცა აქ დამლაგებელიც კი მინისტრადაა დაბადებული, უბრალოდ, ბედმა არ გაუღიმა და ის როგორ იქნება ცუდი მინისტრი, რომელსაც ბედმა გაუღიმა?!

მართალია, ყველა მოხსნილი მინისტრი რამდენიმე თვეში ოპოზიციურ პარტიას ქმნის და კიდევ კარგი, თავმდაბლობა არ ჰყოფნით, რომ გაერთიანდნენ, თორემ ერთი ისეთი მინისტრთა კაბინეტი შეიკრიბებოდა ოპოზიციაში, სულ თავისუფლად რომ შეცვლიდა ამ მთავრობას, მაგრამ ოპოზიციაში ვინც არის, ყველას პირდაპირ პრეზიდენტობაზე უჭირავს თვალი და ეგღა აკლია, მისნაირი ნამინისტრალის ქვეშევრდომობას დათანხმდეს!

ჰოდა, „ტრიალებს-ბრუნავს, ტრიალებს-ბრუნავს, კარუსელი რომ ჰქვია" და ისე სწრაფად მოდიან და მიდიან ეს მინისტრები, ვერ გაიგებ, ან მოსვლა რა იყო და ან წასვლა რა არის?! ჩვენ თუ არა, ის წინასწარმეტყველი ქალი მაინც შეიცოდეთ: ვერ ეწევა მისი წინასწარმეტყველება ამ ელვისებურ საკადრო ცვლილებებს! რუსეთი როგორ დაიშლება 50 წელიწადში, ის იცის და ხვალ ვინ იქნება ჩვენი თავდაცვის მინისტრი, იმას ვერ ამბობს.

სხვათა შორის, ასეთი მოულოდნელი კარუსელი ჯერ არ დატრიალებულა: მე მგონი, თვითონ პრეზიდენტმაც არ იცოდა, თორემ ჯერ შემცვლელს მოძებნიდა და მერე მოხსნიდა შესაცვლელს (ხომ ყველამ ვიცით ეგ საკადრო პოლიტიკა). ახლა კი ისეთ დღეში ჩავვარდით, რომ 2 დღე არც თავდაცვის მინისტრი გვყავდა და არც — კულტურის მინისტრი. მოკლედ, გინდ სტუმარი მოსულიყო ქვეყანაში და გინდ — მტერი, „ქართველის დედის" იმედზე თუ ვიქნებოდით, თორემ არც მხედართმთავარი გვყავდა და არც სტუმრის კულტურულად დამხვედრი...

კულტურის მინისტრობა კი შესთავაზეს იმ პატიოსან კაცს, მაგრამ იუარა, სადაა კულტურა, რომ ვუმინისტროო?.. მართლა ყოფილა ის კაცი კულტურის მინისტრობის ღირსი, თორემ სხვა უფრო კარგ პასუხს გასცემდა!.. სამაგიეროდ, ქართული იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა მიიღო განათლების მინისტრის პორტფელი უყოყმანოდ და სწორადაც მოიქცა: პატიმრების მოვლა-პატრონობას, სკოლის დირექტორ-მასწავლებლების პატრონობა არ სჯობია?! თან აშკარად, განათლებული ბიჭია, ბოლო-ბოლო, „რა? სად? როდის?" უთამაშია... ისე, ამ ლოგიკით, ვისაც „ქურდი ზონაში" უთამაშია, ის შს მინისტრი უნდა იყოს და თავდაცვის მინისტრი კიდევ ის, ვისაც „ოპასტენკა" ეხერხებოდა ბავშვობაში. ვიცი, მეტყვით, ეგ თამაშები ყველას გვეხერხებოდაო და აბა, რა ვთქვი წეღან — ყველა ქართველი მინისტრადაა დაბადებული-მეთქი?!

საგარეო საქმეების უკვე აღარ მეშინია, იმიტომ, რომ წლების მანძილზე მოადგილედ ნამუშევარი კაცი დანიშნეს მინისტრად: პრინციპში, უკვე აღარც კულტურის მეშინია, რადგან კულტურის ყოფილი მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს. თანაც, სულაც რომ არ გვეყოლოს კულტურის მინისტრი, რა პრობლემაა: კულტურა, „მეობა" და ჩახუტება ისედაც არ გვეშლება ქართველებს და მეტს მინისტრი მაინც რას იზამს? კინოს ვერ ააღორძინებს, მკვდარ ესტრადას ვერ გააცოცხლებს და „იუმორინა" ისედაც ბრიგინ-ბრიგინით ტარდება ყოველ გაზაფხულ-შემოდგომაზე!..

...უი, გვეშველა: დაგვინიშნეს, როგორც იქნა, კულტურის მინისტრიც და თავდაცვის მინისტრიც! ტყუილად კი არ უთქვამს ბრძენ ქართველ წინაპარს, — კაცი იმედით ცოცხლობსო!.. ასევე იმედიანად ვარ განათლების მხრივ: მართალია, გამოუცდელი კაცი ხელმძღვანელობს, მაგრამ ვინც აქამდე იყო, ის ხომ — რას ამბობთ!..

მოკლედ, როგორც ხედავთ, გაამართლა ამ კარუსელმა და აგერ ნახავთ, თუ უმოკლეს ვადაში არ მოჰყვეს შედეგი ან... ახალი კარუსელი!..

*P.S. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე:*
*პრემიერ-მინისტრი: — ვინ იღებს ამ თვეში ლატარიას?*
*განათლების მინისტრი: — მე ვიღებ, ბატონო გრიგოლ.*
*პრემიერ-მინისტრი: — კაცო, შენ წინა თვეში არ აიღე?!*
*განათლების მინისტრი: — წინა თვეში იუსტიციის მინისტრმა ავიღე, ამ თვეში კი განათლების მინისტრის რიგია. რა ჩემი ბრალია?!*

**პროვოკატორი**

საქართველოს პარლამენტ ეროვნულ ბიბლიოთეკ

# „ვინ სად არის და რატომ, ვერ გაიგებ“...

## „ჩვენმა პრეზიდენტმა ყველაფერი აჯაფსანდალივით აურია“

**საზოგადოების განსჯის საგანი ამ კვირაში, მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილებები და „რესპუბლიკელებისა“ და „მემარჯვენეების“ ალიანსში გაერთიანება გახდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ქართველი ხალხის ნაწილი სახელისუფლებო გუნდში მომხდარმა ცვლილებებმა ხუმრობის ხასიათზე დააყენა, ნაწილი კი ღრმა დეპრესიაში ჩააგდო.**

ხათუნა ბახტურიძე

**ჯანსულ ჩარკვიანი,** *მწერალი:*

— გული დამწყდა, ვაშაძე კულტურის სამინისტროდან რომ გაუშვეს. ამ

გამიხარდა, რომ ინტელიგენტმა და განათლებულმა ადამიანებმა ერთი ალიანსის შექმნა მოახერხეს

კაცს სერიოზული გეგმები ჰქონდა. ეტყობოდა, რომ მწერლების მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი. საინტერესოა, ნიკა რურუა როგორ მოიქცევა. მამამისს ვიცნობ და ვიცი, რომ ღირსეული კაცია. თუ შვილიც მის გზას გაჰყვება, კარგი იქნება. ისე, ჩემთვის ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, „ახალი მემარჯვენეებისა“ და „რესპუბლიკელების“ გაერთიანება იყო. ძალიან გამიხარდა, რომ ინტელიგენტმა და განათლებულმა ადამიანებმა ერთი ალიანსის შექმნა მოახერხეს. კარგი იქნება, თუ ერთიანობას ბოლომდე შეინარჩუნებენ და დასახულ მიზანს მიაღწევენ.

**ნიკო წულაძე,** *კინორეჟისორი:*

— ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი, კულტურის სამინისტროში განხორციელებული ცვლილებაა. ძველ მინისტრებს არ ვუყვარდი — გაბაშვილი და ვაჩეიშვილი კაბინეტში მემალებოდნენ. გადავწყვიტე, აღარავინ შემეწუხებინა და ჩემი საქმე მარტო მეკეთებინა, მაგრამ ახლა, ქართული კინოს პროპაგანდისტულ მოძრაობაში ჩართვა მარტო ჩემი კი არა, მთელი სახელმწიფოს საქმეა. ძალიან მაინტერესებს, როგორ მოიქცევა ახალი მინისტრი. ქართული კულტურა უკვე დიდი ხანია, „სანგარშია“ დამალული. ახლა დროა, რომ იქიდან ამოვიდეს და შეტევაზე გადავიდეს. როცა ემირ კუსტურიცამ ოსებზე ფილმის გადაღება გადაწყვიტა, ქართველები მხოლოდ მას შემდეგ მიხვდნენ, რომ კინო უძლიერესი პროპაგანდისტული მანქანაა. ახლა, როდესაც საინფორმაციო ომს ვაგებთ, ქართული კინო წინა ხაზზე უნდა გავუშვათ, იქნებ, ასე მაინც მოვიპოვოთ გამარჯვება.

**გურამ ფირცხალავა,** *მსახიობი:*

— გამიხარდა, რომ ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებზე ალაპარაკდა. ამ მთავრობის შეცვლის იმედი რომ არ მქონდეს, ნამდვილად გავგიჟდები. ჯერ ბურჯანაძისა და ნოღაიდელის ოპოზიციაში გადაბარგებამ გადამრია, ახლა — ამ საკადრო ცვლილებებმა. ვინ სად არის და რატომ, ვერ გაიგებ: პროკურორი — განათლების სამინისტროშია, სამხედრო პირი — კულტურის სამინისტროში. გასაოცარი ამბები ხდება. ამ ვაჩეიშვილს რას ერჩოდნენ?! კაცი თავისი პროფესიით მუშაობდა. ნეტავ, სხვა ქვეყანაშიც ასე ხსნიან და ნიშნავენ

პროკურორი — განათლების სამინისტროშია, სამხედრო პირი — კულტურის სამინისტროში. გასაოცარი ამბები ხდება

ახლა, როდესაც საინფორმაციო ომს ვაგებთ, ქართული კინო წინა ხაზზე უნდა გავუშვათ

მინისტრებს?..

**გია ყარყარაშვილი,** *ყოფილი თავდაცვის მინისტრი:*

— სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან დათრგუნვილი ვარ და აღარაფრის იმედი მაქვს. ამ ხელისფლების თვითკმაყოფილებამ ხომ ლამის გადამრიოს. იცით, რა მიკვირს?.. კაცს ისეთი სტრუქტურის ხელმძღვანელად ნიშნავენ, რომელშიც არაფერი გაეგება. სამი ან ოთხი თვის შემდეგ გამოუცხადებენ, — ძალიან კარგად იმუშავე, მაგრამ ახალი სისხლია საჭირო და კარგად იყავიო. თუ კარგად იმუშავა, რატომ უშვებ?! თუ არ იმუშავა, მადლობას რატომ უხდი?! ერთი სიტყვით, დიდ გაურკვევლობაში ვარ და არ ვიცი, რა ვიფიქრო. ამხელა ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ღამე როგორ სძინავთ? აგვისტოს ომის დროს, ბათუ

ქუთელია უკანმოუხედავად მორბოდა გორიდან. ნეტავ, დავით სიხარულიძესაც ასე ეშინია რუსების?..

**ლალი გაზალი,** *დიასახლისი:*

— სამი შვილის დედა ვარ და ჩემთვის, განათლების მინისტრის შეცვლა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. ძველი მინისტრი დიდად არ მომწონდა, მაგრამ არც ახალი კანდიდატით ვარ აღფრთოვანებული. გვარამიას დიდ პატივს ვცემ, განათლებული და მშრომელი ადამიანი ჩანს, მაგრამ განათლების სისტემას იურისტმა როგორ უნდა უხელმძღვანელოს?! ამ კაცმა თავისი პირით თქვა, — განათლება ჩემთვის უცხო სფეროა და თქვენი დახმარების იმედი მაქვსო. მაინ-



**კულუარული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრობა ირაკლი ალასანიას შესთავაზეს, მაგრამ მან თავისი პირობები წამოაყენა, რასაც საკაშვილი არ დათანხმდა**

ტერესებს, ჩვენი შვილები საექსპერიმენტო ცხოველები არიან? ამ ქვეყანაში ერთი პროფესიონალი არ მოიძებნა განათლების სამინისტროსთვის? ძალიან მომეწონა ზურაბ აბაშიძის პოზიცია. ამ კაცს ჭკუა ეყო და მისთვის უცნობ საქმეს არ შეეჭიდა.

**ნათელა გელაშვილი,** *ექიმი:*

— ეს ხელისუფლება თუ კიდევ მოახერხებდა ჩემს გაოცებას, არ მეგონა. ხედავთ, რა უნივერსალური ხალხი ვართ ქართველები?! კაცი დღეს რომ უშიშროების მაღალჩინოსანია, ხვალ კულტურის მინისტრი ხდება, გუშინ რომ პროკურორი იყო, დღეს განათლების მინისტრად გვევლინება. ნიკა გვარამაის ნათქვამმა ძალიან გამახალისა: ადრე, განათლების სამინისტროსთან მქონდა შეხება, იმიტომ, რომ განათლება საქართველოში მივიღეო. აბა, მეც შემიძლია განათლების მინისტრობა?!. ვაი, მაგათ პატრონს! თუ ოპოზიციამ თავისი სიტყვა არ შეასრულა და ვადამდელი არჩევნები არ დანიშნა, ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდებით.

**დავით აბუთიძე:**

— რა არის კაცო, ეს?! ყოველთვე ასე უნდა ცვალონ მინისტრები?! გადავირიე კაცი! ნიკა გვარამიას რა უნდოდა განათლებში?! ძალიან საკვირველი რაღაცები ხდება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენმა პრეზიდენტმა ყველაფერი აჯაფსანდალივით აურია. ამ ოპოზიციას კიდევ, დაუკრეფია გულზე ხელები და ხმას არ იღებს. აღარ მჯერა მაგათი. გადატრიალების და ჩხუბის მომხრე არ ვარ, მაგრამ ეს ხელისუფლება თუ დროზე არ მოვიცილეთ, მთლად დაგვღუპავს.

**— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რა კრიტერიუმებით დაკომპლექტდა ახალი მთავრობა?**

**სოსო ცინცაძე,** *პოლიტოლოგი:*

— ახალი მთავრობა ძალიან გაუაზრებლად და, მე თუ მკითხავთ, უცნაურად დაკომპლექტდა. პრეზიდენტისა და მინისტრობის კანდიდატებისგან ძალიან ბევრი ურთიერთგამომრიცხავი წინადადება მოვისმინე. საკაშვილმა თქვა, რომ სისტემატურად ხვდებოდა კანდიდატებს და მათთან კონსულტაციებს აწარმოებდა. თუ ეს მართლაც ასე იყო, ბატონმა პრეზიდენტმა არ იცოდა, რომ ზურაბ აბაშიძე კულტურის მინისტრობაზე უარს იტყოდა?.. ან ვაშაძემ რატომ თქვა, — ნახევარი საათის წინ გავიგე, საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ გადავყავდიო. არ შეიძლება, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში ნახევარ საათში გადაწყდეს მინისტრად დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი. ჩვენ დღეს ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. სხვათა შორის, კულუარული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრობა ირაკლი ალასანიას შესთავაზეს, მაგრამ მან თავისი პირობები წამოაყენა, რასაც საკაშვილი არ დათანხმდა და გარიგება ვერ შედგა. ვინ როგორი მინისტრი აღმოჩნდება, ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, ვის რა განათლება აქვს და ვის რისი გაკეთება შეუძლია.

**— თქვენი აზრით, ზურაბ აბაშიძის უარი რით იყო განპირობებული?**

— ის ამ მთავრობის პერსპექტივას ვერ ხედავს. თავის საქმეს კარგად აკეთებს და აუტკივარი თავი არ აიტკივა, მშვიდი ცხოვრება არჩია. ისე, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, მისთვის საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი შეეთავაზებინათ. მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ პოლიტიკაში უპრეცედენტო რამ მოხდა: ზურა პირველი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც შეთავაზებულ თანამდებობაზე უარი თქვა. ვინ არ იცის, რომ მინისტრად მხოლოდ კომპეტენტური პირი უნდა დაინიშნოს?! მაგრამ ამას ხელისუფლებაში არავინ ითვალისწინებს. მისთვის მთავარია, მხარს უჭერდე, სხვა არაფერი აინტერესებს. ბატონი ვაშაძე კარგი დიპლომატია, მაგრამ ის ვერასოდეს გახდებოდა მინისტრი, კიწმარიშვილის წინაალმდეგ ჩვენება რომ არ ძიეცა.

**— საკადრო ცვლილებებით განაწყენებული საზოგადოების ნაწილი „მემარჯვენეებისა“ და „რესპუბლიკელების“ გაერთიანებას იმედით შეჰყურებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად შედეგიანი იქნება ამ ორი პარტიის ალიანსი?**

— საქართველოში პარტიები ძალიან ადვილად ერთიანდებიან და ასევე ადვილად იშლებიან. გარდა ამისა, ამ ორ პარტიაში ათზე მეტი პოტენციური ლიდერია. ტიტანური მოთმინება დასჭირდებათ იმისთვის, რომ ლიდერის არჩევის დროს უთანხმოება არ მოუვიდეთ.

**— მათ უკვე ირაკლი ალასანია აირჩიეს საერთო ლიდერად.**

— კი აირჩიეს, მაგრამ მგონია, ამ პარტიებში მყოფ პოტენციურ ლიდერებს პირველობის დათმობა ძალიან გაუჭირდებათ.

**— რამდენად შესაძლებელია, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს?**

— ამ იდეასაც ეჭვის თვალით ვუყურებ. ვნახოთ, ახალი წლის შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები. ვადამდელი არჩევნების დანიშვნისთვის სიტუაცია ჯერჯერობით მომწიფებული არ არის.

■




# დიდი ბელადი

# წმინდანი თუ ტირანი?!

## „...ზოგიერთს შეუძლია, სტალინისაც სწამდეს და უფლისაც"...

ერთმორწმუნე რუსეთი პატრიარქის გარდაცვალებას გლოვობს. ამ ფაქტმა რუსულ მართლმადიდებლურ მრევლში საბჭოთა ბელადის ხატის გამოჩენით გამოწვეული განხეთქილება დაჩრდილა. ბოლო დროს, რუსეთის საპატრიარქოში დაუფარავად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ იოსებ სტალინი ხალხისგან მეტ დაფასებას იმსახურებს და რომ მისი წმინდანად შერაცხვის საკითხიც კი შეიძლებოდა დამდგარიყო. ერთ-ერთი რუსული გამოცემა — „ნოვოე იზვესტია" წერდა, რომ საპატრიარქოს პოზიციით, სტალინი „ღრმად მორწმუნე, უბიწო და სამართლიანი ადამიანი იყო". მოგვიანებით, ლენინგრადის ოლქის ქალაქ სტრელნაში, წმინდა ოლგას სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, ილუმენმა ევსტაფი უკოვმა ტაძარში დააბრძანა ხატი, რომელზეც იოსებ სტალინი წმინდანთან — ნეტარ მატრონა მოსკოველთან ერთადაა გამოსახული. მრევლმა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა და რამდენიმე დღეში ცნობილი გახდა, რომ ტაძრის წინამძღვარი გადადგა. მიუხედავად ამისა, ხატი ტაძრიდან არ გაუტანიათ. დავინტერესდით, თუ როგორია ერთ-ერთი რუსი სასულიერო პირის დამოკიდებულება მომხდარის მიმართ და მოსკოვის ცენტრალური სასულიერო აკადემიის კათედრის წარმომადგენელს, ულიანოვსკის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, მამა ანტონს (მუხინს) დავუკავშირდი. (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, მას მიუკერძოებელი პოზიცია აქვს.)

### ლალი პაპასკირი

— პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ ამ საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ჩემი პირადი მოსაზრება საპატრიარქოს პოზიციად არ უნდა მიიჩნიოთ... მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე რაიმე აქვს წაკითხული, არც კი უნდა მოსვლოდა აზრად, მისი სახელი ტაძარში წარმოეთქვა. მიჭირს მის ადამიანურ ცოდვებზე ლაპარაკი. ჩემი მოვალეობა ადამიანის განსჯა კი არა, მისი სულისთვის და მისი ცოდვების მისატევებლად ლოცვაა, რასაც შეძლებისდაგვარად, ვაკეთებ კიდეც. არსებობენ ადამიანები, რომელთა გარდაცვალების შემდეგ მათზე ან კარგს ამბობენ, ან — არაფერს და ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა აზრი მდუმარებით უნდა გამოხატო...

**— ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ 50-იან წლებში სტალინმა ეკლესიების აღმშენებლობას შეუწყო ხელი...**

— დიახ, მსგავსი შემთხვევები მართლაც იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მორწმუნე გახლდათ. არ შეიძლება, ტაძარი ააშენო და ამავდროულად, ათასობით ღვთისშვილის ცოდვა დაიდო კისერზე. მე კარგად ვიცნობ სტალინის ცხოვრებას და შესაბამისად, მის მიერ დაშვებული უამრავი შეცდომის გახსენება შემიძლია. მაგალითისთვის, უკრაინაში 30-იან წლებში ხელოვნურად გამოწვეული მასობრივი შიმშილიც საკმარისია... მოდი, ნუღარ გავიხსენებთ მის მიერ ჩადენილ ცოდვებს. უბრალოდ, გეტყვით, რომ მისი ადგილი ტაძარში არაა!

**— როგორც ჩანს, ტაძარში სტალინის ხატის დაბრძანება მხოლოდ ერთი მოძღვრის — ან გარდაცვლილი დმიტრი დუდკოს აზრი არ იყო. ბოლო დროს ამის შესახებ საპატრიარქოშიც ლაპარაკობდნენ. რას იტყვით ამაზე?**

— სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ რუსეთის ხელისუფლება საპატრიარქოს საშინაო საკითხებში იმ დოზით ერევა, რა დოზითაც ეს თავად სჭირდება. ფაქტია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ პუტინისა და მედვედევის დუეტის მიმართ ხალხის დამოკიდებულება გარკვეულწილად, შეცვალა. ამიტომაც, მათ შექმნილი ვითარებიდან ასეთი გამოსავალი იპოვეს: რამდენიმე ნაწილად გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანება სტალინის ფიგურის აღზევებით გადაწყვიტეს: რადგან სტალინი რუსეთის სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოდაა მიჩნეული, ეგონათ, ამით ხალხის ერთიანობასაც მიაღწევდნენ. საქმე ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მოვლენების შეფასების თავისებური, ცოტა არ იყოს, უცნაური ლოგიკა აღმოაჩნდა ანუ რუსეთში დიდი სტალინის ფიგურა თითქმის ყველა ასაკის ადამიანისთვის სათაყვანებელია, მაგრამ ზოგიერთს შეუძლია, ერთდროულად სტალინისაც სწამდეს და უფლისაც... საბედნიეროდ, რუსეთის ხელისუფლების ჩანაფიქრს სასულიერო პირების უდიდესი ნაწილი შეეწინააღმდეგა. ზოგი მათგანი, მათ შორის მეც, ტაძრიდან წასვლას და რომელიმე გამოქვაბულში ცხოვრების გაგრძელებას ვაპირებდით. ჩვენ სხვისი ცოდვების მოსანანიებლად, ადამიანების სწორ გზაზე დასაყენებლად ვცხოვრობთ, რათა იმ ქვეყნად, უფლის წინაშე მართალნი წარვდგეთ და სამუდამო სასუფეველი დავიმკვიდროთ. ისეთ შეცდომას, როგორიც წმინდანად სტალინის მონათვლა და მისი ხატის ტაძარში დაბრძანებაა, სრულ ჭკუაზე მყოფი სასულიერო პირი არ დაუშვებს... დეკანოზმა დუდკომ

ხელისუფლების ჩანაფიქრს სასულიერო პირების უდიდესი ნაწილი შეეწინააღმდეგა

სიცოცხლის დიდი ნაწილი სტალინურ საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა და ბოლოს, ყველასთვის მოულოდნელად, საბჭოთა ბელადის სიყვარულით აღივსო. სავარაუდოდ, ბანაკებში გატარებული წლები მის ფსიქოლოგიაზე მძიმედ აისახა...

***საინტერესო იყო იმ რუსი მრევლის პოზიცია, რომელიც სტრელნის ტაძარში ლოცულობდა და სტალინის „გაწმინდანების“ მცდელობას შეესწრო. მათთან დაკავშირება სანქტ-პეტერბურგში მცხოვრები ჩემი მეგობრის დახმარებით შევძელი, რომელიც ჩემი თხოვნით, ეკლესიას ესტუმრა და მრევლი გამოჰკითხა. (სხვათა შორის, ის პროფესიით ჟურნალისტი არ გახლავთ).***

წმინდა მატრონასა
და სხვა წმინდანების
გვერდით ამ მტარვალის
ადგილი არ იყო

**ანდრეი ზოლოტევი,** *23 წლის:*

— მე კარგად ვიცი სტალინის მოღვაწეობა და მაშინდელი რუსეთის ისტორია. ის დიდებული, ნიჭიერი, ძლიერი და სამართლიანი ადამიანი იყო. მას დრომ ვერაფერი ავნო, პირიქით — მის პიროვნულ თვისებებს უფრო მკაფიოდ გაუსვა ხაზი. სიამოვნებით ვიცხოვრებდი მის ეპოქაში. მან რუს ხალხს უზარმაზარი საქმე გაუკეთა და ამიტომაც ღირსია, წმინდანად შერაცხონ. შეიძლება, ახლა ამ ინიციატივას (მის წმინდანად შერაცხვას ვგულისხმობ) მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, მაგრამ დადგება დრო და ეს მაინც მოხდება!.. ვიცი, ძალიან რთული, სისხლიანი გზა გაიარა, უამრავი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ აბა, როგორ უნდოდათ?! დიდი საქმეები უმსხვერპლოდ არ კეთდება. სტალინს ხალხისთვის თავისი ძალაუფლება რომ არ დაენახვებინა, ისე, ამხელა იმპერიას ვერ მართავდა. უჭკვიანესი ადამიანი იყო, ნამდვილი რუსი, მხოლოდ გვარი ჰქონდა ქართული... მშურს ქართველების, ასეთი შვილი რომ ჰყავდათ. სამწუხაროა, მის ამაგს შესაბამისად რომ არ აფასებენ. მან დიდი რუსეთის ძალა მთელ მსოფლიოს დაანახვა. ცუდია, ნაადრევად რომ გარდაიცვალა, რადგან დარწმუნებული ვარ, გრანდიოზული გეგმები ექნებოდა. ჩვენს ქვეყანას სწორედ ახლა სჭირდება სტალინისნაირი ადამიანი, რათა ძველი დიდება და გავლენა აღგვიდგინოს, მაგრამ როგორც ჩანს, ასეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიან... როგორც ვიცი, მას მოძღვრის არ სწამდა, მაგრამ მორწმუნე იყო. სტალინს სანთელს სიამოვნებით დავუნთებდი და ჩემი ქვეყნის მფარველობას შევთხოვდი.

**ოლიმ გალაშოვა,** *56 წლის:*

— საბედნიეროდ, ის ხატი რამდენიმე დღეში ჩამოხსნეს. ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ჩვენ ტაძრის კარის აჭედვას ვაპირებდით. წმინდა მატრონასა და სხვა წმინდანების გვერდით ამ მტარვალის ადგილი არ იყო. საბჭოთა კავშირის შექმნით, მან დიდი უბედურება მოუტანა ყველა იმ ერს, რომელიც ამ რეჟიმს სისხლიანი გზით დაუქვემდებარა. პირველ რიგში, საქართველოს ვგულისხმობ. ადამიანი, რომელსაც საკუთარი ხალხი, საკუთარი მიწა და ჯიშ-ჯილაგი არ უყვარს, ვერც სხვას შეიყვარებს. მას რუსეთი კი არა, საკუთარი ძალაუფლება უყვარდა. უბრალოდ, მისთვის დამახასიათებელი სასტიკი თვისებებითა და ქართული გამჭრიახობით, მან რუსეთში შეძლო საკუთარი თავის რეალიზაცია და ჩვენი ქვეყანა ამიტომაც მიაჩნდა სამშობლოდ...

## უჭკვიანესი ადამიანი იყო, ნამდვილი რუსი, მხოლოდ გვარი ჰქონდა ქართული... მშურს ქართველების

ის ტირანი იყო და ისეთი ცოდვები ჩაიდინა, რომლის შენდობაც არ შეიძლება. ვერავინ, ვერც ერთი მოძღვარი ვერ დამაჯერებს, რომ ადამიანს, რომელსაც ამდენი ცოდვა აქვს ჩადენილი, სიყვარული შეუძლია, მით უმეტეს — უფლის სიყვარული... ჩვენი ტაძრის მრევლისთვის მისი სურათის გამოჩენა უდიდესი დარტყმა იყო.

**მიხაილ სარატოვი,** *73 წლის:*

— მე ამ ტაძრის მრევლი არ ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სტალინი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი პიროვნება იყო. მისი ღვაწლის დაფასება კი მხოლოდ რუსეთმა შეძლო. ქართველები უმადური ხალხია. თუკი ამ ერის შესახებ ვინმემ რაიმე იცის, ეს მხოლოდ იოსების დამსახურებაა... მან თავისი ჭკვიანური პოლიტიკითა და სტრატეგიით დაამარცხა ფაშისტური გერმანია, რომელიც მსოფლიოს ჩაყლაპვით ემუქრებოდა. რატომ არ უნდა დავაფასოთ მისნაირი ადამიანები?! კაცმა 15 რესპუბლიკა ფეხზე დააყენა, არანაირი სოციალური პრობლემები არ გვქონდა, სამუშაო იყო, გავლენაც გვქონდა, ძმურად, მეგობრულად ვცხოვრობდით და აბა, მითხარით, ამაში ცუდი რა იყო?! მე მახსოვს ის დრო და რას არ დავთმობდი, ოღონდ იმ წლებში დამაბრუნა?!. ამბობენ, — სტალინი უდანაშაულო ხალხს ხოცავდაო. აღარ არის სტალინი, მაგრამ ხალხი ხან ერთი, ხან — მეორე სახელმწიფოს მეთაურის უგუნური პოლიტიკის შედეგად იხოცება. არ ჯობდა, ერთ ძლიერ სახელმწიფოში გვეცხოვრა, რომელსაც სათავეში ძლიერი მმართველი ეყოლებოდა?!. ■

## „წავკისის ველის“ უჩვეულო აქცია

**8 დეკემბერს სამშენებლო კომპანია „წავკისის ველი“ უჩვეულო საბავშვო აქციას მასპინძლობდა. პროექტი „ჩემი სახლი“ სწორედ მათთვის შეიქმნა. ბავშვები ერთმანეთის მიყოლებით ულამაზეს სახლებს ხატავდნენ. გამარჯვებულები „წავკისის ველის“ სათავო ოფისში სპეციალური საჩუქრებით დააჯილდოეს. ამ ბავშვების მშობლებმა კი საჩუქრად 10%-იანი ფასდაკლების ბარათი მიიღეს სამშენებლო კომპანიისგან. ეს პროექტი „რუსთავი 2“ ის დილის გადაცემის ობიექტივშიც მოხვდა.**

**„წავკისის ველის“ მარკეტინგის დირექტორის ეკა ლობჟანიძის თქმით:** ბავშვების ფანტაზიის ნაყოფია ეს არაჩვეულებრივი, მათ მიერ დახატული სახლები. არც ერთი სახლი რატომღაც 2 სართულს არ აღემატება, რაც მთავარია, ყველა სახლი ლამაზია და ფერადი.

# პროფესიონალი მუსიკოსების ღლეავანღალი სატკივარი

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – თამრიკო ჭოხონელიძე
რესპონდენტი – გია მაჭარაშვილი

ისინი მეგობრები არიან. მთელი არსით, წლებია, რაც პროფესიონალური მუსიკის სამსახურში დგანან. ერთგულად ემსახურებიან საქმეს, რომელსაც შეიძლება ითქვას, თავი მიუძღვნეს. მსმენელი არასდროს მოუტყუებიათ და არც იმის სურვილი აქვთ, რომ თავი მოტყუებულად იგრძნონ... ამჯერად ჩვენი რუბრიკის სტუმრები არიან: თამრიკო ჭოხონელიძე და გია მაჭარაშვილი. წინასწარ დავძენ, რომ მათი დიალოგი მაინცდამაინც ტკბილი წასაკითხი არ გამოვიდა. ბევრმა შესაძლოა, მასში საკუთარი თავიც ამოიცნოს. მაგრამ ისინი იმასაც ამბობენ, რომ საზოგადოების მტრები ნამდვილად არ არიან, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით მოქმედებენ და სათქმელს დაუფარავად ამბობენ.



**— გია, იცი, რომ არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც პრეფერენცია სჩვევია. ამიტომ, საქვეყნოდ მინდა გითხრა: 16 წლის აღარ ხარ...**

— და არც — 56-ის... (იცინის)

**— ბევრი რამ გინახავს, არაერთ ადამიანს შეხვედრიხარ, მაგრამ მაინც მუდამ გაკვირვებული ხარ. ბევრმა შეიძლება, არც დაიჯეროს, მაგრამ ხარ საოცრად სუფთა კაცი. მითხარი, როგორ შეინარჩუნე თავი ასე? იქნებ ამის რამე რეცეპტი იცი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გულს გტკენს, საოცრად მშვიდი ხარ.**

— თამრიკო, რაღაც ძალიან სერიოზულად შეხედე ამ საკითხს და ისეთი კითხვა დასვი, რასაც ჟურნალისტები არ სვამენ ხოლმე...

**— სკანდალური ადამიანი არ ხარ, გაქვს საოცრად ლამაზი ოჯახი. გყავს არაჩვეულებრივი სამეგობრო და ხარ საუკეთესო მეგობარი. ამიტომ, ჟურნალისტებს ასეთი ტიპები ნაკლებად აინტერესებთ.**

— გეთანხმები, მაგრამ პასუხი შენს კითხვაზე რატომღაც, მიჭირს. იმასაც ვიტყვი, რომ მარტო მე არ ვარ, კიდევ არიან ჩემნაირი ადამიანები...

**— ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ იყვნენ...**

— ერთადერთი მიზეზი ალბათ ის არის, რომ ჩემმა მშობლებმა თავიდანვე შთამინერგეს, ასეთი ვყოფილიყავი. თუმცა დღეს ჩემნაირი ადამიანისთვის ძნელია ცხოვრება. გულახდილად გეტყვი, ალბათ იმიტომ, რომ შინაგანად ისევ ბავშვი ვარ. იცი, რატომ? ჯერ ერთი — პატარებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მერე — იმ კოლექციებს, მოდელებს, რომლებსაც სკოლის პერიოდში ვაგროვებდი, დღემდე ვუფრთხილდები და ვეფერები. მიხარია, რომ მაქვს სხვადასხვა სახის სათამაშო. მეუღლე და მეგობრები, ვინც ჩემი ამ გატაცების შესახებ იციან, ცდილობენ, სათამაშოთი დამასაჩუქრონ. არ ვარ ის ადამიანი, ყოველდღე რესტორნისკენ რომ მიუწევს გული. მიყვარს ჩემი ოჯახი, სამუშაო, რასაც ვაკეთებ. ალბათ ყველაფერი კომპლექსურად, აყალიბებს ისეთ პიროვნებას, როგორიც ვარ. თუმცა ფიცხიც გახლავარ. მაგრამ უმიზეზოდ აფეთქება არ მახასიათებს. ვერ ვიტან, როდესაც შტერად მიმიჩნევენ. როდესაც წყენა მიგროვდება, უარყოფითი ენერგია, იმ ადამიანს ნებისმიერი ხერხით — სიტყვიერი იქნება თუ ძალისმიერი, — პასუხს ვუბრუნებ. ისე, რამდენიც დავიყვირე და ხმას ავუწიე, გაიგეს. ახლა ვფიქრობ, ცხოვრებაში მყვირალა რომ ვყოფილიყავი, ალბათ უფრო მეტ საქმეს გავაკეთებდი-მეთქი, მოთმინებამ და თავშეკავებამ ცოტა უკან დამწია.

**— აი, ეს არის ზუსტად ის, რაც სხვებისგან გამოგარჩევს. შენს საოცარ ოჯახში მოსვლა ყველას უხარია. სამუშაო ოთახში, სადაც ახლა ვიმყოფებით, ყოველთვის ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს... გია, მიგაჩნია, თუ არა, რომ მუსიკოსმა, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს, უნდა იცოდეს ნოტების ცნობა?...**

— მსოფლიოში ყოფილან და დღესაც არიან ერთეული მუსიკოს-შემსრულებლები, მათ შორის ჯაზმენებიც, რომლებსაც ნოტები არ სცოდნიათ, მაგრამ ოქროს ასოებით შესულან მუსიკის ისტორიაში. ვთქვათ, იგივე გარნერი, რომლის მუსიკაზეც ბევრი გაზრდილა... სხვათა შორის, კონსერვატორია არც მე მაქვს დამთავრებული (რაზეც გული მწყდება), მაგრამ ადამიანმა, რომელიც მუსიკის სფეროში მოღვაწეობს, შეუძლებელია, არ იცოდეს ელემენტარული რამ, ეგრეთ წოდებული „ციფროვკა“ მაინც, რომ გაშიფროს ესა თუ ის მუსიკალური ნამუშევარი. უბედურება ის არის, რომ სწავლას არც ცდილობენ. უცნაურია, რომ ასეთი ადამიანები საკმაოდ ცნობილ კონკურსებში მონაწილეობენ. არადა, ისინი საკუთარ თავს მუსიკოსებად მიიჩნევენ. ზედა ფენებში, წინა პლანზე არიან წამოწეული.

**— პრობლემა ისაა, რომ ამ ყველაფერს გუნდრუკის მკმევლები ჰყავს. ის მუსიკალური კონკურსები, რომლებიც ჩვენში ტარდება, უნდა იმართებოდეს თუ არა ამ სახით? ვფიქრობ, ამ პროექტებს არაპროფესიონალი მესვეურები ჰყავს...**

— მუსიკალურ კონკურსებს, რომლებიც ბოლო წლებში საქართველოში იმართება, ჩემი აზრით, არასწორი ორიენტაცია აქვს აღებული. არ შეიძლება, ადამიანის ნიჭი და შესაძლებლობა ეს-ემ-ესებით შეფასდეს. ეს ეს-ემ-ესები შემოსავალია იმ კომპანიისთვის, რომელიც ამით, მოსახლეობის ხარჯზე მდიდრდება. ახალგაზრდებიც, მეგობრების გამო, დაუსრულებლად რეკავენ. ამან შეიძლება, მეორე უარყოფითი შედეგი მოგვცეს — ნიჭიერ კაცს, რომელიც მატერიალურად გაჭირვებულია, არ ჰყავს მდიდარი სამეგობრო წრე და ამიტომ, შესაძლებელია, დამარცხდეს. არადა, საქმე სიმღერასთან გვაქვს და არა — მოდების ჩვენებასთან.

**— გეთანხმები. მივდივართ თუ არა იქამდე, რომ დღეს პროფესიონალიზმის უარყოფა ხდება? არ აძლევთ ხელს საქმის მცოდნე და ნიჭიერი ადამიანები...**

— კი, ასეა. უკვე მთელი წელია, რაც საერთოდ, არაფერი ხდება საქართველოში. არადა, თითქოს ხდებოდა ბევრი რამ 1996-დან 2006 წლამდე. იმის შემდეგ უდიდესი სიჩქარით, უკან წავედით. დაინგრა და დაეშვა ქართული ესტრადა.

**— ბოლო დროს, რაღაც, რადიოები გააქტიურდნენ. ჩემი აზრით, კრიმინალია ის, რა მუსიკაც ზოგიერთი მათგანის ეთერში ულერს. ამით ისინი ჩვენი შვილების თაობას გემოვნებას ურყვნიან. ამის წყალობით, საქართველო რატომღაც, სუფრასთან გაიგივდა. რასაც ახლა ვამბობ, ეს არ ნიშნავს, რომ კონსერვატორი ვარ, ჩემს ბუდეში ვზივარ და გარეთ არ ვიყურები. საოცრად მსიამოვნებს ყველანაირი სიახლე, რაც ჩვენი მენ-**

**ტალიტეტისთვის, სულისა და ტრადიციისთვის არის მისაღები. იმ რადიოში, რომელიც სუფრასთან არის ასოცირებული და ვახსენე, კლასიკად ქცეულ ქართულ სიმღერებს მთვრალი კაცები და ქალები მღერიან. როგორ ფიქრობ — ეს ყველაფერი სადამდე მიგვიყვანს?**

— უკვე რამდენიმე წელია, რაც სუფრულმა სიმღერებმა დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზეც გადაინაცვლა. ჩემი ახალგაზრდობის დროს, როდესაც მოდაში იყო ანსამბლები: „ორერა“, „ივერია“, „75“, „თეატრონი“, „ნატვრის ხე“, არასდროს მსმენია და მინახავს, რომელიმე მათგანს საქეიფო სიმღერები ფილარმონიის სცენაზე ემღეროს.

**— ამას ისინი არც თავს აკადრებდნენ და არც მსმენელს. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ მარჯანიშვილის თეატრში, ერთ-ერთ ვითომ ელიტურ საღამოზე სცენაზე სუფრაც გაიშალა, სადაც ღვინოც იყო, არაყიც და გინებაც. ამ ღონისძიების აფიშაზე ჩემი გვარი იყო მიწერილი, მაგრამ იქ გამოსვლაზე უარი ვთქვი. ამიტომ, დარბაზში მაყურებლის სტატუსით გახლდით და ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.**

— რას ამბობ?..

**— ეს ჩემთვის კატასტროფის ტოლფასია. არადა, დარბაზში მსხდომების დაახლოებით 5% აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს. ასეთი ტიპები ამბობენ, — მოგვენატრა ქართული სულიო. დალოცვილო, თუ მოგენატრა, სახლში. გაშალე სუფრა და იქ მოაწყვე ზეიმი... როგორ შეიძლება აკადემიური თეატრის სცენაზე მსგავსი მასკარადი?!**

— როდესაც ასე გაუჭირდება კლუბს, თეატრს, — გააქირაოს დარბაზი და თავი ირჩინოს. ეს არის იმ უდიდესი მატერიალური გასაჭირის ბრალი, რომელმაც თითოეული ჩვენგანის ოჯახშიც შემოაღწია.

**— ესე იგი, „პიკუები“ მომრავლდნენ: „ფული, ბაბა, ფული“... ამ პრინციპით, დღეს არაერთ პროექტში იმ ადამიანებსაც ვხედავთ, რომლებიც ჩვენთვის სამაგალითოები იყვნენ და დღეს იქ ძალიან დიდი ფულის გამო არიან მისულები...**

— რადიოს საკითხთან დაკავშირებით ახლა გავცემ პასუხს. გეთანხმები, რომ უმრავლესობა რადიოებისა დატვირთულია სუფრული სიმღერებით. ერთი მხრივ, შეიძლება, ახალგაზრდობას ამით მიანიშნებენ იმაზე, რომ ასეთ ნამუშევრებზე წინა თაობებია აღზრდილი...

**— გაგაწყვეტინებ: ყველა ეს სიმღერა არ არის ისეთი, რომლითაც თავი უნდა მოიწონო. ამასთან, თანამედროვე შესრულებით, ძალიან ბევრი სიმღერა დამახინჯებულიცაა. თან, 90% არაფხიზელ მდგომარეობაშია ნამღერი. როდესაც ვიკითხე, — რატომ არის ბიძინა კვერნაძის სიმღერები ასე დამახინჯებული-მეთქი? — მიპასუხეს, — სულ არარაობას, არ ჯობია, დამახინჯებული სახით მისი მოსმენაო?! ეს სწორი პოზიცია არ არის.**

— სამწუხაროდ, ეს არის, ისევ და ისევ, კომერცია, შემოსავლის წყარო...

**— დავანებოთ ახლა ამას თავი და მითხარი, შენმა პატარა ქალიშვილმა დაიწყო თუ არა უკვე პრანჭვა?**

— როგორ არა. უკვე მე-11 წელშია. ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ ახალგაზრდები „დიდობაში“ რაღაც, უფრო ადრე შედიან. მგონი, არ მეჩვენება.

**— რას იზამ, პრესინგის გაკეთება რომ მოგთხოვოს?**

— არ მომთხოვს, გამორიცხულია.

**— რომ მოგთხოვოს?**

— ჩემი რეაქცია გაინტერესებს?.. რა თქმა უნდა, ამაზე ცუდი რეაქცია მექნება. ჯერ სიცილით ვეტყვი და თუ ვერ გაიგო, მერე სხვა ხერხს მივმართავ... ამას არ დავუშვებ.

**— მოდის ახალი წელი, მოდი, ვისურვოთ, რომ ჩვენს შვილებს მშვიდობიან საქართველოში ეცხოვროთ და არა — აგრესიულში... ჟურნალ „გზის“ წყალობით, პირველად აღმოვჩნდი ჟურნალისტის როლში. მინდოდა, რომ შენ — ჩემი რესპონდენტი სხვა კუთხით წარმოჩენილიყავი. მე კმაყოფილი ვარ ამ დიალოგით. წარმატებები მინდა გისურვო.**

— არც ერთ ჟურნალისტს არ დაუსვამს ჩემთვის ასეთი კითხვები, მართლაც გამორჩეული ჟურნალისტი აღმოჩნდი. კორესპონდენტობის გარკვეული ფარული ნიჭი გქონია, რა იცი, როდის გამოგადგება (იცინიან)...

**— დიდი მადლობა!**

**ჟურნალისტი** – ზია მაჭარაშვილი
**რესპონდენტი** – თამრიკო ჭოხონელიძე

**— იგივე კითხვა გამომდის, მაგრამ მაინტერესებს — შენ როგორ უძლებ იმ ყველაფერს, რაც ჩვენს ცხოვრებაში ხდება? რას ხედავ დამამშვიდებელს? გამოსავალი რაა?**

— ეს კითხვა იმიტომ დაგისვი, რომ შენგან მინდოდა პასუხის მოსმენა. სამწუხაროდ, დამაიმედებელს ვერაფერს ვიტყვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც პერსპექტივას ვერ ვხედავ. თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ერთს მეორე საშინელება ემატება. არაპროფესიონალიზმი ზეობს. მაპატიოს ყველამ, მაგრამ მე ამას პოლიტიკაშიც ვხედავ და სხვადასხვა სფეროშიც, რომელსაც საქმის მცოდნე ადამიანი, სპეციალისტი არ უძღვება. რასაც, სამწუხაროდ, ტაშს უკრავენ... მაგრამ პესიმიზმი ჩემთვის დამახასიათებელი არ არის, რადგანაც ოპტიმისტი ვარ. ამიტომ ვიტყვი, რომ ყველაფერი გამოსწორდება. ისე არ გავიწირებით, რომ არაფერი შეიცვალოს.

**— მიგაჩნია თუ არა, რომ დღეს ისევ და ისევ, გარკვეულ სფეროში და გარკვეულ ეტაპზე, ცენზურაა საჭირო?**

— რა თქმა უნდა. ეს აუცილებელი ყოფილა. მაგრამ პირველ რიგში, ცენზორი საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. არ მახსოვს, მაგრამ როგორც უფროსი თაობის მუსიკოსები ჰყვებიან, წინათ არსებობდა საბჭო, რომლის წევრები პროფესიონალი მუსიკოსები იყვნენ. ისინი მსჯელობდნენ, ესა თუ ის ნამუშევარი საზოგადოების წინაშე გამოეტანათ თუ — არა. ეს ახლა ჰაერივით აუცილებელია, რადგან დღეს უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ და ეს „კატებიც“ ძალიან სერიოზულად „აყეფდნენ“. ჩემთვის ეს ძალზე აქტუალური პრობლემაა. თუმცა ჭკუა ვინ უნდა გასწავლოს, როცა აზრი ვისაც უნდა ვკითხოთ, ის ხალხი დღეს დასამარებულია?!.

**— ვფიქრობ, ყველაფერი ზემოდან უნდა იწყებოდეს. ამაში ძირფესვიანად უნდა იყოს ჩართული კულტურის სამინისტრო, ქალაქის კულტურის სამსახური, ადამიანები, რომლებიც იქ მსახურობენ. მათ შორის უნდა იყვნენ ისეთები, რომლებსაც მუსიკალური შვიდწლედი მაინც აქვთ დამთავრებული და რაღაც მოუსმენიათ, ხალხურ და საესტრადო შემოქმედებას იცნობენ.**

— ხალხური შემოქმედება ახსენე და გეტყვი, რომ ერთ-ერთ გადაცემაში ვნახე სამაგალითო ადამიანის ასეთი გამოსვლა: არ მომწონს ეს ხალხური სიმღერა და შემსრულებელს ვერ შევაფასებო. სამარცხვინო ფაქტია. ბოდიში უნდა მოვიხადოთ მთელმა ქართველმა ერმა, რომ ვერ შევქმენით ისეთი ხალხური სიმღერა, რომელიც ამა თუ იმ პიროვნებას მოეწონებოდა? სხვათა შორის, ამავე პროექტში ცნობილმა პიროვნებამ, რომელიც ჩემთვის სამაგალითო უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც, მომღერლის შეფასებისას ასეთი რამ ითქვა: ესა და ეს ქართული ფილმი არ მაქვს ნანახიო... მაინტერესებს, ამით რა მაგალითს ვაძლევთ მომავალ თაობას?.. როდესაც ამა თუ იმ ადგილას კრიტიკულად გამოვედი, ერთ-ერთი პროექტის მესვეურმა თურმე შინაურ წრეში თქვა თამრიკო ბოლო დროს როგორი განერვიულებულიაო!.. განერვიულებული კი არა, აღშფოთებული ვარ ისე, როგორც ბევრი ქართველი... ყველაფერი მაინც მიმბაძველობის ბრალია. ქართულის აღიარება მკრეხელობად და სირცხვილად მიგვაჩნია. ეს კი ე.წ. სიქაჯეა. ჩემი და შენი თაობის წარმომადგენლებმა უღალატეს ქართველობას და ჰგონიათ, რომ ამას უცხოეთი მიიღებს. უკაცრავად, ის „უცხოეთი“ ერთხელაც მოგიბრუნდება და გეტყვის: ახლა შენი მომასმენინე, ეს — ჩემიაო. ამ დროს აღმოჩნდებიან ღამურის პოზიციაში. მე ეს მადარდებს. მათ რაც უნდათ, ის უქნიათ, მაგრამ რა დააშავეს ჩვენმა შვილებმა?!. ახალი წელი ახლოვდება. ვერაფრით ვღალატობ იმ ძველ, თბილ და ლამაზ ტრადიციას, რომელიც მხოლოდ საქართველოში როდია დამკვიდრებული, — ახალი წლის სახლში შეხვედრას ვგულისხმობ. ის, რომ ჭიქას ასწევ და ოჯახის წევრს ახალ წელს მიულოცავ, დაულოცავ მთელ წელიწადს, — ძალიან სერიოზული მოვლენაა. ეს არ არის ჩეულებრივი ტრადიცია, რომელსაც მიგაჩვიეს. დიდი ენერგეტიკის შემცველი სიბრძნეა — ის, რომ სითბო აჩუქო შენი ოჯახის წევრს და გარეთ მერე გაუშვა. დღეს ბავშვები ქუჩაში გაგვიყარეს, იქ ახვედრებენ ახალ წელს. ეს ჩემთვის მიუღებელია. ოჯახურ ტრადიციას რატომ უკარგავ?! ის ხომ პატარა სახელმწიფოა, სადაც ყველაფერი ქართული ინერგება! განა ჩვენს ტრადიციებში ყველაფერი მისალები იყო?! არა, მაგრამ სწორედ იმ სახლში უნდა მოხდეს იმის გაშიფვრაც და განდევნაც. ეს არის ჩემი „განერვიულების“, როგორც თქვეს, საფუძველი. გული მწყდება ამაზე. შენიშვნის მიღება არავის უყვარს. აქ ჩვენი მთავრობაც შემიძლია ვახსენო: მან შენიშვნა მტრის აზრად მიიჩნია. ამით ბევრ ახალგაზრდას ცუდ მაგალითს უჩვენებენ.

**— მინდა, ახლა შენს შვილებზე გკითხო. შესანიშნავი ქალ-ვაჟი გყავს. რას ფიქრობ, როგორც მშობელი, დედა და შვილებზე გადაფოფრილი ადამიანი — სწორ გზაზე დგანან ისინი? სწორად გაიზარდნენ?**

— მათ სასიქადულო მოქალაქეებად ჩამოყალიბებამდე ჯერ შორს არის. თუმცა ღირსეული ადამიანები რომ არიან, ამას თამამად ვიტყვი. მშობლის დანიშნულება სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ აღზრდასთან ერთად, კარგად დააკვირდეს — სწორ გზაზე დგანან თუ — არა. 9 დეკემბერს 19 წლის გახდა მარიამი, 18 წლის — კოკო (ერთ დღეს არიან დაბადებულები). სულ იმას ვაკვირდები და ვფიქრობ, სწორად ვმართავ თუ არა ჩემს საქმეს. მგონია, რომ არ ვცდები. თავიდან, ხშირად მეუბნებოდნენ, — ისეთ ფილმებს ნუ აყურებინებ, რომლებზეც გული უჩუყდებათო. — არა უშავს, აუჩუყდეთ-მეთქი, — ვუპასუხებდი, — ოღონდ ისწავლონ ადამიანების შეცოდება, იცოდნენ ვილაცის დაფასება... ვასმენინებდი ისეთ მუსიკას, რომელშიც სიკეთის მარცვალს ყოველთვის იჭრდნენ. როდესაც პროფესიების არჩევა დაიწყეს, კარგად იცი, კოკოს ვეწინააღმდეგებოდი, რადგანაც ძალიან მეშინოდა მსახიობის პროფესიის, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ასაკიდან სცენის მტვერი ყლაპა, კინომსახიობთა თეატრშიც ითამაშა სპექტაკლში და „თეატრალურ სარდაფშიც“, ოთარ ეგაძის სპექტაკლში მონაწილეობდა. როდესაც მან ამიხსნა, მსახიობობა რატომ ჰქონდა გადაწყვეტილი, მივხვდი, რომ ძირფესვიანად აქვს გააზრებული ამ პროფესიის სირთულე. მის წინაშე ხელები ავწიე და დანარჩენი მას მივანდე. რაც შეეხება მარიამს, — უფრო აშკარა იყო მისი მონაცემი. უბრალოდ, ვერ წარმომედგინა, რომ კლასიკური ვოკალით გააგრძელებდა საქმიანობას. მოგეხსენება, რომ პატარაობაში ის საესტრადო სიმღერებს კარგად მღეროდა, მაგრამ სოლო სიმღერის არც ერთი კლიპი არ ჰქონია. ბევრისგან განსხვავებით, პატარა ასაკში არ იყო ასე ვთქვათ, „მყვირალა ვარსკვლავი“.

**— ეს შენი დამსახურებაა.**

— არ მინდოდა, რომ მასში თვითკმაყოფილების გრძნობა გაღვივებულიყო. ჩემს შვილებს ლანგარზე მირთმეული არაფერი ჰქონიათ. ახლა თავიანთი პროფესიების მიმართ დიდი პასუხისმგებლობით არიან განმსჭვალულები.

**— მიხარია, რომ შენ და შენი შვილები კარგ გზაზე ადგახართ... ახლოვდება ახალი წელი. რას უსურვებ შენს სამეგობროს, შვილებს, კოლეგებს, კეთილისმსურველებს და კიდევ მათ, ვინც ოდესმე გაგიკრიტიკებია?**

— თუკი ოდესმე ვინმე გამიკრიტიკებია, პირადად, კონკრეტული ადამიანის არანაირი ინტერესი არ მქონია. ეს ჩემს ბუნებაში არ ზის. მაგრამ როდესაც შენს საუკუნოვან საგანძურს ემტერებიან და განადგურებას უპირებენ, ეს არ უნდა გეწყინოს?! წელს ზოგიერთმა, ფოლკლორში ჩაუხედავმა ადამიანმა ეკრანიდან თითებიც კი მიქნია, მაგრამ არა უშავს, სწორედ იმ ადამიანით მინდა დავიწყო 2009 წლის მილოცვა და დალოცვა. მე გულში წყენას არ ვინახავ. კარგი იქნება, თუ ჩვენი აზრების შეჯერება მოხდება. რაც შეეხება ჩემს სამეგობროს, რომლითაც ვამაყობ, მინდა, საჯაროდ ვუთხრა, რომ მე ისინი ძალიან მიყვარან. ეს დიდი სიყვარული, რომელიც ერთმანეთის მიმართ გვაქვს, კიდევ უფრო გაგვღვივებოდეს 2009 წელს! რაც მთავარია, მეტად შეგვძლებოდეს ერთმანეთის მოფერება და მხარში დგომა, დაიმედება. მინდა, ღიმილი დავინახო მათ სახეებზე. ამ წელიწადში დარჩეს ის, რაც ყოველთვის მისასამძიმრებელია. ჩვენი სისხლი და ხორცი იყო, ვინც აგვისტოში დავკარგეთ. სამძიმარიც მინდა ვუთხრა და ოჯახის წევრებს ღირსეულად გაეგრძელებინოთ მათ მიერ ღირსეულად დაწყებული საქმე, რომლისთვისაც თავი გაწირეს. ჟურნალ „გზას“ კი ვუსურვებ ბევრ სიმართლეს, კარგ ინფორმაციებსა და რესპონდენტებს, რომლებიც თქვენს ფურცლებზე კეთილ მუხტს შემოიტანენ.

**— გეთანხმები, თამრიკო. მთავარია, მკითხველმა სწორად გაიგოს ჩვენი ნათქვამი. მტრად ნუ მიგვიჩნევს. ბოროტად არაფერი გვითქვამს... შეუძლებელია, ის ფასეულობა დაიკარგოს, რომელსაც ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ და ჩვენამდე მოვიდა... ყველას ვულოცავ დამდეგ, 2009 წელს! ყოფილიყოს წყნარი, ნაკლებად მშფოთვარე, ჯანმრთელი, ბედნიერი და ღიმილიანი წელი... ყველას თავის საქმე ეკეთებინოს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვერონიკა ბერლუსკონი – ლედი მაკბეტი თუ უბრალოდ, მოსაწყენი ქალი?!.

**არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ქვეყნის პირველი პირების ცოლებს, ცოტა არ იყოს უხეშად, მხოლოდ ორ ნაწილად ყოფენ: იმ პირველ ქალბატონებს, რომლებიც საკუთარი კარიერის გაკეთებაზე ზრუნავენ, ლედი მაკბეტს ადარებენ, ხოლო კარიერის გარეშე დარჩენილთ, უბრალოდ, მოსაწყენ ქალთა რიგს მიაკუთვნებენ. ვინ არის ამ თვალსაზრისით იტალიის პრემიერის, სილვიო ბერლუსკონის კარიერის გარეშე დარჩენილი, მაგრამ მაინც, ფრიად საინტერესო მეუღლე ვერონიკა? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არა მარტო თავად ამ მომხიბვლელი ქალბატონის საკმაოდ მშვიდ, არამედ მისი თანამეცხედრის დღემდე წარმოუდგენლად ბობოქარი ცხოვრების ზოგიერთ დეტალსაც დაწვრილებით უნდა გავეცნოთ.**

## წარმომავლობა

ვერონიკა ლარიო — ეს მისი თეატრალური ფსევდონიმია, სინამდვილეში კი მირიამ რაფაელა ბარტოლინი გახლავთ. იგი 1956 წელს, ბოლონიაში დაიბადა. მამა საკმაოდ ადრე გარდაეცვალა, დედა კი სუპერმარკეტში, უბრალო გამყიდველად მუშაობდა. ბავშვობიდანვე ულამაზესი ვერონიკა მსახიობის კარიერაზე პატარაობიდანვე ოცნებობდა. მისი იდეალი ამერიკელი კინოვარსკვლავი, ვერონიკა ლეიკი იყო, ვის გამოც სახელიც კი გამოიცვალა და თავადაც ვერონიკა დაირქვა.

## განათლება

კინოვარსკვლავობაზე მეოცნებე ნორჩმა ლამაზმანმა თეატრალური სკოლა დაამთავრა და პროდიუსერებისგან მაცდური წინადადებების მოლოდინში, თეატრში დაიწყო მუშაობა. მალე, ნიჭიერ დამწყებ მსახიობს ერთდროულად რამდენიმე როლი მისცეს და სამუშაო ტელევიზიაშიც შესთავაზეს. აშკარა იყო, ვერონიკას წინ წარმატებული სამსახიობო კარიერა ელოდა, მაგრამ მის ცხოვრებაში სილვიო ბერლუსკონის გამოჩენამ, ლამის ყველა მისი გეგმა თავდაყირა დააყენა.

## ოჯახი

სილვიო ბერლუსკონიმ ვერონიკა ლარიო პირველად 1980 წელს, სცენაზე, წელზევით შიშველი ნახა და როგორც დღემდე თავადვე აღიარებს, მაშინვე უგონოდ შეუყვარდა. მან ამომავალ ვარსკვლავს, პირველივე ანტრაქტის დროს, ვნებიანად დაუწყო სიყვარულის ახსნა, სპექტაკლის შემდეგ კი რესტორანში სავახშმოდ თითქმის ძალით წაიყვანა. იტალიის მომავალი პრემიერი მართლაც, შეყვარებული ჩანდა. ამასთან, ის მდიდარი, გალანტური, ჭკვიანი და ვერონიკაზე მთელი ოცი წლით უფროსიც იყო (ვერონიკა მაშინ 24 წლის გახლდათ, სილვიო — 44-ის) და ამიტომაც, ქალიშვილმა მის „შემოტევას“ ვერ გაუძლო — სილვიომ ვერონიკას გული მალევე დაიპყრო და ათწლიანი საყვარლობის შემდეგ, ცოლადაც მოიყვანა. იმ დროისთვის მათ უკვე სამი შვილი: 1985 წელს დაბადებული ბარბარა, 1986 წელს დაბადებული ელეონორა და 1987 წელს დაბადებული ლუიჯი ჰყავდათ. ბერლუსკონის პირველი ცოლისგან, რომელსაც 1985 წელს, ვერონიკას დაფეხმძიმების შემდეგ გაეყარა, კიდევ ორი შვილი: 1966 წელს დაბადებული მარინა და 1968 წელს დაბადებული პერსილვიო ჰყავდა. გათხოვების შემდეგ ვერონიკამ სცენა მიატოვა და თავი ოჯახს მიუძღვნა.

## ჭეშმარიტად იტალიელი ცოლი

ოჯახში გამოკეტვის მიუხედავად, ვერონიკა ზეაქტიურ ქმარს არ ჩამორჩა და ერთგვარი, საკუთარი იმპერიის შექმნა შეძლო. ეს გახლავთ დიდი სახლი (უფრო სწორად — სახლები!), სადაც ის დღემდე, ერთადერთი სრულუფლებიანი დიასახლისია და ყველა გადაწყვეტილებასაც თითქმის ერთპიროვნულად იღებს. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებაში მას თავის დროზე გაფორმებული საქორწინო კონტრაქტიც ეხმარება, რომლის თანახმადაც, ვერონიკას მთელ რიგ საკითხებში სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული. მან სწორედ ამ თავისუფლებით ისარგებლა 2004 წელსაც, როცა სილვიოს საყვარელი ვილა — „მინევრა“ რუს ბიზნესმენს, რუსტამ ტარიკოს მის დაუკითხავად, 15 მილიონ ევროდ მიეჰყიდა. ამ ამბის გამო მართალია, სილვიოს გული ძალიან დასწყდა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, რადგან კონტრაქტის მიხედვით, სახლი ვერონიკას ეკუთვნოდა. ცოლისგან ნაწვნევი მსგავსი „წვრილმანი“ უსიამოვნებების მიუხედავად, ბერლუსკონი მაინც მიიჩნევს, რომ „ჭეშმარიტად იტალიელი ცოლი“ სწორედ ასეთი უნდა იყოს.

## არაიდეალური პირველი ქალბატონი

თავიდან, იტალიელებს ვერონიკა იდეალურ პირველ ქალბატონად მოეჩვენათ, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ მისი თვალისმომჭრელი სილამაზე, ჭკუა და გემოვნებით ჩაცმა როდი იყო. საქმე ის არის, რომ მანამდე, იტალიის პრეზიდენტების უმეტესობა ქვრივი გახლდათ, ხოლო პრემიერ-მინისტრები (მაგალითისთვის, ჯულიო ანდრეოტი), ფაქტობრივად, ქვეყნის 40-წლიანი მართვის მიუხედავად, ცოლებთან ერთად საჯაროდ ძალზე იშვიათად ჩნდებოდნენ.

მაგრამ იტალიელების სურვილსა და მოლოდინს არც ამჯერად ეწერა ახდენა, რადგან როგორც კი სილვიო ბერლუსკონი იტალიის მთავრობის მეთაური გახდა, მისმა ცოლმა, პრაქტიკულად, ყველანაირ ოფიციალურ ღონისძიებაზე დასწრება მაშინვე შეწყვიტა. მეტიც, ვერონიკა მისი და სილვიოს პირადი ცხოვრების დაცვასაც იმდენად გულმოდგინედ შეუდგა, რომ საზოგადოებამ წლების მანძილზე არაფერი იცოდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ბერლუსკონების ვილის კედლებს მიღმა. ერთი სიტყვით, ვერონიკა ევროპის „ყველაზე თავშეკავებულ და ტაქტიან“ ქალბატონად სამართლიანად მოინათლა. ყოველივე ამის ფონზე, განსაკუთრებით გასაოცარი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ 2004 წელს, ცამეტწლიანი სრული კარჩაკეტილობის შემდეგ, ვერონიკამ დუმილის დარღვევა 200-გვერდიანი წიგნის გამოშვებით გადაწყვიტა, რომელსაც „ტენდენცია ვერონიკა“ („ვერონიკას თვალთახედვით“) დაარქვა. ეს წიგნი, ავტობიოგრაფიაზე მეტად, ქმართან ანგარიშსწორებას მიუძღვნა.

## სილვიო — აუტანელი და მაინც, ძალიან საყვარელი

სილვიო და ვერონიკა უკვე 18 წელია, ცოლ-ქმარი არიან. ამ ხნის განმავლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ყოფილი ნიჭიერი მსახიობი, ვერონიკა ლარიო მარტო იმას კი არ შეეგუა, რომ მათ ოჯახში ერთადერთი „მოქმედი მსახიობიცა“ და „ამომავალი ვარსკვლავიც“ მხოლოდ სილვიოა, არამედ იმასაც, რომ ის ქმრის ცხოვრებაში ერთადერთი ქალი ნამდვილად არ არის. იტალიელები (თანაც, ზოგი — ირონიით და ზოგიც — აღფრთოვანებით) სილვიო ბერლუსკონის Il Cavaliere-ს — რაინდს უწოდებენ. საერთოდ კი, პოლიტიკოსებიდან ცოტა ვინმეს თუ ჰქონია იმდენი მეტსახელი (მისტერ უტაქტობა, ჯამბაზი, სილვიო მაკიაველი, XXI საუკუნის რომის იმპერატორი და ასე შემდეგ), რამდენიც ბერლუსკონის. ის ყველაზე არადიპლომატური გამოთქმებითა და ჟესტებითაცაა ცნობილი, რაშიც მხოლოდ ინგლისის დედოფლის მეუღლეს, პრინც ფილიპს თუ ჩამოუვარდება. აი, ბერლუსკონის „გმირობების“ არასრული ჩამონათვალიც: აკოცა პატარძალს თურქეთში, მუსლიმანურ ქორწილში; დანიის პრემიერ-მინისტრს ქალბატონ ბერლუსკონისთან საღამოს „ტეტ-ა-ტეტ“ გატარება შესთავაზა; ამერიკელებს ურჩია, — სახსრები იტალიაში დააბანდეთ, რადგან ჩვენ უფრო ლამაზი პირადი მდივნები გვყავსო; ოფიციალურ სამიტზე, ყველას დასანახავად, ანგელა მერკელს უკნიდან მიეპარა და „კუ-კუ“ ლამის შიგ ყურში ჩასძახა; კარლა ბრუნიმ კი, რომელსაც კინაღამ გულყრა დაემართა, როცა გაიგო, რომ ბერლუსკონიმ ბარაკ ობამას „გარუჯული“ უწოდა, თავი მხოლოდ იმითლა დაიმშვიდა, რომ თავად უკვე ფრანგია და არა — ბერლუსკონივით, უწინდებურად იტალიელი... ბერლუსკონი განდიდების მანიითაცაა შეპყრობილი და თავს ხან კეისარს, ხან — ნაპოლეონს, ხანაც (ამდენადაც კადნიერდება) ქრისტეს ადარებს და იმასაც აცხადებს, — ჩემი ცხოვრების, პროფესიული ჩვევებისა და ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე, ბადალი არ მყავსო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 72 წლისაა, არათუ დიდი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს, არამედ ქალების დევნასა და არშიყსაც არაფრით ეშვება, რაც ხშირად, პრესაში სკანდალური სტატიის გამოქვეყნების საბაბიც ხდება. თუმცა, ვერონიკაც არ ზის მთლად გულხელდაკრეფილი და ქმრის „ცელქობებს“ დაუსჯელს არ ტოვებს. მაგალითად, 2006 წლის თებერვალში, ლარიომ მემარცხენე ლიბერალური გაზეთ La Repubblica-ს მეშვეობით, რომელიც ბერლუსკონის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მთავარი მედიარუპორია, ქმარს ღია წერილით მიმართა. ვერონიკას თქმით, მისი ქმარი საჯაროდ ეღლაბუცებოდა ახალგაზრდა და ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ პარლამენტარ მარა კაფანიას. მას ისიც კი უთხრა, — დაქორწინებული რომ არ ვიყო, არც დავფიქრდებოდი, ცოლად ისე მოგიყვანდიო. ვერონიკას თქმით, ქმრის ამ საქციელმა მისი ღირსება შელახა. თუმცა, იტალიური პრესის ვარაუდით, ევროპის ყველაზე ტაქტიანი პირველი ქალბატონის აღშფოთება, ქმრის თავაშვებულობაზე მეტად იმან გამოიწვია, რომ სილვიომ თავისი მრავალმილიარდიანი ქონება მხოლოდ შვილებს გაუნაწილა და მილიარდერების ცოლების რეიტინგში მეხუთე ადგილზე გასულ ვერონიკას არაფერი არგუნა. ასე იყო თუ ისე, იტალიის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსს საჯაროდ მოუხდა ბოდიშის მოხდა (თანაც, ქალთა

საზოგადოებამ წლების მანძილზე არაფერი იცოდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ბერლუსკონების ეილის კედლებს მიღმა


**წმინდა პანტელეიმონის სახელობის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მერიდიანი“ აცხადებს საახალწლო საქველმოქმედო აქციას!**

**მობრძანდით და ჩაიტარეთ ცენტრის ექიმების მიერ დანიშნული სამედიცინო-დიაგნოსტიკური გამოკვლევები უფასოდ!!! რათა შეხვდეთ ახალ წელს ჯანმრთელი!**

**უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკური გამოკვლევების ჩამონათვალი:**



1 სისხლის კლინიკური და ბიოქიმიური ანალიზი
2 ჰორმონები, მათ შორის ჩიყვის დროს
3 ღვიძლის ფუნქციური სინჯები
4 ფერმეტი
5 ელექტროლიტები
6 კოაგულოგრამა
7 ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები, მათ შორის დიზბაქტერიოზის დროს
8 განავლის და შარდის ანალიზი
9 ყველა ორგანოს ექოსქოპია
10 ელექტროკარდიოგრაფია
11 თავის ტვინის სისხლძარღვების დოპლეროგრაფია
12 ენდოსკოპიური გამოკვლევები

**ფასიანია მხოლოდ ექიმის მომსახურება და მისი ღირებულება შეადგენს 30 ლარს.**

**მისამართი: თბილისი, უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩა №78**
**საკონტაქტო ტელ. 95 14 50; 891 16 93 33; 890 33 97 33**

ჟურნალ A-ს მეშვეობით). მან ცოლს ისეთი თბილი სიტყვებით მიმართა, რომ შედეგად, მარტო ის კი არ შემოირიგა, არამედ არაერთ რიგით იტალიელ ქალსაც აუჩუყა გული. „ჩემო ძვირფასო, — წერდა ვერონიკას, — აბა, როგორ შემეძლო შენი ღირსების შელახვა, როცა ის ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი ფასეულობაა... ჩემი დაუფიქრებელი საქციელი კი ალბათ, იმ დაძაბულობამ განაპირობა, რომელშიც გამუდმებით ვიმყოფები“.

ვერონიკა თავის წიგნში წერს, რომ სილვიო იმდენადაა დაკავებული სახელმწიფო საქმეებით, რომ მას საერთოდ ველარ ამჩნევს, ქმრის მეგობრები კი ზურგს უკან დასცინიან კიდეც და ბერლუსკონის

ბერლუსკონი საჯაროდ ეოლაბუცებოდა ახალგაზრდა და ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ პარლამენტარ მარა კაფანიას

სასიყვარულო „ცელქობის“ ამბებს ერთმანეთს სიამოვნებით უყვებიან. ვერონიკას თქმით, ის ქმრის გვერდით საჯაროდ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ჩნდება, მაგრამ სილვიო მაშინაც, ნამდვილი დიქტატორივით ექცევა და მის ყოველ მოძრაობას აკონტროლებს. „გამუდმებით მაძლევს შენიშვნებს და მკარნახობს, — ამას ხელი დაუქნიე, იმას გაუღიმეო. თითქოს, თავად საერთოდ არ ვიცოდე, როდის რა უნდა გავაკეთო“, — წუწუნებს ვერონიკა. მიუხედავად იმისა, რომ სილვიო ცოლის ეჭვიანობას ლამის ავადმყოფობად ნათლავს და მეგობრებთან არც ის დაუმალავს, რომ ერთხელ, ასეთი ეჭვიანობის მორიგი შემოტევისას, ვერონიკა მას ჩაქუჩითაც კი გამოუდგა, ეს გრძნობა თავად სილვიოსთვისაც არაა უცხო. მას მოსვენებას არ აძლევს იმაზე ფიქრი, რომ ვერონიკას შეიძლება, მართლაც ჰქონოდა სექსუალური კავშირი ცნობილ ფილოსოფოსსა და მემარცხენე ცენტრისტულ პოლიტიკოს — მასიმო კაჩიარისთან, რაზეც იტალიურ პრესაში არაერთი სკანდალური წერილი გამოქვეყნდა. პრესის ხსენებისას, რომლის დიდ ნაწილს ქვეყნის პრემიერი აკონტროლებს, ალბათ, არც იმის აღნიშვნა უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ-ერთი მემარჯვენე ლიბერალური გაზეთი Folio, რომელმაც სილვიო ბერლუსკონი რომის იმპერატორ ტიბერიუსს შეადარა, თავად ვერონიკას მხარდაჭერითაც გამოდის. შეგახსენებთ, ტიბერიუსმა სახელი იმით გაითქვა, რომ რომს საკურორტო კუნძულ კაპრიზე მდებარე თავისი ვილიდან მართავდა. ვერონიკა ირწმუნება, რომ დროის უდიდეს ნაწილს ბერლუსკონიც საკურორტო კუნძულ სარდინიაზე ატარებს, ხოლო ჟურნალისტის შენიშვნაზე, — თავად ალბათ, მეუღლეს ყველაზე ხშირად ეკონტაქტებითო, ღვარძლიანად პასუხობს: „დიახ, მე მას მარტო ტელეფონით კი არ ველაპარაკები, არამედ, ხანდახან ტელევიზორშიც ვხედავ“. ისე, ჟურნალისტების უხერხულ შეკითხვებს არც სილვიო არიდებს თავს. ერთხელ, როცა ცოლის ვაივაგლახით შემორიგების შემდეგ, ჟურნალისტებმა უთხრეს, — ბოლოს და ბოლოს, ალბათ, თქვენს ოჯახშიც დაისადგურა მშვიდობამო, სილვიომ მათ უპასუხა: „როგორ შეიძლება მშვიდობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ომი არასდროს ყოფილა?..“

## პატარა დიდი დღესასწაულები

ბერლუსკონის საზოგადოების წინაშე საკუთარი ოჯახური ცხოვრების გაიდეალება უყვარს. ამ მიზნით, მან არჩევნების წინ უამრავი ფერადი ფოტოთი ილუსტრირებული წიგნიც კი გამოსცა და ყველა იტალიურ ოჯახს ჩამოურიგა. ის იყო, დადებითი გამოხმაურებებით უნდა დამტკბარიყო, რომ მისი წიგნის „უმთავრესმა გმირმა“ — ვერონიკამ ცივზე ცივი წყალი გადაასხა და ქმრის მორიგი ღალატის შესახებ საჯაროდ გამოაცხადა. თუმცა, სილვიო ვერც ამან დააფრთხო და როცა ვერონიკას 50 წელი შეუსრულდა, შესანიშნავი დღესასწაული მოუწყო. იმხანად ვერონიკა მარაკეშში ისვენებდა და დაბადების დღის აღნიშვნასაც მხოლოდ უახლოესი მეგობრების წრეში აპირებდა. სილვიომ კი, არც აცია, არც აცხელა და მჭიდრო სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, თავადაც მარაკეშში ამოყო თავი. რესტორანში, სადაც ვერონიკა დაბადების დღეს აღნიშნავდა, ყოველ საღამოს მუსიკალური სპექტაკლი ეწყობოდა. ამიტომაც, ვერონიკას არ გაჰკვირვებია, როცა იმ საღამოსაც სცენაზე ბებერი მოცეკვავეები და მუსიკოსები გამოლაგდნენ და დიდად არც ის შეუცხადებია, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც სახეს საგულდაგულოდ მალავდა, რამდენჯერმე საცეკვაოდაც კი გაიწვია. ვერონიკამ ჯიუტ კავალერს ცეკვაზე უარი უთხრა და როცა მოცეკვავემ ნიღაბი ჩამოიხსნა, „დაბადების დღეს გილოცავ, ძვირფასო!“ — წამოიძახა და სიტყვიერ მილოცვას ბრილიანტის უძვირფასესი კოლიეც მიაყოლა, მაშინღა მიხვდა, რომ ეს მისი განუმეორებელი სილვიო იყო...

## პოლიტიკა

ერთი შეხედვით, ვერონიკასა და სილვიოს პოლიტიკურ შეხედულებებშიც სრული უთანხმოებაა. ვერონიკა არ მალავს, რომ მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებები აქვს და არჩევნებშიც ყოველთვის ოპოზიციას აძლევს ხმას. უფრო მეტიც, მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის წამყვანი ფიგურა და ბერლუსკონის დაუძინებელი მტერი — ვალტერ ვალტერონე ვერონიკას თავის პარტიაშიც კი ეპატიჟებოდა. თუმცა, სილვიოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ვალტერონეს, არა მარტო როგორც პოლიტიკოსს, არამედ როგორც მამაკაცსაც, ვერონიკასთან ლოლიავის ხალისი ძალიან მალე დაუკარგა. ერთადერთი, ვინც ვერონიკას შესაძლო გაპოლიტიკოსებას დაუფარავი სიხარულით შეხვდა, მისი უმცროსი შვილი ლუიჯი იყო, რომელმაც მაშინვე წამოიყვირა: „წავალ, მამიკოს გავახარებ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მას (*ვერონიკას. — ავტ.*) თავი დავაღწიეთ, ის დემოკრატიულ პარტიაში მიჰყავთ!“ მაგრამ ლუიჯის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან დედამისმა დემოკრატობანას თამაშს ქმარ-შვილის ერთგულება ამჯობინა და როგორც ერთმა ჟურნალისტმა შენიშნა, მან ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ მრავლად არიან რეგვენები, რომლებსაც ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი ჰგონიათ. იმავე ჟურნალისტის თქმით, „ძლიერ პოლიტიკოსს სუსტი მხარეები არ უნდა ჰქონდეს და ამიტომაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვერონიკასა და სილვიოს ვითომდა პოლიტიკური უთანხმოება მხოლოდ და მხოლოდ სასტიკი პოლიტიკოსის მხრიდან სხვისი აზრისადმი (თუნდაც ეს „სხვა“ მისი ცოლი იყოს) ლოიალობის დემონსტრირების შესაძლებლობაა და რადგანაც იტალიის პრემიერს მსგავსი შესაძლებლობა არცთუ ისე ხშირად ეძლევა, ცოლის მხრიდან ასეთი დახმარებები შეიძლება, მისთვის შეუცვლელიც კი იყოს. თანაც, ამით თავად ვერონიკაც მოგებული რჩება: აბა, ამის შემდეგ ვილას მოუბრუნდება ენა, რომ მას „მოსაწყენი დიასახლისი“ უწოდოს?!.

და მაინც, ვინ არის ვერონიკა ლარიო სინამდვილეში — უბრალოდ მოსაწყენი ქალი თუ ჭეშმარიტი ლედი მაკბეტი? ამ კითხვაზე ალბათ, ყველას თავისი პასუხი ექნება, მე კი წერილის ბოლოს მკითხველს შევახსენებ, რომ ვერონიკა ლარიო ის „ყველაზე არასაჯარო პირველი ლედია“, რომელიც ხალხში ზედმეტად გამოჩენას კი ერიდება, მაგრამ თავის დროზე, ისეთი თეატრალური სანახაობის გამოტოვება, როგორიც პიაჩენცის გორაკებზე გამართული „მაკბეტის“ სპექტაკლი იყო, მაინც არ მოინდომა...

■



მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

**შეგაწუხათ შებერილობამ, ყაბზობამ, ფაღარათმა?**

**მიიღეთ**

# ეუკარბონი

## და გათავისუფლდით პრობლემებისაგან!

ეუკარბონი

- **ბოჭავს ტოქსინებს, ავლენს საფაღარათო ეფექტს, აწესრიგებს საჭმლის მონელების პროცესს!**
- **შეიცავს მხოლოდ ნატურალურ კომპონენტებს!**
- **უსაფრთხო და ეფექტური საშუალებაა ნებისმიერი ასაკის პაციენტებისა და ორსულებისათვის!**

**დოზირება:**

მეტეორიზმის მოსახსნელად:
მოზრდილებში - 1-3 ტაბლეტი დღეში.

საფაღარათო ეფექტის მისაღწევად:
მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წელს ზემოთ - 1-2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში საღამოს დოზას ზრდიან 3-4 ტაბლეტამდე.
2-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში - 1/2-1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ.

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის დროს - 2-4 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ, 4-5 კვირის განმავლობაში, დოზის თანდათან შემცირებით 1 ტაბლეტამდე დღეში.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გასუფთავებისა და მეტეორიზმის მოხსნის მიზნით (მაგ. რენტგენოლოგიური გამოკვლევისთვის მომზადების წინ) 6-8 ტაბლეტი საღამოს ან 4-დილით, 4-საღამოს.

**უკუჩვენება:** კუჭის ან ნაწლავის წყლულოვანი დაავადება. გაუვალობის დროს საფაღარათო საშუალებების მიღება დაუშვებელია.

**გვერდითი მოვლენები:** რეკომენდებული დოზების გამოყენებისას არ არის აღნიშნული.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

შპს "ავერსი-ფარმა", ალმაშენებლის 148/2; საინფორმაციო სამსახური 967-227; www.aversi.ge

ავერსი
AVERSI

ექიმისრეცეპტი ფაფუნაზე ეგ ეიტაბა ინსტრუქციას

# ფაფოჩენილთა სეხნიეები ანუ

# რას ნიშნავს, როცა საზოგადოებისათვის ცნობილ გვარ-სახელს ატარებ

**ნინო ბურჯანაძემ მთელ საქართველოს „გაუცრუა მოლოდინი“ და არჩევნებზე გვიან გამოცხადდა. „გოდორა“ და „ბიჭაჭუა“ ქეთი კვაჭანტირაძე, მართალია, კომუნიკაბელური ადამიანია, მაგრამ ჟურნალისტობას იურისტობა არჩია, იურისტობას კი — დიასახლისობა. ანა კალანდაძემ მორცხვი ხასიათი დასძლია და ახლა წარმატებული ჟურნალისტია; დაბრძენებულმა „ჭრიჭინამ“ — ლეილა აბაშიძემ გამიმხილა — მსახიობობაზე არათუ მიოცნებია, არც კი მიფიქრიაო; თურმე აკაკი წერეთელს საკუთარი ძიძა ნერვებს უშლიდა. ამის გამო, პატარა აკაკის საბრალო ქალი ტუალეტში გამოუმწყვდევია... იმედია, არ დაგაბნიეთ: ჩემი რესპონდენტები ის ადამიანები არიან, რომლებსაც ცნობილი ხალხის გვარ-სახელები აქვთ.**

## ეთო ყორღანაშვილი

*41 წლის ლეილა აბაშიძეს მისი მეზობლის ბინაში მივაგენი — კომპიუტერში ბანქოს ეთამაშებოდა. ჩემი მისვლის მიზეზი რომ შეიტყო, მეზობლები გააფრთხილა — ხელი არ შეგვიშალოთო. სახლის გასაღების სათხოვნელად მოსულ შვილს წარბაწეულმა შეხედა — ბიჭო, ხომ ხედავ, რომ კორესპონდენტს ინტერვიუს ვაძლევო!.. მეზობლების გამამხნევებელ შეძახილებს — აბა, შენ იცი, ლეილა დეიდა, ცუდი არაფერი თქვაო, — ღიმილით უპასუხა, მერე ღრმად ამოიოხრა — ოჰ, ეს ფანები არ მასვენებენო... — და საუბარიც დავიწყეთ:*

— მამაჩემი წარმოშობით ხელვაჩაურის რაიონიდანაა, დედა — აბაშიდან. ბათუმში დაბადებულგაზრდილი ვარ. რადგან გოგონა გავჩნდი და აბაშიძე გახლდით, ლეილა დამარქვეს — ცნობილი მსახიობის პატივსაცემად. ეს მამის ინიციატივა იყო. ყოველთვის მომწონდა, რომ ასეთი ნიჭიერი მსახიობის გვარ-სახელს ვატარებდი. ამას ერთი არასასიამოვნო ამბავიც ახლდა: სასკოლო ჟურნალის სიაში ჩემი გვარი ყოველთვის პირველი ეწერა. მასწავლებელი ჟურნალს რომ გადაშლიდა, სიას ჩახედავდა და მზერას გააჩერებდა, უკვე ვიცოდი — დაფასთან უნდა გავსულიყავი (*იცინის*)!..

**— სწავლა გეზარებოდათ?**

— სხვათა შორის, კარგად ვსწავლობდი, სპორტზეც დავდიოდი — მოფარიკავე ვიყავი. პედაგოგობა მინდოდა, მაგრამ უნივერსიტეტში ვერ მოვხვდი. ამიტომ ქარელის სასწავლებელში, საკონსერვო ტექნოლოგიების შესწავლას შევუდექი. ჩემი მომავალი მეუღლეც იქ გავიცანი. მე პირველ კურსზე ვიყავი, ის კი — დამამთავრებელზე. მიუხედავად ამისა, სადიპლომო ნაშრომი მე დავუწერე... მერე შევუყვარდი და ცოლად შემირთო. ახლა 2 შვილი გვყავს: 21 წლის ნაზი და 18 წლის ლექსო.

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— რუსთავის აზოტის ქარხანაში ვმუშაობ. ერთი პერიოდი, სამშობიაროში სანიტრადაც ვმუშაობდი. იქ კიდევ ერთი ლეილა აბაშიძე იყო. ისე ხდებოდა, შეცდომით, მის კუთვნილ ხელფასს მე მაძლევდნენ, ჩემსას კი — იმას. იმ ლეილა აბაშიძეს უფრო მაღალი ხელფასი ჰქონდა. ამიტომ სულ უკან დამდევდა — ლეილა, მომეცი, რა, ჩემი ფულიო (*იცინის*)!..

**— იმის გამო, რომ ცნობილი მსახიობის მოგვარე და მოსახელე ხართ, ხშირად აღმოჩენილხართ უხერხულ სიტუაციაში?**

— საერთოდ, რაიმე ბლანკს რომ მავსებინებენ და ჩემს გვარ-სახელს ვამბობ, გაოცებულები ამომხედავენ ხოლმე. წლების წინ, ტელეგადაცემაში — „ვის უნდა 20 ათასი“ მონაწილეობას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე — დუტა „ღადაობას“ დამიწყებდა და ცოტა არ იყოს, დავკომპლექსდი... მოკლედ, უხერხული სიტუაცია თავიდან ავიცილე (*იცინის*).

**— მსახიობობაზე არასოდეს გიფიქრიათ?**

— რა ვიცი, შეიძლება (*ფიქრობს*)... არა, არა, ტყუილს ვერ ვიტყვი! ერთადერთი პროფესია, რომელიც ძალიან მომწონდა, პედაგოგობა იყო. სკოლაში ჩემი საყვარელი საგანი — რუსული ენა და ლიტერატურა გახლდათ. სამწუხაროდ, ოცნება ვერ ავიხდინე, მასწავლებელი ვერ გავხდი. მართალია, მსახიობობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ფილმები ძალიან მიყვარს, განსაკუთრებულად — ლეილა აბაშიძის მონაწილეობით გადაღებული ფილმები: „აბეზარა“, „შეხვედრა მთაში“, „ჭრიჭინა“...

**— საკუთარ თავს ლეილა აბაშიძის რომელ პერსონაჟს შეადარებდით?**

— ახალგაზრდობაში უფრო „ჭრიჭინა“ ვიყავი. ახლა დაბრძენებული ქალი ვარ...

*ლეილა აბაშიძესთან სტუმრობის შემდეგ, 23 წლის გიორგი სანაიას მობილური ტელეფონის ნომერი ავკრიბე. „სანთელივით დავდნებიიიი...“ — ასეთი თბილ-ტკბილი ზუმერის გაგონებაზე, ვიფიქრე — პატივცემული გიორგი სიყვარულით დამწვარა-მეთქი, მაგრამ...*

**გიორგი სანაია:**

— შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ, ისე, გოგონები როცა შეიტყობენ, რომ გიორგი სანაია ვარ, უფრო თბილად მექცევიან... ჟურნალ-

# ბაბოჩვინოლთა სეხნიებში



ისტი გიორგი სანაიას პირადად გაცნობა ძალიან მინდოდა. წინათ, „რუსთავი 2“-ის სტუდია რუსთავში იყო. ერთხელ მე და დედაჩემმა გადავწყვიტეთ, „ბამბანერკა“ და შამპანური გვეყიდა და ჩემი სეხნიის გასაცნობად მივსულიყავით. ასეც მოვიქეცით, მაგრამ იმ შენობაში რომ მივედით, გვითხრეს — „რუსთავი 2“-ის სტუდია თბილისში გადაიტანესო. გული ძალიან დაგვწყდა... სამწუხაროდ, მისი გაცნობა ვეღარ მოვასწარი. მატარებლით ვმგზავრობდი, როცა გიორგის გარდაცვალების შესახებ გამოაცხადეს. მეძინა და შეშინებული წამოვხტი — არ მოვმკვდარვარ, ცოცხალი ვარ-მეთქი!.. იმ პერიოდში ჩვენს საცხოვრებელ კორპუსში დენის მრიცხველებს ცვლიდნენ, ძველი მრიცხველი საჭირო დაწესებულებაში შესამოწმებლად წავიღე. გარკვეული თანხა უნდა გადამეხადა, მაგრამ მითხრეს: გიორგი ისე გვიყვარდა, რომ ფულს ვერ გამოგართმევთო... პირადად მე, არათუ ჟურნალისტობაზე, საერთოდ, პროფესიის არჩევაზე არასოდეს მიფიქრია. უბრალოდ, მსურდა, რომ მუშა ვყოფილიყავი და ხელფასი მქონოდა... ამჟამად, სასაფლაოზე ვმუშაობ — ბეტონს ვასხამ. ამ საქმეს მამაჩემი აკეთებდა, მაგრამ ახლა სოფელში გავამგზავრე და მის ნაცვლად ვმუშაობ. მშობლები ჩხოროწყუში ცხოვრობენ, სოფლის მეურნეობას მისდევენ.

*ქალბატონი ნელი, ქეთი კვაჭანტირაძის დედა და ნინო რამიშვილის ბებია გახლავთ. უყვარს ქართული ტრადიციები და საშინლად არ მოსწონს „სხვანაირი“ ახალგაზრდები. ამიტომ წყვილებს, რომლებიც მისი ფანჯრების წინ კოცნიან ერთმანეთს, თავზე წყალს ასხამს, ოღონდ — ზაფხულში. ყველა გასათხოვარ გოგონას უსურვებს, რომ ისეთ ბედში ჩავარდეს, როგორშიც მისი შვილიშვილი — ნინო რამიშვილი.*

**ქალბატონი ნელი:**

— ქეთი ძალიან ხიფათიანი ბავშვი იყო. მეზობელ ეზოში ვინმეს ქვა რომ ესროლა, მაინცდამაინც მას მოხვდებოდა! საშინელი ჩხუბისთავი და „ბიჭაჭუა“ გახლდათ. სკოლაში, მშობელთა კრებაზე მისვლა აღარ მინდოდა! ერთხელ ქეთის კლასელი ბიჭუნას მამამ ჩემი ვინაობა რომ გაიგო, მომიახლოვდა და მითხრა: ასეთი სასიამოვნო ქალბატონი ხართ და ასეთი „ხულიგანი“ შვილი როგორ გაზარდეთო?! თქვენმა გოგონამ შვილი კინაღამ მომიკლა — მერხში გაჩხირაო (*იცინის*)! იმ ბატონს მასწავლებელმა იცით, რა უთხრა?.. თქვენი შვილი ქეთის რომ არ ეცემა, მე ვცემდი, რადგან გოგონებს აწამებდაო!.. ქეთის ძალიან კეთილი გული აქვს. ქალის შეურაცხყოფას კაცს არ შეარჩენს, ყოველთვის დაჩაგრულის ქომაგია. ბუნებით მორცხვი და უეშმაკოა, ოღონდ — ბატი არაა: თავს არავის დააჩაგვრინებს და არც თვითონ დაჩაგრავს ვინმეს! ერთი ნაკლი აქვს: ავადმყოფურად უყვარს სისუფთავე — სულ იბანს, იხეხება, იპრანჭება... აღარ შემიძლია! ძალიან კონტაქტურია — შეუძლია, ერთ დღეში მთელი მსოფლიო გაიცნოს. უხარია, როცა „რუსთავი 2“-ის ეთერში „კურიერის“ საინფორმაციო გამოშვებაში ტელეეკრანზე ჟურნალისტ ქეთი კვაჭანტირაძეს ხედავს. ეამაყება, ასეთი მოგვარე და მოსახელე რომ ჰყავს... თვითონ პროფესიით იურისტია. როცა ასეთ სპეციალობას ირჩევ, მკაცრი და შეუვალი უნდა იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სუბიექტურად იმსჯელებ და შესაძლოა, სამსახურში შეცდომა დაუშვა. ვფიქრობ, იურისტობა ქეთის მოწოდება არაა — საამისოდ ძალიან „საწყალი“ გული აქვს. თავისი პროფესიით არასდროს უმუშავია, დიასახლისია.

**— რაც შეეხება ქეთი კვაჭანტირაძის შვილს — ნინო რამიშვილს?..**

— ოო... ნინო დედამისის აბსოლუტური ანტიპოდია: ქეთი ყოველთვის ჯანიანი იყო, ახლაც „გოდორაა“ (*იცინის*), ნინო გამხდარია. ის 20 წლის გახლავთ. ძალიან ნიჭიერი გოგონაა. 6 უცხო ენა იცის: რუსული, თურქული, გერმანული, ინგლისური, ცოტა ბერძნული და ცოტა არაბულიც... შეუძლებელია, ოდესმე რამე ისწავლოს და დაავიწყდეს. სკოლა წარჩინებით დაამთავრა. სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ გათხოვდა. ახლა 3 თვის გიორგი ჰყავს.

**— ნინომ ცეკვა თუ იცის?**

— მოცეკვავე არაა, მაგრამ როცა დასჭირდება, თავს არ შეირცხვენს. 6 წლის იყო, როცა ცეკვის წრეზე შევიყვანეთ. მისი ასაკის ბავშვებს არ იღებდნენ, მაგრამ რომ გაიგეს, შეიცხადეს — რას ლაპარაკობთ, ნინო რამიშვილს როგორ არ მივიღებთო?!. მეორე მეცადინეობაზე ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე ჩაამწკრივეს — რაღაც საცეკვაო ილეთს ასწავლიდნენ. მასწავლებელი ერთ-ერთ ბიჭუნასთან მივიდა, ქეჩოში სწვდა, შეაჯანჯღარა და თავი კედელზე არტყმევინა. 6 წლის ნინო ბავშვების რიგიდან გამოვიდა, მასწავლებელს მიუახლოვდა და უთხრა: შენ ცუდი ხარ, ცუდი! მე აქ აღარ მოვალო!.. მერე სკოლაში, ცეკვის წრეზე შევიდა... სახელისა და გვარის გამო, ყოველთვის თბილად ეპყრობოდნენ. ერთხელ ტაქსიში ვისხედით. ნინო ცოტათი უხასიათოდ იყო. მოხუცმა „ტაქსისტმა“ ჰკითხა: ბაბუ, რატომ წუხხარ? რა გქვიაო? სახელის გაგების შემდეგ, მოხუცი ახლა გვარით დაინტერესდა. — რამიშვილიო, — უპასუხა ნინომ და მძღოლმაც მანქანა უცებ დაამუხრუჭა (*იცინის*)... თავი მოიკლა და მგზავრობის საფასური არ გამოგვართვა... ნინოს ბავშვობიდან ყველა პატივისცემით ეპყრობა. პედაგოგები საყვე-

# ᲒᲐᲛᲝᲩᲕᲔᲣᲚᲗᲐ ᲡᲔᲮᲜᲘᲔᲑᲘ



დურის თქმას ვერ უბედავდნენ, თუმცა სასაყვედურო არც არაფერი ჰქონია.

*„ამ ცხოვრებაში არავის არაფერი უკვირს“, — მითხრა* **აკაკი წერეთელმა,** *მაგრამ მისი მონათხრობიდან გაირკვა, რომ მისი „აკაკიწერეთლობა“ მაინც უკვირთ:*

— ჩემი სახელისა და გვარის გამო, პოლიციის განყოფილებაშიც აღმოვჩენილვარ: სტუდენტობისას ქართველი მომღერლების კონცერტს ვესწრებოდი. ჩემს ახლობელ ბიჭებს რაღაც უთანხმოება მოუვიდათ. ისინი ჩხუბობდნენ, მე კი მათ გაშველებას ვცდილობდი. ამასობაში პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ, სახელი და გვარი ყველას გამოგვკითხეს. მეც ვუთხრი — აკაკი ვარ წერეთელი-მეთქი. — კაიფშიაო! — დაასკვნეს და განყოფილებაში წამიყვანეს, ჯიბეები ამომიტრიალეს და ცოტა ფული აღმოაჩინეს. — საიდან გაქვსო? — დაინტერესდნენ. დარწმუნებული იყვნენ, რომ საეჭვო სუბიექტს ჩაავლეს. ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარებითაც მემუქრებოდნენ, ახლობელი რომ არ ჩარეულიყო: — თქვენ ხომ არ გაგიჟდით, ბავშვისგან რა გინდათ? მართლა აკაკი წერეთელიაო (*იცინის*)!.. ერთხელ ჩემმა კოლეჯელმა გოგონამ მთხოვა: არასასურველი თაყვანისმცემელი მაწუხებს და როგორმე დამეხმარეო. იმ ბიჭს შევხვდი. მინდოდა, ზრდილობიანად ამეხსნა, რომ გოგონა აღარ უნდა შეეწუხებინა. მკითხა: — ვინ ხარო? ვუთხარი, ვინც ვიყავი, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, აშკარად ეტყობოდა, რომ ფიქრობდა — უეჭველად მეღადავებაო! ახლა მე დავუსვი ანალოგიური შეკითხვა. — ილია ვარ ჭავჭავაძეო! — მიპასუხა... ვიდრე ერთმანეთის პირადობის მოწმობები არ ვნახეთ, მანამდე არ ვიჯერებდით. მერე გადავეხვიეთ და ჩავეხუტეთ ერთმანეთს (*იცინის*). კარგა ხანს ვმეგობრობდით. დღეს ვეღარ ვხვდებით. ჩემს კოლეჯელ გოგონასთან როგორი ურთიერთობა აქვს, ეგეც არ ვიცი. შესაძლოა, ოჯახიც შექმნეს...

**— აკაკი გვარის გამო დაგარქვეს?**

— ბაბუის სახელს — უჩას მარქმევდნენ, მაგრამ ჩემი დის ინიციატივით, აკაკი გადაწყდა, რადგან წერეთელი ვარ! ჩემს დაბადებამდე, ერთი ძმა სისხლის გათეთრებით გარდამეცვალა. მწუხარების გამო, დედამ ლექსების წერა დაიწყო — სევდა ფურცელზე გადაჰქონდა. ლექსებს მეც ვწერდი. ერთხელ ლექსი გოგონას მივუძღვენი. ის გოგონა ახლა ჩემი მეუღლეა... ის პროფესიით ჟურნალისტია.

**— როგორი ხასიათი გაქვთ?**

— ძალიან ფიცხი ვარ. ელემენტარულ რაღაცაზე „ვფეთქდები“. განსაკუთრებით, ვერ ვიტან, როცა სუფრაზე ყურადღებას არ მაქცევენ. თუკი თამადა ვარ და არ მისმენენ, მტრისას!.. საერთოდ, ქეიფი ძალიან მიყვარს. თუ თამადა არ ვარ, სუფრიდან ვდგები და მივდივარ (*იცინის*). ქეიფის მერე, აყალმაყალშიც ჩავბმულვარ. ერთი, ჩემს ქორწილში არ დამილევია — წყნარად ვიჯექი და იმას ვაკვირდებოდი, ვინმეს არ „გაეჭედა“. ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.

**— აკაკი, მამაშენს როსტომი ხომ არ ჰქვია?**

— არა, მამაჩემი გურამია, მაგრამ როსტომ წერეთელივით პატივმოყვარეა, „თავადობს“ (*იცინის*). თავისი გვარის ფანია! საერთოდ, წერეთლები საქართველოში ბევრნი ვართ, მაგრამ ნამდვილი წერეთლები — არც ისე... მამა ამაყობს — სუფთა წერეთელი ვარ, რაჭაში ჩასახლებულიო! ქეიფი და თამადობა მასაც ძალიან უყვარს.

**— შენს ბავშვობაზეც მიამბე. ძიძა გყავდა?**

— რუსი ძიძა მყავდა. დედა საავადმყოფოში მუშაობდა — მორიგე ექთანი იყო. სამსახურის გამო, შინ მამაც გვიან ბრუნდებოდა. ამიტომ, ძიძასთან მტოვებდნენ, მე კი ჩემს სახლში ყოფნა მერჩივნა. ერთხელაც, ნერვები რომ მომეშალა, ჩემი „საყვარელი ძიძა“ ტუალეტში ჩავკეტე. იქიდან მეძახდა: — აკაკი, „ატკროი დვერ!“ სანამ დედაჩემი არ მოვიდა, კარი არ გავუღე — ტუალეტში მყავდა გამომწყვდეული... ძალიან ხიფათიანი და ცელქი ბავშვი ვიყავი. დედაჩემი ნატრობდა: როგორმე სრულწლოვანი გახდეს და მერე რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოსო. 13 წლის გახლდით, ურეკში რომ ვისვენებდით, ზაფხულში. დედამ ყურადღება მოადუნა და სანაპიროს მარტო გავუყევი. კარგა ხანს ვიარე და როცა დავიღალე, გავჩერდი — გარემო არ მეცნო! მხოლოდ ის ვიცოდი, რომ კოტეჯში ვცხოვრობდით. მეგონა, ასე მხოლოდ ჩვენს საცხოვრებელს ერქვა. დამსვენებლებს ვეკითხებოდი: — კოტეჯი სადაა-მეთქი? — შვილო, სულ კოტეჯები არააო?! — მპასუხობდნენ გაოცებულები. მერე გამახსენდა, რომ ბატონი დურმიშხანის კოტეჯთან ახლოს ვცხოვრობდით. მისი სახელი ვახსენე და როგორც იქნა, მიმიყვანეს. დედაჩემი უკვე თავს იხრჩობდა, ლამის გაგიჟებულა, რომ ვერ მპოულობდა!.. ბავშვობაში ჩვენს სახლთან მდებარე მაღაზიას „ვძარცვავდი“: „პავიდლოებს“ ვიპარავდი და ვჭამდი, „სერი“ პურიც მაგრად მიყვარდა (*იცინის*)... ჩვენს მეზობლად ერთი მწერალი ქალი ცხოვრობდა. ვერ იტანდა, როცა „მაროუნის“ ვამბობდი — რადგან თავად მარო ერქვა, — „ნაყინი“ თქვიო, — მაიძულებდა. მე კი მის ჯიბრზე, ფან-

ᲯᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲣᲓᲒᲔᲑᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲮᲛᲘᲗ ᲒᲐᲕᲧᲕᲘᲠᲝᲓᲘ: „ᲛᲐᲠᲝᲝ-ᲟᲜᲘᲘ!..“ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲡ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲓᲝᲜᲔᲛᲓᲔ ᲛᲧᲐᲕᲓᲐ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲓᲐᲮᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲐᲧᲐᲠᲐ! ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲛᲝᲠᲘᲒᲘ „ᲛᲐᲠᲝᲟᲜᲘᲡ“ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡᲐᲡ ᲛᲓᲣᲚᲐᲠᲔᲪ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲐᲡᲧᲐᲠᲐ... ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲐᲡ ᲕᲔᲠᲩᲝᲓᲘ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*)?..

*ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ.*

**ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ:**

— ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲓᲘ. ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲐ: ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲠᲔᲙᲔ, ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲔ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ, ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲛᲔᲬᲧᲝ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ — ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲕᲗᲥᲕᲘ, ᲠᲐᲪ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ �გᲐᲮᲓᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ... ᲕᲬᲘᲗᲚᲓᲔᲑᲝᲓᲘ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲠᲝᲪᲐ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲕᲠᲔᲙᲐᲕᲓᲘ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*). ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲨᲔᲕᲔᲩᲕᲘᲔ. ᲓᲦᲔᲡ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲓᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, 10 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲓᲔ ᲓᲐ 6-ᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ. ᲗᲣ ᲐᲠ ᲕᲘᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲔᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔ, ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲫᲚᲔᲑ. ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲕᲘᲯᲥᲘ ᲓᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲡ ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲘ, ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲔᲕᲡ... ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ. ᲘᲡᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲗ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲕᲐᲠ.

**— ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲝᲪᲐ Ი�გᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲩᲐᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ, ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ?**

— ᲠᲝᲪᲐ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲡ ᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲜᲐ ᲙᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ ᲕᲐᲠ, ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲐᲡᲔ ᲛᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ: „Ო, ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲔᲠᲗᲘ“ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*)!..

**— ᲞᲝᲔᲢ ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲗᲣ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲘ?**

— ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲜᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲕᲓᲘᲮᲓᲘᲗ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲔᲡ ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲝᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲓᲐᲕᲣᲠᲔᲙᲔ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲘ�გᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲪ ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ ᲕᲐᲠ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲮᲕᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲑᲝᲓᲘᲨᲘ ᲛᲝᲛᲘᲮᲐᲓᲐ — ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲬᲧᲝᲑᲡ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔ... ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑ. ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲖᲔᲪ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲬᲧᲓᲔᲑᲝᲓᲐ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*)... ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲔᲡ „ᲛᲖᲘᲡ“ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲐ: ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗᲝ. ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲐ: ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡ ᲔᲚᲘᲡᲝ!.. ᲡᲐᲥᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲦᲐᲠ „ᲒᲐᲕᲔᲗᲘᲔ“. ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲘ, ᲐᲦᲐᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲛᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲢᲔᲚᲔᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘ. ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ... ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲕᲘᲦᲐᲪᲐᲛ ᲓᲐᲠᲔᲙᲐ, ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲘᲡ �გᲐᲛᲝ — ᲠᲐᲦᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ. ᲨᲔᲕᲞᲘᲠᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲓᲘ. — ᲐᲓᲠᲔᲪ ᲓᲐᲕᲠᲔᲙᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲡ, ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠᲗᲝ? — ᲛᲘᲗᲮᲠᲐ. — ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ, — ᲕᲣ�პᲐᲡᲣᲮᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲔᲨᲕᲐ: — ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲕᲗᲝᲕᲔᲑᲗ! ᲑᲝᲚᲝᲡ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ: — ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ ᲕᲐᲠ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*)... ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ: — ᲐᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔᲪ ᲛᲝᲕᲘᲓᲐᲝ! ᲔᲠᲗᲛᲐ ᲘᲮᲣᲛᲠᲐ: — ᲕᲐ, ᲢᲔᲚᲔᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲠᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘᲐᲝ!.. ᲛᲧᲐᲕᲡ ᲠᲫᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔᲐ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ — ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲐᲢᲐᲜᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐᲝ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*)... ᲠᲝᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ. ᲗᲣᲙᲘ ᲩᲔᲛᲡ „ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ“ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲝᲡ!..

**ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ:**

— ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲓᲐᲛᲘᲬᲔᲠᲘᲐ — ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ. 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲬᲠᲔ ᲕᲐᲠ. ᲘᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲫᲣᲫᲣᲛᲢᲔ — ᲗᲐᲗᲘᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ ᲓᲐᲘᲪᲣᲞᲐ. ᲐᲠᲪ ᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲒᲕᲐᲙᲚᲓᲐ... ᲩᲔᲛᲘ ᲬᲣᲮᲘᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲖᲔᲪ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲢᲐᲜᲘᲐ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲬᲐᲔᲙᲘᲗᲮᲐ.

**— ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲘᲤᲘᲥᲠᲘᲐᲗ?**

— ᲐᲠᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲡᲔᲮᲜᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲛᲘᲮᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*)... ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲔᲡ „ᲛᲖᲘᲡ“ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲐ: ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗᲝ. ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲐ: ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡ ᲔᲚᲘᲡᲝ!.. ᲛᲧᲐᲕᲡ ᲠᲫᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔᲐ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ — ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲐᲢᲐᲜᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐᲝ (*ᲘᲪᲘᲜᲘᲡ*)... ᲠᲝᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ. ᲗᲣᲙᲘ ᲩᲔᲛᲡ „ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ“ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲝᲡ!..

*მსახიობ და პოეტ ნიკო გომელაურს საკუთარ გემოვნებაზე დიდხანს ვესაუბრეთ. ნიკო მართალია, მელომანი არ არის, მაგრამ სტინგისა და „პინქ ფლოიდის“ მუსიკას სიამოვნებით უსმენს. მხატვრული ლიტერატურის კითხვა ბავშვობიდან უყვარდა და რა წიგნებიც ადრეულ ასაკში წაიკითხა, მათ დღემდე ვერ ღალატობს. როცა ცუდ განწყობილებაზეა, საბავშვო ლექსებს თვალს სიამოვნებით გადავლებს ხოლმე და ყველაფერი თავის ადგილას დგება. ნიკოს პირველი ქორწინებიდან ქალ-ვაჟი ჰყავს. გოგონა — ტასო, უკვე ჩვიდმეტი წლის არის. ცოტა ხნის წინ, დედამისმა — ეკა ნიუარაძემ აღნიშნა, რომ მის გოგონას მეგობარი ბიჭი ჰყავს. ამას არც ტასოს მამა — ნიკო გომელაური უარყოფს. მას ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი ქართველი მამისგან განსხვავებით, სრულიად სხვა მოსაზრება აქვს.*

# ნიკო გომელაური: «საკუთარ გემოვნებაზე არასდროს დავფიქრებულვარ»...

*მერი კობიაშვილი*

**ნიკო გომელაური:**

— საკუთარ გემოვნებაზე არასდროს დავფიქრებულვარ. არ მგონია, უგემოვნო ვიყო... არ მიყვარს ისე ჩაცმა, რომ ხალხისგან გამოვირჩეოდე და ყურადღების ცენტრში მოვხვდე. სასაცილოა, როცა უგემოვნო ადამიანები ხშირად საკუთარ გემოვნებას აქებენ. ისიც არ მესმის, როცა ამბობენ, რომ გემოვნებაზე არ დაობენო. არადა, ყველაზე ხშირად სწორედ გემოვნებაზე იწყება დავა.

**— როგორ ფიქრობ, ადამიანის გემოვნება ან უგემოვნობა რაში ვლინდება?**

— ყველაფერში, დაწყებული ჩაცმულობით, საახლობლო წრის შერჩევით დამთავრებული; თუნდაც ლაპარაკის მანერასა და ანეკდოტების მოყოლაში — ეს ყველაფერი გემოვნებაა. მაგრამ არ ვიცი, ის როგორ უყალიბდება ადამიანს. გენეტიკურია თუ, ყველაფერი იმ გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც იზრდება?!

**— ისე, როგორც წესი, არავინ აღიარებს, რომ უგემოვნოა...**

— კი, მაგრამ აღიარების შემდეგ უფრო ადვილი ხდება საერთოდ ცხოვრება. თუ არ აღიარე, ვერ გაიგებ, მერე რა გზით უნდა წახვიდე.

**— თუ გახსოვს, პირველად რომელმა წიგნმა ან მელოდიამ იმოქმედა შენზე ისე, რომ გემოვნება რადიკალურად შეგეცვალა?**

— არ ვარ მიმბაძველი ადამიანი. არავისთვის არაფერში მიმიბაძავს. ვფიქრობ, რომ გემოვნება თავისთავად ჩამომიყალიბდა... მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად დახვეწილია ის.

**— ძმაკაცთან, დაქალთან ან თუნდაც რეჟისორთან გიკამათია გემოვნების გამო?**

— რეჟისორთან საერთოდ არ ვკამათობ. თუ რამე საკამათო მაქვს მასთან, ჩვეულებრივად ვეუბნები და როგორც წესი, ეს ჭრის ხოლმე. უკონფლიქტო ადამიანი ვარ. ყოფილა შემთხვევა, რომ რეჟისორს ჩემი წინადადების საპირისპირო ვარიანტი გაუკეთებია, მაგრამ ბოლოს, იმ დასკვნამდე მივსულვართ, რომ მე ვიყავი მართალი. თუ რამე არ მომწონს, შემიძლია, უბრალოდ ავდგე და იმ როლზე უარი ვთქვა.

**— ძმაკაცებს ქალის გამო არ გიკამათიათ?**

— ამ მხრივ, ყოველთვის აზრთა შეხლა-შემოხლაა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი მომენტია და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე ცუდი გემოვნება მაქვს და ჩემს ძმაკაცებს — კარგი. საერთოდ რა უფლება გაქვს, ვინმეს ეკამათო გემოვნების გამო? თუ არ მოგწონს ვინმეს შეხედულებები და ცხოვრებისეული პოზიცია, საერთოდ ნუ დაეკონტაქტები.

**— ცოტა ხნის წინ, შენი ყოფილი მეუღლის ეკა ნიუარაძის სატელევიზიო ინტერვიუ მოვისმინე, სადაც ამბობდა, რომ თქვენს გოგონას — ტასოს ჰყავს მეგობარი ბიჭი. შვილის შეყვარებულთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ გქონია?**

— არა, რა პრეტენზია უნდა მქონდეს? ჯერ ერთი, იმ ბიჭს არ ვიცნობ, მეორეც, ტასო არა მგონია ისეთი უჭკუო გოგო, რომ ჩვიდმეტი წლისამ დაკრას ფეხი და გათხოვდეს. ვინ იცის, ჩვიდმეტი წლის ასაკში რა არის შეყვარებული და სიყვარული? ამ ასაკში აბსოლუტურად სხვა შეხედულება აქვთ სიყვარულზე, რაც რადიკალუ-

ის გენიალურ საჭმელებს ამზადებს. მისი გაკეთებული ყველა კერძი ძალიან მომწონს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად განსხვავდება ზრდასრული ადამიანის შეხედულებისგან. სხვათა შორის, გემოვნება იმასაც განსაზღვრავს, რომ ჩვიდმეტი წლის ასაკში არ გათხოვდეს, იმიტომ, რომ მერე ვიღაცამ არ თქვას, თუ შეყვარებული ჰყავს, ცოლად რატომ არ მიჰყვებაო; ან იმიტომ, რომ სხვა ბიჭმა არ უთხრას, თუ შენ ჩემამდე ვინმე გყავდა, ცოლად არ მოგიყვანაო. არ მგონია, ჩემი შვილი ისეთი უგემოვნო ადამიანი იყოს, რომ მხოლოდ იმის გამო გათხოვდეს, ვინმემ მსგავსი რამ არ თქვას. ტასოს კიდევ სხვა ბიჭი ეყოლება, მერე კიდევ — სხვა და როცა ზრდასრული გახდება, ფხიზლად იქნება და ცივი გონებაით შეაფასებს ცხოვრებას. მერე ღმერთმა ხელი მოუმართოს, გათხოვდეს.

**— როგორც მამა, არ ინტერესდები, ვის ხვდება შენი ქალიშვილი?**

— როგორ არ ვინტერესდები. მე ის ბიჭი სახლშიც დავპატიჟე ჩაიზე, მაგრამ თვითონ ტასოს მოერიდა მოყვანა. მეც აღარ დამიძალებია. თან არ მინდა, რომ ამ ყველაფრის გაოფიციალურება მოხდეს და ის ბიჭი სიძედ მივიღოთ ჩვენს ოჯახში. იყვნენ მეგობრები და იმეგობრონ, რაც უნდათ, ის ქნან, რა ჩემი საქმეა? ტასო ჭკვიანი გოგოა, და იმედია, ცუდს არაფერს ჩაიდენს.

**— ინტერვიუს დაწყებამდე მითხარი, რომ ბინა შენი და ნინას (*მეულლე*) ერთობლივი მოწყობილია. რომელიმე ოთახის მოწყობისას ხომ არ გიკამათიათ?**

— შპალერს ერთად ვარჩევდით. სკამი-საქანელაც ნინას მოფიქრებულია, თან რატომღაც დიდხანს მიმალავდა. პირველად რომ ნახა, თურმე ბევრს ფიქრობდა — ეყიდა თუ — არა. იმ დღეებში სულ იმას ამბობდა, თქვენთვის მაგარი სიურპრიზი მაქვსო. სკამი-საქანელა სანამ სახლში არ მოიტანა და არ ააწყო, არ გამიმხილა, რა სიურპრიზი ჰქონდა... ბუხარი კი ჩემი დეიდაშვილის — გუგა კოტეტიშვილის დიზაინითაა გაკეთებული. მან ბუხრისთვის საკერავი მანქანის ფეხი, კარადები და სკამებიც კი გამოიყენა. საბოლოო ჯამში, ექსკლუზიური ბუხარი გამოგვივიდა. ჩვენს სახლში ბევრი არაქართული ნივთია. ეს ქუდი მაგალითად, ისრაელში მაქვს შეძენილი. ჩვენი სახლი ნელ-ნელა იცვლება და იხვეწება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ძალიან მოგვწონს.

**— რომელ ოთახში ატარებ ყველაზე მეტ დროს?**

— ნინა სულ ცდილობს, რომ სამზარეულოში შემიტყუოს, მაგრამ მე საძინებელში ყოფნა მირჩევია. იქ მაქვს ტელევიზორიც, იქვე მძინავს, ვწერ და თუ დავიღლები, წამოვწვები. ისე კი ყველაზე მეტ დროს თეატრში ვატარებ. მართალია, მაქვს კაბინეტი, მაგრამ ის დროებით ნინას უფროსი შვილის მიერ არის „ოკუპირებული“.

**— მეულლემ რა სადილი უნდა მოამზადოს, რომ სამზარეულოში შეგიტყუოს?**

— ის გენიალურ საჭმელებს ამზადებს. მისი გაკეთებული ყველა კერძი ძალიან მომწონს.

**— როგორ სუფრასთან გრძნობ თავს კომფორტულად. ქართულ მამა-პაპურად გაშლილ სუფრასთან თუ ა-ლა-ფურშეტზე?**

— მნიშვნელობა არა აქვს, როგორ სუფრასთან ვიჯდები. მთავარია, კომფორტი იყოს. მე საერთოდ კომფორტის მოყვარული ადამიანი ვარ. მთებში ფეხით სიარული და ლაშქრობები არ მიყვარს. გზა ძალიან მღლის. მხოლოდ გემით მოგზაურობა მსიამოვნებს. სამოგზაუროდ რომ მივდივარ, მერე უკან წამოსვლა არ მიყვარს. მომწონს, როცა მემსახურებიან.

**— „თავისუფალ თეატრში“ „კავკასიური ცარცის წრის“ დადგმას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრი ამბობდა, რომ რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას მიერ დადგმული ლეგენდარული სპექტაკლის შემდეგ ავთო ვარსიმაშვილს არც კი უნდა გაებედა, მასზე მუშაობა...**

— ეჭვიც არ მეპარება, რომ უარესი შეფასებებიც ექნებოდა ამ სპექტაკლს.

**— არც კი დაფიქრებულხარ, ისე დათანხმდი, აზდაკის როლი გეთამაშა?**

— რა თქმა უნდა. უგემოვნობა და გოიმობაა იმის აღნიშვნა, რომ ამ გენიალურ პიესას სხვა რეჟისორი არ უნდა მიჰკარებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ჰამლეტი“ და „ოტელო“ აღარ უნდა ითამაშონ?! ყველა დროს თავისი სათქმელი, თავისი ჰამლეტი და თავისი აზდაკი ჰყავს. მხოლოდ ერთ დროს თუა ესა თუ ის პიესა აქტუალური და ის წლების შემდეგ ხუნდება და თუ მისი ახლებურად დადგმის საჭიროება აღარ არსებობს, მაშინ ცუდი პიესა ყოფილა. არ მგონია, „კავკასიური ცარცის წრე“ ცუდი პიესა იყოს. ბატონი რამაზ ჩხიკვაძე ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ რამდენიმე წლის მერე, ის არავინ უნდა შეცვალოს?!

**— თვითონ მოგწონს შენი ნათამაშევი აზდაკი?**

— ჩემს თამაშს ვერ შევაფასებ, ნანახი არ მაქვს. ვფიქრობ, ამ სპექტაკლში ძალიან ბევრი რამ საინტერესოა. პირადად ჩემს როლში კი თავს ცუდად არ ვგრძნობ. ჩემი და რამაზ ჩხიკვაძის თამაშის შედარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ერთ სპექტაკლში ერთმანეთის დუბლიორები ვიქნებით. შეიძლება, შეგდარებინა ბატონი რამაზისა და ეროსი მანჯგალაძის თამაში, რომლებიც ერთმანეთის დუბლიორები იყვნენ ამ სპექტაკლში.

**— შენ მთავარ როლს თამაშობ „იდიოტოკრატიაშიც“. სად უფრო მოგწონს შენი თავი — თეატრში თუ ფილმში?**

— სპექტაკლში მაყურებლის რეაქციას ვგრძნობ და მგონია, რომ ეს უფრო კარგია, მაგრამ ზოგი, ვისაც მხოლოდ ფილმი აქვს ნანახი, ამბობს, რომ მისი ნახვისას ბევრი იხალისა.

**— როცა კარგ განწყობილებაზე ხარ, რომელ მუსიკას უსმენ?**

— მელომანი არ ვარ. მხოლოდ სტინგსა და „პინქ ფლოიდს“ ვუსმენ ხშირად. კიდევ ვლადიმირ ვისოცკი მიყვარს ძალიან.

**— როგორია შენი გემოვნება წიგნებთან დაკავშირებით?**

— კონსერვატიული. კითხვა ბავშვობიდან მიყვარს. ახალს და მოდურს ძალიან ძნელად ვიღებ. მირჩევნია, ძველი წაკითხული რამდენჯერმე გადავიკითხო. მაგალითად, პაოლო კოელიო ვერაფრით შემიცვლის დოსტოევსკის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოელიოს წინააღმდეგი ვარ.

**— საკუთარი ლექსებიდან რომელს გამოარჩევდი?**




— ჩემს ლექსებს არ ვკითხულობ.

**— რატომ? ყველა ზეპირად იცი?**

— არა, მაგრამ ის ემოცია, რომლითაც ისინი დავწერე, ხომ ჩემთან არის?! მხოლოდ იმ შემთხვევაში ვკითხულობ, როცა რომელიმე საღამოზე მიწევს გამოსვლა.

**— მეულლის ჩაცმულობა ოდესმე თუ გაგიპროტესტებია?**

— არ მომწონს, როცა ნინას შარვალი აცვია. შარვლის წინააღმდეგი კი არ ვარ, უბრალოდ, მას არ უხდება. რამდენჯერმე გამყიდველებმა ძალით აყიდვინეს. როგორც იციან ხოლმე, უთხრეს, ძალიან გიხდებაო და ნინაც მოტყუვდა, მაგრამ არც ჩაუცვამს. იმ შარვლებში საშინლად არ მომწონა.

**— ნინას თუ აქვს ხოლმე რამე პრეტენზია შენს ჩაცმულობასთან დაკავშირებით?**

— ის ჩემს ხულიგნურ ჩაცმულობას აპროტესტებს ხოლმე, მაგრამ ვერ ვუჯერებ. აბა, რა ვქნა, კოსტიუმით ვიარო? ჰალსტუხით სიარული ჩემი სტილი არ არის. ■

## ანჯელინა ჯოლის ნაქონი შარვალი, ჭიბეში ნაპოვნი მილიონი ლირა და „პიერ კარდენის“ ჰალსტუხი 7 ლარად

# ანუ მეორადი სამოსის სიმღერა

**მეორადი სამოსის ანუ „ძონძების“ ბიზნესი საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. „ევროპული სამოსი“, „ფუთები წონით“, „ნახმარი ქალის ტანსაცმელი“ — ასეთ წარწერებს თბილისის მაღაზიებზე ხშირად შეხვდებით. მეორადი მოხმარების სამოსი საქართველოში ძირითადად, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან შემოდის, ფუთებად დაფასოებული შესაბამისი საწყობებიდან ბითუმად იყიდება და მომხმარებელს დაბალი ფასით იზიდავს.**

**Second hand-ის (რაც სიტყვასიტყვით „მეორე ხელიდან“ ნიშნავს) მაღაზიებში ყველა სტილისა და სეზონის სამოსი იყიდება. როგორც წესი, ნივთების უმეტესობა ყუთებში ან პირდაპირ იატაკზე ხროვად ყრია და მომხმარებელს დიდი მოთმინება სჭირდება საჭირო ნივთის მოსაძებნად. რა თქმა უნდა, „ახალ კოლექციას“ გამყიდველები საკიდრებზე ათავსებენ, ხოლო ყველაზე საუკეთესოდ მიჩნეულ სამოსს მყიდველის მოსაზიდად, ქუჩაში ფენენ. საიდან ხვდება მეორადი მოხმარების სამოსი საქართველოში და შემდეგ, უკვე მაღაზიის დახლებზე, რა ფასად იყიდება ძონძებში „პიერ კარდენის“ კოლექციის ნიმუშები და რას პოულობენ გასაყიდად გამოტანილი ნახმარი სამოსის ჯიბეებში — ამ ყველაფრის დასადგენად, ერთ დღეს „მეორადებში“ შოპინგი მოვაწყვე.**

ემა ტუხიაშვილი

*„ახალივით ნახმარი სამოსი ამერიკიდან“ — იუწყებოდა ერთ-ერთი მაღაზიის სარეკლამო აბრა და მეც, მომხმარებლის იერით, მაღაზიის კარი შევაღე. გამყიდველმა იფიქრა: მუშტარი მომივიდაო და ყურებამდე ღიმილით მომახალა: ბედი გქონია, სწორედ ახლა გავხსენი ახალი ფუთა და აირჩიე, რაც გინდაო. ვიდრე „ახალი კოლექციის“ თვალიერებას შევუდგებოდი, მაღაზიას შევავლე თვალი. გასაყიდად გამოტანილი ნახმარი ამერიკული სამოსი ყველგან ეკიდა: სახელდახელოდ მონწყობილ საკიდრებზე, სკამებზე, სარკეზე, ფანჯრების სახელურებსა და კედლებზეც კი. ქალისა და მამაკაცის სამოსი ერთმანეთში რომ იყო არეული, ეს არ გამკვირვებია, მაგრამ თვალში მომხვდა, გვერდიგვერდ დაკიდებული, ქალის ბეწვის ქურქი და სათხილამურო კომპლექტი, მამაკაცის ნახმარი სამხედრო ფეხსაცმელი და ბიუსტჰალტერები. ამის შემდეგ მეგონა, „ძონძებში“ აღარაფერი გამაოცებდა, მაგრამ ყველაზე საინტერესო თურმე წინ მელოდა. მაღაზიის თვალიერება ალბათ დიდხანს გამიგრძელდა, რადგან გამყიდველმა ვეღარ მოითმინა და მკვახედ მკითხა: აქ საყიდლად ხარ მოსული თუ ექსკურსიაზეო?!. სასწრაფოდ დავავლე ხელი ქალის ძველმოდური შარვალს და მისი ფასით დავინტერესდი.*

წაგიკითხავს ანჯელინა ჯოლის ბიოგრაფია? ახალგაზრდობაში თურმე სულ მეორადებში იცვამდა

— მასეთ ხარისხიან ნივთს საქართველოში სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი. გადმოაბრუნე და ნახავ იარლიყზე რომ აწერია: დამზადებულია ამერიკაშიო. ახლა იქ ეგ შარვალი 100 დოლარზე ნაკლები არ ეღირებოდა, მაგრამ შენ კარგი გოგო ჩანხარ და 20 ლარად გაგატან, — მომიგო გამყიდველმა და ეშმაკურად მოჭუტა ცალი თვალი. ჩვენი საუბარი რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო, ამიტომ შევაჭრება გადავწყვიტე:

**— რას ამბობთ, ქალბატონო? 20 ლარად, წავალ და ბაზრობაზე ახალ შარვალს ვიყიდი. სირცხვილი არაა, „ძონძებსაც“ რომ ოქროს ფასად ყიდით?**

— „ძონძია“ ის, 20 ლარად ბაზრობაზე რომ ყიდულობთ. ეს კი სუფთა ამერიკულია და ნაცვამს საერთოდ, არ ჰგავს. იცი შენ, რა ხალხი იცვამს უცხოეთში მეორად სამოსს? წაგიკითხავს ანჯელინა ჯოლის ბიოგრაფია? ახალგაზრდობაში თურმე სულ მეორადებში იცვამდა. ახლა იმდენი ფული აქვს, გარდერობს ყოველ სეზონზე აახლებს, რაც აღარ სურს, აბარებს და ის სამოსი ჩამოდის აქ მეორადის სახით.

**— ასე თუ ვიმსჯელებთ. მაშინ ეს ტყავის ვიწრო შარვალი და პიჯაკი შესაძლოა, მაიკლ ჯექსონის გარდერობიდან იყოს, არა?** — *ხუმრობის ხასიათზე დავდექი.*

— შენ იცინე და ჩვენი პარლამენტარების ნახევარი ჩემს მაღაზიაში იმოსება. შევარდნაძის დროინდელი მთავრობა კი სულ ჩემთან ნაყიდ პიჯაკებში გამოწყობილი დადიოდა. ხალხს რომ ჰკითხო: სხვის ნახმარ სამოსს როგორ ჩავიცვამთო?! არადა, როგორ ფიქრობთ, ამდენი „ძონძების“ მაღაზია სულ წაგებაზე მუშაობს? ზოგჯერ ფუთაში სრულიად ახალი, ეტიკეტიანი ნივთი ამოდის და ყოფილა შემთხვევა, რომ შემდეგ ეს ნივთი ძვირად ღირებული ბუტიკის დახლზე მინახავს. „ძონძებში“ 10 ლარად იყიდიან, პრესტიჟულ მაღაზიაში კი 100 ლარად ყიდიან. კიდევ ინანებ, ეს შარვალი რომ არ იყიდე. ჩაცმამდე კარგად გარეცხავდი და ნახევარი თბილისი ვერ მიხ-

ვდებოდა, „ძონძებში“ რომ გქონდა ნაყიდი... — კართან მისულს მომახალა გამყიდველმა და ჯოლის ნაქონი შარვალი სხვა „ძონძებთან“ ერთად, მუყაოს ყუთში ჩაუძახა.

*რამდენიმე ნაბიჯში კიდევ ერთი ასეთი მაღაზია აღმოვაჩინე. ამჯერად სარეკლამო აბრა იუწყებოდა, რომ აქ მოდური ევროპული სამოსით ვაჭრობდნენ. მაღაზიის კარი რომ შევაღე, პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ დიდად უცნაური გემოვნება კი ჰქონიათ ამ ამერიკელებსა და ევროპელებს. მეორადი სამოსის მაღაზიებში ისეთ ექსტრავაგანტურ ნივთებს შეხვდებით, გაგიკვირდებათ, სად და როგორ იცვამდა პირველი მფლობელი. ასე უცნაურად ჩაცმული ხალხი თბილისის ქუჩებში არ მინახავს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც თბილისის ცირკს განუახლებია წარმოდგენები, ამიტომ არა მგონია, კუბოკრულ ფერად შარვლებსა და ჭრელაჭრელა ზედატანებზე, მეორადი სამოსით მოვაჭრე მაღაზიებში დიდი მოთხოვნილება იყოს. ამის მიუხედავად, „ძონძებში“ მუშტრის სიმცირეს არ უჩივიან და ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, არც გლობალური ფინანსური კრიზისი აშინებთ.*

**ნანა შუკაპიძე,** *მეორადი სამოსით მოვაჭრე მაღაზიის მეპატრონე:*

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს ბიზნესი სწორედ რომ ყველაზე მძიმე ვითარებაში, აგვისტოს მოვლენების შემდეგ წამოვიწყე. ვიცი, რომ პირველი 2-3 თვის განმავლობაში მოგებას არ უნდა ველოდე და ნავაჭრით ის თანხა უნდა ამოვიღო, რაც ბიზნესის დასაწყებად გავიღე. ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებშიც კი ადამიანი ჭამასა და ჩაცმაზე უარს ვერ ამბობს. მეორადი სამოსის მაღაზიაში კი შეგიძლია, იაფად და რაც მთავარია, ხარისხიანად ჩაიცვა. დაახლოებით კვირაში ერთხელ, მეორადი სამოსის საბითუმო საწყობში მივდივარ. იქ შეგიძლია უცხოეთიდან ჩამოტანილი ნახმარი სამოსი შეიძინო როგორც წონით, ფუთებად შეკრული, ასევე ცალობით, მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრის გადახდა მოგიწევს. ტანსაცმლის ფუთები სხვადასხვა წონისაა და შესაბამისად, ფასიც განსხვავებულია. 10-15 წლის წინ, როდესაც ეს ბიზნესი საქართველოში ის-ის იყო ფეხს იდგამდა, ფუთას 5-10 ლარადაც შეიძენდი, ახლა კი ყველაზე მცირეწონიანი ფუთა 20-25 ლარი, ხოლო ყველაზე დიდი — 50 ლარი ღირს. წინასწარ არავინ იცის, რა დევს ფუთაში. შესაძლოა, გაგიმართლოს და ერთი ისეთი ნივთი აღმოჩნდეს, რომ მისმა ღირებულებამ მთლიანად დაფაროს ფუთაში გადახდილი ფული. მაგრამ შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ მთელი ფუთა მართლაც ძონძებით იყოს სავსე და იქიდან ვერაფერი გაყიდო. მქონდა შემთხვევა, როდესაც ფუთაში ჯინსის ახალი ქურთუკი ამოვიდა. იარლიყის მიხედვით, „დოლჩე და გაბანას“ კოლექციიდან იყო და მყიდველმა ულაპარაკოდ მომცა მასში 80 ლარი. ინგლისიდან ჩამოტანილი სამოსის ფუთები ყველაზე ძვირად ღირებულია, რადგან შიგ უმეტესწილად, ყველაზე კარგი საქონელი დევს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთ ასეთ ფუთაში „ჯორჯო არმანის“ სამარკონიშნიანი რამდენიმე ნივთიც ამოსულა.

**— მეორადი სამოსის მაღაზიებში სპეციფიკური სუნი დგას. ამბობენ, ვიდრე ნახმარი სამოსი დახლზე მოხვდება, სპეციალურ სადეზინფექციო დამუშავებას გადის...**

— ეს ტყუილი მომხმარებლების მოსაზიდად მოიგონეს. არანაირ ქიმიურ დამუშავებას მეორადი სამოსი არ გადის. ამიტომ ყოველთვის ვაფრთხილებ ჩემს კლიენტებს, რომ გამოყენებამდე სამოსი, ახალიც რომ იყოს,

აუცილებლად გარეცხონ. როგორც ხედავთ, ჩემთან ნახმარი ფეხსაცმელიც იყიდება. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეორად ფეხსაცმელზე გაცილებით ნაკლებია მოთხოვნა, ვიდრე მეორად სამოსზე. ხშირად, მყიდველები მეკითხებიან: ამბობენ, უცხოეთში არსებობს სპეციალური მაღაზიები, სადაც მიცვალებულთათვის ჭირისუფალი იაფად ყიდულობს ახალ სამოსს, ფეხსაცმელს და სწორედ ასეთი ტანსაცმელი ხვდება მეორადი სამოსით მოვაჭრე მაღაზიების დახლებზეო. ტყუილი არ მჩვევია, ამიტომ ამის პასუხად ერთ ამბავს ვიხსენებ ხოლმე. ჩემი მეგობარი მივლინებით ჰოლანდიაში იყო წასული. ერთ-ერთ მაღაზიაში ძალიან იაფად შეუძენია ფეხსაცმელი და როგორც კი წვიმიან ამინდში ფეხსაცმელი დაუსველდა, იღბლიანი შენაძენი სულ ნაწილ-ნაწილ დაიშალა. აღმოჩნდა, რომ ფეხსაცმელი სწორედ მიცვალებულთა შესამოსად განკუთვნილ მაღაზიაში ჰქონია ნაყიდი. მე კი ჩემს საქონელზე გარანტიას ვაძლევ მყიდველებს, რომ აქ ნაყიდი სამოსიც და ფეხსაცმელიც რამდენიმე წელს გაძლებს და შეინარჩუნებს პეწს. მყავს მეგობრები, რომლებიც შვეიცარიაში ცხოვრობენ. მათგან ვიცი, რომ იქ მიცვალებულის კუთვნილი ყველა ნივთი, მათ შორის სამოსიც, სახლიდან გააქვთ და სპეციალურ პუნქტებში აბარებენ. შესაძლოა, საქართველოში მეორადი სამოსის გარკვეული ნაწილი მართლაც, ამ გზით ხვდება, ამიტომაც არის აუცილებელი, რომ გამოყენებამდე მეორადი ტანსაცმელი საგულდაგულოდ გასუფთავდეს. სხვათა შორის, ასეთი სამოსი განვითარებული ქვეყნებიდან აფრიკის სახელმწიფოებშიც იგზავნება, მაგრამ იქ ეს სამოსი კი არ იყიდება, უსასყიდლოდ ურიგდება ადგილობრივ მოსახლეობას.

**ანარანაირ ქიმიურ დამუშავებას მეორადი სამოსი არ გაძლის**

**მადონა ფხალაძე,** *მეორადი სამოსით მოვაჭრე მაღაზიის მეპატრონე:*

— მესამე წელია, ამ ბიზნესში ვარ. მანამდე 10 წლის განმავლობაში აფთიაქში ვმუშაობდი, იქ მხოლოდ ხელფასი მქონდა, აქ კი მოგებაც და წაგებაც ჩემს კისერზეა. მეორადი სამოსის მაღაზიებში უმეტესწილად, ის ადამიანები იმოსებიან, ვისაც ძვირად ღირებული სამოსის შეძენის შესაძლებლობა არ აქვთ. ყველაზე კარგი ქურთუკი ჩემს მაღაზიაში 50 ლარი ღირს, ყველაზე იაფფასიანი კი — 10 ლარი. მეორადი სამოსის ბაზაში უცხოეთიდან სრულიად ახალი, მაღაზიების მიერ ჩამოწერილი საქონელიც ჩამოდის. „ძონძებისგან“ განსხვავებით, ეს სამოსი გაცილებით ძვირი ღირს და უმეტესწილად, ცნობილი მაღაზიების დახლებზე ხვდება.

**— ამბობენ, ნახმარი სამოსის ჯიბეში ხშირად სხვადასხვა საგანსა და ფულსაც პოულობენო.**

— ვიდრე სამოსს დახლზე დავაწყობ ან საკიდარზე ჩამოვკიდებ, ჯიბეებს საგულდაგულოდ ვამოწმებ, მაგრამ ხელსახოცებისა და საღეჭი რეზინის გარდა, ჯერჯერობით არაფერი მიპოვია. ჩემმა მეგობარმა მიამბო, რომ „ძონძების“ ერთ-ერთ მაღაზიაში, პიჯაკი მოუზომებია და ჯიბეში 10-ევროიანი კუპიურა აღმოუჩენია, მაგრამ გამყიდველმა არაფრით დაანება: ეგ ფული ჩემს მაღაზიაში იპოვე და მე მეკუთვნისო.

**რევაზ ხურცილავა,** *მეორადი სამოსითა და ნივთებით მოვაჭრე:*

— როგორც ჩემთვის ცნობილია, განვითარებულ ქვეყნებში, საიდანაც მეორადი მოხმარების საქონლის შემოტანა ხდება, არსებობს სპეციალური ურნები, სადაც მოსახლეობა მისთვის უსარგებლო სამოსსა და ნივთებს ყრის. შემდეგ, ამ ურნებიდან გროვდება საქონელი და სპეციალურ საწყობებში ხდება მისი დახარისხება, ფასის დადება და მერე ჩვენისთანა ქვეყნებში გამოგზავნა. ეს ბიზნესი საზღვარგარეთ ძირითადად, თურქებისა და არაბების ხელშია. ჩვენი ცხოვრების დონის გათვალისწინებით, ხშირად გავცებულვარ — როგორ ყრიან ასეთ კარგ ნივთებს სანაგვეზე? სხვათა შორის, ამბობენ, ახლა თბილისის პრესტიჟულ უბნებში, მდიდარ მოსახლეობას გამოაქვს ნახმარი სამოსი და ნივთები და სანაგვე ურნების გვერდით აწყობსო. კარგად მახსოვს, საბჭოთა პერიოდში ჰუმანიტარული დახმარება სამოსის სახით გროვდებოდა მოსახლეობაში და ღარიბ ქვეყნებში იგზავნებოდა საქართველოდან.

**— ყველაზე იაფად რისი შეძენაა შესაძლებელი თქვენს მაღაზიაში?**

— მაგალითად, მხოლოდ ერთ ლარად შეგიძლიათ შეიძინოთ სათვალის ჩასადები ბუდე. გვქონდა პარფიუმერიული ნაწარმი, მაგრამ ყველაფერი გაიყიდა. ზოგჯერ ფუთაში ისეთ ნივთებს ვპოულობთ, რომელთა დანიშნულება არც კი ვიცით. გვაქვს ცნობილი სამოდელო სახლების მიერ შექმნილი ჰალსტუხები, რომელთა ფასი 100-200 დოლარს აჭარბებს, ჩვენთან კი შეგიძლიათ, 7-10 ლარად შეიძინოთ. ჰალსტუხის საყიდლად, ხშირად შემოდიან ცნობილი პოლიტიკოსები და შემდეგ ვხედავთ, ჩვენთან შეძენილი ჰალსტუხით როგორ იწონებენ თავს ტელეეკრანზე. შემოდიან ცნობილი მსახიობებიც და ხშირად საღამოს კაბებს ან სასცენო კოსტიუმებისთვის საჭირო ნივთებს ყიდულობენ. ერთხელ გასაყიდად გამოტანილი პიჯაკის ჯიბეში მილიონ სამასი ათასი იტალიური ლირა ვიპოვე. იმ დროს იტალიაში ბრუნვაში უკვე ევრო იყო, ამიტომ ვალუტის გადამცვლელ პუნქტში იტალიური ფულის ერთეული დაბალი კურსით გადამიხურდავეს და მხოლოდ 400 ლარი მომცეს...

**ჰალსტუხის საყიდლად, ხშირად შემოდიან ცნობილი პოლიტიკოსები**

# როდის ამტვრევს თეფშებს მარინა სალუქვაძე?



„გზის“ წინა ნომერში, ცნობილი ჟურნალისტის, მარინა სალუქვაძის ასტროლოგიური პორტრეტი შემოგთავაზეთ — ამაში ასტროლოგი დავით ბუტიკაშვილი დაგვეხმარა, მაგრამ ქალბატონი მარინა ამ პორტრეტით მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩა, უფრო მეტიც — აღნიშნა, რომ ეს მისი პორტრეტი არ არის... რისთვის უხდის მადლობას და რაში ადანაშაულებს დავით ბუტიკაშვილს ჟურნალისტი — რესპონდენტის კომენტარისგან შეიტყობთ.

## „ოჯახი თუ ამერია, მას დაშეაგრალეგ...“

**ნინო მჭედლიშვილი**

— ძალიან ვიმხიარულე, პირველ რიგში, იმის გამო, რომ ბატონი ბუტიკაშვილი იმ უმცირესობაში აღმოჩნდა, რომელსაც ჩემი ქმრის არ შურს. მისმა ნათქვამმა ბოლო ფრაზამ, — შესაძლებელია, ერთ-ერთ მშობელს დაშორდესო, გამაოცა... ამიხსენით, რას ნიშნავს მშობელთან დაცილება?

**— ალბათ, ურთიერთობის გაწყვეტას გულისხმობდა...**

— როგორც ჩანს, ლათინურ-ამერიკული სერიალის ტრფიალთან გვაქვს საქმე (*იცინის*). მშობელთან დაცილება ჩემთვის ძალზე უცნაური რამაა.

**— ბატონი დავითი აღნიშნავდა, რომ მშობლებთან ურთიერთობის გაფუჭების მიზეზი შეიძლება, გახდეს ის, რომ ისინი შვილის ოჯახურ საქმეებში მუდმივად ერევიან.**

— შემიძლია, გითხრათ, რომ არც ერთი ჩემი მშობელი ჩემს ოჯახურ საქმეებში არასოდეს ჩარეულა. საკმაოდ ადრე, 16 წლის ასაკში გავთხოვდი და მიუხედავად ამისა, ჩემი ოჯახური ცხოვრებისგან ყოველთვის განზე იდგნენ. მისი პრობლემები საგვარეულო კარმასთანაა დაკავშირებული, — წერს ასტროლოგი. რატომღაც, ეს საგვარეულო კარმა დღეს ძალიან მოდური გახდა... ვერასდროს ააწყობს თავის ოჯახურ ურთიერთობებსო, — ფაქტობრივად, განაჩენი გამომიტანა.

**— ხელოვნებასთან ახლო ურთიერთობაზე რას იტყვით?**

— რა ვიცი, აწი რას ვიზამ. საერთოდ, როცა ჟურნალისტიკიდან მიდიან, ან პარლამენტს მიაშურებენ, ან სიმღერას იწყებენ. მე არც ერთს ვაპირებ და არც — მეორეს. ზოგადად, ხელოვნებასთან ძალიან ახლოს ვარ. ჩემი პირველი პროფესია სწორედ ხელოვნებათმცოდნეობაა, კრიტიკოსი გახლავართ. მიყვარს ხატვა, სიმღერა და ცეკვა. შეიძლება, მომავალში ამ ყველაფერს მეტი დრო დავუთმო.

**— საზღვარგარეთ უნდა სცადოს ბედიო, — გირჩიათ ასტროლოგმა.**

— სიამოვნებით წავალ საზღვარგარეთ, როგორც კი ამის შესაძლებლობა და აუცილებლობა იქნება. რამდენიმე წელი ამერიკაში მომიწია ცხოვრებამ და ეს პერიოდი ჩემთვის ძალზე მძიმე იყო. მე ჩემი სამშობლო მიყვარს. თუ საინტერესო სამუშაო იქნება, რასაკვირველია, უარს არ ვიტყვი, მაგრამ იქ მუდმივად ცხოვრება გამიჭირდება. მირჩევნია, ჩემი შვილი გავუშვა საზღვარგარეთ სასწავლებლად.

**— შვილზე ძალიან დიდ ფსონს დებსო...**




— ფსონს, რასაკვირველია, ჩემს შვილზე ვდებ. მყავს ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც ჩემთვის ყველაფერია, მაგრამ მის ცხოვრებაში არასდროს ჩავრეულვარ. ის დამოუკიდებელი ადამიანია, გადაწყვეტილებებს ყოველთვის თვითონ იღებს და მე პატივს ვცემ მას, როგორც პიროვნებას. ჩემი შვილი ეკუთვნის საკუთარ თავს და არა მე, როგორც ეს ბატონმა დავითმა ბრძანა.

**— მესაკუთრეობის თემას მეუღლესთან ურთიერთობაზე საუბრის დროსაც შეეხო...**

— ბატონმა ასტროლოგმა არაჩვეულებრივად კარგი საქმე გამიკეთა. მართალი გითხრათ, არც მინდა, ეს ინტერვიუ ჩემმა მეუღლემ წაიკითხოს. როცა თქვენ ეკითხებით, — რამდენად ერთგულიაო? მისი პასუხია: ოო, აქ საქმე მაინცდამაინც კარგად არ გვაქვსო (*იცინის*). არაჩვეულებრივი განცხადებაა... და კიდევ, რას მარგებს გვერდით მამაკაცი, რომელსაც გამოძერწვა სჭირდება?! რაში მჭირდება კაცი, რომელსაც ჭკუას ვასწავლი და ვურჩევ, რა ჩაიცვას, კბილები როდის გაიხეხოს ან ხელები როდის დაიბანოს?!. ეს კატასტროფაა. ასეთი მამაკაცი ჩემ გვერდით არასოდეს იქნება.

**— როგორც ვხედავ, ეს ინტერვიუ თქვენს მეუღლეს არ წაუკითხავს. არადა, მინდოდა მეკითხა, — გამარჯვებული მამაკაცის პოზიციიდან ხომ არ გადმოგხედათ, როცა ეს ინტერვიუ წაიკითხა?**

— არა, ჯერ არ წაუკითხავს... არც ლიტერატურული რომანის გმირი ვარ, სულ აღფრთოვანებულ თვალებს რომ ვეძებდე. მაქსიმალურ კომფორტსაც არ ვითხოვ, მაგრამ თუ არის, იმაზე უარს არ ვამბობ. ისე, მგონია, რომ მაქსიმალური კომფორტი ოჯახში ქალმა უნდა შექმნას.

**— ამ ფრაზით მამაკაცის გამოძერწვისკენ ხომ არ მივდივართ?..**

— არა, მამაკაცი კი არ უნდა გამოძერწო, უბრალოდ, ოჯახში კომფორტი უნდა შექმნა, უნდა იყო მყუდროდ, თბილად და გემრიელად. გვერდით უნდა გყავდეს პიროვნება, რომელსაც აქვს საკუთარი აზრი, საკუთარი ნება და თვითონ ირჩევს საკუთარი თავისთვის ჩასაცმელს.

**— ასტროლოგმა აღნიშნა, რომ კარგი გემოვნება გაქვთ, — ყოველთვის იქცევს ყურადღებას ლამაზი ჩაცმულობითო.**

— ბატონ ასტროლოგს ჩემგან დიდი მადლობა გადაეცით...

**— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გაგვინაწყენდით, ჩვენც და ასტროლოგსაც.**

— არავითარ შემთხვევაში. ჯერ ერთი, შეცდომისგან დაზღვეული არავინაა და თან, რომ გითხრათ, ასტროლოგიურ პროგნოზებს ასი პროცენტით ვენდობიმეთქი, მოგატყუებთ.

**— თუმცა, ვიცი, რომ პირადი ჰოროსკოპი შეგიდგენიათ.**

— ეს დიდი ხნის წინ იყო, მაშინ „მეორე არხზე“ ვმუშაობდი და მიშა ცაგარელმა ჩემი პირადი ჰოროსკოპი შეადგინა. სხვათა შორის, სინამდვილეს ბევრი რამ დაემთხვა.

**— 20 რიცხვთან დაკავშირებული პრობლემებიც არაფერს გეუბნებათ?**

— არა, ამ რიცხვთან დამოკიდებულებაში ნეიტრალურად ვარ და არც აპრილმაისში ხდება რაიმე განსაკუთრებული. ჰო, ერთი რამ დაემთხვა: ნებისმიერი საქმე საკმაოდ რთულად გამომდის. მიზანს რომ მივაღწიო, უამრავი წინააღმდეგობის დაძლევა მიწევს, მაგრამ საკმაოდ აზარტული ადამიანი ვარ და ეს მომწონს კიდეც.



**— განსაკუთრებით, ამ ეტაპზე მოგიწევთ აზარტულობის გამოჩენა: როგორც ვიცი, „მზიდან“ წამოხვედით.**

— „მზეზე“ ფორმატი შეიცვალა. ტელევიზია თითქმის დაცარიელდა. ღმერთმა ქნას, არხი განახლდეს, ახალი პროექტები დაემატოს. მე მას წარმატებას ვუსურვებ. ამ ეტაპზე, ეს არხი ჩემთვის საინტერესო აღარაა. ამჟამად ვთანამშრომლობ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტ ჯი“-სთან. მაქვს ჩემი რუბრიკა — „ტაბუს გარეშე“ (ინტერვიუები უხერხული კითხვებით). უკვე დაიბეჭდა ჩემი პირველი სტატია გაზეთ „ვერსიაში“. პირველი ინტერვიუ იყო ნიკა რურუასთან, შემდეგია — ეროსი კიწმარიშვილი.

**— გული არ გწყდებათ, ტელევიზიიდან პრესაში რომ გადაინაცვლეთ?**

— არანაირად. წერა ძალიან მიყვარს. ხომ აღვნიშნე კიდეც, რომ ჩემი პირველი პროფესია იყო წერა ანუ კრიტიკა. დიდი ხნის წინ რამდენიმე ჟურნალთან ვთანამშრომლობდი და ეს საქმე მომენატრა კიდეც.

**— კარგი, დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას... მართლაც, ვერ ააწყვეთ თქვენი ოჯახური ურთიერთობა?**

— სირთულე ყველა ოჯახშია. ცოტა უხერხულია, როცა პირდაპირ გეუბნებიან, რომ შენ არასოდეს გექნება ბედნიერი ოჯახი. ეს წყევლასავითაა. ბატონ ბუტიკაშვილს გადაეცით, რომ ასეთი პირდაპირი ნუ იქნება, თორემ, ოჯახი თუ ამერია, მას დავაბრალებ (*იცინის*). ერთი სიტყვით, ეს ჩემი პორტრეტი არ არის. არ ვარ განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანი. მაქვს ბევრი მინუსი, ბევრი უარყოფითი თვისება, თუნდაც — სიფიცხე (გურული ვარ და ეს ამის ბრალია), მაგრამ, როგორც ჩვენი ასტროლოგი აღნიშნავს, საყვარელ ადამიანებს ტკივილს არ ვაყენებ — საკმაოდ გაწონასწორებული ვარ და წინასწარ ვფიქრობ იმაზე, რომ მათ არ ვაწყენინო. თუ უნებურად ზედმეტი საყვედური ვთქვი, რასაკვირველია, გული მტკივა. საკუთარ თავზე კონტროლს იოლად არ ვკარგავ. ეს შეიძლება, ნებისმიერმა ჩემმა ახლობელმა დაგიდასტუროთ და რაც მთავარია, არც ერთი თეფში არასოდეს დამიმტვრევია. ვფიქრობ, ხმამაღლა ლაპარაკი უზნეობისა და უკულტურობის მაჩვენებელია. ამიტომაც, ვცდილობ, ადამიანებს შეცდომები „პიანოზე“ მივუთითო. მერწმუნეთ, ეს ბევრად უფრო ეფექტურია და ჭრის. ასე რომ, თეფშებს მხოლოდ ქორწილის დროს ვამტვრევ (*იცინის*).

**— ქორწილი ახსენეთ და თავს უფლებას მივცემ გკითხოთ: ჩვენამდეც მოაღწია ბოროტმა ხმებმა, თითქოს, თქვენს ქორწინებას საფრთხე ემუქრება, უფრო ზუსტად — თითქოს, ქმარს გაეყარეთ. ეს სინამდვილეს შეესაბამება თუ...**

— ეს ჩვეულებრივი, ბანალური, ბულვარული პრესისთვის საინტერესო ამბავია. ჟურნალისტმა მკითხა: ქმარს შორდებითო? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გავეცი. ჟურნალისტებმა კი ეს ფრაზა, კითხვის ნიშნით, გარეკანზე გამოიტანეს. ღიმილის მომგვრელია. იმავე კითხვაზე თქვენ ასე გიპასუხებთ: ჯერ არა.

**— ახლა მე როგორი სათაური გავაკეთო — „მარინა სალუქვაძე ქმარს ჯერ არ შორდება?“**

— შეგიძლიათ, ზემოთ ხსენებულ ჟურნალს ორიგინალურ სათაურში შეეჯიბროთ... ჭორი დადის ყველაზე და გამონაკლისი არც მე ვარ. სხვათა შორის, ჩემზე მანამდეც ჭორაობდნენ, სანამ ტელეეკრანზე გამოვჩნდებოდი.

**— მაშინ, ასე გკითხავთ: დღეს თქვენს ოჯახში ურთიერთობა დაძაბულია?**

— ყველა ოჯახშია წყენა და მართლაც, იდეალური, ლიტერატურული რომანის გმირის ოჯახის მსგავსი არ მაქვს... რა ვიცი, ამ ეტაპზე დაძაბულობა არ შეიმჩნევა, მაგრამ თუ დაიძაბება, ამის შესახებ ექსკლუზივს მოგცემთ.

**— რას ბრძანებთ? ღმერთმა ნუ ქნას!**

*„საკმაოდ ჭკვიანი ვარ იმისათვის, რომ პრობლემები თავიდან ავირიდო. ამიტომაც, „საცობში“ იშვიათად ვხვდები“, — ამბობს სერიალ „ჩვენი ოფისის“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, გიორგი კალანდაძე. იგი მიიჩნევს, რომ მიზნისკენ მიმავალ გზას სულ ახლახან დაადგა და იმისათვის, რომ ჩანაფიქრის განხორციელება შეძლოს, დიდი მანძილი აქვს გასავლელი. გიორგი იმასაც აღნიშნავს, — მოსალოდნელი, ცხოვრებისეული დაბრკოლებების ნაკლებად მეშინიაო.*



# დათხგუნვიდი მსახიობის ფიტბლო სიყვარული

**თიკო კალანდაძე**

— ყოველთვის ვცდილობ, დაბრკოლება მშვიდად გადავლახო და ემოციებს არ ავყვე. როგორც კი ჩემს ცხოვრებაში პრობლემა იჩენს თავს, მის მოგვარებაზე ფიქრს მაშინვე ვიწყებ, ალბათ, ამიტომაცაა, რომ „საცობში“ იშვიათად აღმოვჩნდები ხოლმე.

**— დღეისათვის, ერთ-ერთი ცნობილი სახე ხარ. დღევანდელ დღემდე დაუბრკოლებლად მოხვედი?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით, ის შედეგი არ მიმიღია, რისკენაც მივილტვი, განვლილი გზა საკმაოდ რთული იყო. იმისათვის, რომ დასახულ მიზანს მივაღწიო, ყველაფერს ვაკეთებ, და მისკენ საკმაოდ ოპტიმისტურად მივიწევ. სიზარმაცე არ მჩვევია.

**— როგორ ფიქრობ, მიზნის მისაღწევად ნებისმიერი გზით სიარული გამართლებულია?**

— მიზნის მისაღწევი გზა აუცილებლად სამართლიანი უნდა იყოს. სხვაგვარად, ამ მიზანს ფასი დაეკარგება. ყოველთვის ვცდილობ, როგორც საკუთარ თავთან, ისე ჩემ გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობაშიც მართალი ვიყო.

**— როცა ცხოვრებაში „საცობი“ გხვდება, როგორ იქცევი? უკანდახევა გჩვევია?**

— ჩემს კარიერაშიც იყო მომენტი, როცა ისიც კი გავიფიქრე, უკან დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ მერე დავძლიე და წინსვლა განვაგრძე. მეორე კურსის საკურსო სპექტაკლში, მოულოდნელად, ჩემი როლი სხვამ ითამაშა. რეჟისორმა მითხრა, — გაჩუმდიო და მეც, რატომღაც დავემორჩილე (საერთოდ, ასეთი რამ არ მჩვევია), მაგრამ ძალიან დავითრგუნე... პირად ცხოვრებაშიც დამიხევია უკან: ოთხი წელი მიყვარდა გოგონა, რომელიც ჩემს გრძნობას უპასუხოდ ტოვებდა. მოვახერხე, თავი ხელში ავიყვანე და ეს დაბრკოლებაც გადავლახე.

**— მოხვედრილხარ თუ არა ხელოვნურად მოწყობილ „საცობში“ ან უნებლიეთ, დაბრკოლება სხვისთვის ხომ არ შეგიქმნია?**

— რა თქმა უნდა, ხელოვნურ „საცობში“ მოვხვედრილვარ, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. რაც შეეხება ჩემს მოწყობილ „საცობს“, მსგავსი რამ არასდროს მომხდარა. უნებლიეთაც კი არ შემიქმნია ვინმესთვის დაბრკოლება. საკუთარ თავს არ ვუფრთხილდები ისე, როგორც მეგობრებს და გარშემო მყოფებს.

**— „საცობისთვის“ სხვისი დახმარებით თუ დაგიღწევია თავი და თავად თუ ეხმარები ხოლმე ასეთ დროს სხვას?**

— როგორც წესი, პრობლემებს სხვისი დახმარების გარეშეც ვაგვარებ. თუმცა, რჩევები, რა თქმა უნდა, გამითვალისწინებია. ვცდილობ, თუ ამის შესაძლებლობა მექნება, „საცობში“ მყოფ ადამიანს დავეხმარო.

**— ბარიერი ზოგისთვის სტიმულია. რა არის იგი შენთვის?**

— სწორედ ამ დაბრკოლებებმა მასწავლა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა, გავიგე, რომ არსებობს სიტყვა — „არა!“ თუმცა, ადამიანმა უნდა შეძლოს და პრობლემა სტიმულად უნდა აქციოს. მე ბარიერი იმის ძალას მაძლევს, რომ წინ წავიდე და ბევრს დავუმტკიცო, რაც შემიძლია!

**— რა არის ბარიერის გადალახვის საუკეთესო ხერხი?**

— ვცდილობ, „საცობიდან“ გონივრულად გამოვიდე. მიმაჩნია, რომ პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზა მეგობრების რჩევა და დახმარებაა. მათ შეუძლიათ, ჩვენი ცხოვრებისეული „საცობის“ დაძლევაში დიდი წვლილი შეიტანონ.

**— წარმატებებს გისურვებთ!**

■

**„თავი ხელში ავიყვანე და ეს დაბრკოლებაც გადავლახე“**

**მიზნის მისაღწევი გზა აუცილებლად სამართლიანი უნდა იყოს**



# წიგნი, რომელიც ჯუმბერ ლეჟავასთან ერთად „მოგზაურობს“

**ის 238 ქვეყანაშია ნამყოფი. უყვარს, როცა მოგზაურობის დროს, ექსტრემალურ სიტუაციაში ვარდება. კარგი წიგნის წასაკითხად დროის გამონახვას ყოველთვის ახერხებს. უპირატესობას სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურას ანიჭებს. კლასიკოსებიდან ყველაზე მეტად, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონი უყვარს. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ის წიგნია, რომელიც მასთან ერთად „მოგზაურობს“. მიმიხვდით ალბათ, რუბრიკის სტუმრის ვინაობას. ვნახოთ, რამდენად ერუდირებულია ცნობილი მოგზაური და გინესის წიგნის არაერთგზის რეკორდსმენი — ჯუმბერ ლეჟავა.**

*თამუნა კვინიკაძე*

## პრეამბულის მაგიერ

**— ბატონო ჯუმბერ, ცნობილ მოგზაურთა ცხოვრებიდან ყველაზე შთამბეჭდავი თქვენთვის რომლის ბიოგრაფიაა?**

— ჩემთვის ყველა მოგზაურის ბიოგრაფია ძალზე მნიშვნელოვანია. მათი ცხოვრებით დაინტერესებულმა, წიგნი საკუთარი მოგზაურობის შესახებ, გამოსაცემად მოვამზადე. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ეს წიგნი უზარმაზარ ინფორმაციას იტევს.

**— მსოფლიო გაქვთ მოვლილი, 238 ქვეყანაში იმოგზაურეთ. უცხო ქვეყნებში არაერთხელ ახალ წელსაც შეხვედრიხართ. მათ შორის რომელი ქვეყანა დაგამახსოვრდათ?**

— მოგეხსენებათ, 3 დიდი მოგზაურობა ჩავატარე. პირველი 9 წელიწად-ნახევარი გაგრძელდა. უწყვეტად, ასე ხანგრძლივი დროით, არც ერთ მოგზაურს არ უმოგზაურია. მაშინ სხვადასხვა ქვეყანაში 9 ახალ წელს შევხვდი. კაიროში ქრისტიანულ ეკლესიაში შევედი. იქ მექორწილეები დამხვდნენ, ჯვარს იწერდნენ; როგორც ტურისტი, ქორწილში დამპატიჟეს და ახალი წელი მათთან ერთად გავატარე. შემდეგ ახალ წელს მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში ქართველებთან ერთად შევხვდი. ტრადიციული ქართული სუფრა გავშალეთ. შემდეგ — ჰონკონგში, ატლანტაში, მარდელ-პლატაში, პარიზში, ლუანდაში, სომალიში, სტოკჰოლმში ვიმოგზაურე. ჰონკონგში მთელი ქალაქი გარეთ იყო გამოსული, ყველა ქეიფობდა. რესტორნები გემებზე იყო მოწყობილი. საერთოდ, ინდოელები ძალიან მხიარულები არიან... სომალიში შესვლით, XXI საუკუნის პირველი რეკორდი დავამყარე: 17 ქვეყანა მოვიარე. სომალიში ასეთი ტრადიცია აქვთ — ახალ წელს ცხვრის მოხარშული თავით გიმასპინძლდებიან და მეც ასე გამიმასპინძლდნენ.

**— უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?**

— წინ რთული ამოცანები მაქვს დასახული: მინდა, პოლარულ წრეში შევიდე. ასევე, უკრაინელ მოგზაურთან ერთად, ჩვენი შექმნილი ველომობილით სამხრეთ პოლუსზე გავემგზავროთ. შემდეგ, სიცივისა და მაგნიტური პოლუსების მონახულებასაც ვაპირებ. მგონი, ეს ფანტასტიკაზე მეტია!..

**— დაასახელეთ ქვეყანა, რომელშიც ტურიზმი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში არსებობდა.**

— ქვეყნის სიძველის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს, საბერძნეთი უნდა იყოს.

**— დიახ. ვინ მიიჩნევა ოფიციალურად, კანადის მმართველად?**

— ინგლისის დედოფალი.

**— საგზაო სტატისტიკის მიხედვით, ევროპის გზებზე სიჩქარის გადაჭარბების გამო, ყველაზე ხშირად ჰოლანდიელებს აჯარიმებენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჰოლანდიელები წესებს ყველაზე ხშირად არღვევენ, არამედ... დაასახელეთ მიზეზი.**

— ჰოლანდიელები ხშირად ველოსიპედებით დადიან. ზუსტი მიზეზის დასახელება მიჭირს.

**— ჰოლანდიური სანომრე ნიშნები ევროპაში ყველაზე მსხვილწარწერიანია და პოლიციელთათვის მათი დაფიქსირება უფრო იოლია. რას ნიშნავს სიტყვა „კავკასიონი“?**

— ეს ირანული წარმოშობის სიტყვაა და ყინულოვანს ნიშნავს.

**— გადმოცემის თანახმად, ისინი პირველად, მაგელანს უნახავს და „უცნაური ბატები“ დაურქმევია. რომელ ფრინველზეა ლაპარაკი?**

— პირველად მაგელანმა ნახა? (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებთ.

**— ეს ფრინველები პინგვინები არიან.**

— გავიფიქრე, მაგრამ არ გითხარით. პინგვინების 2 სახეობა არსებობს: ჩვეულებრივი და სამეფო. სამეფო პინგვინები ყვითელგულები არიან, ყვითელი ნისკარტით გამორჩევიან და იშვითად გვხვდებიან...

**— „ჯერ არც ერთი ცოდვა არ შემხვედრია, რომ შესაფერ გარემოებაში მეც არ ჩავიდინო“ — ვის ეკუთვნის ეს გამონათქვამი?**

— არ ვიცი.

**— გოეთეს. მირიან მეფე, ვახტანგ გორგასალი, დავით IV აღმაშენებელი, თამარი, დემეტრე II თავდადებული — რა განასხვავებს ამ მეფეებს დანარჩენთაგან?**

— (*ფიქრობს*) თქვენ წმინდანად შერაცხული მეფეები დაასახელეთ. ამას გულისხმობდით?

**— დიახ. ვინ აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები — ვასკო და გამამ, ჯეიმს კუკმა, მაგელანმა თუ კოლუმბმა?**

— რა თქმა უნდა, ჯეიმს კუკმა.

**— დაასახელეთ ამერიკის პრეზიდენტი, რომელსაც თეთრ სახლში არასდროს უცხოვრია.**

— თუ არ ვცდები, ეს ჯორჯ ვაშინგტონი იყო.

**— დიახ. დაასახელეთ ბერძენი ტრაგიკოსი, რომელმაც კოლხი მედეა შვილების მკვლელად გამოიყვანა.**

— ვერ დაგისახელებთ.

**— ევრიპიდე. მას დიდ მოურავს უწოდებდნენ. 1625 წელს სათავეში ჩაუდგა სახალხო აჯანყებას ირანის შაჰის წინააღმდეგ. ვისზეა ლაპარაკი?**

— გიორგი სააკაძეზე.

**— რომელი ნახევარკუნძულია ყვითელ და იაპონიის ზღვებს შორის მოქცეული?**

— კორეის ნახევარკუნძული.

**— რომელ კონტინენტს აქვს ერთი ნახევარკუნძული და ერთი ყურე?**

— დავფიქრდები და გიპასუხებთ. (*მცირე პაუზის შემდეგ*) აფრიკის კონტინენტს.

**— მოგეხსენებათ, ირანი და ავღანეთი — მოსაზღვრე ქვეყნებია. მათ შორის საზღვარი ხშირად ადგილს ინაცვლებს. რამდენიმე ათეული კვადრატული კილომეტრი, სადაც ირანელები ცხოვრობენ, ავღანეთის საზღვრებში ექცევა. ხდება პირიქითაც. რა არის ამის მიზეზი?**

— ეს საზღვარი გადაკვეთილი მაქვს. საზღვრად მოხეტიალე მდინარე გილმენდი არის მიჩნეული. ამიტომ, ის ხშირად იცვლება.

— **რა ერქვა ძველქართულში დეკემბერს?**

— ქრისტესშობის თვე.

— **რომელმა გერმანელმა მეცნიერმა ამოხსნა ლურსმნული დამწერლობის საიდუმლო?**

— არ ვიცი.

— **გროტეფენდიმ. დაასახელეთ ფრანგ მეფეთა სასახლე, რომელიც XVIII საუკუნიდან, რევოლუციის შემდეგ, ხელოვნების მუზეუმია.**

— ლუვრი.

— **დაასახელეთ ინდოეთის ძველი სამეფო, რომელიც ოდითგანვე ძვირფასი შალის მსუბუქი ქსოვილის წარმოებით არის ცნობილი.**

— ქაშმირი.

— **რომელი მწერლის გვარია რაზიკაშვილი?**

— ვაჟა-ფშაველასი.

— **რა ეწოდება დედამიწის შემცირებულ მოდელს?**

— გლობუსი.

— **რომელი ფრინველი დებს კვერცხს სხვის ბუდეში?**

— გუგული.

— **რომელი ოკეანის აუზს განეკუთვნება შავი ზღვა?**

— ატლანტის.

— **რა ჰქვია სილამაზის ქალღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— **აფროდიტე. რომელ ქვეყანაში წავიდნენ ემიგრაციაში ნოე ჟორდანია და მისი მთავრობის წევრები?**

— საფრანგეთში.

— **თენგიზ აბულაძის რომელ ფილმში განასახიერებს მერაბ ნინიძე აბელ არავიძის ვაჟის როლს?**

— „მონანიებაში.“

— **ანდაზის მიხედვით, გაჭირვებულ ადამიანს ალმართში რა მიეწევა?**

— ქვა.

— **რომელ ბრძოლაში დაილუპა ადმირალი ნელსონი?**

— არ ვიცი.

— **ტრაფალგარის კონცხთან, 1808 წელს, ესპანელებთან ომის დროს. რამდენ წუთს გრძელდება რაგბის ტაიმი?**

— 40 წუთს.

— **ეს ქვეყანა ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოდ მიიჩნევა, რადგან მის შემადგენლობაში შედის კუნძული გრენლანდია.**

— დანია.

— **ეს ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხუმრობდა: „მე რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდი“. ის ხშირად ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა, — სახლში წავიღებ, შევისწავლი და ხვალ უკან დაგიბრუნებო; მეორე დღეს კი გაზეთში აქვეყნებდა ინფორმაციას: ამა და ამ ადამიანმა მუზეუმს ესა და ეს ნივთი აჩუქაო. რომელი ცნობილი საზოგადო მოღვაწე იქცეოდა ასე?**

— (*ფიქრობს*) ეს ამბავი მეცნობა, მაგრამ ვერ გიპასუხებთ.

— **ექვთიმე თაყაიშვილი. რას აგროვებს ფილატელისტი?**

— მარკებს.

— **დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია.**

— არ ვიცი.

— **ჩინეთის კომუნისტური პარტია.**

— (*იცინის*) ამ კითხვაზე უნდა მეპასუხა. დავიმახსოვრებ.

— **საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერა სოლომონ ბრძენს, თუ ცუდ ხასიათზე იყო, კარგ ხასიათზე აყენებდა; ხდებოდა პირიქითაც. რა ეწერა ბეჭედზე?**

— არ ვიცი.

— **„ესეც გაივლის“... ეს სრუტე საკმაოდ გრძელია და განიერიც, მაგრამ მას უფრო ხშირად, ინგლისის არხს უწოდებენ. რომელია ეს სრუტე?**

— ალბათ, ლა-მანშს გულისხმობთ, არა?

— **გამოიცანით. პარიზში, მდინარე სენაზე 43 ხიდია გადებული, რამდენი ხიდია აგებული თბილისში მტკვარზე?**

— (*ითვლის*) 6.

— **ცდებით, მტკვარზე 10 ხიდია გადებული. რომელმა ლიტერატურულმა გმირმა იმოგზაურა ლილიპუტების ქვეყანაში?**

— გულივერმა.

— **1986 წლამდე, აფრიკის რომელი ქვეყანა ატარებდა სახელწოდებას — „სპილოს ძვლის ნაპირი“?**

— კოტ დ'ივუარი.

— **რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ბეირუთი?**

— ლიბანის.

— **„ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ამას კი — არასდროს“ — რის შესახებ ამბობდა ამას შალვა ნუცუბიძე?**

— ვერ გეტყვით.

— **ნიჭის შესახებ. რა არის ელდორადო?**

— არარსებული, ზღაპრული სიმდიდრით განთქმული ქვეყანა.

— **რომელი ფრანგი კომპოზიტორი იბრძოდა I მსოფლიო ომში მოხალისედ?**

— ვერ გიპასუხებთ.

— **მორის რაველი. რომელი ტბა მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე მაღლა?**

— ტიტიკაკა. ეს ტბა ანდების მთებში, პერუსა და ბოლივიის საზღვარზე მდებარეობს.

— **დიახ, ზღვის დონიდან 3821 მ-ის სიმაღლეზე. ვინ შეადგინა პირველი გეოგრაფიული ატლასი?**

— პტოლემეუსმა.

— **რა გვარი იყო ბაში-აჩუკი?**

— არ ვიცი.

— **ბაქრაძე, სახელად გლახუნა.**

— ამას აუცილებლად დავიმახსოვრებ.

— **დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საქართველო, ავსტრალია — ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყანას არ აქვს სახმელეთო საზღვარი?**

— ავსტრალიას.

— **დაასახელეთ ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც თეატრში გოგი გეგეჭკორმა, ხოლო კინოში — იმედა კახიანმა განასახიერა.**

— (*ფიქრობს*) ნაწარმოების ავტორს ვერ დამისახელებთ?

— **ავტორი დავით კლდიაშვილი გახლავთ.**

— ვერ გიპასუხებთ.

— **პლატონ სამანიშვილი. დასრულეთ პლატონის ცნობილი გამონათქვამი — „სჯობს, ადამიანი გაცვდეს შრომისგან, ვიდრე—“**

— ციტატას ვერ დავასრულებ.

— **„—ვიდრე ობი მოეკიდოს უქმად ყოფნისგან“.**

■

**ერუდიტი +**

## ცნობილთა ცხოვრებიდან

**თენგიზ აბულაძე ფილმს — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ იღებდა. რედაქტორი, ჭაბუა ამირეჯიბი გახლდათ. თანამედროვენი იხსენებენ — მათი „დუეტის“ ნახვა და საუბრის მოსმენა ერთ რამედ ღირდაო. გადაღებები ბუნებაში მიმდინარეობდა. ბატონ თენგიზს ჩვეულად ჰქონია — გადაღების დროს ირონიულად ამბობდა: „გენიალურია, მეგობრებო“ ან — „განუმეორებელია“. ბოლო კადრიც შეამოწმა, მოეწონა, „მშვენიერია“, — თქვა, ბატონ ჭაბუას მიუბრუნდა და გაღიმებულმა ხუმრობით ჰკითხა:**

— *ჭაბუა! რას იტყვიან კანში? (კანის ფესტივალი იგულისხმა).*

— *თენგიზ, დაეტიე შენს კანში! — მიუგო ჭაბუამ.*

„მის ბიკინი-2007“ — ნანას მამასახლისი სამოდელო სააგენტო „ნატალიში“ აქტიურ სამოდელო საქმიანობას ეწევა გარდა ამისა, როგორც თავად ამბობს, სულ რაღაც 2 კვირაა, საინტერესო საქმიან გარემოში აღმოჩნდა — გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომელი გახდა. რა თანამდებობაზე მუშაობს ნანა მამასახლისი სახელმწიფო უწყებაში და მოსწონს თუ არა ახალი სამსახური, ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

# „მის ბიკინიმ“ გვრემოს დაცვის სამინისტროში სამსახური დაიწყო

## სოფო ჭონიშვილი

**— ნანკა, სამოდელო სააგენტო „ფავორიტიდან“ რატომ წამოხვედი?**

— ქალბატონ მაია ზაალიშვილთან, „ფავორიტის“ ხელმძღვანელთან, ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა გაფორმებული. კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, „ნატალიში“ გადავედი... ბოლო ჩვენება ომამდე ორი კვირით ადრე, კოდორის ხეობაში გვქონდა, რომელიც დიზაინერმა თეონა თავართქილაძემ მოაწყო. იქიდან შთაბეჭდილებებით დახუნძლული დავბრუნდი. ვერტმფრენით ვიმგზავრეთ, არაჩვეულებრივი სილამაზე ვიხილე. იქაურმა მოსახლეობამ ძალიან თბილად მიგვიღო.

**— ამჟამად რას საქმიანობ?**

— ცოტა ხნის წინ ჩემს პორტფოლიოზე მუშაობა დავასრულე, ძალიან კმაყოფილი ვარ, ისეთი გამოვიდა, როგორიც მინდოდა, ყოფილიყო.

**— როგორც ვიცი, პროფესიით ფილოლოგი ხარ.**

— დიახ. ჩემი პროფესიით სამსახური ჯერ არ გამომჩენია. თუ რაიმე შემოთავაზება მექნება, უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

**— გარემოა დაცვის სამინისტროში რა თანამდებობაზე მუშაობ?**

— მინისტრის მოადგილის თანაშემწე ვარ.

**— შემოთავაზება ვისგან მიიღე?**

— შემოთავაზება არ მიმიღია. გავიგე, რომ ვაკანსია ჰქონდათ, CV შევავსე და შევიტანე. მოკლედ რომ თქვა, გამიმართლა და სამსახურში ამიყვანეს.

**— ამაში შენი პოპულარობა ხომ არ დაგეხმარა?**

— (*იცინის*) ანკეტის შევსების დროს, არსად აღმინიშნავს, რომ „მის ბიკინი“ ვარ.

**— ახალ ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?**

— მშვენივრად. არაჩვეულებრივი თანამშრომლები მყავს, ძალიან თბილად მიმიღეს. არანაირი დაძაბულობა არ მიგრძნია. თითოეული მათგანი გვერდით მიდგას. თავს საოცრად კომფორტულად ვგრძნობ.

**— რა შეგიძლია თავად მინისტრზე გვითხრა? როგორი ადამიანია?**

— სიმართლე გითხრათ, პირადად მასთან ურთიერთობა ჯერ არ მქონია, თუმცა თანამშრომლები ამბობენ, რომ კარგი პიროვნებაა.

**— ხომ არ ფიქრობ, რომ შემდგომში პოლიტიკურ საქმიანობას გააგრძელებ?**

ძალიან თბილად მიმიღეს. არანაირი დაძაბულობა არ მიგრძნია

— ჯერჯერობით ამის სურვილი არ მაქვს. წლების შემდეგ, როცა უკვე მოდელობას ვეღარ შევძლებ, შეიძლება, ამ საკითხზე სერიოზულად დავფიქრდე. ამ ეტაპზე მოდელობასა და ახალ სამსახურს ერთმანეთს კარგად ვუთავსებ.

**— პირად ცხოვრებაში რამე სიახლე ხომ არ გაქვს? ისევ მარტო დადიხარ?**

— (*იცინის*) კი, ისევ მარტო ვარ, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თაყვანისმცემელი მახვევია გარს, სასურველი კანდიდატურა ჯერჯერობით ვერ შევარჩიე (*იცინის*).

**— „მის ბიკინი-2008“ — ნონა დიაკონიძე როგორ მოგწონს?**

— ნონა ძალიან კარგი გოგოა, ის კონკურსის დაწყებიდანვე ჩემი ფავორიტი იყო. მას კონკურენტი არ ჰყავდა. ნონას პირადადაც ვიცნობ: გარდა გარეგნული სილამაზისა, ნონას შინაგანი სამყაროც არაჩვეულებრივი აქვს. მინდა, რომ მსოფლიო „მის ბიკინის“ წარმატება ვუსურვო. ■


ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ“

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ГЕО / GEO | 9.00 | 27.00 |
| 2. ЛИЗА | 2.50 | 32.50 |
| 3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ | 5.00 | 65.00 |
| 4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ | 8.00 | 24.00 |
| 5. СЕМЬ ДНЕЙ | 2.50 | 32.50 |
| 6. HELLO! / ХЭЛЛОУ! | 4.00 | 52.00 |
| 7. ОТДОХНИ! | 2.00 | 26.00 |

ქ. თბილისი
ითხებაძის ქ.№49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

ᲐᲖᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# მკითხველის შეკითხვები

# ანგინა

**რედაქციაში ანგინასთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა შემოვიდა. შევეცდებით, მათზე ამომწურავი პასუხები გაგცეთ.**

**შეკითხვა №1**

**— ყელის ნებისმიერი ტკივილი არის თუ არა ანგინა?**

**პასუხი:**

— არა. ყელის ტკივილი შეიძლება, აღმოცენდეს არა მარტო ანგინის, არამედ ფარინგიტის დროსაც. ანგინა არის სასის ნუშურა ჯირკვლების (გლანდების) მწვავე ანთება, ფარინგიტი კი — ხახის უკანა კედლის ანთებაა. ანგინის დროს ანტიბიოტიკების მიღება აუცილებელია, ფარინგიტს კი, ხშირად მცენარეული სამკურნალო საშუალებებიც შველის. თუ გაქვთ გრიპი, რომელიც ფარინგიტით მიმდინარეობს, მაშინ ანტიბიოტიკების დანიშვნა არ შეიძლება, მან შეიძლება დაგიქვეითოთ იმუნიტეტი, გაანადგუროს ცხვირ-ხახასა და ნაწლავებში არსებული საჭირო მიკროფლორა. შეიძლება, გაგვითარდეს ანტიბიოტიკისადმი გამძლეობა ანუ როცა მართლა საჭირო გახდება ამ ანტიბიოტიკის მიღება, ის უკვე აღარ იმოქმედებს, რადგან თქვენი ორგანიზმი მასთან შეგუებული იქნება.

**შეკითხვა №2**

**— ანგინით ავადდებიან მხოლოდ ისინი, ვისაც სუსტი ყელი აქვთ?**

**პასუხი:**

— ანგინა შეიძლება დაემართოს ნებისმიერს, მათ შორის აბსოლუტურად ჯანმრთელი ყელის პატრონსაც. თუმცა, ანგინით ხშირად ავადდებიან გაუკაჟებელი, ტემპერატურის და ტენიანობის ცვალებადობას შეუჩვეველი პირები.

აღსანიშნავია, რომ ანგინით ავადობა მნიშვნელოვნად მცირდება 30 წლის ასაკში. ეს ფენომენი უკავშირდება გარკვეულ ასაკის შემდეგ იმუნიტეტის თავისებურ ცვალებადობას.

**შეკითხვა №3**

**— ანგინით ავადდებიან მხოლოდ დაავადებულ ადამიანთან მჭიდრო კონტაქტისას (მაგალითად, კოცნით)?**

**პასუხი:**

— ანგინის გავრცელების ძირითადი გზა ჰაერ-წვეთოვანია; ამიტომ, ინფექცია შეიძლება გავრცელდეს მცირე მანძილზე საუბრის შემთხვევაშიც კი. დაბალი ტემპერატურის და მაღალი ტენიანობის შენობებში მიკრობების „გადაადგილების" რისკი განსაკუთრებით მაღალია.

ანგინის გავრცელების კიდევ ერთი გზა არსებობს — კვებისმიერი ანუ საკვების პროდუქტებიდან. რძეში, ხორცის ფარშში, ბოსტნეულში, კომპოტში, კისელში, კარტოფილის პიურეში შეიძლება მოხვდეს მიკრობები ხელის კანზე არსებული წვრილი ჩირქოვანი გამონაყარიდან. ცნობილია შემთხვევები, როცა მზარეულის ინფიცირებული ხელებიდან დასნებოვნებულა ათეულობით ადამიანი. ამიტომ, არ შეიძლება ავადმყოფი ადამიანის ჭურჭლის, პირსახოცისა და ცხვირსახოცის გამოყენება. მწვავე პერიოდში ანგინით დაავადებულთან რაც შეიძლება ნაკლები კონტაქტი უნდა გვქონდეს. თუმცა არც ამ შემთხვევაში არსებობს 100%-იანი დაავადების რისკი. მხოლოდ 15%-ით არის შესაძლებელი ანგინის გადადება დაავადებულთან მჭიდრო კონტაქტის გზით. ეს ზემო სასუნთქი გზების კატარითა და გრიპით დაავადების რისკზე დაბალი მაჩვენებელია. ცნობილია უამრავი შემთხვევა, როცა ჯანმრთელი ადამიანი მჭიდრო კონტაქტში იყო დაავადებულთან, მაგრამ ანგინა არ გადაედო. აქ საქმე გვაქვს ადამიანის იმუნური სისტემასთან.



**შეკითხვა №4**

**— ანგინა ფეხზეც შეიძლება გადავიტანოთ თუ რამდენიმე დღით საწოლში დაწოლაა აუცილებელი?**

**პასუხი:**

— ამ დაავადებისადმი ზოგი არასერიოზულადაა განწყობილი და მიიჩნევს, რომ რამდენიმე დღე ყელის ტკივილსა და მაღალ სიცხეს გაუძლებს. მაგრამ, ვირუსული ფარინგიტისგან განსხვავებით, ანგინა საშიშია თავისი გაუთვალისწინებელი შედეგების გამო. კერძოდ, ინფექცია შეიძლება, ყურში ან ჰაიმორის ღრუში გადავიდეს, ან სულაც გულს შეეხოს და ამ ორგანოების ანთება გამოიწვიოს. ანგინების ხშირი გართულებაა რევმატიზმი და მის ფონზე განვითარებული გულის მანკი. შეიძლება ანგინამ თირკმლის დაავადებაც კი განაპირობოს. ასევე მეტად საშიშია ადგილობრივი გართულებები: ნუშურა ჯირკვლების ირგვლივ ქსოვილების ანთება. აქ ინფექციის შეღწევა იწვევს ჩირქგროვების გაჩენას და ხშირად ქირურგიული მკურნალობა გარდაუვალი ხდება. აღსანიშნავია, რომ ბოლომდე უმკურნალებელმა ინფექციამ შეიძლება, დაავადების ხელახლა გამეორება გამოიწვიოს და ქრონიკული ტონზილიტიც კი ჩამოყალიბდეს.

გარდა ამისა, ანგინის სიმპტომების ქვეშ შეიძლება, იმალებოდეს ისეთი საშიში დაავადება, როგორიცაა დიფტერია. რაც უფრო ადრე იქნება დიფტერია გამოაშკარავებული, მით მეტი შანსია მისი ეფექტური მკურნალობის. დიფტერიის გამომწვევი ხომ გამოყოფს ძალიან საშიშ ტოქსინს, რომელიც სწრაფად აზიანებს გულსა და თირკმლებს. ასპროცენტიან პასუხს — საქმე ანგინასთან გვაქვს თუ დიფტერიასთან, მხოლოდ ნაცხის ანალიზი იძლევა. ამიტომ, თუ ყელის გამოხატული მწვავე ტკივილი დაგეწყებათ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**შეკითხვა №5**

**— შეიძლება ანგინა მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, კერძოდ, ყელში სავლებით დავამარცხოთ?**

**პასუხი:**

— ექიმის მოსვლამდე კარგია, თავად დაიწყოთ მკურნალობა. მაღალი სიცხის შემთხვევაში, მიიღეთ სიცხის დამწევი საშუალებები: კოლდრექსი, ფერვექსი, პანადოლი, ეფერალგანი ან ნუროფენი. უპირატესობა მიანიჭეთ იმ წამალს, რომელიც ფხვნილის ან წყალში ხსნადი სახით გამოდის. მისი გადაყლაპვა იოლია. შეიძლება, სიცხის დამწევი სანთლების გამოყენებაც. ეს წამლები ტკივილსაც აყუჩებს და ტემპერატურასაც დაბლა სწევს. შეგიძლიათ გაწუწნოთ ანტისეპტიკუტი საწუწნი ტაბლეტები, რომლებიც ანტიმიკრობული აქტივობით გამოირჩევა. დღესდღეობით გაყიდვაშია ყელის სამკურნალო პრეპარატები სპრეის სახით.

ანგინის დროს ყელში გამოვლება აუცილებელია, ეს პროცედურა აჩქარებს გამოჯანმრთელებას. კარგია — გვირილა, ევკალიპტი, ყვითელგულა და სალბი. დაავადების პირველ დღეებში სასურველია ყელში თბილი სოდიანი ხსნარის (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ სოდა) გამოვლება.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ ყელში სავლები საშუალებები თუ საწუწნი აბები ვერ აღწევს ტონზილებში (შიგნით), მის ქსოვილში. არადა, სწორედ იქ მრავლდება „მავნე" ბაქტერიები. სწორედ ამიტომაა აუცილებელი ანგინის დროს ანტიბიოტიკების დანიშვნა.

**შეკითხვა №6**

**— თუ სახლში ანტიბიოტიკი გვაქვს, ექიმს არ დაველოდოთ და თავადვე დავიწყოთ მკურნალობა?**

**პასუხი:**

— ანგინის დროს არ არსებობს წამლების სტანდარტული ასორტი. მედიკამენტები ინდივიდუალურად ექიმმა უნდა დანიშნოს, პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე. გახსოვდეთ! მთელ მსოფლიოში და რასაკვირველია, ჩვენთანაც საკმაოდ იზრდება ანტიბიოტიკებისადმი გამძლეობა. ამის მიზეზი მრავალია, მათ შორის ანტიბიოტიკების უკონტროლო მიღება. იდეალურ ვარიანტში, წამლის დანიშვნამ-

დე ავადმყოფს ყელიდან ნაცხს უღებენ. ეს საჭიროა იმის დასადგენად, თუ რომელმა ბაქტერიამ განაპირობა დაავადება. ნაცხი გამოავლენს მიკრობის მგრძნობელობას სამკურნალო პრეპარატებისადმი.

ნაცხის ანალიზის პასუხის მიღებამდე ინიშნება ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები. ისინი მოქმედებს ანგინის გამომწვევ ბაქტერიების ძირითად ჯგუფზე. 3 დღეა საჭირო ამა თუ იმ პრეპარატის ეფექტიანობის გასარკვევად. თუ შედეგი არ არის, უნდა დაინიშნოს სხვა წამალი. საჭირო ანტიბიოტიკის შერჩევა მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია.

ანგინის თვითმკურნალობა არ არის რეკომენდებული კიდევ იმიტომ, რომ აუცილებელია ავადმყოფის გამოკვლევა, კერძოდ, სისხლის და შარდის ანალიზის გაკეთება და კარდიოგრამის გადაღება. ამ ანალიზების მონაცემებით არის შესაძლებელი გართულებების აღმოჩენა.

**შეკითხვა №7**

**— ანტიბიოტიკოთერაპია ხანგრძლივი უნდა იყოს, თუ ტემპერატურის ნორმამდე ჩამოსვლისთანავე შევწყვიტოთ ანტიბიოტიკების მიღება?**

**პასუხი:**

— ანგინის ზოგი გართულება გამოჯანმრთელების პერიოდში იჩენს თავს. გახსოვდეთ! მიკრობების სრული განადგურებისთვის გარკვეული დროა საჭირო. ამიტომ, თანამედროვე თვალთახედვით ანტიბიოტიკებით ანგინის მკურნალობის მინიმალური ხანგრძლივობა 10 დღეა. ეს ვადა იგივეა ანტიმიკრობულ საშუალებათა უმრავლესობისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს თანამედროვე პრეპარატი სუმამედი. მისი 3 დღით დანიშვნაც საკმარისია.

ხანგრძლივობასთან ერთად პრეპარატის მიღების წესების დაცვაცაა მნიშვნელოვანი. ზოგი ფიქრობს, რომ თუ წამალი დანიშნულია დღეში 3-ჯერ, ესე იგი, მიღება შეიძლება დილით 10 საათზე, შუადღეს 3-ზე და საღამოს — 6 საათზე. ეს ასე არ არის. ანტიბიოტიკების ეფექტიანობისთვის მეტად მნიშვნელოვანია წამლის მიღებებს შორის დროის თანაბარი ინტერვალის დაცვა ანუ სქემაში — დღეში 3-ჯერ იგულისხმება, რომ დილით ანტიბიოტიკი უნდა მიიღოთ 8 საათზე, შემდეგ — 16 საათზე და ღამით — 12 საათზე.

ანგინის მკურნალობის პერიოდში მიიღეთ ყელის დამარბილებელი ჩაი. მის მოსამზადებლად, ჩვეულებრივ ან ბალახოვან ჩაის დაუმატეთ ალთეს ფესვების ნაყენი და თაფლი.

ანგინის გადატანის შემდეგ გამოჯანმრთელებულად ითვლება ადამიანი თუ 5 დღის განმავლობაში ნორმალური ტემპერატურა ექნება, არ იგრძნობს ყელის ტკივილს და ასევე უსიამოვნო შეგრძნებას ყელის ლიმფური ჯირკვლების გასინჯვისას. აუცილებლად ნორმაში უნდა იყოს სისხლის, შარდის ანალიზი და ელექტროკარდიოგრამა. ანგინის გართულებებისგან მაქსიმალურად, რომ დაიცვათ თავი, გამოჯანმრთელებიდან კიდევ 2 კვირის განმავლობაში ერიდეთ გაცივებასა და მძიმე ფიზიკურ შრომას.

ანგინის გადატანიდან 1-2 თვეში ტემპერატურის მომატების ან რაიმე სხვა გადახრის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**შეკითხვა №8**

**— ანგინამ რომ არ შეგვაწუხოს, აუცილებელია „გლანდების“ მოცილება?**

**პასუხი:**

— ასეთი შეხედულება დიდხანს დომინირებდა სამედიცინო წრეებში. მაგრამ, უკანასკნელი მონაცემებით, ნუშურა ჯირკვლების (გლანდები) ამოკვეთა შემთხვევათა დიდ პროცენტში არ გვაძლევს ყელის დაავადებებისგან თავის დაღწევის გარანტიას. ამასთან, ოპერაცია არის რადიკალური ჩარევა ორგანიზმის მუშაობაში. მისი შედეგები ყოველთვის როდია დადებითი. გარდა ამისა, სასის ჯირკვლები — იმუნური სისტემის ორგანოებია, რომელიც ადამიანში დამცველობით ფუნქციას ასრულებს.

სწორედ ამიტომ, ექიმების უმრავლესობა ჯერ ყველანაირი არაოპერაციული მკურნალობის მეთოდის გამოყენებას ცდილობს. მხოლოდ უკანასკნელ ვარიანტში, მაშინ, როცა ტონზილები მუდმივი ანთებითი პროცესის გამო მათზე დაკისრებულ ფუნქციას ვეღარ ასრულებს, დგება ოპერაციული ჩარევის აუცილებლობა. ■


# ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

## პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

№25 (189) 4.XII-17.XII.2008
ჟურნალი
ბავშვის
ჟურნალი
ბავშვის
ბავშვი
ბავშვი
ბავშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თქვენთვის, ქალბატონებო!*

# ღანაშაულია თუ არა სხვის ჰირად სოვრებაში ჩარევა?

*მარინა ბაბუნაშვილი*

**წერილი „მე მისი ღირსი არ ვარ“, ერთი ობოლი გოგონას ცხოვრებას ეხება („კვირის პალიტრა“, 19 სექტემბერი, 2005 წ.). მის დაბადებას დედის სიცოცხლე შეეწირა. მამამ დის სახელი დაარქვა შვილს. გამოხდა ხანი და 5 წლის მაგდას მამაც გარდაეცვალა. მამიდა მაგდას 3 შვილი ჰყავდა, მაგრამ ძმისშვილს შვილებში არ ასხვავებდა, ის კი არა და, უფრო მეტ ყურადღებას სწორედ მის მიმართ იჩენდა. გადამეტებულმა ზრუნვამ და სურვილმა, რომ გოგონას ყველაფერი საუკეთესო ჰქონოდა, მთლად კარგი შედეგი ვერ გამოიღო... სინანულმა ქალბატონი მაგდა ჩემთან მოიყვანა.**

## ამბავი პირველი

### *გაბრკოლება*

ქალბატონი მაგდა კრუხივით იყო გადაფოფრილი გოგონაზე. რამდენჯერ დაუტუქსავს შვილები, ნუ აბრაზებთ, ბავშვს ჩვენს მეტი არავინ ჰყავს და თბილად მოექეცითო. ისინიც ბავშვები იყვნენ, ხან წაკინკლავდებოდნენ, ხან გაებუტებოდნენ ერთმანეთს, თუმცა პატარა მაგდა მათაც ძალიან უყვარდათ. როცა წამოიზარდნენ, მიხვდნენ, რომ დედა მართალი იყო და მართლაც, სულში იძვრენდნენ ბიძაშვილს...

წამოზრდილი მაგდა ძალიან დამშვენდა და ბევრმაც დაადგა თვალი. გოგონა წრფელი გულით შეუყვარდა მამიდაშვილის მეგობარს, თემოს. მაგდაც არ იყო გულგრილი მის მიმართ. თუმცა, უბანში კიდევ ერთ ბიჭს — პაატას მოსწონდა გოგონა და ყველასთან ტრაბახობდა, მაგდას მე მოვიყვან ცოლადო. ვინც მას იცნობდა, იცოდა, რომ ეს ბიჭი ტყუილად არაფერს დაიქადებდა. როცა მეათე კლასში იყო, მაგდა რამდენიმე საგანში ემზადებოდა, მაგრამ პაატას შიშით, მას მარტო არსად უშვებდნენ და მამიდაშვილები დაჰყვებოდნენ.

აპრილის მშვენიერი დღე იდგა. წინა დღეებში ტყუპი ძმა „მორიგეობდა“, ახლა უფროსი მამიდაშვილის, ნინოს ჯერი იყო. მაგდა ინგლისურზე იყო. გაკვეთილის შემდეგ, გოგონები ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ ქუჩას. უეცრად, ღმუილით გამოვარდა მანქანა, მათ წინ გაჩერდა, ორმა ბიჭმა თვალის დახამხამებაში მაგდა მანქანაში შეაგდო და ავტომობილი უცებვე მოსწყდა ადგილს. ნინომ დაყვირებაც კი ვერ მოასწრო. ყველა მიხვდა, რომ პაატას გარდა, გამტაცებელი სხვა არავინ იქნებოდა. დაედევნნენ და ამ დევნაში ისეთი ავარია მოხდა, არავის ეგონა, შიგნით მსხდომნი ცოცხლები თუ გადარჩებოდნენ. ეტყობა, ღმერთს არ უნდოდა მათი სიკვდილი. მანქანიდან ძლივს გამოიყვანეს ხელმოტეხილი მაგდა, პაატამ კი ტვინის შერყევა მიიღო... მაგდას მიმართ კონტროლი გაძლიერდა. მისი გაცილების უფლება თემომაც მოიპოვა. მართალია, არც ის ეხატებოდა მამიდას გულზე, მაგრამ შვილებმა უთხრეს, ნუ ჩაერევი, ჩვენს მაგდასაც უყვარს თემოო. ბიჭმა იცოდა, რატომაც იწუნებდა გოგონას მამიდა. მატერიალურად ძლიერი ოჯახი არ ჰქონდა. გაჭირვების გამო მამა რუსეთში მუშაობდა და იქიდან ეხმარებოდა თავის მრავალრიცხოვან ოჯახს. თემო ამაყი ბიჭი იყო; მართალია, მაგდას ცოლად შერთვა ეჩქარებოდა, ეშინოდა, პაატას ან სხვა თაყვანისმცემელს კვლავ არ მოეტაცებინა მისი შეყვარებული, მაგრამ ისიც ძალიან უნდოდა, რომ თავისი ფული ჰქონოდა და ოჯახი მშობლების დახმარების გარეშე ერჩინა. ამიტომ, მაგდას ერთგულების ფიცი ჩამოართვა და ორი წლით მამასთან რუსეთში წასვლა გადაწყვიტა.

ერთი წელიც არ იყო გასული, რომ მაგდას ხელსაყრელი სასიძო გამოუჩნდა. ნიკა, მამიდის რჩეულიც იყო. ძმისშვილი დუმდა და მოთმინებით ისმენდა მამიდის მოწონებული ბიჭის ქება-დიდებას. შვილებმა კი საყვედურებით აავსეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა, არ გაბედო მაგდას და თემოს დაშორებაო. მამიდას ისე უნდოდა ძმისშვილის ბედნიერება, რომ სულაც არ აპირებდა უკან დახევას. ერთხელაც გვერდით მოისვა გოგონა და უთხრა: ნიკა ძლიერი ოჯახიდან არის, საზოგადოებაშიც იცნობენ, კარგი სამსახური აქვს, ნიჭიერია და წინ წავა. ჭკუას მოუხმე, ნიკა ისეთი ბიჭია, მთელი სიცოცხლე ხელისგულზე გატარებსო. მამიდის სიტყვას მაგიური ძალა ჰქონდა. მაგდა მის ნებას დაჰყვა და ნიკას რამდენჯერმე სასეირნოდ გაჰყვა. ამის შემდეგ მაგდას დღიურში ასეთი ჩანაწერიც გაჩნდა:

**ამონარიდი წერილიდან:** „აღარ ვიცი, რა ვქნა. თემო ათასში ერთხელ მეხმიანება. ვინ იცის, იქ უკვე შეიგულა ვინმე ნატაშკა ან დაშკა, მე სულელი კი... მაინც რა მოხდებოდა, რომ არ წასულიყო რუსეთში?.. ამას წინათ, ჩვენს მეზობელ ეთერს წამოსცდა: — შენ რა გგონია, თემოს მშობლებს კი უნდიხარ სარძლოდო? იქნებ, მართლა არ ვუნდივარ? იქნებ, მათ გაარიდეს თემო აქაურობას?.. ნიკას გვერდით თავი ამაყად მიჭირავს და ბედნიერი ვარ, მაგრამ თემო? თუკი ნიკას ნახვა მსიამოვნებს, რატომ ვერ ვივიწყებ თემოს? რატომ გამირბის მისკენ ფიქრი?.. ძალიან დაბნეული ვარ... ნიკა დამოუკიდებელი კაცია, თავისიანებს იქით ეხმარება. თემო კი კვლავ მშობლებზეა დამოკიდებული. განა ბედნიერი ვიქნები მასთან? ვის იმედად დამტოვა?“

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ნიკამ მაგდა ცოლად შეირთო...

## ამბავი მეორე

### დაიმთავრებული ამბავი

ნიკამ მამიდის იმედები გაამართლა. მართლაც, სანაქებო მეუღლე აღმოჩნდა. ორი შვილი შეეძინათ, მაგრამ მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. მაგდა 8 წლის მერე დაქვრივდა... თითქოს ნიკა ჯანმრთელობას არ უჩიოდა, მაგრამ მოულოდნელად, ინფარქტით გარდაიცვალა.

ქმრის სიცოცხლეშიც ქალი ხშირად ფიქრობდა თემოზე, ენატრებოდა და ამ ფიქრის გამო, საკუთარ თავს კიცხავდა კიდეც.

თემოს კი ცოლი არ მოუყვანია. როცა მაგდას დაქვრივების ამბავი შეიტყო, მასთან დაკონტაქტება სცადა, მაგრამ ქალმა თავი შორს დაიჭირა. ამ ამბის გამო ყველაზე მეტად მამიდა იყო შეძრული. ის საკუთარ თავს ადანაშაულებდა: შეყვარებულთა შორის რომ არ ჩავდგარიყავი, ეგებ, ჩემი მაგდა ახლა ქვრივი კი არა, ძალიან ბედნიერი ყოფილიყო. დარდმა რომ აღარ მოასვენა, თემოსთან მივიდა, პატიებაც სთხოვა და უთხრა, — იქნებ, კიდევ ერთხელ გეცადა მაგდასთან დალაპარაკებაო.

**— ქალბატონო მაგდა, კვლავ სცადეთ ძმისშვილის პირად ცხოვრებაში ჩარევა?**

— ამ კითხვით ერთგვარ შენიშვნასაც ვგრძნობ თქვენგან, ამიტომ ჩემი ქცევა მინდა აგიხსნათ. მაშინ, მაგდასთვის კარგი მინდოდა და ვცდილობდი, მისთვის პრობლემები ამეშორებინა, იმიტომაც ვურჩიე ნიკა. ვიცოდი, რომ ჩემს გოგონას თემო უყვარდა, მას ელოდებოდა, მაგრამ მისთვის ნიკა გაცილებით კარგ ქმრად წარმომედგინა. მაგდას ჩემთვის კატეგორიული უარი რომ ეთქვა, აღარ დავაძალებდი გათხოვებას. როცა საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნდნენ, გახარებული და ბედნიერი ჩანდა. მეც დავწყნარდი, მაგრამ როცა მოგვიანებით მისი დღიური ხელში ჩამივარდა, მოსვენება დავკარგე. მიჭვდი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნიკასთან მშვიდად და უზრუნველად გრძნობდა თავს, მაინც თემო უყვარდა და ენატრებოდა.

**— როცა თემოსთან მიხვედით, თქვენს წინადადებაზე დაგთანხმდათ?**

— კარგა ხანს ყოყმანობდა, მითხრა კიდეც, მაგდას კარგად ვიცნობ, არ მიმიღებს და უარით გამომისტუმრებსო, მაგრამ მე ისე დაჟინებით ვთხოვდი ჩემს ძმისშვილთან მისვლას, რომ გაბედა. თუმცა მისი შიში გამართლდა. მაგდამ კი მიიღო, მაგრამ ცოლობაზე უარი უთხრა — შენ უცოლო კაცი ხარ, ორშვილიანი ქალი არ შეგეფერებაო.

**— რამდენი ხანი გავიდა მათი ბოლო შეხვედრიდან?**

— როგორც ვიცი, 2 თვის წინ, მათ საერთო მეგობრის მამის გარდაცვალებისას ნახეს ერთმანეთი. თავად მაგდამ მითხრა, თემოც იქ იყოო... სამწუხაროდ, მათ ურთიერთობაში კვლავაც არაფერი შეცვლილა. ვატყობ, რომ მაგდასაც ძალიან უნდა თემოს გვერდით ყოფნა, მაგრამ ბევრი რამის გამო უკან იხევს.

**— მაინც, რის გამო იხევს უკან — თავისი შვილების, თემოს ოჯახის თუ საზოგადოების აზრის გამო?**

— რაც ჩამოთვალეთ, ამის გამოც და კიდევ, ნიკას მშობლებისა და ახლობლების ერიდება ძალიან. თემო კარგი ადამიანია, მჯერა, რომ მაგდას მარტოს არ დატოვებს.

*მკითხველისგან „ცხოვრებაში“ დაბეჭდილ წერილებზე ხშირად ვიღებთ გამოხმაურებებს. მაგდას და თემოს ამბავიც უსათუოდ დაინტერესებთ, მით უმეტეს, რომ „ჰეფი ენდი“ ჯერ არ დამდგარა...* ●

**გორელი ბიჭის, გივიკო წვერაველის ამბავი პირველად „ჯერის პალიტრაში“ დაიბეჭდა. 9 აგვისტოს, გორის დაბომბვისას ის მძიმედ დაიჭრა, დედამისი კი გარდაიცვალა. გივიკო ბებიის ანაბარა დარჩა. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს თბილისში. რომ არა ექიმთა დროული და გულისხმიერი ჩარევა, ალბათ, ფეხის ამპუტაცია დასჭირდებოდა... როგორი იყო ამ ოჯახის ცხოვრება ომამდე და როგორია ომის შემდგომ, ამას წერილიდან შეიტყობთ...**

## საბედისწერო დღე

*9 აგვისტოს, გორში დილიდანვე ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა. უეცრად მოლრუბლული ცა გაიპო და გამაყრუებელი ხმა გაისმა. რუსული ბომბდამშენები სატანკო ნაწილის დაბომბვას არ დასჯერდნენ, საცხოვრებელ სახლებზეც გადმოინაცვლეს. ხალხს ვერ გაეგო, ასეთ დროის შინ სჯობდა ყოფნა თუ გარეთ. ატყდა წივილ-კივილი, რომელსაც ჩამოგდებული ჭურვების აფეთქების ხმა ახშობდა. გორის შესასვლელში პანიკა იყო. მერე ვილაცამ დაიძახა, — კორპუსის სარდაფს შევაფაროთ თავიო და ყველა იქითკენ დაიძრა.*

*ერთ-ერთ ოჯახში სამნი იყვნენ: ბებია, ქალიშვილი და შვილიშვილი. მათი კორპუსის სარდაფი წყლით იყო სავსე, ამიტომ დედა-შვილი მეზობელი კორპუსისკენ გაიქცა. სწორედ მაშინ მეორედ ჩამოყარეს ჭურვები. გარეთ გამოსულმა ბებიამ ცეცხლსა და კვამლში ძლივს გაარჩია ადამიანები, რომლებიც მინაზე ეყარნენ. შორიდანვე შეამჩნია, შვილის კაბა. მიუახლოვდა ქალიშვილს, ძირს დაცემულმა თავი გადმოატრიალა, ერთი ამოისუნთქა და გათავდა. კეფაში მოხვედროდა ჭურვის ნამსხვრევი. „მოკვდა“! — დაიკივლა დედამ და საშველად უხმო მეზობლებს, მაგრამ მისი არავის ესმოდა. ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თავის გადასარჩენად გარბოდა. უეცრად, ამ ორომტრიალში შვილიშვილის სუსტი ხმა მისწვდა მის ყურს: „ბაბუკა, მიშველე, ვერ ვინძრევი“. თითქოს ზარს შემოჰკრეს და გამოაფხიზლესო, სასონარკვეთილი უცებ მოვიდა გონს. 2-3 მეტრში მისი შვილიშვილი — 13 წლის გივიკო ეგდო, თავი ოდნავ წამოეწია და ბებიას უხმობდა. ამ დროს რამდენიმე „ნივა“ მოვარდა, იქიდან სამხედროები გადმოცვივდნენ და დაჭრილების მანქანებში გადანაწილება დაი-*

# ცხოვრება ომამდე და ომის შემდგომ

## „ხალხის სიკეთემ და შვილიშვილზე ზრუნვამ გამაძლიერა“

*წყეს. ლამის მუხლებში ჩუვარდა სამხედროებს, — შვილიშვილი გადამირჩინეთო...*

*მერე ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. გორის ჰოსპიტალში დაადგინეს, რომ თუ დროზე არ გაუკეთდებოდა ბიჭს ოპერაცია, ქვედა კიდურის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. დიდხანს ალარ დაუყოვნებიათ და თბილისისკენ გამოისტუმრეს. ურთულესი ოპერაცია 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბებია ჯერ კიდევ გორში იმყოფებოდა და შვილის ცხედარს დასტიროდა, მლვდელმა ურჩია, სიტუაცია გართულდა, ამიტომ ჯობს, ხვალვე მიაბარო მინას და შენც თბილისში წახვიდეო. მოხუცმა ქალმა ორი ნათესავი კაცის დახმარებით შვილი მინას მიაბარა.*

*ციცინო ქუშაშვილი 13 წლის გივიკო წვერაველს ბებია გახლავთ, რომლის ამბავიც შემზარავ ფოტოებთან ერთად (სწორედ, დაბომბვის შემდეგ გადაიღეს ქართველმა და უცხოელმა ფოტოკორესპონდენტებმა) „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა. ძნელია, შვილმკვდარ დედასთან საუბარი, მაგრამ იგი ჩემს არც ერთ კითხვას უპასუხოდ არ ტოვებს. ომის შემდგომ თითქოს ათმაგი ენერგია შეემატა.*

— იცი, რა მაძლებინებს, შვილო? გივიკოა ჩემი სიცოცხლის მთავარი წყარო. ისაა ახლა ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი. მე არ მოვკვდები, ვერაფერი მომერევა, სანამ ჩემს პატარა ბიჭს ფეხზე არ დავაყენებ... და კიდევ, ხალხის თანადგომამ გამაძლიერა. თურმე, რა ძალა ჰქონია სიკეთეს. იმიტომ დაგირეკეთ, რომ „კვირის პალიტრა“ იყო პირველი, ვინც ჩემი ტრაგედიის ამბავი გააშუქა. მერე მაია ასათიანის „პროფილში“ მიმიწვიეს და იმდენი დახმარება მივიღეთ, საკუთარ თვალსა და ყურს არ ვუჯერებდი. საზღვარგარეთიდან მირეკავდნენ, მამხნევებდნენ, 3 თვე ვიყავით ჟვანიას სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში. ამ ხნის მანძილზე, მოდიოდნენ და მოდიოდნენ სრულიად უცნობი ადამიანები, მოპქონდათ საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ფული. თქვენი საშუალებით მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

**— მოდი, ჯერ ომამდელი წარსული გაიხსენეთ.**

— ქუშაშვილები მოხეველები ვართ. ყაზბეგში დავიბადე და გავიზარდე. 18 წლის ვიყავი, როცა გორში წამოვედი და ბამბეულის კომბინატში დავიწყე მუშაობა, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე, ნოდარ ვაზაგაშვილი გავიცანი. ერთადერთი და ნებიერა გოგო, მაია შეგვეძინა. მაიკომ გორის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. კარგად სწავლობდა და მაგისტრატურის შემდეგ, უნივერსიტეტში სამუშაოდ დატოვეს — ლექციებს კითხულობდა. მერე სიყვარული ეწვია, რომელმაც არ გაუმართლა. ძალიან ვინერვიულეთ მეც და მამამისმაც, მაგრამ ბავშვის გაჩენაზე მაინც ვერ შევეწინააღმდეგეთ. გივიკომ სულ სხვა სიხარული და სითბო შემოიტანა ჩვენს ოჯახში. მერე მეუღლე გარდამეცვალა. კომბინატი რომ დაიხურა, სახინკლეში დავიწყე მუშაობა... ადრე, დედამისი აქცევდა ყურადღებას თავის შვილს, მე კი დილიდან საღამომდე ვმუშაობდი. ახლა ბიჭს უყურადღებოდ როგორ დავტოვებ?!

**— ახლა იმ კეთილ ადამიანებზეც მიამბეთ, ვისაც ასე ემადლიერებით...**

— ყველას დიდ მადლობას ვუხდი, შვილო, ვინც ჩემი ტკივილი გულთან ახლოს მიიტანა და დახმარება გამიწია. ბევრის სახელი არც კი ვიცი. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობას ჟვანიას სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მედპერსონალის მიმართ გამოვხატავ. სწორედ ექიმმა ეკა უბირმა მომიყვანა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დირექტორი ზაზა რაზიკაშვილი, რომელსაც ახლდნენ პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებულები. რა ალარ მოუტანეს გივიკოს. ახლა კეთილი ადამიანების დახმარებით, გივიკო რეაბილიტაციის კურსს გერმანიაში გაივლის. ამაზე მეტი რაღა უნდა გაუკეთონ, შვილო? მე სხვა არაფერი მინდა. გერმანიაში ჩემი უმცროსი და გაჰყვება ბავშვს. მე გორში დავბრუნდები. ჩვენი კორპუსი უკვე გარემონტებულია, ყველა ოჯახში გამათბობელი „კარმაც“ კი დაამონტაჟეს. მჯერა, გივიკო გამოჯანმრთელებული ჩამოვა და გავაგრძელებთ ცხოვრებას...

*P.S. ეს ინტერვიუ იმ დღეს ჩავიწერე, როცა გივიკო მიუნხენში მიემგზავრებოდა. გამომშვიდობებისას ბიჭმა მითხრა, იმედი მაქვს, გერმანიიდან ჩამოსული ძველებურად ვიქნეო. იმედი ნუ მოუშალოს ღმერთმა. თუმცა, უიმედობის უფლება არც აქვს. მას ხომ უსაზღვროდ ბევრი თანამდგომი და გულშემატკივარი ჰყავს.*

# „თვალდასუფული" ქალები

„...თქვენი რესპონდენტი ბადრი გულწრფელად შემეცოდა. იშვიათია კაცი, რომელსაც ასეთი სიყვარული შეუძლია. თავისებურად, მისი ცოლიც შესაბრალისია. მეც გათხოვილი ვარ და რომ გავიგო, ჩემს ქმარს სხვა უყვარს, ალბათ, გავგიჟდები. როგორც ბადრი ამბობს, ცოლი მას შემდეგ დაწყნარდა, რაც გაიგო, რომ ქეთი საბერძნეთშიაო. კი, მაგრამ მარტო ფიზიკური სიახლოვე ან სიშორეა მთავარი? ყველაზე მნიშვნელოვანი ხომ გრძნობაა? ყოველთვის მიკვირდა იმ ქალების, რომლებიც რაღაცის ხარჯზე (ფულის და კეთილდღეობის) თვალს ხუჭავდნენ ქმრის ღალატზე...

„ცხოვრებაში" დაბეჭდილმა მეორე წერილმა — „როცა ზედმეტი ხარ" აღმაშფოთა. განა, შეიძლება, ასე იოლად დათმო ძვირფასი ადამიანი?

ერთ-ერთი მეგობრის შესახებ მინდა გიამბოთ, ნანამ რომ გაიგო, ქმარი ღალატობდა, ერთი ამბავი დააწია. მერე კონტროლი გააძლიერა მასზე, საათში ერთხელ ურეკავდა და ამოწმებდა. არ გვინდოდა, ცეცხლზე ნავთის დასხმა, თორემ ვეტყოდით, რა აზრი აქვს კონტროლს, თუკი მისი ქმარი გულით და გონებით ისევ იმ ქალთანაა? მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი მეგობარიც ქალების იმ კატეგორიის სიაში შედის, რომელთაც მიაჩნიათ, რომ კონტროლით ჭკუაზე მოიყვანენ ქმარს.

ეჰ, ჩემო კარგებო, ცხოვრება უცნაური რამ არის. ახლა გვიანია, მე წერილს გწერთ, ჩემი ქმარი კი სახლში არ არის. კი გამაფრთხილა, სამსახურში საქმე გამომიჩნდა და დამაგვიანდებაო, მაგრამ რა ვიცი, მართალია? რაზე ავიშალო ნერვები, რაშიც არ ვარ დარწმუნებული? ასე რომ, ეტყობა, ყველა ქალი, ბოლოს და ბოლოს, შეგნებულად ხუჭავს ბევრ რამეზე თვალს. მათ შორის — მეც. **რუსუდანი**".

# „მინდა, თვალი აგიხილოთ"

„...მინდა, წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის („არ ვიცი, რა გზას დავადგე") ავტორს, მელისას გამოვეხმაურო და მეგობრულად ვურჩიო: მელისა, მწარე სიმართლე გერჩივნოს ლამაზ ტყუილს. ახლა მინდა, თვალი აგიხილო და სიმართლე გითხრა: ის შენი დათო, რომელიც დღემდე გიყვარს, გარეწარია და რაც შეიძლება მალე დაამთავრე მასთან ურთიერთობა. ნურც შეხვდები და ნურც ტელეფონით დაელაპარაკები. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ არაკაცურად იქცევა; მეორეც, შენ გყავს ქმარი, რომელიც გეხვეწება ჯვარი დავიწეროთო. განა ღირს, დათოსნაირი კაცის გამო ოჯახის დანგრევა? მას რომ უყვარდე, შენს მეგობართან ფლირტს არ გააბამდა. არც ქმრიან ქალს შემოგიჩნდებოდა, — ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარო. სად იყო მანამდე, როცა სულმოუთქმელად ელოდებოდი? როგორც ახლობელს, ისე გირჩევ, თავი შორს დაიჭირე მისგან. ბოლოს და ბოლოს, ღირსების საკითხია, მაგისთანა კაცს როგორ უნდა ათქმევინო, ამ გოგოს ჩემს ჭკუაზე დავატარებო?! ჯობს, ოჯახს და ქმარს დაუდო გული. **თამუნა, თბილისი**".

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით mbabunashvili@mail.ru

# ბაღდადის სასახლის საიდუმლო

## ანუ სახიფათო მსგავსება

ერაყის მმართველი, 63 წლის სადამ ჰუსეინი ავადაა, მას ლიმფური ჯირკვლების სიმსივნე აქვს და სახსრების ტკივილით იტანჯება, სუნთქვა უჭირს და დროგამოშვებით, მეხსიერებაც ღალატობს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ეს (ზოგიერთისთვის სასიხარულო) ინფორმაცია მსოფლიოში ელვის სისწრაფით გაავრცელეს და აღნიშნეს, რომ ინფორმაცია „სანდო წყაროზე" დაყრდნობით იყო მოპოვებული.

გამორიცხული არ არის, რომ ლეტალური დასასრული ახლოს იყოს, მაგრამ საკითხავია, ვის გაუყენებენ სამუდამო გზას? ეს კითხვა უადგილოდ არ მოგეჩვენებათ, თუ გაითვალისწინებთ, რომ ერაყელ დიქტატორს (ისევე, როგორც მის ახლო ნათესავებს) უამრავი ორეული ჰყავდა. ვინ იცის, იქნებ ერთ-ერთი მათგანის დასაფლავებას აპირებდნენ? თავად „არაბების რაინდი" კი ლათინურ ამერიკაში გადაიხვეწებოდა. ამბობდნენ, ბრაზილიის სანაპიროზე დაუსახლებელი კუნძული ჰქონდა ნაყიდი. თუმცა, ჯობს რეალური ფაქტებით ვიმსჯელოთ.

1997 წლის იანვარში, ვენაში, ერაყელი ბიზნესმენი, ომარ იახია, ოჯახთან ერთად დაიკარგა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მისი ნამდვილი სახელია ლატიფ იახია სალახი, 1992 წელს ერაყიდან გაიქცა და ავსტრიის დედაქალაქში დასახლდა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 10 წლის განმავლობაში, ის სადამ ჰუსეინის შვილის — უდაის ორეული იყო. ის ვენაში პოლიტიკური ემიგრანტის სახელით ცხოვრობდა და მუდმივად შიშის ქვეშ იყო, რადგან ბაღდადელი დიქტატორი არც ერთ იმ მოღალატეს არ სწყალობდა, ვისაც მისი სასახლის შესახებ უამრავი რამის მოყოლა შეეძლო. ლატიფმა სადამის სისასტიკის შესახებ კარგად უწყოდა და ავსტრიის ხელისუფალთ საიდუმლო თავშესაფარი სთხოვა. ადგილობრივმა სპეცსამსახურებმა ის, ოჯახთან ერთად, საიდუმლო მისამართზე ახალი სახელით გადაიყვანეს. უდაიმ მაინც მიაგნო დევნილს, მაგრამ... არაფერი დაუშავა.

როგორც კი ჰუსეინის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ლატიფის სახელი მაშინვე ამოტივტივდა და მისი ოჯახი ვენიდან გაქრა.

ლატიფ იახია სალახი 1964 წელს, მდიდარი ქურთის ოჯახში დაიბადა. ის ბაღდადის ვაჟთა უმაღლეს სკოლაში სწავლობდა. სადამ ჰუსეინის ვაჟი მისი თანაკლასელი გახლდათ. ისინი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ყველას ტყუპი ეგონა.

1986 წელს ლატიფმა იურისტის დიპლომი აიღო, ერთი წლის შემდეგ კი ახალგაზრდა ლეიტენანტმა პრეზიდენტის სასახლეში მისვლის ბრძანება მიიღო. 2 დღის შემდეგ, ზუსტად დათქმულ დროს, ლატიფის სახლთან შავი „მერსედესი" გაჩერდა. გზაში ლატიფი სასახლეში მისი გამოძახების მიზეზის დადგენას ცდილობდა. ის ერაყის არმიის ოფიცერი იყო და კარგად უწყოდა, რომ სასახლეში მიწვეული ადამიანების უმეტესობა უგზო-უკვლოდ





უჩინარდებოდა. სასახლეში შესულს უზარმაზარი, მარმარილოს კიბის თავში ახალგაზრდა მამაკაცი დახვდა, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ ნანახი აღარ ჰყავდა...

— ლატიფ, კეთილი იყოს შენი მობრძანება, — გაუღიმა უდაიმ, — გაბედულად, გაბედულად ამოდი, გელოდი...

როდესაც ისინი მდიდრულად მოწყობილ აპარტამენტებში შევიდნენ, უდაიმ ჰკითხა:

— მითხარი, სადამის შვილი რომ იყო, მოგეწონებოდა?

— ჩვენ ყველანი მისი შვილები ვართ, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ლატიფმა.

— შენ შეგიძლია და უნდა გახდე მისი შვილი, — მტკიცედ თქვა უდაიმ და განმარტა: — მინდა, რომ ჩემი ორეული გახდე. თანახმა ხარ?

ლატიფმა წარმოიდგინა, რა ელოდა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— როგორც ჯარისკაცი, ჩემს პრეზიდენტს უკვე ვემსახურები. მეეჭვება, რომ მისთვის მეტის გაკეთება შევძლო.

უდაიმ ხელით რაღაც მოძრაობა გააკეთა. ოთახში მაშინვე დაცვის თანამშრომლები შემოცვივდნენ და ლატიფი უმოწყალოდ სცემეს. მეორე დღეს, ცოცხალმკვდარი ლატიფი უდაიმ მოინახულა და აღშფოთებულმა, მუშტები დაუშინა.

— შე საზიზღარო, ნაგავო, გახდები თუ არა ჩემი ორეული?

უარის თქმა სიკვდილის ტოლფასი იყო.

იმ დღის შემდეგ ლატიფი ერთგულად ემსახურებოდა უდაის. ის მისი მცველი, ნდობით აღჭურვილი პირი, მოკავშირე იყო და უამრავ დანაშაულში იღებდა მონაწილეობას. ის ძარცვავდა ქუვეითს, ძლივს გადაურჩა რამდენიმე თავდასხმას და უამრავ სახიფათო სიტუაციას.

თუმცა, ეს ყველაფერი ცოტა მოგვიანებით მოხდა. მანამდე კი ლატიფი სასახლის ჰოსპიტალში, ექიმებს მიჰგვარეს, სადაც უდაისთან სრულყოფილი მსგავსების მისაღწევად, მას არაერთი პლასტიკური ოპერაცია ჩაუტარდა. დანტისტებმა კბილები დააძვრეს და უდაის წინ წამოწეული კბილების მსგავსი პროთეზით შეუცვალეს; ნიკაპზე არსებული ღრმული გაუქრეს; ხმის იოგების ოპერაცია ჩაუტარეს, რომ ზუსტად უდაის ხმით ელაპარაკა; ორთოპედიული ფეხსაცმელი დაუმზადეს, რადგან „ორიგინალი“ მასზე 3 სანტიმეტრით მაღალი იყო.

— საკუთარი თავი მეზიზღებოდა, — გამოუტყდა ლატიფი ჟურნალისტებს მოგვიანებით, — სადამი მთელ ჩემს ოჯახს სძულდა და ლამის მეც შემიძულეს, რადგან უდაის ვგავდი.

როდესაც მომზადების სამედიცინო ეტაპი დასრულდა, დაიწყო მეორე — ფსიქოლოგიური ეტაპი. ლატიფი უდაის შესახებ გადაღებულ ვიდეოფილმებს საათობით უყურებდა. მასავით სიარულს, ცეკვას, ჭამას, სმას, მანქანის მართვას სწავლობდა. წინათ ლატიფი არ სვამდა და არც სიგარეტს ეწეოდა. ახლა, ამის გარდა, ხალხთან ისეთსავე უხეშ მოპყრობას სწავლობდა, როგორც უდაი იქცეოდა და „რ“-საც ისევე რბილად გამოთქვამდა, როგორც ერაყის მმართველის ვაჟი. ნერვიულად ეძებდა ჯიბეებში საჭირო ნივთს და მუდამ მოუსვენრად, დაძაბული გამომეტყველებით დადიოდა, თითქოს რაღაც უსიამოვნებას ელოდა.

ფსიქოლოგიურმა ეტაპმა გაცილებით დიდი დრო მოითხოვა, რადგან ლეიტენანტს თამაში სცენაზე კი არა, ცხოვრებაში უხდებოდა და ყოველ წუთს შეიძლებოდა, სიცოცხლეს დამშვიდობებოდა. უდაის სახელი ერაყელებში დღემდე ძრწოლასა და შიშს იწვევს. ის მამასავით მოძალადე და დაუნდობელი მკვლელი იყო. წამებასა და სიკვდილით დასჯის პროცედურებს სიამოვნებით ესწრებოდა.

აი, ასეთი „გმირი“ უნდა ეთამაშა ლატიფს.

ორეულის „დებიუტი“ 1988 წელს, ბაღდადის სტადიონზე შედგა, სადაც ფეხბურთში შიდა ჩემპიონატის მატჩი მიმდინარეობდა. მას გამარჯვებული გუნდისთვის პრიზი უნდა გადაეცა. ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. როდესაც ლატიფი პრეზიდენტის სასახლეში დაბრუნდა, უდაი ვიდეოფირს უყურებდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უდაიმ ორეულს საკმაოდ მოზრდილი ფულის დასტა გადასცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში ხალხში უდაის ნაცვლად მუდამ ლატიფი ჩნდებოდა და მის მაგივრად ლონდონში, პარიზში, ჟენევაშიც კი მიემგზავრებოდა. ქვეყნის გარეთ ლატიფი, უდაის მსგავსად, მრავალრიცხოვანი დაცვით დადიოდა. ბაღდადელი დიქტატორის დაბადების დღეზე, ლატიფი ფრონტის მოწინავე პოზიციებზე გაგზავნეს და ჯარისკაცებისთვის საჩუქრების დარიგება დაავალეს. მას პრეზიდენტის გულისხმიერი და უშიშარი ვაჟის როლი უნდა ეთამაშა.

ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის შემდეგ, ლატიფი ქუვეითში გაგზავნეს. ის ჯავშანტრანსპორტიორით მგზავრობდა და უამრავი სატვირთო და მსუბუქი მანქანა მიაცილებდა.

ყველაზე ხშირად მას გვიან ღამით, ბაღდადის ბნელ ქუჩებში დაჯავშნილი „მერსედესით“ ქროლა უწევდა. ეს უდაის საყვარელი გასართობი იყო. ერთ-ერთი ასეთი გასეირნების ღამეს

ოფიცრების ჯგუფმა დიქტატორის შვილის მოკვლა გადაწყვიტა და მისი ავტომობილი დაცხრილა. ლატიფი დაიჭრა, უდაი კი ამ დროს შვეიცარიაში, ერთ-ერთ რესტორანში იჯდა.

ომის დროს ბაღდადელი ტირანი ლატიფს ისე ენდობოდა, რომ მსხვილმასშტაბიანი ტყუილისთვისაც კი იყენებდა. ერაყის მცხოვრებთ დღემდე ახსოვთ, მოკავშირეთაგან განუწყვეტელი დაბომბვების დროს როგორ უშიშრად მიდიოდა ქუვეითის ფრონტზე უდაი. რაღა თქმა უნდა, ეს ლატიფი იყო, რომელსაც მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინა, რომ სადამის ოჯახი არსად გაქცეულა, როგორც ამას მასობრივი საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ.

ლატიფს ყველაფერ იმის გაკეთების უფლებას აძლევდნენ, რასაც უდაი აკეთებდა, გარდა ერთისა: უდაიმ ის თავიდანვე გააფრთხილა, რომ „მისი გოგონებისთვის“ ხელი არ ეხლო.

ლატიფის თქმით, მან 9 თავდასხმას გაუძლო. უდაის სიკვდილი მხოლოდ რეჟიმის მოწინააღმდეგეებს კი არა, უდაის მიერ გაუპატიურებული ქალებისა იმ მამაკაცების ნათესავებსაც სურდათ, რომლებსაც შეურაცხყოფა მიაყენა ან მოკლა.

ლატიფმა აღიარა, რომ უდაისთან ერთ-ერთი კამათის შემდეგ, ის ციხეში გამოამწყვდიეს, აწამეს და ლამის სიცოცხლეს გამოასალმეს. ორეულის ცხოვრება ნამდვილ საშინელებად გადაიქცა. მას არ შეეძლო შინ იმის მოყოლა, რაც მის „სამსახურში“ ხდებოდა. მას არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა, რომ მეგობრები ჰყოლოდა.

მისი მხოლოდ ერთ ადამიანს ესმოდა და გულახდილად ლაპარაკიც მხოლოდ მასთან შეეძლო. ეს ამირ ფუაზ ალ-ამარი იყო, რომელიც სადამის მეორე ორეული გახლდათ (პირველი 1984 წელს, „სამსახურებრივი მოვალეობის“ შესრულების დროს დაიღუპა).

ფუაზმა სწორედ ისეთივე ქირურგიული და ფსიქოლოგიური საშინელებები გადაიტანა, რაც ლატიფმა. მას პლასტიკური ოპერაციები იუგოსლავიაში ჩაუტარდა, სადაც სახე მთლიანად გადაუკეთეს. ორეულები ერთმანეთს საფეხბურთო მატჩის მეორე დღეს შეხვდნენ.

— ძალიან დავიბენი, — ჰყვებოდა ლატიფი მოგვიანებით, — ჩემ წინ სადამი იდგა, მიღიმოდა და ხელს მიწვდიდდა. ამ დროს პრეზიდენტის სასახლის სარდაფში, ტირში ვიყავი, სადაც სროლაში ვვარჯიშობდი. სადამთან შეხვედრას არ ველოდი, თანაც — დაცვის გარეშე. როდესაც ფუაზ ალ-ამარიმ ჩემი დაბნეულობა შენიშნა, გაიცინა და ნამდვილი სახელით გამეცნო.

ორეულები დამეგობრდნენ, მაგრამ ეს ცოტა უცნაური მეგობრობა იყო. ისინი ერთმანეთს მხოლოდ პრეზიდენტის სასახლეში ხვდებოდნენ. უფრო ხშირად — მის სარდაფში. ხალხში ერთად არ ჩნდებოდნენ და არც „სამსახურებრივ“ თემებზე საუბრობდნენ.

თვეში ერთხელ ისინი სამედიცინო შემოწმებას გადიოდნენ, რადგან ექიმები უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ თითოეულს იგივე წონა ჰქონდა, რაც „ორიგინალს“, მათ კბილებს არაფერი ემუქრებოდა და თავ-თავიანთ „პროტოტიპს“ სრულად შეესაბამებოდნენ.

ფუაზ ალ-ამარის ცხოვრება გაცილებით რთული იყო, ვიდრე მისი კოლეგის. უდაის ორეულს ხალხში გამოჩენა, რესტორანში, დისკოთეკასა თუ სპორტულ შეჯიბრებებზე სიარული და უცხოეთში წასვლა შეეძლო. სადამი კი არსად დადიოდა. ამიტომ, მისი ორეულიც ყოველივე ამას მოკლებული იყო. ის შინიდან გარეთაც კი ვერ გადიოდა, რადგან ისე ჰგავდა სადამს, რომ მაშინვე მოკლავდნენ. ფუაზი სასახლიდან მხოლოდ მაშინ გადიოდა, როდესაც სადამის როლს ასრულებდა. მაშასადამე, ძალზე იშვიათად. ერაყელ დიქტატორზე თავდასხმა შვიდჯერ მოხდა. თავად სადამის სიცოცხლეს საფრთხე მხოლოდ ერთხელ შეექმნა, დანარჩენ შემთხვევებში, ფუაზ ალ-ამარი იგდებდა თავს საფრთხეში.

ლატიფმა კარგად უწყოდა, რომ ორეულს საკუთარი, პირადი ცხოვრება არ ექნებოდა. მცირე დაუმორჩილებლობის შემთხვევაშიც კი მას მოკლავდნენ.

სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, როდესაც ყველა მიხვდა, რომ ერაყი „განტევების ვაცი“ გახდა, ხოლო გაბოროტებული სადამი ათასობით ადამიანს ხვრეტდა, ლატიფი გამუდმებით ქვეყნიდან გაქცევაზე ფიქრობდა. ერთხელ კი საამისოდ კიდევ უფრო ხელშესახები მიზეზი მიეცა: მორიგი ღრეობის შემდეგ, ლატიფი და უდაი იმის გამო წაკამათდნენ, რომ ერთ-ერთმა ქალმა უდაის მისი ორეული ამჯობინა. ლატიფმა იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ ამბავს და გაქცევა გადაწყვიტა. უდაის მანქანით ქურთისტანამდე მივიდა, შემ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



დეგ, გზა ფეხით განაგრძო და თავის ძველ მეგობარს მიადგა. ის ეროვნებით ქურთი გახლდათ და თანამოძმისგან დახმარების იმედი ჰქონდა. არც შემცდარა. ქურთებმა ის ამერიკული ჯარის შტაბბინაში გადაგზავნეს. რა თქმა უნდა, ამერიკელებმა ლატიფს არ დაუჯერეს. მასთან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა დაზვერვის 4 ოფიცერი.

მოგვიანებით, ლატიფის ცოლი — ბუშრა და მისი ახალშობილი გოგონა ქურთულმა საიდუმლო ორგანიზაციამ იორდანიაში ჩაიყვანა, იქიდან კი ვენაში, ლატიფს მიჰგვარეს.

1996 წლის შემოდგომაზე, ლატიფის ფაქსზე, რომლის ნომერიც მხოლოდ ახლობლებისთვის იყო ცნობილი, უდაის მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია მივიდა: „დაბრუნდი და ყველაფერს გაპატიებ“. ლატიფს ამნისტიის გარანტიასა და პირად უსაფრთხოებას ჰპირდებოდნენ, თუ ერაყში საკუთარი ნებით დაბრუნდებოდა. ლატიფმა საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა და პრესტიჟული სამსახურიც მიატოვა. 1997 წლის იანვარში, როდესაც ეგონა, რომ ის უკვე გადაავიწყდათ, მას მაინც მიაგნეს. ის და მისი ოჯახი გაიტაცეს და ერაყში დააბრუნეს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სადამის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. თუმცა, დანამდვილებით მხოლოდ ორმა ექიმმა იცოდა, მკურნალობის კურსს ნამდვილი სადამი გადიოდა თუ მისი ორეული. დანარჩენი სამედიცინო პერსონალი დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილად სადამს მკურნალობდნენ. თუ ავად სადამი გახდებოდა, მას მსოფლიოს საუკეთესო ექიმები უმკურნალებდნენ, ხოლო ორეულს იოლად შეცვლიდნენ.

მხოლოდ ამ დროს გაახსენდათ ბაღდადში, რომ სადამის ორეულის შეცვლა მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო. ეს ლატიფი იყო და მის სადამად „გადაკეთებას“ მცირე დრო დასჭირდებოდა, რადგან მამა-შვილი ძალზე ჰგავდა ერთმანეთს. აქედან გამომდინარე — მათი ორეულებიც.

ვენიდან ლატიფის გაუჩინარებას მხოლოდ ერთი ახსნა ჰქონდა: ფუაზ ალ-ამარი მალე მოკვდებოდა, მის ადგილს კი ლატიფი დაიკავებდა. მანამდე კი მოსახლეობის „საყვარელი“ პრეზიდენტი ხალხში და კამერების წინ არ გამოჩნდებოდა, შემდეგ კი ოდნავ გამხდარი და გაახალგაზრდავებული, ისევ ღიმილიანი სახით დაუქნევდა ხელს.

ლატიფის ბედის კი ალბათ არავის შეშურდება, რადგან დიქტატორის როლის შესრულება არც ისე იოლია.

ამ ყველაფერს შესაძლოა, ერთი დადებითი მხარე ჰქონდეს: ორეულის როლის შესრულებით, ლატიფმა ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო. თუმცა, ვინ იცის, ის, ვინც შვილის ორეულს ფულს აძლევდა, შესაძლოა, ისეთივე ორეული იყო, როგორიც ლატიფი და კარგად უწყოდა, რა ძნელია მათი ცხოვრება, ვინც პირველ პირს თამაშობს. ●

მოკლე ჩართვა

## რას ვეტყოლი პატრუელს, პირველი სართულის ფანჯარაში თვალთვალის დროს რომ დაიჭირეს?

• დამიჭერს და დამიჭიროს, არ ვიქნები ლირსი, თუ?! მაგრამ რათა, რათა, რათა... და თქვენ რატომ მითვალთვალებთ, ბატონო პატრულო? მერცია.

• რა იყო, ძამა, თვალისთვის წყალი არ დაგილევინებია? ტირიფი73.

• არა, ბატონო ოფიცერო, მე იმიტომ ვუთვალთვალებდი, რომ ქმარმა დააგვიანა და ვიფიქრე, ლამარის ხომ არ შეუარა-მეთქი. ვიკა.

• პატრულმა რომ დამიჭიროს, როცა პირველი სართულის ფანჯარაში ვუთვალთვალებ? ვერ (არ) დამიჭერენ, რადგან არ ხდება ასე. ისე, ეგ კითხვა საიდან მოგაფიქრდა, მარ? პატრული ხომ არ გადაგემტერა? აბეზარა.

• ვეცდები, დავარწმუნო, რომ ჩემი სახლია და ბავშვს „დამალობანას“ ვეთამაშები-მეთქი. ან ეჭვიანი მეუღლის როლს გავითამაშებ, ქმარს რომ უთვალთვალებს და საერთოდ, გააჩნია, სინამდვილეში, რა მიზნით ვიქნები ფანჯარასთან ატუზული. მე.

• ვაა, პატარა ცუგები? აქ საიდან?

• ვუთვალთვალებ? მეეეე? აბა, რას ამბობთ, აუა ბიძია? უბრალოდ, ვამოწმებ, მარჯვენა თვალთან „ტუში“ ხომ არ გამეთხაპნა? რას მიყურებ, რა, გამეთხაპნა? სიკვდილა.

• დედას გااااااფიცებ, პატრულო ბიძია... ერთად ვუცქიროთ, „ბრااატ!“ მეგრელი მგელო. •

>>> 15

# ფულის პოვნის ყველაზე პინძური გზები

## ქალი — მკვლელი

ზოგიერთი ადამიანი ფულის გულისთვის ყველაფერზე წამსვლელია და მიზნის მისაღწევად შეუძლია, საშინელი დანაშაულიც კი ჩაიდინოს.

კარგი ცხოვრების გასაღები „დანაკარგიდან“ მოგების მიღებაში

მდგომარეობს. სწორედ ასეთ წესს მისდევდა ბელ ჰანესი, რომელმაც წარმატებას დამანგრეველი ხანძრის შედეგად მიაღწია.

1881 წელს ბელი ნორვეგიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, სასწრაფოდ გათხოვდა და საკონდიტრო მაღაზია გახსნა. თუმცა, ამ საქმემ მოგება ვერ მოუტანა. ერთი წლის შემდეგ მაღაზია დაიწვა და ფერფლად იქცა. საბედნიეროდ, პატრონს ის დაზღვეული ჰქონდა. სადაზღვევო თანხით ბელმა ოსტინში სახლი შეიძინა, რომელიც 1898 წელს ასევე დაიწვა. საბედნიეროდ, სახლიც დაზღვეული აღმოჩნდა. 1900 წელს ჰანესის ქმარიც დაიწვა... უფრო სწორად, გარდაიცვალა და სხვათა შორის, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მან საკუთარი სიცოცხლე დააზღვია.

ბელმა მიღებული თანხით ინდიანის შტატში, ლა პორტში ფერმა შეიძინა. როგორ გგონიათ, რა მოხდა? ფერმაში გადასვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ნავების შესანახი ფარდული დაიწვა. ეს უცნაურად არ გეჩვენებათ?

1902 წელს, საკმაოდ უცნაური „უბედური შემთხვევის“ შედეგად, ბელ ჰანესის მეორე ქმარიც გარდაიცვალა. „შემთხვევით“ მას თავში მოზრდილი ხორცსაკეპი მანქანა დაეცა. შედეგად, ბელმა სადაზღვევო კომპანიისგან 30 ათასი დოლარი მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ, ქალმა ახალი მეგზურის ძებნა დაიწყო, რომელიც „ცხოვრებისეულ სირთულეებს“ გადაატანინებდა და ერთ-ერთ ნორვეგიულ გაზეთში შესაბამისი განცხადება განათავსა. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მასთან ნორვეგიიდან თაყვანისმცემლები ჩადიოდნენ, საკუთარ სიცოცხლეს აზღვევდნენ და მოკლე ხანში უჩინარდებოდნენ.

1908 წლის აპრილში, ფერმაში მომხდარი მორიგი ხანძრის შემდეგ, პოლიციამ სარდაფში ერთი მოზრდილი ადამიანის და 3 ბავშვის დამწვარ გვამებს მიაკვლია. პოლიციამ დაადგინა, რომ მოზრდილი ადამიანის ცხედარი ბელის იყო. ამოცნობა იმან გაართულა, რომ ნეშტს თავი ჰქონდა მოჭრილი.

საქმის გამოძიების დროს, პოლიციელებმა ფერმის უკანა ეზოში კიდევ 12 გვამი და სხეულის სხვადასხვა ნაწილი აღმოაჩინეს. თუმცა, ბელის თავს ვერც იქ მიაკვლიეს. ამერიკის ისტორიაში, ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი, ყველაზე ცნობილი ქალი — მკვლელია. ორი ათეული წლის განმავლობაში, ბელმა სადაზღვევო კომპანიისგან ფულის მიღების მიზნით, 30-ზე მეტი ადამიანი გამოასალმა სცოცხლეს.

რა თანხა მიიღო ბელმა ამ გზით? მხოლოდ იმ თაყვანისმცემლებისგან, ვინც მის ანკესს წამოეგო, — 30 ათასი დოლარი, ხოლო საერთო თანხამ 250 ათასი დოლარი შეადგინა. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამ თანხის მოპოვებას 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ეს ციფრი სულაც არ მოგვეჩვენება შთამბეჭდავად.

## გვამების გაფლეთ ნაშოვნი სიმდიდრე

უილიამ ბერკიმ და უილიამ ჰეამ, როგორც XIX საუკუნის ინგლისის ახალგაზრდების უმეტესობამ, საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს. თუმცა, მათი საქმე საკმაოდ უჩვეულო გახლდათ. ისინი გვამებს იპარავდნენ და გარკვეული საფასურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაცვლოდ, ცხედრებს სამედიცინო-სასწავლო დაწესებულებებს გადასცემდნენ (სტუდენტების პრაქტიკისთვის). იმ დროისათვის, ბრიტანეთში, ამგვარი დანაშაულებრივი ქმედება საკმაოდ გავრცელებული გახლდათ, მაგრამ ხელისუფლება თვალს ხუჭავდა. პირველი შემოსავალი ბერკმა და ჰეამ მათ მიერ დაქირავებული ბინის პატრონის გვამის გაყიდვით მიიღეს. ის 7 გირვანქა სტერლინგად ედინბურგის სამედიცინო კოლეჯს მიჰყიდეს. ამის შემდეგ, ახალგაზრდებმა შემოსავლის გაზრდა გადაწყვიტეს. თავდაპირველად, ისინი ახალი მიცვალებულების საფლავებს თხრიდნენ, შემდეგ კი ადამიანების დახოცვა თავად დაიწყეს.

წელიწად-ნახევრის განმავლობაში წყვილმა 16 ადამიანი მოკლა. ყველა მათგანისგან ისინი ბინას ქირაობდნენ და შემდგომში სახლის პატრონს კლავდნენ.

„ბიზნესმენები" ერთ-ერთი ბინის მფლობელმა გამოააშკარავა. მან საწოლის ქვეშ გვამს მიაგნო და მაშინვე პოლიციას შეატყობინა. ჰეამ სასჯელს თავი მეგობრის „ჩაშვებით" აარიდა. მან ჩვენება „კომპანიონის" წინააღმდეგ მისცა. შედეგად, 1829 წელს უილიამ ბერკი ჩამოახრჩვეს, მისი გვამი კი ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებას გადასცეს. სავარაუდოა, რომ ეს მამაკაცები მზად იყვნენ, ქალაქის მთელი მოსახლეობისთვის გამოეჭრათ ყელი, ოღონდაც ფული ეშოვათ. ბერკი დღიურს აწარმოებდა, სადაც თითოეული მკვლელობის დეტალებს აღწერდა. დღიურში ასეთ ჩანაწერს წააწყდებით: „1-ელი ივლისი. ინგლისელი 10 გირვანქა სტერლინგად გავყიდეთ"... ზუსტადაა ცნობილი ის, რომ მათ 16 მკვლელობა ჩაიდინეს, მაგრამ უცნობია, რამდენი გვამი ამოთხარეს.

## დაშნვარი სახლების ბიზნესი

მარკუს ლიცინიუს კრასუსი რომაელი მთავარსარდალი და პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე 115-53 წლებში ცხოვრობდა. ის ცნობილია, როგორც სპარტაკის აჯანყების ჩამხშობი. კრასუსის სიმდიდრის წყაროს ომის მსხვერპლთა სახლების გაყიდვა, მონებით ვაჭრობა და ვერცხლის მოპოვება წარმოადგენდა. მიიჩნევენ, რომ პირველი სახანძრო სამსახური სწორედ კრასუსმა შექმნა, მაგრამ ეს ქველმოქმედების კი არა, ხელის მოთბობის მიზნით გააკეთა.



ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რომში მასშტაბური ხანძრების რიცხვი გაიზარდა. სახლები ერთმანეთთან ახლოს იდგა და ხის საყრდენი ბოძები ჰქონდა. ასე რომ, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, ალი ადვილად ვრცელდებოდა და შენობები მთლიანად იწვოდა. გამჭრიახმა კრასუსმა ამ საქმით ფულის შოვნა გადაწყვიტა. მან 500 მონა იყიდა და მათგან სახანძრო რაზმი ჩამოაყალიბა. როგორც კი სადმე ხანძარი გაჩნდებოდა, კრასუსი მეხანძრეებთან ერთად, მაშინვე იქ ამოყოფდა ხოლმე თავს და სახლის მფლობელებს ცეცხლმოკიდებულ სახლში მიზერულ თანხას სთავაზობდა. შემდეგ ცეცხლს აქრობდა და იმავე მონების შრომით დამწვარი ნაწილის რესტავრაციას ახდენდა. მოგვიანებით კი აღდგენილ სახლს ძველ მფლობელს გაცილებით ძვირად მიჰყიდდა ხოლმე.

საბოლოო ჯამში, კრასუსმა ამ გზით დიდძალი ქონება დააგროვა. თანამედროვე საზომით მისი ქონება 169,8 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მარკუს ლიცინიუს კრასუსი ყველა დროის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ათეულში შედის. ამასთან, ის ძალზე ძუნწი გახლდათ, რის გამოც სიკვდილის შემდეგ, მტრებმა მარკუსს თავი მოაჭრეს და პირში გამდნარი ვერცხლი ჩაასხეს.

## ვერონის მცხოვრებთა გამლიერების ხერხი

გასული საუკუნის 50-იან წლებში, იმ უბედურ შემთხვევათა უმეტესი ნაწილი, რომლის შედეგადაც ადამიანები კიდურებს კარგავდნენ და ინვალიდდებოდნენ, რატომღაც ფლორიდის დასავლეთში ხდებოდა. სადაზღვევო კომპანიის აგენტის, ჯონ ჰილის თქმით, ვერონის მცხოვრებნი გამიზნულად ისახიჩრებდნენ თავს, რომ სადაზღვევო თანხა მიეღოთ. 50 მოქალაქე (იმ დროსითვის ვერონაში სულ 780 ადამიანი ცხოვრობდა) „უბედური შემთხვევის" შედეგად დაზარალდა. ჯონის თქმით, მის კლიენტებს შორის იყო მამაკაცი, რომელსაც მარჯვენა ხელი ხერხმა მოაჭრა, კაცი, რომელმაც ნადირობის დროს ფეხში ტყვია მოირტყა. ერთ-ერთი კლიენტი კი მასთან სადაზღვევო ბარათის მიღებიდან 12 საათის შემდეგ უკვე დაზარალებულის როლში გამოცხადდა. ერთმა ფერმერმა კი ფეხის მოჭრამდე, თავისი კიდურის დაზღვევა, 38 სადაზღვევო სააგენტოში მოახერხა. მას ფეხში ტყვია ჰქონდა მორტყმული. სადაზღვევო აგენტები მსგავს საქმეებს დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ და ყველა შემთხვევას საგანგებოდ იკვლევდნენ. თუმცა, არც ერთი დაზარალებული თაღლითად არ უცნიათ. ამ ფერმერის მიერ სადაზღვევო კომპანიისგან მიღებულმა თანხამ 1 მილიონი დოლარი შეადგინა.

„ძნელია, მოსამართლე დაარწმუნო, რომ ადამიანს შეუძლია, თავად მოიჭრას ფეხი", — ამბობდნენ სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლები. თუმცა, ხანდახან „გიჟად" ყოფნა ძალზე მომგებიანია.

# 2008 წლის ნობელის პრემიის laureatebi

**ჰარვარდის უნივერსიტეტში ანტინობელის პრემიის (ნობელის პრემიის) გადაცემის მე-18 ცერემონია შედგა. ეს პრემია ყველაზე საეჭვო და „უხერხული“ მეცნიერული ნაშრომისთვისაა დაწესებული. წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, ნობელის პრემია სხვადასხვა ნომინაციაში გახლდათ დაწესებული.**

• ქიმიის დარგში მისი მფლობელი შობადობის კონტროლის მეცნიერთა ჯგუფი გახდა. მათ დაადგინეს, რომ ცნობილი სასმელი, „კოკა-კოლა“ და „პეპსი“ შესაძლოა, კონტრაცეპციად იქნას გამოყენებული. უცნაურია, მაგრამ გასული საუკუნის 50-იან წლებში ზოგიერთი ქალბატონი, სექსუალური აქტის შემდეგ, „კოკა-კოლის“ „შხაპს“ იღებდა, რადგან მაშინ კონტრაცეპტივის შოვნა ძნელი იყო. მიიჩნევდნენ, რომ სასმელში შემავალი ნახშირორჟანგი სპერმაციდული თვისებების მქონე აირი გახლდათ. ზემოთ ხსენებულმა მეცნიერთა ჯგუფმა უამრავი ცდა ჩაატარა. ისინი სპერმას „კოკა-კოლაში“ ურევდნენ. შედეგებმა აჩვენა, რომ სპერმატოზოიდების 95% კვდებოდა.

• მედიცინის დარგში ნობელის პრემია ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორმა, დენ ერაიელიმ მიიღო. მან ექსპერიმენტი 2 ჯგუფზე ჩაატარა. მათ ერთნაირი პლაცებურ-ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები დაურიგა („პლაცებო“ — „მომწონს“. ფიზიოლოგიურად ინერტული ნივთიერებაა, რომლის სამკურნალო ეფექტიც ფსიქოლოგიური გზით მიიღწევა). პირველ ჯგუფში მყოფ პაციენტებს უთხრა, რომ წამლის ერთ აბს 2,5 დოლარად აძლევდა, მეორე ჯგუფის წევრებს კი — 10 ცენტად. შემდეგ მეცნიერი პაციენტებს მცირე ძაბვასთან აერთებდა. შედეგად, აღმოჩნდა, რომ პაციენტები, რომლებიც 2,5-დოლარიან წამალს იღებდნენ, ტკივილს გაცილებით უკეთ იტანდნენ. მეცნიერმა დაადგინა, რომ წამლის მოქმედების ეფექტი მის ფასზეა დამოკიდებული. რაც უფრო ძვირია პრეპარატი, მით მეტად ეფექტიანია ის.

• ეკონომიკის დარგში პრემია სამმა მეცნიერმა მიიღო. უბრალოდ, მათი გამოკვლევა ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა, ვინაიდან მსოფლიო ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ სურდათ გაეგოთ, შეუძლია თუ არა ქალს, ისევე, როგორც მდედრ ცხოველს, გამოხატოს, რომ ჩასახვისთვის ხელსაყრელ ფაზაში იმყოფება. მეცნიერებმა სტრიპტიზის მოცეკვავეებს სთხოვეს, მიეწოდებინათ სხვადასხვა თვეში გამომუშავებული თანხის ოდენობა. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქალები, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო, ჰორმონულ პრეპარატს არ იღებდნენ, გაცილებით მეტ ფულს გამოიმუშავებდნენ.

• არქეოლოგიის დარგში ნობელის პრემია სან-პაულუს უნივერსიტეტის ორმა პროფესორმა მიიღო. მათ გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ ცხოველების ქმედება და სიძველეების მიმართ მათი ინტერესი.

• ყველაზე პრესტიჟული პრემია ბიოლოგიის ეთიკაში შვეიცარიის ფედერალურმა კომისიამ მიიღო. მისი წევრები ამტკიცებენ, რომ ყველაფრის მიუხედავად, მცენარეებს ღირსების გრძნობა აქვთ.

• კვების დარგში პრემია ორმა მეცნიერმა მიიღო. ისინი მიიჩნევენ, რომ ელექტრომოწყობილობის საშუალებით კარტოფილის ჩიფსის ხრაშუნის ხმის შეცვლა შეძლეს.

• ბიოლოგიის დარგში სამმა ფრანგმა მეცნიერმა დაადგინა, რომ ძაღლზე „მცხოვრები“ რწყილები უფრო მაღლა ხტებინ, ვიდრე კატაზე „მცხოვრებნი“.

• ამერიკელების ჯგუფმა ფიზიკის დარგში დაადგინა, რომ სიმი, თმა ან მათი მსგავსი სხეული ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაინასკვება.

• ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია დევიდ სიმსმა მიიღო, წიგნისთვის: „ეი, შენ, მახინჯო! ანუ ორგანიზაციებში შეურაცხყოფის მიყენების გამოცდილების ლიტერატურული გამოკვლევა“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყოველთაო პრობლემები ანუ ვის რისი შიში აქვს

ამ ბოლო დროს, მკითხველთა წერილებმა იმატა და უკვე იმდენი დაგროვდა, რომ მათ წაკითხვასაც ველარ ავუდივარ. თანაც, ბევრი მსაყვედურობს იმის გამო, რომ მათ კითხვებს უპასუხოდ ვტოვებ. დღეს რამდენიმე მათგანს განვიხილავ.

ზრაფი თარხანი

## „როგორ მოვექცე უმუშევარ ქმარს?“

„გამარჯობა, გრაფო!

ძალიან გთხოვთ, უპასუხოდ ნუ დამტოვებთ. ძალზე დიდი პრობლემის წინაშე ვდგავარ და იქნებ, გამოსავალი მაპოვნინოთ. უკვე 9 წელია, გათხოვილი ვარ და ჩემს ქმარს ოჯახში ჯერ 1 თეთრიც კი არ შემოუტანია. ფულს ხან ვისგან სესხულობს, ხან — ვისგან. ჩემი მამამთილი სამხედრო პირი და ძალზე მკაცრი ადამიანია. ჩემს ქმარს მამამისის ეშინია და ფულის სათხოვნელად მასთან ვერ მიდის, თანაც, ერთმანეთს ვერ იტანენ. მოგეხსენებათ, ოჯახს უამრავი ხარჯი აქვს. უკვე ვალებში ვიხრჩობით. ჩემი მწირი ხელფასით ყველაფერს ვერ ვწვდები. ქმარი სულ მპირდება, რომ აუცილებლად დაიწყებს მუშაობას, მაგრამ ტელევიზორის ყურების, მეგობრებთან „დომინოს“ თამაშის, ლუდის სმისა და ძილის მეტს არაფერს აკეთებს. ხშირად უკანასკნელ „კაპიკებს“ მართმევს, რომ თავისნაირ უქნარა ძმაკაცებთან ერთად არაყი დალიოს; მე კი იმ სალამოს ბავშვებს დასაძინებლად მშიერებს ვაწვენ. თუ უარს ვეტყვი, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადის. მისი მევალეებიც მე მაკითხავენ. უკვე აღარ შემიძლია, მისი უმუშევრობის გამო, ოჯახში სიტუაციაც დაგვეძაბა. როგორც კი ამ თემაზე ლაპარაკს დავიწყებ, სკანდალისტსა და უქნარას მეძახის, უმიზეზოდ ღალატში მდებს ბრალს და მეუბნება, რომ მისგან წასასვლელად მიზეზს ვეძებ. შევეცადე, მისთვის სამსახური მეშოვა, მაგრამ უარი განაცხადა, მაგის განწყობილება არ მაქვსო, მიპასუხა. თურმე, დეპრესიაშია, ვაუბატონი. არადა, ვიცი, დაეზარა. სახლში ხან საპონი არ გვაქვს, ხან — პური, ხანაც — დენი, გადაუხდელობის გამო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? იქნებ, გავშორდე? მაშინ ნაკლები ხარჯი მექნება, სიგარეტისა და ლუდის ფულს მაინც დავზოგავ და ამ ფულს შვილებს მოვახმარ. პატივისცემით, მანანა. თუ რაიმე შეკითხვა გაქვთ, მკითხეთ და გიპასუხებთ“.

— გამარჯობა, მანანა. მართლაც მაქვს რამდენიმე კითხვა: როგორ ხედავ შენს მომავალ ცხოვრებას ქმართან ერთად? იქნები თუ არა ბედნიერი და წარმატების მიღწევას თუ შეძლებ? რას მიიღებ იმ მსხვერპლის სამაგიეროდ, რომელსაც მისი გულისთვის იღებ? განა რამდენ ხანს შეძლებ „დიდ ბავშვზე“ ზრუნვას? რა უფრო მეტად გაშინებს, ქმართან გაშორება თუ „შექმნილი სიტუაციის“ მსხვერპლის როლი? თუ ამ კითხვებმა არ შეგაშინა და ისეთი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლია, რომელიც შენს ცხოვრებას შეცვლის, მაშინ ჯობს, წარსულს გადახედო და ისე მოიქცე, როგორც ბავშვების მომავლისთის უკეთესი იქნება. მე არ გიბიძგებ ოჯახის დანგრევისკენ, მაგრამ ნათქვამია, გაუჭირს გატეხილი სჯობიაო. დანამდვილებით კი ერთი რამ შემიძლია, გითხრა: შენი მეუღლე შვილებს ცუდ მაგალითის აძლევს.



## „ღალატი ვაპატიე, მაგრამ ვერ ვივიწყებ“...

**„გამარჯობა, გრაფო. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ ქმარი მღალატობდა. ამის შესახებ თავად მისმა საყვარელმა მითხრა. საშინელ დღეში ჩავვარდი. წარმოიდგინეთ, სულ რამდენიმე თვის გათხოვილი ვიყავი და უეცრად, 5 თვის ფეხმძიმე ვიგებ, რომ ქმარი მღალატობს. ყურებს არ დავუჯერე, როცა იმ გახრწნილმა ქალმა დამირეკა და მითხრა, რომ თურმე მათ ერთმანეთი უყვართ და მე ხელს ვუშლი მათ ბედნიერებას. როდესაც ქმარს ამის შესახებ ვკითხე, იმ კახპის ნათქვამი დაადასტურა, მაგრამ აღნიშნა, რომ კი არ უყვარს, უბრალოდ, მასთან დადის და ოჯახის დანგრევას არ აპირებს... შეძრწუნებულმა, შინიდან გავაგდე. ის საცხოვრებლად თავის მშობლებთან გადავიდა. 2 თვის წინ შვილი შეგვეძინა, რის გამოც ქმარს ღალატი ვაპატიე და შევურიგდი, მაგრამ ღალატის დავიწყება არ შემიძლია. ლამის გავგიჟდე, სულ ამაზე ვფიქრობ. იქნებ დამეხმაროთ და მირჩიოთ, როგორ დავივიწყო ეს საშინელება?“**

— ადამიანების ურთიერთობაში არსებობს ისეთი მომენტები, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. უბრალოდ, ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის და აპატიო. მესმის, რომ როდესაც ერთმანეთს ისეთი მოვლენები ემთხვევა, როგორიცაა ორსულობა, მშობიარობა და ქმრის ღალატი, ძალზე ძნელია, ემოციებს გაუმკლავდე და რაღა თქმა უნდა, ეს ფსიქიკისთვის ძლიერი დარტყმაა. ამიტომ, სამწუხაროდ, რეცეპტი, თუ როგორ დაივიწყო ეს საშინელება, არ არსებობს.



## „გამოგონილი ეჭვი“

**„გრაფო, ძალზე გამიჭირდება ჩემი პრობლემის მოკლედ გადმოცემა. უფრო სწორად, ჩემ მიერ გამოგონილი პრობლემის სწორად განმარტება. ძალიან მჭირდება ფსიქოლოგის კონსულტაცია, მაგრამ ვინაიდან ასეთი მომსახურება ძალზე ძვირია, კერძო ფსიქოლოგთან მისვლას ვერ შევძლებ. ვფიქრობ, თქვენთან ურთიერთობა კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ სწორად მირჩიოთ რამე. ერთი წელია, შეყვარებული მყავს. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ჩემი უაზრო ეჭვიანობის გამო, სულ ვჩხუბობთ. მე მას არ ვენდობი და უკვე იმ ზომამდე მივედი, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობა საერთოდ ავუკრძალე. მისი ოჯახის წევრებზეც კი ვეჭვიანობ. მას ვუყვარვარ და ყველაფერზე თანახმაა, მაგრამ თუ რომელიმე ლამაზ გოგონას თვალს გააყოლებს, მაშინვე ისტერიკა მემართება — ვტირი, ვჩხუბობ და საშინელ სკანდალს ვაწყობ. კიდევ ბევრი ნიუანსი არსებობს, მაგრამ პრობლემის ძირითადი აზრი გადმოგეცით. ცხოვრების ასე გაგრძელება მიჭირს. ძალიან გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და მიკარნახეთ, როგორ გავაგრძელო ცხოვრება?!“**

— ეჭვიანობა ის სენია, რომელიც ადამიანს შიგნიდან ღრღნის. პრობლემა თავად შენშია. თუ მამაკაცი თანახმაა, რომ შენი გულისთვის დანარჩენ ქალბატონებთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტოს, მას მართლაც ჰყვარებიხარ. საკუთარი თავი უნდა აიძულო, რომ ეჭვიანობის გრძნობა დათრგუნო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აუცილებლად დაკარგავ. დაუკვირდი შენს ქმედებას. ნუთუ არასოდეს გაგქცევია თვალი სხვა მამაკაცისკენ? ამ დროს ღალატში რომ დაგდონ ბრალი, როგორი რეაქცია გექნება? რა თქმა უნდა, საშინელი, რადგან დარწმუნებული ხარ, რომ ღალატს გულში არ გაივლებ და სხვა მამაკაცს უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო შეხედე — მისმა ჩაცმულობამ, ვარცხნილობამ ან თუნდაც, მობილურმა ტელეფონმა მიიქცია შენი ყურადღება, ამ დროს კი ღალატს გაბრალებენ! გამოდის, საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ, საყვარელი ადამიანის გრძნობაში — არა. მაშინ, ასეთ ურთიერთობას აზრი არ აქვს. თუ მამაკაცი ეჭვიანობის საფუძველს არ მოგცემს, შენ კი მასზე ძველებურად იეჭვიანებ, მერწმუნე, სულ მალე შენი ეჭვი საფუძვლიანი გახდება და ის მართლა დაინტერესდება სხვა გოგონებით, რადგან ადრე თუ გვიან, ყველას მოსწყინდება ეჭვიანობის სცენების ყურება და ერთი და იმავე საყვედურის მოსმენა.

## „მამის სიკვდილით გამოწვეული დანაშაულის გრძნობა“

**„გამარჯობა, გრაფო. ის, რაც ახლა ჩემს თავს ხდება, აბსოლუტურად გაცნობიერებული მაქვს და საკუთარი თავის მრცხვენია კიდეც. ვერ ვიტან საკუთარ თავს, მაგრამ სხვებისთვის რჩევების მიცემა ხომ გაცილებით იოლია, ვიდრე საკუთარი პრობლემიდან გამოსავლის მოძებნა. მამის სიკვდილში თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ვიცი, რომ მისი გადარჩენა ღმერთსაც კი არ შეეძლო. ექიმებმაც ხომ ხელი ჩაიქნიეს... მაგრამ გული გახეთქაზე მაქვს... მის სიკვდილში კი არა, თავს დამნაშავედ უფრო იმის გამო ვგრძნობ, თუ როგორ წავიდა ის ამ ქვეყნიდან. თავის მოკვლა მინდა, როცა მახსენდება, რომ ყოველ წუთს მის გვერდით ვერ ვიყავი და საკუთარ დედას მისი თავი**



არ წავართვი (მგონია, რომ ამ მდგომარეობამდე სწორედ მან მიიყვანა). ვბრაზობ დედაზე, ძმაზე... იქნებ, იმიტომ, რომ ჩემი დანაშაულის მათზე გადაბრალებას ვცდილობ? მამის წმინდა ხსოვნის გამო არ მინდა მოგიყვეთ, როგორი ურთიერთობა მქონდა ჩემს ოჯახთან. უბრალოდ, მინდა, წყენისა და სიძულვილისგან გავთავისუფლდე, რადგან ამჟამად დედას ყოველდღე ვხვდები (შექმნილი სიტუაციის გამო მასთან ვცხოვრობ). მხოლოდ ღმერთმა იცის, როგორ მიმძიმს. ვგრძნობ, რომ უარესობისკენ ვიცვლები, რადგან სიძულვილი მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ მაძლევს. ყოველდღე პირობას ვაძლევ საკუთარ თავს, რომ დედის დანახვაზე სიძულვილი დავმალო და თვალები დავხარო, მაგრამ ის ამის საშუალებას არ მაძლევს. თითქოს ჩემს გამძლეობას ცდის. ვშიშობ, რომ ასე დიდხანს ვერ გავძლებ; სკანდალი კი არ მსურს, რადგან შინაგანად ვგრძნობ, რომ ის ცუდი ადამიანი არ არის და რაც უნდა იყოს, მაინც დედაჩემია. მიშველეთ! ცხოვრების გაგრძელების ძალა არ შემწევს! მამასთან მინდა! თავს მოვიკლავდი, შვილი რომ არ მყავდეს...

**პატივისცემით, ელზა".**

— გამარჯობა, ელზა. მესმის შენი და მოზიარე ვარ მწუხარების. ძნელია, ახლობელი ადამიანის დაკარგვის შემდეგ ცხოვრება ჩვეული რიტმით განაგრძო, თანაც იმ გრძნობებით, რასაც შენი დარჩენილი ახლობლების მიმართ განიცდი. წყენისა და სიძულვილის მდგომარეობა მზარდია, თქვენში მუდმივად ძალას იკრებს და მისგან თავის დაღწევა ძნელია. მინდა გირჩიო, რომ დედას დაელაპარაკო. მასთან გულახდილი საუბარი აუცილებელია. მიეცი მას საშუალება, თავი იმართლოს. თუმცა, შესაძლოა, გაირკვეს, რომ თავის გასამართლებელი არც არაფერი აქვს. ამიტომ, ნუ ებრძვი საკუთარ თავს. დარწმუნებული ვარ, დედა ხვდება შენს სიძულვილს და ამით ძალზე სტკენ გულს. რაც შეეხება მამას, თავად ამბობ, რომ მას ღმერთიც ვერ გადაარჩენდა. სავარაუდოა, რომ უკურნებელი სენით იყო დაავადებული და მის სიკვდილში დამნაშავე არავინაა. კიდევ ერთი რჩევა: უმჯობესი იქნება, თუ შენი და დედაშენის საუბარი მამას საფლავთან შედგება. ამ გზით მეტ გულახდილობას მიაღწევ. წარმატებებს გისურვებ. სურვილის შემთხვევაში, შედეგი შემატყობინე.

## „უპასუხო სიყვარულის შედეგად გაჩენილი შიში"

**„გამარჯობა, გრაფო. შესაძლოა, ჩემი პრობლემა ბანალურად მოგეჩვენოთ და მსგავსი ამბები ხშირად მოგისმენიათ კიდეც, მაგრამ ძალიან გთხოვთ, უპასუხოდ ნუ დამტოვებთ. 21 წლის ვარ. 3 წლის წინ, ინტერნეტით გოგონა გავიცანი. რამდენიმე თვის შემდეგ ერთმანეთს შევხვდით და მის მიმართ გრძნობა გამიჩნდა. ასე არასდროს არავინ მყვარებია (მიუხედავად ჩემი ასაკისა, რამდენიმე შეყვარებული მყავდა). ინტერნეტით გაცნობილი გოგონას სიმპათიის მოპოვებას მთელი წელი ვცდილობდი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ყელში ამომივიდა და მასთან ურთიერთობა შევწყვიტე. თუმცა, ამ ურთიერთობამ ძალზე დიდი იარა დამიტოვა. 3-4 თვის შემდეგ, როგორც იქნა, ყველაფერი „გადავხარშე" და ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდი. ახლა კი ერთი პრობლემის წინაშე ვდგავარ: საპირისპირო სქესთან ურთიერთობის, შეცდომის დაშვებისა და დასაახლოებლად ნაბიჯის გადადგმის მეშინია. პირველი აზრი, რაც გოგონას მოწონების შემდეგ თავში მომდის: „იქნებ, ისევ ისე მეტკინოს გული?" ამის შემდეგ, ნებისმიერი მათგანისგან თავს შორს ვიჭერ. ასეთი საქციელი ჩემთვის დამახასიათებელი არ გახლავთ და თავს უხერხულად, შებოჭილად და დაკომპლექსებულად ვგრძნობ. ეს რა არის? კომპლექსი? გთხოვთ, მიპასუხეთ. წინასწარ მადლობას გიხდით. პატივისცემით, ალეკო".**

— გამარჯობა, ალეკო. როგორც ჩანს, ინტერნეტში გაცნობილ გოგონასთან ურთიერთობამ დიდი ტრავმა მოგაყენა და როგორც ამბობენ — „ცხელი რძით შეშინებული, დოს უბერავდაო", სწორედ ასე დაგემართა. მძაფრი განცდების შემდეგ, ხშირია მსგავსი რეაქცია. ამიტომ, კითხვაზე — „ეს რა არის?" შეიძლება გიპასუხო, რომ ეს არის შენი ფსიქიკის დამცველი რეაქცია. პოსტტრავმული პერიოდი სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს და 6 თვიდან წელიწად-ნახევრამდე გრძელდება. თუ ის უფრო დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში, უფრო სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისეთ გოგონას შეხვდე, რომელიც ამ განცდებს დაგავიწყებს, მაგრამ სად არის გარანტია,

რომ ამ გოგონას ხელს მანამდე არ ჰკრავ? შენი მდგომარეობა არც ისე საშიში და უიმედოა. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, საპირისპირო სქესის წარმომადგენელს შენთან დაახლოების საშუალება მისცე. გაიღიმე, მასაც გაუღიმე და ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. აბა, წარმატებები...

## „სამშობიაროში მიტოვებული ჩვილის ამბავი“

**„გამარჯობა, გრაფო. 20 წლის ვარ. ქმარს მაშინ გავშორდი, როცა 3 თვის ფეხმძიმე ვიყავი. ახლობლები მირჩევდნენ, რომ ბავშვი მომეცილებინა, მაგრამ ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. მართალია, ძალიან ვინერვიულე, მაგრამ ყველაფერი გადავიტანე. გოგონა შემეძინა, მაგრამ ბავშვი ავადმყოფი დაიბადა — არ აქვს ყურის ნიჟარები, ერთი თირკმელი, სახის ნერვი და აქვს გულის მანკი. შოკში ჩავვარდი. ძალზე მძიმე მშობიარობა მქონდა და იმ დღეს ფეხზე ვერ ავდექი. ამიტომ, ბავშვი არ მინახავს. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა იურისტი და მასთან საუბრის შემდეგ, ბავშვზე უარი ვთქვი. ბავშვი მხოლოდ ერთხელ ვნახე, როდესაც დაიბადა. მაშინ დედობრივი ინსტინქტის გაღვიძება ვერ ვიგრძენი, ახლა კი სულ ვტირი და ვფიქრობ, რომ არასწორად მოვიქეცი. მისი ბედი მაღელვებს. ღამღამობით ჩვილი ბავშვები მესიზმრება. ძალიან ცუდად ვარ, მირჩიეთ რამე. ელენე“.**

— გამარჯობა, ელენე. ქმართან გაშორებისა და ავადმყოფი გოგონას დაბადების შემდეგ — შოკი სავსებით ბუნებრივი რეაქციაა და ისიც ბუნებრივია, რომ ბავშვზე უარის თქმის სურვილი გაგიჩნდა. თუმცა, როგორი მძიმეც უნდა იყოს, მოგიწევს შეეგუო იმ ფაქტს, რომ ეს უკვე მოხდა! ავადმყოფ ბავშვზე ზრუნვა უამრავ ენერგიას, თანხას, ვაჟკაცობასა და ძლიერ ნებისყოფას მოითხოვს. უნდა იცოდე, რომ არც ბავშვის დატოვების და არც მისი წამოყვანის გადაწყვეტილება იოლი მისაღები არ არის. ასეთ სიტუაციაში იოლი გამოსავალი არ არსებობს! ამიტომ, მისი ძებნა უშედეგო იქნება. შენ მიიღე ბავშვის დატოვების გადაწყვეტილება, მაგრამ მასზე ფიქრი გაწამებს. ეს დანაშაულის გრძნობაა? არა, ის უნდა მიიღო, როგორც შენ მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანამდევი მოვლენა, თუკი ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. თუ ფიქრობ, რომ შენი გადაწყვეტილება „მომწიფებული“ არ იყო და შენ შიგნით არსებული მეორე აზრი გეწინააღმდეგება, მიეცი საკუთარ თავს დრო, რომ ყველაფერში კარგად გაერკვე. რისი მიღება გსურდა, როდესაც ამ გადაწყვეტილებას იღებდი? იყო თუ არა ეს ერთადერთი გამოსავალი? ჰკითხე საკუთარ თავს და გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ აწონ-დაწონე. ვფიქრობ, ამის შემდეგ გულზე მოგეშვება და თუ იმასაც გაითვალისწინებ, რომ შესაძლოა, შენი ავადმყოფი გოგონასთვის სწორედ ასე სჯობდა, მაშინ შვებით ამოისუნთქავ.

●

<<< 8

მოკლე ჩართვა

## რას ვეტყოდი პატრუქს, პირველი სართულის ფანჯარაში თვალთვალის დროს რომ დაეჭიროს?

• აუ, რალაც ეს თმა გამეწეწა... არაააა? სიკვდილა.

• პატრულო ბიძია, ნახე, აქ ბავშვებს „აკეთებენ“. მე კიდევ, როგორ მეჯეროდა წეროებიის... ახლა ავტირდები... green girl.

• ნუ, თუ ეს პატრული ელისო იქნება, მეეჭვება, რომ თავის მართლება დამჭირდეს. ერთი გემრიელად ჩავეხუტები და... მერე მაგის ნამუსზე იყოს, დამიჭერს თუ არა. ნიკოლი.

• ვეტყოდი, რომ მასზე ვგიჟდები, ეს ჩემი უკანასკნელი იმედია და ადამიანურად გამიგონ, რადგან სიყვარული კანონებს არ ცნობს. ეს ხუმრობით, ისე კი ჩემი არც ერთი სიმპათიის სუბიექტი არ ცხოვრობდა პირველ სართულზე და ასეც ალბათ არც არასდროს მოვიქცეოდი. სვანის ასული.

• ფეხბურთს ვუყურებდი ბიძია, ახლა პენალტს ურტყამდა კაცი ქალს და რა ცუდ დროს დამადექით თავზე... კაცს ფეხბურთისთვის ვერ მიყურებია, ნორმალურად... მეგრელი კაცი, დადუ.

• პატრულო ძია, რა ვქნა, გასათხოვარი გოგო ვარ და ხომ უნდა ვიცოდე, „ეს ამბავი“ როგორ და რანაირად ხდება? ჰოდა, ან მასწავლე, ან მაყურებინე ბოლომდე. გრუზინკა.

• „ტრიალებს, ბრუუუნავს, ტრიალებს, ბრუუუნავს“... ეშმაკუნა.

• მე რომ ჩემი სახლის პირველ სართულზე შევიხედო, სიხარულით გაგიჟდება ჩემი მეზობელი და პატრულს მალარიჩს გადაუხდის. ეშმაკუნა.

• კარგი რა, პატრულო ბიძია, ტელევიზორს ვუყურებ.

• ამ საღამოს რას აკეთებ? ეშმაკუნა.

• მე ვცხოვრობ პირველ სართულზე და თუ ჩემს ფანჯარაში შემოიხედავს ვინმე და გარედან პატრული შეამჩნევს, ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ შინ და გარეთ, პატრულები ვიქნებით. ანუ ყველგან ჩვენ ვართ და ფრთხილად, პირველი სართულის ფანჯრებთან! ელისო.

●

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲯᲝᲢᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲘᲚᲘᲗᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ

• „ერთი ალი-ბაბა და ორმოცი გასტრიპტიზებული“. საჩალელი.

• „ტუსოვკა ნაჩინაეტსია“. GREEN GIRL.

• „რა გინდა მაგ ბოძისგან? ცუდად დგას? დაანებე თავი, დეიდა, მაინც ვერ მოტეხავ მარტო, ვინმეს უთხარი, მოგეხმაროს“. მარი-მარ.

• „ბუთქუნსტრიპტიზი“. ეშმაკუნა.

• „ემანდ, არ ჩამოვარდე, თორემ დეერხა დისკოთეკაასს!“ ნია.

• „აბა, სტრიპტიზი იაფაად! 100 კილო 5 დოლარი ღირს“. ნია.

• „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

• „— ვა, ბებო, აქ საიდან?

— ხონდრო-რიცის დამსახურებაა, ბებო“. კოზანოსტრა.

• „სტრიპტიზკლუბი. 100 კილომდე მამაკაცები არ დაიშვებიან! (გამონაკლისია — კუკავა)“. კამელია.

• „კაბის აწევა მარტო „ტაქსისტებზე“ მოქმედებს, თურმე. აგერ ზანგი, ლამისაა შემევიხიე ტანზე, მარა რად გინდა?“ კოზანოსტრა.

• „აუუ, სტრიპტიზის ცეკვა მინდა და ნეტავ, ეს „სტოლბა“ თუ გამიძლებს?“ სარათან.

• „ფიფქია და 1, 2, 3, 4... ზანგი“. კოზანოსტრა.

• „შენა და... ხელი მაგრად ჩაავლე, ვინმეს არ დაეცე“. მერცია.

• „ცოტა იქით, ცოტა აქეთ, „სტოპ!“ შეგიძლია დაეშვა, ფუმფულ, უფფფ!“ მარო.

• „შავთვალა, ტანით ბრგე გოგომ, ჩაიცვა ვაუკაცურადა, თოფ-იარაღი აისხა, იქცევა მამაცურადა“. მე.

• „რას აეტორღიალე, რომ აეტორღიალე? ეგ ის არ არის, რაც შენ გჭირდება, ეგ წონაში ვერ დაგაკლებინებს“. ლანულა.

• „ჩამო, ქალო, მანდედანა, შენა ეგა „ტრენაჟორი“ ხომ არ გგონია?“ მერცია.

• „ქალო, ცელულიტიანო, ეგრე ქონებს ვერ დაიგდებ... ისე, თუ გინდა, გასწავლი დიეტას: დღეში სამჯერ სექსი, ღამით — ოთხჯერ... ჰოდა, თუ ცოცხალი გადარჩი (რა გასაკვირია, რომ გადარჩე) და წონაშიც დაიკელი, იმედია, მაღარიჩს იკისრებ“. ლუნა.

• „დიდი ტკივილი მიადგა „სტოლბას“, კიდევ კარგი, რომ არ აჰყვა „გრძნობას“. იკუშკები.

• ქალს უჭერს ტუფლი და უჭერს კაბა, საწყალს აცვია თან ვიწრო ტანგა... და უჭერს, რა“... იკუშკები.

• „მაინც ამოვთხრი!“ აგრესიონერა.

• „ბოლო ჭიქა არ უნდა დაელია“. აგრესიონერა.

• „ნენევ, ციცავ, რაის შვრები, დაყლეპილი გიყურებთო, რას ბლაყუნობ, რომ ბლაყუნობ, მაი კაბა გეიძრეო! მაი „სტოლბა“ თუ წეიქცა, ვერ აგხვეტავს ამწეიო, ლურჯა ცხენებზე შეჯდები, თუკი რბილად დაეციო“. ვიკა.

• „რას გვიშვრება ეს ხელისუფლება?! ეკონომიური „ლამპოჩკები“ არ გვყოფნიდა, ახლა ეკონომიური სტრიპტიზ-„სტოლბებიც“ შემოიტანეს. არადა, რა მაგარი ქალია!“ კანიბალკა.

• „...და რა ქალი? ხელისგულზე სატარები, რა თვალები? ცეცხლის ელვის დამჭერი, ბოშა ქალი ვარსკვლავების სადარები. შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი“. მე.

• „ჩამო ჩამეეთრიე, მე აქა, რა, კაცი ვარ თუ „პროპკა?“ სიკვდილა.

• „ვაიმე, ახლა ეს „ტრუბა“ არ მოსძვრეს და არ შევრცხვე, ეს „დაცემა“ ქალი“. სიკვდილა.

• „არ გადაღუნო, ქალო“... ტერეზა.

• „ბუმბულივით ჰაეროვანი, გამჭვირვალე, სხარტი, პროფესიონალი „სტრიპტიზიორკა“. მეგრელი მგელო.

• „ბარაკ ობამას ფანკლუბი“. ირااااკლი.

• „არა შეჯდა სქელო ძელსა“... მის, კახეთიდან.

• „ამ ტანის მქონემ, სხვა ვერაფერი ნახა, რომ მოეფეროს? ირგვლივ ამდენი ზანგიااა... აუ, ჩემი“.

• „აჰკრა ბუქნა, ჩაჰკრა ბუქნა, აიხარე, ჩაიხარე... ყველა ჩემს დაკრულზე ცეკვავს, რას მიყურებთ? გაიხადეთ“. ერთაოზი.

• „ახლა ამას თავი მის ელასტიკურობა ჰგონია?“

• „დარბაისელი“, რუსი „ქალიშვილი“ თავის ჩვეულ ამპლუაში. დაგეფსოთ თვალები, ქართველო მამაკაცებო!“ კეთილი ფერია.

• „ა, ეს არის უფულობა... სად არ აგიყვანს ფული... უნდა გავუძლო, 2 „კრუგიც“ და დღეს „ვსიო“, რა“... ოოო-21.

• „რომ გართულხართ მანდ ცეკვაში, წამახმარეთ ვინმემ ხელი, ფეხებშუა გამეჩხირა, ეს ამსიგრძე რკინის ძელი“. ერატო.

• „მის მსოფლიოს“ გამარჯვებული, სტრიპტიზში“. ირااااკლი.

• „ხალხო, ეგ თქვენი „შალახო“, ბაჯაღლო ოქრო გგონიათ, ფული დაყარეთ სტრიპტიზში, ჩემი რა, მუქთა გგონიათ?“

• „უძაღლო ქვეყანაში, კატებს აყეფებდნენოოო“. თათუშკები.

• „სუმოს მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება გაჩიანის გადასახვევში, ეს კი გახსნითი ცერემონიალის მონაწილეა“. ირااااკლი.

• „საბრალო ბოძი“.

• „ბოშო, სანამ არ მოღუნავს, ქვე რავა შეეშვება ამ რკინის „თრუბუკას?“ რაჭველი გუგეშა.

• „ჩამოი, ქალო, ძირს, შენ რა „სტოლბა“ გაგიძლებს, სულ დეიღუნება. ბიჭო, ბიჭო, ბიჭოოო“... ჩუპი.

• „ფარი მომეც და ხანჯალი, ეჰეე, ჰეეე“... ოთიკო ენდ ხაჯო.

• „დედალი კოალა“. ბოხო.

11-17.12.2008

# ფეხსაცმელები

მარი ჯაფარიძე

## ტელეფონით ნაპოვნი სიყვარული

**ზოგჯერ სიყვარული და ტელეფონით ნაპოვნი ესიყვარულიც ერთ მეთოდი ოჯახით მკითხველისთვის**

გამარჯობა, როგორ ხართ? „ორშაბათ მშვიდობისაა"_ რაო, გაგიკვირდათ? „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ", შუალამე კი არ იწვის და დღეა, არამედ, გაგანია შუადღეა და თანაც, ორშაბათი. ჰოდა, ამიტომაც, ორშაბათ მშვიდობისას! სამართლიანობა მოითხოვს, რომ ახლა მოგესალმოთ, ვინაიდან სწორედ ახლა ვსაუბრობ თქვენთან (ვირტუალურად, რა თქმა უნდა). კომპიუტერის ეკრანზე ვკითხულობ თქვენს მესიჯებს და ზოგზე მეცინება, ზოგზე — მეტირება, ზოგს გულში გეჩხუბებით კიდეც. რატომ? აი, მაგალითად, ვკითხულობ მესიჯს: „მინდა, ცემი ამბავი მოგხერო. არტი ბიცი გაწიცანი ტელეპონიტ. ხალიანი მომეეონა და მალე სევეწიე. მერე სევცვდი და უფრო მომეფონა". ჰოდა, მოდი და ნუ ეჩხუბები (ვირტუალურად, რა თქმა უნდა) ამის ავტორს. ახლა ამას გაშიფვრა ხომ უნდა? წესით, ეს მესიჯი „ნორმალურმა" ადამიანმა ასე უნდა წაიკითხოს: „მინდა, ჩემი ამბავი მოგწერო. ერთი ბიჭი გავიცანი, ხალიანი. მომეწონა და მალე შევეწიე. მერე შევწვდი და (გულს) უფრო მომეფონა". ჰოდა, ვინაიდან მე „არანორმალური" (თქვენს ხელში „თეთრი ბილეთი" რომ არ მაქვს, ის მიკვირს) ვარ და თქვენი მესიჯების კითხვას შეჩვეული, ვიცი, რომ გოგონა მწერდა: „მინდა, ჩემი ამბავი მოგწერო. ერთი ბიჭი გავიცანი ტელეფონით და ძალიან მომეწონა. მალე შევეჩვიე. მერე შევხვდი და უფრო მომეწონა". არა, აღიარეთ, რომ მაგარი ვარ! ცოტა გვიან დავიბადე, თორემ ნამდვილი „შტირლიცი" ვიქნებოდი და დაშიფრულ წერილებს ისე „გადმოვშიფრავდიი"! ჰოდა, ასე_ ერთი სიტყვით, „კვირის ყოველდღე მშვიდობისა" და ახლა თქვენი გამოგზავნილი, ჩემი გაშიფრული და თქვენი წასაკითხი მესიჯების დრო.

## ბედნიერი ნომერი

„ერთ ზაფხულს დასასვენებლად სოფელში ვიყავი. მეგობარმა ერთი ბიჭის ტელეფონის ნომერი მომცა. მალე, ძალიან დავახლოვდით და ერთმანეთიც შეგვიყვარდა. მთელი 7 თვე ერთმანეთი უნახავად გვიყვარდა, მერე შევხვდით და უფრო მეტად დავახლოვდით. შეხვედრიდან 2 დღეში, ის 7 თვით გერმანიაში წავიდა. ჩვენ ისევ ისე გვიყვარდა ერთმანეთი და იქიდან რომ დაბრუნდა, 2 კვირაში დავქორწინდით. უკვე 2 წელია, ცოლ-ქმრი ვართ და ახლა პირველ შვილს ველოდებით. ძალიან ბედნიერები გახლავართ და მთელი ცხოვრება ერთმანეთი ისევ ძალიან გვეყვარება“.

## „ზესტაფონელი სიყვარული“

„1 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი მეზობელი ნათია გათხოვდა. ჩემთან გამოსაგზავნი მესიჯი უცხო ნომერზე გაგზავნა და ასე გაიცნო ზესტაფონელი დათო, ანუ როგორც თვითონ ამბობს, თავისი ზესტაფონელი სიყვარული. მათი გაცნობიდან ერთი კვირის შემდეგ, დათომ ნათიას ჩამოაკითხა და იმავე დღეს ცოლადაც მოიყვანა. არ ვიცი, რამდენად მოასწრეს ერთ კვირაში ერთმანეთის შეყვარება, მაგრამ ფაქტი სახეზეა — დღეს ისინი ბედნიერები არიან. მიუხედავად ამისა, ჩემთვის მაინც წარმოუდგენელია, როგორ უნდა შემიყვარდეს ადამიანი უნახავად, თანაც ისე, რომ ერთი კვირის გაცნობილს გავყვე ცოლად?! რა ვიცი, რა ვიცი... ნიკოლი“.

## დაუპატიჟებელი სტუმარი

„მარი, ახლა გეტყვი, როგორ აღმოჩნდი ჩემთან სტუმრად. ნუ, მარტო იყავი მანქანით, ბაღდათის რაიონში. გაგივლია ჩემს სახლთანაც და როგორც მძღოლების 55%-ს მოსდის, შენც იქ გაგიფუჭდა მანქანა. ჰოდა, დაიძახე — მასპინძელოო! გამოგხედეთ, შეგიპატიჟეთ სახლში და დავიწყე გამოკითხვები (ძაან ცნობისმოყვარე ვარ). ნუ, სახელი, გვარი და პროფესია რომ მითხარი, კიღმეს გავრეკე. ჩემი ნიკი გითხარი, შენ კი „გზავნილებზე“ რაღაცები მომიყევი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ნეტავ, მართლა გამოივლიდე აქეთ, ჩემი ჭიშკარი ცისფერია, მის წინ კი ჭაა. შემომიარე, O.K.? ეჰ, რავა ტყვილა ვბუუტურობ?! მარა ოცნებას კაცი არ მოუკლავს. აბეზარა“.

## უბრალოდ დაწყებული

„ყველაფერი უბრალოდ, სულ უბრალოდ დაიწყო. ერთ დღეს უსაქმურობამ რომ შემაწუხა, ტელეფონი ავიღე, ნომერი ავკრიბე და ახალგაზრდა ბიჭის ხმა მისწვდა ჩემს სმენას.

### ვალი

„ბიძაჩემი რუსეთიდან რომ ჩამოვიდა, სანამ ფული გამოელეოდა, მაგრად „დავგულაობდით“. მერე, ნისიად დაიწყო ერთ ქალთან სიარული, — ჩავალ რუსეთში და გამოგიგზავნი. ჰოდა, ასე ავიდა 2.000 ლარამდე. ეს ქალი, სასწაული მოხდა და, გათხოვდა. ჰოდა, ახლა მისი ქმარი ბიძაჩემს დასდევს, ჩემი ცოლის ვალი გაქვს და მომეცი. ნეტავ, რისი ვალი? !?“.

ეტყობოდა, ახალი გამოღვიძებული იყო და უაზროდ მპასუხობდა. მივესალმე, მერე მუსიკა მოვასმენინე, ბოდიში მოვუხადე შეწუხებისთვის და ყურმილი რომ უნდა დამეკიდა, მიყვარხარო, მითხრა (ვერ გადმოვცემ, რა ვიგრძენი). მერე, ჩვენს საქციელზე ბევრი ვიცინეთ და ერთმანეთი უკეთ გავიცანით. საერთოდ, ბიჭის ცრემლების არ მჯერა, მაგრამ მომეჩვენა, რომ გულწრფელი იყო. მთხოვა, შევხვედროდი, მხოლოდ შემოგხედავ და წავალო. არ წავიდოდი, მაგრამ მინდოდა, თვალებში ჩამეხედა მისთვის. წვიმიანი დღე იყო... ვნახე, მაგრამ ნაცნობები აღმოვჩნდით. შემრცხვა, მის წინ გაქვავებული ვიდექი. მერე? მერე, აღარაა საინტერესო. ეს იყო ლამაზი წუთების დასასრული... თუმცა, მჯერა, ასეთი ლამაზი დღეები კიდევ იქნება ჩემს ცხოვრებაში და აღარ მინდა, გამიფრინდეს სიყვარული. ლუნა“.

## „ქორწილია, ქორწილი!“

„ჩემ ირგვლივ ტელეფონით უკვე ძალიან ბევრმა იპოვა სიყვარული. ამ მხრივ, განსაკუთრებით პატიმრები და ჯარისკაცები აქტიურობენ. პირველებს ბევრი თავისუფალი დრო აქვთ, მეორენი კი ძირითადად, მესიჯობით ომამდე, დასვენების დღეებში იყვნენ დაკავებული. ყველაზე ძვირად ღირებული მობილურებიც მათ აქვთ. ვირტუალური კი არა, ჯერ რეალური სიყვარული არ მწვევია და ასეთი რამის დიდად არ მჯერა, მაგრამ... დღეს ჩემი ნათესავის აჭარელი ქმარი გაქრისტიანდა, 28 წლის ასაკში. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ნანას მობილურის ნომერი მისი დაქალის შეყვარებულმა თავის ძმაკაცს მისცა. თავიდან ეს უწყინარი გართობა იყო, მერე შეჩვევაში გადაიზარდა. ჩემი ტელეფონის საშუალებით სურათებიც გაცვალეს. ბიჭი აღფრთოვანდა,

### „ხელით შექნილი“

„სოფლის ავტობუსში ვიჯექი. დანჯღრეულ გზებზე კარგად გამეთქვიფა გულ-მუცელი. როგორც იქნა, გავიდა ასფალტიან გზაზე და 2 შეზარხოშებული კახელი ამოვიდა ავტობუსში. ახლა ამათ გათქვიფეს ტვინი ლაპარაკით. გრემს მივუახლოვდით და მათი საუბრის თემა რელიგიას გადასწვდა. ანჩისხატზე ამბობდა ერთი — აბა, ხელთუქმნელი როგორ იქნება, ვიღაცამ ხელით შექმნა და... — გაცეცხლდა მისი თანამოსაუბრე და უთხრა: — ხელით შაქნილი შენა ხარ, თორემ იმით რო იყო შაქნილი, რითიც ადამიანები იქმნებიან, მასე არ ილაპარაკებდიო. იქ ამბავი ატყდაა... მგზავრებმა იმდენი ვიხარხარეთ, ავტობუსი ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა. საჩალელი“.

ლექსების წერა დაიწყო და 18 წლის გოგო გათხოვებაზე სერიოზულად აჭიკჭიკდა. გადაირია ოჯახი და მშობლებმა ნანას მობილურთან შეხება აუკრძალეს. მშობლებს გამოუცხადა, ყველაფერი დამთავრდა, ის ბიჭი დიდად არ მაღელვებდა და დავივიწყეო, მაგრამ ერთ ღამეს სახლიდან გაიპარა და თავის უნახავ ჯარისკაცს გაჰყვა ცოლად. მერე იყო მშობლების რისხვა, მოგვიანებით — ქორწილი... სიძე ფიზიკურად ვერაფერი ხვითოა, მაგრამ კარგი ხასიათი აქვს, ცოლი ძალიან უყვარს. ის და მისი ნათესავები ისეთ კილოზე ლაპარაკობენ, ნახევარს ვერ ვიგებ. მეცინება და რა ვქნა? ისე, ერთი ძალიან სიმპათიური ძმაკაცი კი ჰყავს... მალე წყვილს პატარა გიორგი ეყოლება. ზღაპრის ბოლო კეთილია. სვანის ასული".

## გარდაცვლილი სიყვარული

„როცა მე ამაოდ ვურეკავდი ჩემს „ტკბილს" (ასე ვეძახდი), ის უსიცოცხლოდ იყო მისვენებული ახალნაყიდი მანქანის სავარძელზე. ვერ აღგიწერთ, შოკიდან როგორ გამოვედი! თურმე იმიტომ დამეკარგა, რომ „კეთილმა ძმაკაცებმა" წამალს შეაჩვიეს და კაიფში ყოფნას აღარაფერი ერჩივნა, მაგრამ ჩემზე სულ ფიქრობდა. თურმე, ასე უთქვამს: კარგია, რომ დავშორდი, ჩემთან ყოფნით უფრო დავტანჯავ, ჯერ პატარაა და მეცოდებაო. ჰოდა, ერთხელაც ზედმეტი მოუვიდა და... მერე რაც იყო, უკვე იცით. არადა, როგორ ვოცნებობდი მასთან ჩახუტებაზე... ეს ამბავი 3 წლის წინ მოხდა, მაშინ 16 წლის ვიყავი. იმის მერე ყველა ბიჭში ზვიოს ვეძებ, მაგრამ... ალბათ, მიხვდებით, ნემსა რატომ ავირჩიე ნიკად. ყველას ბედნიერებას გისურვებთ. ნემსა".

## ზღაპარი

„მარი, იცი, მე არ ვპასიურობ, მაგრამ არ მოვიდა ჩემი გზავნილები შენს ტელეფონზე და იქიდან შენს გულსა და გონებამდე. „ნე დასტავლენოო", მაშ! გაიხარე, რომ გახსოვარ. დღეს ჩემმა ქმარმა რომ ნახა მომავალი კვირის თემა, გაიბადრა, ხმამაღლა, დემონსტრაციულად გამომიცხადა — ხომ იცი, რაც უნდა დაწეროო? — კი, მაგრამ მთელი საქართველოს „გზავნილების" მკითხველმა საზოგადოებამ იცის ტელეფონით რომ გავიცანით ერთმანეთი და მერამდენედ აღვნიშნო-მეთქი?! ისე, ამ ბოლო დროს ხუმრობენ, ლამისაა ბავშვიც ფოტოშოფში გააკეთონო, მაგრამ არც ეგრეა, საქმე. ვირტუალურ სამყაროში ყველაფერი იდეალურადაა, რეალობა კი მაინც რეალობაა, თავისი ნაკლითა და ღირსებით. „გზავნილებიც" იმიტომაა მიმზიდველი, რომ ზღაპარივითაა — რეალური ამბები ირეალურ სამყაროში და მე მიხარია, რომ ამ მუქ რეალობაში ლამაზი ზღაპრის პერსონაჟი ვარ და ჩემი სახელი მქვია. გაკოცეთ. დიდი სიყვარულით, ელისო".

## სიძეზე მონადირე

„კახელმა, რაჭველმა და სვანმა მოილაპარაკეს, სანადიროდ ცალ-ცალკე წასულიყვნენ და ვინც უფრო დიდ და იშვიათ ნადირს მოკლავდა, მათ შორის ყველაზე მაგარი მონადირეც ის იქნებოდა. შეთანხმდნენ, ერთი კვირის მერე შეხვედროდნენ ერთმანეთს და ნანადირევზე მაშინ ესაუბრათ. დაიფიცეს, რომ ტყუილს არც ერთი არ იტყოდა. დათქმულ დროს შეხვდნენ. კახელი: — მგლის მეტი ვერაფერი მოვკალ, ჯო... რაჭველი: — დათვი შემომაკვდა, ქვე შენი ჭირიმე... სვანი: — სიძე მოვკალი! — ეგ როგორ?! — ქორწილში მოვხვდი. დავინახე, ვიღაც დიდი ყანწით სვამდა. მარტორქა მეგონა და... დათო".

## ურწმუნო

„ტელეფონით ნაპოვნი სიყვარული? ტელეფონით კი არა, მარი, შენი წყალობით, ჩემი ორი ახლობელი გაბედნიერდა და ახლა უკვე ლამაზი ოჯახები აქვთ. წყვილებმა ერთმანეთი „მობილი-ზაციის" წყალობით გაიცნეს. ჩემი მამიდაშვილი, რომელსაც სიყვარულის არ სჯეროდა, ტელეფონით გაცნობილ ადამიანზე გადაირია და დღემდე ვერ მოერია ტკივილს, რომელიც იმ ნაძირალამ მიაყენა. რაც შემეხება მე, ასეთი სიყვარულის (და საერთოდ, სიყვარულის) ნაკლებად მჯერა. თუმცა, სწორედ ტელეფონით გავიცანი ადამიანი, რომელსაც მაესტრო ჰქვია და ჩემი ძამიკოა. გენაცვალეეე! მოვიკითხავ პატარა ეშმაკუნას და ვეტყვი, რომ უსაყვარლესია. მიყვარხართ, კეთილო ხალხო! ნიღბოსანი".

## ხინჯიანი ქორწილი

„იყო ერთი ჩვეულებრივი გოგო, თავისი ოცნებებით, ფიქრებით, სურვილებით. ოცნებობდა ყველაფერზე, რაზეც შეიძლება იოცნებოს 18 წლის გოგომ: სიყვარულზე, ქორწილზე, თეთრ კაბაზე. ერთ დღესაც, სრულიად შემთხვევით, ტელეფონით გაიცნო ბიჭი. მერე მოვლენები ლოგიკურად განვითარდა: მესიჯები, შეხვედრები, სიყვარული, მაგრამ დასასრული არ იყო ლოგიკური. გოგო სხვამ მოიტაცა. იყო ბევრი ცრემლი, ხვეწნა-მუდარა, ყვირილი, მოკლედ, აირია ყველაფერი. არ ეყო ძალა, ებრძოლა. დარჩა, ბედს შეეგუა. გავიდა დღეები, ერთი თვე... მერე იყო ქორწილი, ჯვრისწერა, სტუმრები, თეთრი კაბა, ტორტი, მაგრამ ყველაფერს სულ სხვა სხივი, სახე, ფერი და გემო ჰქონდა. აკლდა ყველაფერს რაღაც მთავარი, არსებითი. მის გარეშე ყველაფერი ყალბი, მოჩვენებითი, უემოციო ჩანდა. ეს რაღაც კი ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული იყო. დიეტომანი".

## ჩხუბი „მოგვარესთან"

„ერთი ადამიანი გავიცანი ტელეფონით. ცოტა უცნაური ადამიანი აღმოჩნდა. თავადაც მითხრა ამის შესახებ. ასეთი ვარ და ხასიათი შემიწყვეო. ეგ არ მეშლება. ამიტომ, ურთიერთობა ავად თუ კარგად, აეწყო. 9 თვის შემდეგ შევხვდი. ერთმანეთი მოგვეწონასავით, მაგრამ იმდენჯერ შეეშალა რაღაც, რომ მეც მომბეზრდა ეს „ასეთი ვარ", „ხომ ვერ გადავკეთდები" და ა.შ. ეს პატარა ამბავიც წერტილდაუსმელად დამთავრდა (ხანდახან მეხმიანება ხოლმე). შემდეგ, მასზე და მამაკაცთა მთელ მოდგმაზე გაცოფებული, კისრისტეხით „შევვარდი" ინტერნეტში და პირველსავე მომხდურს საკვებნაპოვნი სვავივით დავაცხერი თავზე და მთელი ეს ჯავრი მასზე ამოვიყარე. რა ჩემი ბრალიაო? ერთი ამოიკნავლა. „შენი

მოგვარე ხომ იყო, გადახდა უნდა ვალსა!“- მეთქი, მეც მივუგე. მოკლედ, ასეა თუ ისე, ვალს ახლა იმით იხდის, რომ ვმეგობრობთ. ვნახოთ, მომავალში რა იქნება. SWEET-GIRL“.

## მცდარი წარმოდგენა

„უსაზღვროდ ბედნიერი სწორედ ტელეფონის მეშვეობით ვარ. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს ტელეფონზე ზარი შემოვიდა. ვითომ შეეშალა და ამას მოჰყვა მესიჯები, ვიღაც სალომეს სახელზე. ძლივს გავაგებინე, რომ მე სალო არ ვიყავი. ჩემი ვინაობა რომ გაიგო, აღმოჩნდა, რომ გაგონილი ჰქონდა ჩემი არსებობის შესახებ. ამის შემდეგ, ისე შეუმჩნევლად შემოვიდა ჩემს ყოველდღიურობაში, რომ მის გარეშე არსებობა ვერ წარმომედგინა. ყოველთვის იცოდა, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი. ისე მივეჩვიე, რომ მეგონა, ბავშვობიდან ვიცნობდი. ხუთი თვე ისე ვლაპარაკობდით, რომ ფიზიკურად არ მყავდა ნანახი. ჩემთან შეხვედრა თავად არ სურდა, ბევრ საქმეს იმიზეზებდა. რამდენჯერაც გადავწყვიტე მასთან დაშორება, საშინლად ვიგრძენი თავი. თითქოს შემიყვარდა კიდეც. როგორც იქნა, მოვიდა ის დღე, როცა ერთმანეთი უნდა გვენახა. არ მჯეროდა, რომ მართლა მოვიდოდა, სანამ ხელი არ შევახე და არ დავრწმუნდი მის არსებობაში. მისი საქციელისა და აზრების გამო, ვერ ვიჯერებდი, რომ მისნაირი ადამიანი რეალურად არსებობდა. პირველი შეხვედრის მერე, აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ სხვა ფორმაში რომ ვნახე — მომეწონა. გახშირდა ჩვენი შეხვედრა. ხშირად დავდიოდით რესტორანსა და კაფეში. შემდეგ იყო პირველი ჩახუტება, კოცნა და�ა... ახლა უკვე ჯვრის დაწერას ვაპირებთ. ძალიან ბედნიერი ვარ. დედა ყოველთვის მაფრთხილებს, რომ მასთან დაწოლა არ გავბედო, თორემ მერე ცოლად აღარ მომიყვანს. არადა, ჩვენ უკვე გვქონდა სექსი. ამან საკუთარ თავში უფრო დამარწმუნა, უფრო შემიყვარდა და მივხვდი, რომ „ის, ის არის“. ამით დამიმტკიცა, რომ მართლა ვუყვარვარ და მხოლოდ ერთჯერადი ინტერესი არ აჩერებს ჩემთან. მე კი დავუმტკიცებ დედას, რომ მასზე ცუდი წარმოდგენა აქვს“.

## მიზანდასახული

„ჩემს მეგობარს ტელეფონით ბიჭის გაცნობა უნდოდა. ვისთანაც რეკავდა, ყველგან კითხულობდა: — გამარჯობა, თქვენი ძმა სახლშია? — არა, გენაცვალე, მე არ მყავს ძმა, — იყო პასუხი. — თქვენი ბიჭი სახლშია? — ჰა, ჰა, არ მყავს შვილი, — იყო პასუხი. — შვილიშვილები გყავთ? — კი, შვილო, — სთხოვეთ რა, ტელეფონთან?! — ნანა, მოდ... — გოგოს სახელი რომ გაიგონა, სწრაფად დაკიდა ყურმილი. მერე უკვე გაბრაზდა და შეტევაზე გადავიდა. — ამ ოჯახში ბიჭი არავინ ცხოვრობს? ჰა? — კი, ჩემი ქმარი. — აარა, იყოს, ნუ შეწუხდებით! — ბოლოს საათი იკითხა — საათს ვერ მეტყვით? — ნიკაა, რომელი საათია? — ბიჭის სახელის გაგონებაზე ყურები ცქვიტა, თავიდან დარეკა ნიკა იკითხა. ბავშვი აღმოჩნდა. ხელი ჩაიქნია. საბრალომ, ბიჭი ვერ იპოვა და სიყვარულს იპოვიდა ტელეფონით? ლუნა“.

## შეცდომა

„ეს ამბავი ერთ კახელ გოგოს შეემთხვა. ერთ ბიჭს ნომერი შეეშალა და შემთხვევით გოგო გაიცნო. ბევრი ხვეწნა-მუდარის მერე გოგო მესიჯობაზე დაიყოლია. გაიცნეს ერთმანეთი. ბიჭს უზომოდ შეუყვარდა გოგო მიუხედავად იმისა, რომ თვალითაც არ ჰყავდა ნანახი. სთხოვა გოგოს, მოდი, სურათები გავცვალოთო. გოგომ იუარა, არ მინდა, რადგან შენ ხომ ჩემს სანახავად მაინც არ ჩამოხვალო (ბიჭი დასავლეთიდან იყო). გოგოს კი უყვარდა ბიჭი, მაგრამ არ სჯეროდა ტელეფონით ნაპოვნი ბედნიერების და ნაწილობრივ მართალიც იყო. ერთხელ ბიჭმა სთხოვა, შენი ზუსტი მისამართი მითხარი, იქნებ როგორმე გნახო და დაგარწმუნო, რომ მართლა მიყვარხარო. გოგომ არც მაშინ დაუჯერა, მაგრამ მისამართი ყოველი შემთხვევისთვის, მაინც მისცა. ბიჭმა პირობა შეასრულა და ჩავიდა კახეთში. თავის შეყვარებულს პირდაპირ სახლის კარზე მიადგა. ერთმანეთი გარეგნულად მოეწონათ. ბიჭმა თავისი რჩეულის მშობლების თანხმობით გოგო დასავლეთში, თავის სახლში წაიყვანა, მაგრამ ვაი უბედურება, დედამთილმა სარძლო დაიწუნა, ძალიან მსუქანი მოეჩვენა. იმდენი შეგნება ვერ იქონია, რომ გოგო თავისი ბიჭის რჩეული იყო და შვილის ბედნიერებისთვის რძლის გარეგნობაც უნდა მიეღო. იმდენი ქნა, გოგო აიძულა, სიყვარული დაეთმო და საბრალო, სახლში დაბრუნდა. გავიდა ხანი, დედა ხედავდა, რომ მისი ვაჟი თვალსა და ხელს შუა დნებოდა, არაფერი ახარებდა, აღარც ლაპარაკობდა. იჯდა თავისთვის ჩუმად და მხოლოდ მაშინ დაილაპარაკებდა, როდესაც რამეს შეეკითხებოდნენ. დედის გული მაინც რბილია, ვერ გაუძლო თავისი შვილის ტანჯვას და თავად ჩააკითხა თავის დაწუნებულ სარძლოს, კახეთში. ბოდიში მოუხადა და სთხოვა, სახლში დაბრუნებულიყო. გოგოს სიხარულისაგან რა ექნა, აღარ იცოდა. აპატია თავის დედამთილს და დაბრუნდა თავისი ქმრის ოჯახში. ბიჭს არც კი სჯეროდა თავს დამტყდარი ბედნიერების. გაოგნებული იყო, დედის საქციელით. დღეს მათ ბედნიერი ოჯახი აქვთ. გრუზინკა“.

## მოღალატე

„ერთი მეზობელი მყავს, იქნება ასე, 40 წლამდე, ქმარი მთელი ცხოვრება ციხეში ჰყავს. ეს საწყალი ქალი აკითხავდა, არაფერს აკლებდა, იქ დაფეხმძიმდა და ბიჭიც გააჩინა. გამოვიდა ეს ქმარი და ცოტა ხანში „ივაუკაცა“ და ისევ შეაბრუნეს. დაიწყო თავიდან ამ ქალმა, აკითხავდა და მეორედაც დაფეხმძიმდა, გააჩინა კიდევ ბიჭი. შვილები რომ წამოიზარდნენ, იქ ნახულობდნენ მამას. რა მაგალითი უნდა აეღოთ მამისგან და მამაზე უარესები არიან. ამ კაცის გამოსვლის დროც მოვიდა. გამოვიდა კაცი, მაგრამ სახლში არ დაბრუნდა, თურმე ტელეფონით ბოზი გაუცნია და გადავიდა იმასთან საცხოვრებლად. ასე ჩაუყარა ცოლს წყალში ამაგი. მეც დავბრუნდიი! ანარქია, შენი ნომერი ვერაფრით გავიგე, იქნებ შენ შემეხმიანო? ყველა მიყვარხართ. პატარა ლელა“.

## ჭკვიანი და

„იკას საოცარი და, ია, მუდამ ორიგინალურ და განსაკუთრებულ საჩუქარს უძღვნიდა. ახალ წლამდე 1 თვე იყო დარჩენილი, როცა იკამ დაიკოს დაქალი, ლიკა გაიცნო. გოგო ძალიან მოეწონა და რა თქმა უნდა, მისი ნომრის გაგებაც არ გასჭირვებია, მაგრამ ვერაფერი მოიმიზეზა, რომ გოგოსთვის დაერეკა და შეხვედრა ეთხოვა. ახალი წლის ღამე იყო, იამ იკას ტელეფონი რომ აჩუქა. ბიჭს გაუკვირდა, არაჩვეულებრივი დაიკოსგან ასეთი ჩვეულებრივი საჩუქარი, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ტელეფონის შესწავლა გადაწყვიტა. მენიუში შესულმა კი ლიკას ფოტოები აღმოაჩინა. დაიკომ ძმის გაკვირვებულ სახეს რომ შეხედა, დაასწრო: ტელეფონის გასასინჯად ლიკას ვთხოვე, სურათებს გადაგიღებ-მეთქი და იმანაც სიამოვნებით იპოზიორა, თან დამაბარა, ამ სურათებს რომ დაბეჭდავს, დამირეკოს, შევხვდები და გამოვართმევო. „ვოტ!“ ასე იპოვა იკამ ლიკა, ტელეფონით. ეშმაკუნა“.

## ვერ იპოვა

„რაო, ტელეფონით ნაპოვნი სიყვარულიოოო? ახლა მოდაშია და მეც ხომ არ ჩამოვრჩებოდი? მოკლედ, შარშან მაგარ დეპრესიაში ვიყავი. შეყვარებულს დავშორდი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარდა. ჰოოდა, ჩემმა ახლობელმა თავის მეგობარს ჩემი ნომერი მისცა და წავიდა „ესემესები“, დარეკვები და რა ვიცი და რა ვიცი... უკვე ერთი წელია, ვეკონტაქტები ტელეფონით. ჩემგან ძალიან შორს არის და მიუხედავად ამისა, ძალიან შევუყვარდი. მე კი ვერ ვეუბნები, რომ არ მიყვარს. ახლა უნდა ჩემთან ჩამოსვლა და ცოლობასაც მთხოვს (ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ სურათები გავცვალეთ და მაგრად დავევასე, მე კი არც ისე დამევასა, მაგრამ გულს ხომ ვერ ვატკენ, ჰაااა? რა ვქნა?). სულ ვჩხუბობთ, მინდა, როგორმე მოვიშორო, მაგრამ არ მშორდება და... აი, ჩემმა დაქალოჩკამ ტელეფონით იპოვა სიყვარული და გათხოვდა. ახლა ძალიან ბედნიერია. გკოცნით, თქვენი სარა“.

## პავლეს გასაჭირი

„ჩემი მეზობელი წლების წინ ექიმბაშობდა და ერთი ახალგაზრდა ბიჭი აკითხავდა, ყოველდღე. ერთ დღეს, ეს ჩემი მეზობელი ეზოში იყო და მეზობლებმა ჰკითხეს — რა უნდა იმ ბიჭს შენთანო? რა და, ცოლი მოუყვანია, პატარა აქვს (მომიტევეთ) და წაგრძელება უნდაო. — მერე, შენ უშველიო? დაინტერესდნენ ცნობისმოყვარე მეზობლები. მეზობელმა გაიცინა და უპასუხა — წაგრძელება რომ შემეძლოს, ჩემს პავლეს არ დავუგრძელებდიო? ეშმაკუნა“.

## სვანურ-გურული სიყვარული

„ზამთარია, დეკემბერია, დილის 7 საათია. აშკარად მძინავს, ნუ, თითქმის მძინავს. „მობილი“ აქტიურად გაკივის, მესიჯია, მესიჯიო. აუუ, ასე ძაან არასდროს მწყენია მესიჯის მოსვლა. მოკლედ, ვკითხულობ მესიჯს: „ჰა, დროზე ჩამოდი, გელოდები“. „ნიჩევო სებე“, — გავიფიქრე და უხალისოდ წამოვდექი საწოლიდან. ლექციაზე წავედი. გადავდივარ ქუჩაზე უადგილო ადგილას და ახლა იმავე ნომრიდან მირეკავენ. არადა, ინტერესი მკლავს, ვინაა. თან გზაზე ისეთი მოძრაობაა, უეჭველი „შემოვეავარიები“ რომელიმე მანქანას. მაინც გავრისკე და ტელეფონს ვუპასუხე. — უკაცრავად, სხვასთან მოვხვდი, მგონი, ბოდიშს გიხდი, ასე დილაადრიან რომ გაგაღვიძეთ, გაისმა ტელეფონში ბიჭის თბილი და საოცრად მაცდური ხმა. მე გაბრაზებული და აღშფოთებული ვიდექი შუა ქუჩაში. „აუ, რა თავხედი ხარ!“, გავიფიქრე და გზა განვაგრძე... იმის მერე 1 წელი გავიდა. ჩვენ ახლა უკვე ერთად დავდივართ. ჩვენმა სიყვარულმა ბევრი რამ გადაიტანა, მაგრამ მაინც ისევ ერთად ვართ. ერთმანეთი გვიყვარს. ის სვანია, მე — გურული და ისეთი საოცრად დიდი, თბილი სიყვარული და უზარმაზარი იუმორი გვაერთიანებს, რომ უკეთესს ვერ ინატრებ. მთავარია, სიყვარული იყოს, თორემ სვანი თუ გაგურულდა და გურული თუ გასვანდა, მაგას არა უშავს. ისე კი, ნამდვილად სუპერსიყვარული გვაქვს. ჩვენთან ყოფნით არასდროს მოიწყენ. გაუმარჯოს მობილურით დაწყებულ სიყვარულს, თვეების მანძილზე მხოლოდ მობილური კავშირის გამძლეობით რომ ისულდგმულებს, ორ ქვეყანას შორის, სიგიჟემდე რომ მოგანატრებს შეყვარებულს და მაინც დიდ სიყვარულად დარჩება. არა რა, სიყვარულის ფანი ვარ. იკუშკები“.

## „გზა“ და სიყვარული

„აქა ამბავი პარიჟანკას და მისი ბიჭის სიყვარულისა: მაისის ლამაზ საღამოს, ერთი მგზავნელისგან გზავნილი მივიღე. ჩემი გაცნობა სურდა. რა თქმა უნდა, გავეცანი. ურთიერთობის დასაწყისში არც მიფიქრია, რომ ტელეფონით სიყვარული „დამემართებოდა“. :) თავიდან მაგრად ვეძმაკაცებოდი, ფეხბურთზე ვლაპარაკობდით და ვხუმრობდით. 2 თვეში მივხვდი, რომ მის გარეშე ვეღარ ვძლებდი. ომის დღეებში კავშირი გართულდა, მაგრამ ის პერიოდი მაინც მისმა სიყვარულმა გადამატანინა. მისი თანადგომით ვიყავი და ვარ ძლიერი! მე კი მაშინ შემიყვარდა, მაგრამ თვითონ ჯერ კიდევ მაშინ მოხიბლულა ჩემით, როცა „გზაში“ ჩემი ინტერვიუ უნახავს. :) ცხადად მახსოვს, უცებ მოვარდნილი სიხარულის ტალღა, რომელიც მაშინ დამეუფლა, როცა პირველად მითხრა, რომ ვუყვარვარ. მას მერე უამრავ ულამაზეს დღეს მჩუქნის ჩემი სიცოცხლე. ჩვენი სიყვარული არავის გრძნობას არ ჰგავს, რადგან ჩვენ „გზამ“ და მარიმ გვაპოვნინეს ჩვენი საერთო გზა! ამ ფურცლებიდან კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა: მიყვარხარ სამყაროზე მეტად! გკოცნის, მხოლოდ შენი პარიჟანკა“.

## იმედგაცრუება

„ჰოოდა, ჩემმა ძმაკაცმა გაიცნო ტელეფონით გოგო. MMS რომ გამოუგზავნა, გოგო იყო ანგელოზი, თვალს ვერ მოაცილებდი. გაუსწორდა ამ ჩემს ძმაკაცს და დაიწყო ტელეფონით სიყვარულის ახსნები. დათქვეს დღე და საათი, სად უნდა შეხვედროდენ. ბიჭები გავყევით და იქვე, ცალკე დავსხედით. მივიდა ვიღაც გოგო, „ნახტომში“ ერთი მეტრი ან იქნებოდა, ან — არა, დაღრეცილი კბილები, ელამი, სქელი. მოკლედ, სიმახინჯის განსახიერება. ამ ჩემს ძმაკაცს ეუბნება: — ტელეფონით რომ გაიცანით

ფეხბურთი
ბურთი
ბურთი

გულში სიყვარულმა პიკს მიაღწია. შეხვედრაც დათქვეს. რამდენიმე დღით ადრე კი ნინომ უთხრა, რომ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები ჰქონდა და შეხვედრა გადადო. სულ მალე კი გოგოს ტელეფონი სამუდამოდ დადუმდა. ბიჭი გიჟს ჰგავდა, აღარ იცოდა, რა ეღონა. ნინოს სიყვარულმა და მასზე დარდმა ლამის შეშალა. იმჟამად ზღვისპირა ქალაქში მუშაობდა, დატოვა სამსახური და თავის რაიონში, იმ საერთო ნაცნობ გოგოს მიაკითხა. ერთადერთ იმედად ის ეგულებოდა. გოგომ გოჩას უთხრა, რომ ყველაფერი იცოდა უკვე მათ შესახებ ნინოსგან და ბლოკნოტი გადასცა, სადაც ნინო მასზე ყოველდღიურ ჩანაწერებს აკეთებდა და თავის სიყვარულზე გულახდილად წერდა. მერე კი გოჩამ საშინელი განაჩენიც მოისმინა — სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ ვერ გადაიტანა და ოპერაციისას დაიღუპა, ხვალ ასაფლავებენო. ბიჭი შეიშალა, ბღაოდა, ვეღარ აკავებდნენ. მისამართის გამხელაზე თავიდან უარზე იყო გოგო, მაგრამ ნახევრად შეშლილ კაცთან უარი არ გაუვიდა და უთხრა. ბიჭმა სასწრაფოდ იქირავა „მარშრუტკა", ახლობლები ჩაისვა, ყვავილები და გვირგვინები შეიძინა და გაუდგა რაჭისკენ გზას. მისი საცოდაობით ახლობლებს გული ეწვოდათ... მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო, მთავარი წინ ელოდათ. ადგილზე მისულებმა აღმოაჩინეს, რომ მსგავსი სახელისა და გვარის იქ არავინ ცხოვრობდა და თანაც, ბოლო ერთი თვის მანძილზე არც არავინ გარდაცვლილა, 90 წლის უშანგის გარდაო. დაბრუნდა უკან, თავის ყვავილებიანად, გაცოფებული და განადგურებული გოჩა და იცით, რა გაირკვა? მისი რაჭველი სიყვარული თავად ის ნაცნობი გოგო აღმოჩნდა. ყველაფერი მისი შეთხზული იყო და როცა გოჩამ მისი ნახვა მოინდომა, მიხვდა, რომ შეტოპა და გაქრობა გადაწყვიტა. განა მარტო ტყუილის გამო? მთავარი ის იყო, რომ გოგო გათხოვილი იყო, ქმარიც ჰყავდა და დიდი გოგონაც. აღარ გავაგრძელებ, ამ ყველაფერზე გოჩას რა რეაქცია ჰქონდა, როგორ გადაურჩა იმ შერცხვენილი გოგოს ოჯახი დანგრევას, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ ამ ბიჭმა ქალების მიმართ ყოველგვარი ნდობა დაკარგა, ტელეფონს კი კარგა ხანია არც გაჰკარებია და მეეჭვება, ცხოვრებაში ვინმე ნამდვილი სიყვარულით შეუყვარდეს. ასე იპოვა ტელეფონით უსიყვარულობა. თუ წაიკითხავს, ვთხოვ, ნუ მიწყენს. კამელია".

## უნამუსო

„მამაჩემს მეგობარი უყვებოდა: იალბუზი (თურმე ნუ იტყვით და საშინელ, ქარბუქიან ამინდს გულისხმობდა) ამინდი იყო, მოყვრებში ვიყავი, ქეიფის დროს ოქროს კბილი ჩამომივარდა და გულის ჯიბეში შევინახე. სახლში მთვრალი დავბრუნდი, საპირფარეშოში გავლა მინდოდა, მაგრამ იალბუზი ამინდი იყო და კი დამეზარა. ერთი მზაკვრული იდეა დამებადა და განხორციელებას შევუდექი, ცოლშვილს დავუძახე და ვეუბნები, ოქროს კბილი გადამეყლაპა და ვინც იპოვის, იმისი იყოს-მეთქი. ის დღე იყო და მე გარეთ აღარ გავსულვარ, ოთახში შემომიტანეს ღამის ქოთანი, ცოლშვილი კი განავალში კბილს ეძებდა. ერთი კვირა ვიყავი ამ განცხრომაში, მაგრამ ისევ ჩემმა სუნმა შემაწუხა და კი გამოვაჩინე დამალული კბილი. იმდენი მომხვდა, რუსულ „ბარაბანს" რომ არ მოხვედრია. ჰოდა, კიდევ ერთი კვირა იარებს ვიშუშებდი. პია".

## ჩხუბით მოპოვებული სიყვარული

„სიყვარული მე ჩხუბით ვიპოვე. VII კლასში ვიყავი, როცა ჩვენს კლასში ახალგადმოსული გოგონა დავიცავი, უფროსკლასელი ბიჭების შემოტევისგან და სასაცილო ის იყო, რომ ამ ბიჭებში მთავარს მოვეწონე. ეს ვინ არისო? — თურმე კითხულობდა. საქმე ის არის, რომ ისეთი „მწარე ხუთოსანი" ვიყავი, დასვენებაზეც კი არ გამოვდიოდი კლასიდან გარეთ და სად დამინახავდა? მოკლედ, მე და იმ ბიჭს 3 წელი სკოლაში გვიყვარდა ერთმანეთი, 2 წელი ჯარში წასულს ველოდებოდი და ახლა 18 წლის ოჯახი გვაქვს (ძალიან მოხუცები არ გეგონოთ, 36 და 37 წლის ვართ) და დღეს კიდევ უფრო მეტად გვიყვარს ერთმანეთი. ყველას ასეთ უბერებელ გრძნობას გისურვებთ. პატივისცემით, ქალბატონი".

## ვაკური სოფელი

„ტელეფონით ჩემმა მეზობელმა იპოვა ქმარი და თბილისიდან საკმაოდ შორს გათხოვდა. ახალგაზრდა გოგო სოფელს ვერ შეეგუა და მამამ უკან წამოიყვანა. მას ქმარი მოჰყვა, ქმარს — მშობლები და მული, თავისი ოჯახით. ახლა ყველანი თბილისში ცხოვრობენ. ეკას მამის წყალობით სახლიც იშოვეს და სამსახურიც. ისე, საკითხავი ისაა, ეკაა გათხოვილი თუ დათო? P.S. დათო სულ წუწუნებს, ეს „ნახალოვკა" რა შორსაა ცენტრისგანო. ნუ, ახლა თავისი სოფელი სულ ვაკეში იყო და... ჩუპი".

## თქვენც გაგეზარდოთ

„ამ დღეებში ბავშვს ვასეირნებდი. გზაზე ორი მთვრალი კაცი ერთმანეთს ესიყვარულებოდა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეო. გვერდი ავუარე და გავიარე. ერთ-ერთმა კაცმა დამიძახა, გოგონა, გოგონაო. მივტრიალდი. — რა კარგი ბავშვია, გაგეზარდოსო, მითხრა. მე კიდევ, ვუპასუხე, თქვენც გაგეზარდოთ-მეთქი და გავიარე. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და თავში აზრმა გამიელვა — ნეტავ, რატომ ვუთხარი, თქვენც გაგეზარდოთ-მეთქი? მათ ხომ არ ჰყავდათ ბავშვი იქ? ისინი კი ისეთი მთვრალები იყვნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ და ჩემს ნათქვამს ვერ მიხვდებოდნენ. მე კი გაწითლებულმა, ფეხს ავუჩქარე. აი, რა შეიძლება მთვრალი კაცის დანახვამ გათქმევინოს. პუპსიკა".

## შორით ტრფობა

„ჩემი ერთ-ერთი მეგობარი ბავშვობიდან სიყვარულის ძიებაში იყო, მაგრამ რატომღაც ამ სფეროში ბედი არ სწყალობდა. თუმცა, ერთ დღეს მობილური შეიძინა და ამით, ფაქტობრივად, რომელიმე ოჯახში რძლის კანდიდატურის ბილეთიც დაჯავშნა. არ ვიცი, როგორ და რანაირად გაიცნო ის ბიჭი (ახლა უკვე მეორე ნახევრად წოდებული), მაგრამ ერთი შეხვედრის შემდეგ ისე აამაღლა სიყვარულმა, რომ ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნეს. მალე დაინიშნა ქორწილის თარიღი, მეჯვარეობის პატივი კი მე მერგო. დანიშნულ დღეს საგულდაგულოდ გამოვეწყვე და იმერეთს მივაშურე. არაჩვეულებრივად დამხვდნენ, მასპინძლებმა ყურადღება, ხოლო ბიჭის მეჯვარემ სიყვარული არ მომაკლო. დამიმარტოხელა და კატეგორიულად გამომიცხადა: „გამომყევი, ქალო, ცოლად, ძლიერი მაქვს სიყვარული“. მას არა, მაგრამ ათენში მიმავალ ავტობუსს კი გავყევი და ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობ. ის ბიჭი კი, გადმოცემის თანახმად, შორიდან მეტრფის. ასე იპოვა სამმა ადამიანმა 1 ტელეფონით, სიყვარული. მადადი18“.

## შეხიცინებული

„ჩემმა მეზობელმა ტელეფონით ქუთაისელი ბიჭი გაიცნო. მალე ერთმანეთს შეხვდნენ. ბიჭის მოწონება ცალმხრივი აღმოჩნდა და სასოწარკვეთილმა, თიკას მოტაცება განიზრახა. ზაფხულის ცხელი დღე იყო, მე და ჩემი მეზობელი პლაჟიდან მოვდიოდით, მანქანა გაჩერდა, იქიდან 3 ბიჭი „გადმოფრინდა“, სტაცეს ხელი, ჩააგდეს მანქანაში, მაგრამ ფეხები ვერ შეაყოფინეს. ქუთაისელები აშკარად დაიბნენ. ერთ-ერთმა ჭკუა იხმარა, საპატარძლოს ლასტები გააძრო და შეუხიცინა. ყველა ფიქრობდა, რომ ნერვიული სიცილი მქონდა. P.S. თიკ, მაპატიე, რაა. პრანჭო“.

## მაინც ამოთხარა

„ეს უცნაური ამბავი ჩემს დიდ ძმაკაცს შეემთხვა, რომელიც ჩვეულებრივი ბიჭია, ცოტა თამამი და „ნაგლიც“, გოგონებთან. ერთხელ ერთ გოგოს უმესიჯებდა, ზუსტად ერთი კვირა. ყველაფერს ატყუებდა, რადგან მიაჩნია, რომ ტელეფონით სერიოზული რაღაცები არ წყდება. ის გოგო კი არაფერს ატყუებდა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ძალიან შეუყვარდა და რა გასაკვირია, რომ ძალიან განიცადა, როცა ჩემი ძმაკაცი დაშორდა (აღარ უმესიჯებდა). ერთხელ, როცა ჩემი დაქალი თავისი ნათესავითურთ მესტუმრა და იმ ნათესავმა თავისი ნაღვლიანი სიყვარულის ამბავი მომიყვა, გამიკვირდა, საიდან სადმეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ძმაკაცის, ჩემი დაქალისა და მისი ნათესავის სტუმრობა დავამთხვიე. რა თქმა უნდა, ერთმანეთის შესახებ ჩემი მონაყოლის გარდა არაფერი იცოდნენ. მე კი გოგოს ვუთხარი, რომ თავიდან შეცვლილი სახელი ეთქვა და მერე დრო გვიჩვენებდა, ხოლო ბიჭს გოგო ვუქე, მაგრად. ბოლოს, ის მოხდა, რომ ახლა მომავალი ნათლია ვარ და ძალიან ბედნიერი ვარ, ამ ულამაზესი ოჯახის ყურებით. ნემო“.

## ვიბროხმა

„ჩემს მამამთილს ისეთი ხმა აქვს, 5 კილომეტრის რადიუსით უტელეფონოდ აწვდენს ხალხს. ერთ მშვენიერ დღეს ტელეფონი დაუჯდა, დამიტოვა სატენზე შეერთებული და წავიდა. ცოტა ხანში დარეკა ტელეფონმა. მივირბინე, — გისმენთ-მეთქი. გათიშა. ასე განმეორდა სამჯერ. ბოლოს მესიჯი მოიწერა: „მაგარი ხმა გაქვთ, არ გამეცნობი, ხშირად რომ გამაგონო?“ საქმედალეული ბიჭი თავს ირთობდა. მე მივწერე, ამ ტელეფონის პატრონს მართლა მაგარი ხმა აქვს, მისი ერთი, კარგად ნათქვამი „ალო“ გეყოფა, მთელი კვირა ვიბრაციაზე იქნები-მეთქი. მისგან მეტი მესიჯი აღარ მიმიღია. კამელია“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.

„გიო ტელეფონით გავიცანი. 15 დღეში მითხრა, მიყვარხარო. მეც უზომოდ მიყვარდა, მაგრამ მან ასევე უზომოდ მატკინა გული და ერთმანეთს დავცილდით. არადა, ულამაზესი იყო ჩვენი სიყვარული. ომის პერიოდში მომწერა — გამომყევი, თორემ ომში წავალო. ჰოდა, დღეს მომწერა ისევ — მიყვარხარ და დააფასე ჩემი სიყვარულიო. ჩემი ტელეფონით ნაპოვნი სიყვარული ორი წელია, გრძელდება. ბარტყი“.

„მოგესალმებით ყველას, საბერძნეთიდან. მე თქვენგან შორს ვარ, მაგრამ თქვენ მიმართ სიყვარული არ გამნელებია და ალბათ, არც გამინელდება. ახალი ვარ და თუ მიმიღებთ, მადლობელი დაგრჩებით. ახლა, ჩემი სიყვარულის ამბავს მოგიყვებით. ერთი წელი სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. ერთ დღეს კი მოვიდა და მითხრა, უნდა დაგშორდე, ძალიან ეჭვიანი ხარ და შენს ხასიათს ველარ ვიტანო. ეს სიტყვები გავიგონე თუ არა, მისი ცხოვრებიდან გავქრი და ასე მოვხვდი აქეთ. მენატრება და მიყვარს, მაგრამ ჩემმა დაუფიქრებელმა საქციელმა, საყვარელი ადამიანი დამაკარგვინა. შემეძლო მეთქვა, გამოვსწორდები-მეთქი, მაგრამ სიამაყისთვის რა პასუხი გამეცა? სიყვარულით, ნუცა“.

„ჩემს გოგონას ვანელი კურსელი ჰყავს. ერთხელ, გამოცდაზე, მისი ცოდნით უკმაყოფილო ლექტორმა უთხრა: გოგო, შენ ვანელი რომ ხარ კი ვიცი, მაგრამ სვანიც ხომ არ ხარო? კიო, უპასუხა გოგონამ, დედით სვანი ვარო. მთელი კურსი იცინოდა და ლექტორმაც თავი ვერ შეიკავა. გერასიმე“.

„ჩემმა დაქალმა სიყვარული ტელეფონით იპოვა. ერთი წელი მხოლოდ ტელეფონით ჰქონდათ ურთიერთობა და ისე შეუყვარდა, როცა გაიგო, ის ბიჭი ციხეში იჯდა, მაინც დაელოდა. ასე რომ, მან ტელეფონის საშუალებით იპოვა საყვარელი ადამიანი და მინდა გითხრათ, რომ დღეს ძალიან ბედნიერია. სიკვდილა“.

„სულ იმას ვამბობ, შანსი არაა, სიყვარული გზაში უნდა ვიპოვო-მეთქი. ჟურნალ „გზას“ არ ვგულისხმობ, იმ გზას, რომელსაც თურქეთ-საქართველოს შორის გავდივარ, მაგრამ ჯერ ვერ ვიპოვე. ისე, ჩემი პრინცი თეთრი ავტობუსით გამომეცხადება, ვიცი. ჰოდა, როცა ვიპოვი, ნამდვილ, წრფელ და მხურვალე სიყვარულს, აუცილებლად გაგაგებინებთ. მანაველი“.

„მე თავად ტელეფონზე ვარ შეყვარებული. რამე რომ გაუფუჭდება, ვტირი. ღამეც ჩახუტებული მაქვს. ეჰ, ცუდადაა ჩემი საქმე, ხალხოო! ერატო“.

*მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: — ყველაზე წარმოუდგენელი საქციელი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, აზრი ერთ-ერთმა მკითხველმა მომწოდა და კითხვად გთავაზობთ — ვინ ვარ მე?*

# უმძიმესი მოქალაქე

დასაწყისი — „გზა“, №38-49

მარი ჯაფარიძე

*„მარ, „გზას“ ახლა შემოვუერთდი და ძალიან მომეწონა. ამის მერე არც ერთ ნომერს არ გამოვტოვებ. წინა ნომერში მესიჯიც მოგწერე და დამიბეჭდე, რისთვისაც მადლობას გიხდი. არადა, მეუბნებოდნენ, ახალ მკითხველს მესიჯს მაშინვე არ უბეჭდავენო. განაკუთრებული ინტერესით წავიკითხე „სიტუაცია“, „გზავნილები“ და „რეალური“. ძალიან გთხოვ, ორიოდე სიტყვით უტას შესახებ მითხარი. როგორც მითხრეს, ეს რეალური პიროვნება ყოფილა. მართალია? უკვე ერთგული მკითხველი, აბრაკადაბრა“. შესაძლოა, აბრაკადაბრას მსგავსად, სხვაც გვყავს ახალი მკითხველი. ამიტომ, მათთვის მცირე შესავალს გავაკეთებ. ჩვენი რეალურის მთავარი პერსონაჟი უტაა, რომელსაც მეტსახელით — სედოი, მოიხსენიებენ. ის მართლაც რეალური პიროვნებაა, ქურდი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. უტას დღიურები, რომელიც „რეალურს“ საფუძვლად დაედო, მისმა ყოფილმა საყვარელმა გადმომცა. მოვლენები გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ხდება.*

მელანოს მკლავები ჩამოუცვივდა და იქვე, კიბეზე ჩამოჯდა. გვერდით მივუჯექი, ხელი გადავხვიე და მისი თავი მკერდზე მივიხუტე. კარგა ხანს ვისხედით ასე, მერე თავი ავუწიე და თვალებში ჩავხედე.

— ახლა თუ სიმართლეს არ მეტყვი, იცოდე, ისეთ რამეს მოვიმოქმედებ, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება, — კი დავემუქრე, მაგრამ ნამდვილად არ ვიცოდი, რის გაკეთებას ვაპირებდი.

— არ შემიძლია, ვერაფერს გეტყვი, — ისევ ატირდა მელანო.

მივეფერე და შევპირდი, რომ არავის არაფერს ვეტყოდი. მხოლოდ ამის მერე ამოღერღა, რომ თურმე, დედამისის საყვარელს, მაღალი თანამდებობის პირს უნახავს და მოსწონებია. მერე დედამისს მოლაპარაკებია, რომ თუ მელანოს მასთან ურთიერთობაზე დაითანხმებდა, მთელი ცხოვრების განმავლობაში არაფერს გაუჭირვებდა არც მას და არც მელანოს. შვილს ნუ გამიუბედურებო, ერთი კი უთხოვია დედამისს, მაგრამ ის კაცი იმასაც შეჰპირებია, რომ 1-2 წელიწადში მელანოს თავის შვილზე დააქორწინებდა.

— რას ამბობ, ეს როგორ შეიძლება? ჯერ დედასთან დადიოდა, მერე შვილთან, მერე ის თავისი „ნახმარი“ გოგო თავისსავე შვილს უნდა შეტენოს? — აღშფოთდა ნიცა.

— ჰოდა, აბა, წარმოიდგინე, ასეთ გახრწნილ კაცთან ურთიერთობის უფლება მისცა საკუთარმა დედამ. რა დამემართებოდა, ამას რომ გავიგებდი? საშინლად გავბრაზდი, ფეხზე წამოვხტი, 2 სართული ავირბინე და მელანოს კარზე ბრახუნი ავტეხე. მეგონა, მელანო გამომეკიდებოდა, მაგრამ არსად ჩანდა. კარი კარგა ხანს არავინ გამიღო. როგორც იქნა, საკეტის ჩხაკუნის ხმა გავიგონე და თმაგაწეწილი, ხალათში გამოწყობილი დედამისი გამომეცხადა.

— რა იყო, კარი უნდა ჩამოიღო? — პრეტენზიულად განმიცხადა.

ხალათის გულისპირი ხელით ჩავბღუჯე და კედელს ავაკარი.

— შენი დედა... — უწმაწურად

**ხელისგული პირზე ავაფარე და ოთახისკენ გავათრიე. მიძალიანდებოდა, მებრძოდა და ფრჩხილებით მკაწრავდა**

შევაგინე, გულისპირით მოვქაჩე და კედელზე მივახეთქე.

წიოკი ატეხა.

მეზობლები რომ არ გაეღვიძებინა, ხელისგული პირზე ავაფარე და ოთახისკენ გავათრიე. მიძალიანდებოდა, მებრძოდა და ფრჩხილებით მკაწრავდა.

როგორც იქნა, ოთახში შევათრიე და პირდაპირ იატაკზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაგდე, თან უშვერი სიტყვებით ვიგინებოდი. ხელზე მიკბინა, რამაც ძალიან გამამწარა. სილა გავაწანი და ცხვირიდან სისხლი წასკდა. ამის საპასუხოდ, ფრჩხილები სახეზე ჩამომისვა და ვიგრძენი, რაღაცამ დანასავით დამსერა. მეორედ გავაწანი სილა. თან ხმამაღლა ვყვიროდი, შე ბოზო, შვილს რატომ აუბედურებ, შენსავით უნდა გააბოზომეთქი? იქამდე ვურტყი, სანამ ძალაგამოლეული, უღონოდ არ გაერთხა იატაკს.

გონს ამის მერე მოვედი და თავი დავანებე. წამოვდექი და კარისკენ გავემართე. ოთახის შესასვლელ კართან მელანო იდგა და ტიროდა. გვერდი მდუმარედ ავუარე და გარეთ გამოვედი.

რამდენიმე დღის განმავლობაში ვიმალებოდი, რადგან იმ ბოზმა მიჩივლა და მილიცია დამდევდა.

მიუხედავად ამისა, მოვახერხე და ერთ საღამოს მელანოს დავხვდი.

— შენთან ლაპარაკი არ მინდა, — გვერდის ავლა სცადა, მაგრამ არ გავატარე.

— აბა, ვისთან გინდა ლაპარაკი, იმ შენს კუროსთან? — სათქმელი კბილებში გამოვცერი.

შემომხედა და გავლა ისევ სცადა, მაგრამ ისევ წინ გადავუდექი.

— გამატარე, — გაბრაზებულმა მითხრა.

— რატომ? გელოდებიან?

— არა, არავინ მელოდება და არც კურო მყავს...

— ჯერ... — დავამატე მის ნათქვამს.

— ჰო, ჯერ...

— როგორც ვატყობ, შენ მგონი მოგწონს კიდეც, ასე ცხოვრება და მომავალი, ბოზური ცხოვრების პერსპექტივა გხიბლავს.

— აღარ ვხვდები იმ კაცს, დაწყნარდი, — თვალები ეშმაკივით დააკვესა.

— ჰოო? რატომ? შენ გადაიფიქრე თუ დედაშენმა? იქნებ იმ კაცმა?

— ის კაცი გეძებს და თუ გიპოვა, იცოდე, რომ ცოცხალს არ დაგტოვებს.

— მერე, რატომ მაფრთხილებ, შენც ეგ არ გინდა?

— ჰმ, — მხოლოდ ეს თქვა.

— წამოდი, მელანო, მოსკოვში წავიდეთ, გავიპაროთ, მიყვარხარ და მინდა, რომ ერთად ვიყოთ. მიაფურთხე ეშმაკს, დედაშენს, მის საყვარლებს და გავიპაროთ.

— არა, უტა, მე ვერ წამოვალ...

— რატომ? დედაშენი არ დაიკარგება, თავს ყოველთვის გაიტანს.

— მე ისეთ კაცთან ვერ ვიცხოვრებ, რომელმაც დედაჩემს შეურაცხყოფა მიაყენა.

— რაა? — ხმამაღლა გადავიხარხარე, — დედაშენს შეურაცხყოფას ის კაცი არ აყენებდა, ვისთანაც შენ დასეირნობდი? ის აყენებდა, თუ აყენებდა, ვინ იცის, რა პოზაში აღარ ჟიმავდა და რას არ უკეთებდა... შენ მიგაჩნია, რომ მე მივაყენე შეურაცხყოფა?

— ჰო, შენ მიაყენე. შენ სცემე...

— აა, უკაცრავად, მაპატიე, როგორც ჩანს, მეც უნდა გამეჟიმა, არა? თქვენს ოჯახში ასეა მიღებული, არა? ჩემთან ერთად წამოსვლაც იმიტომ არ გინდა, რომ დედაშენთან სექსი არ მქონია. — სასტიკი ვიყავი და არ ვნანობდი, ამას რომ ვეუბნებოდი.

შებრუნდა და ზურგი უსიტყვოდ შემაქცია.

ხარხარი მივაყოლე.

ეს ჩემი რეაქცია იყო მის საქციელზე. იმ წუთში ისე ვიყავი გაბრაზებული, რომ მეზიზღებოდა კიდეც. ნუთუ, ვერ ხვდება, რომ ჭაობიდან ამოსვლას ვთავაზობ? რომ უკეთეს ცხოვრებას ვთავაზობ? ვფიქრობდი და მის მიმართ სიძულვილით ვივსებოდი.

2-3 დღე საჭირო საბუთებისა და საქმეების მოგვარებას მოვუნდი, მერე, შუაღამისას ოჯახს გამოვემშვიდობე და დავარწმუნე, რომ ჩემი გამგზავრება აუცილებელი იყო და მოსკოვში წამოვედი.

იმის შემდეგ აქ ვარ.

— იმის შემდეგ მელანო არ გინახავს? — მკითხა ნიცამ.

— ერთხელ ვნახე, ჩემი მშობლების გასვენებაში. ერთმანეთს არ დავლაპარაკებივართ.

— მის შესახებაც არაფერი გაგიგია?

— როგორ არა, მისი ყველა ნაბიჯი ვიცი, ყოველი დღე და წუთი.

— გამოდის, ისევ გიყვარს, არა? — მოიწყინა ნიცამ.

— არა, არ მიყვარს.

— აბა, ვინ გიყვარს? — როცა ამას მეკითხებოდა, ალბათ ფიქრობდა, რომ ვეტყოდი, შენმეთქი.

— ვინ? ახლა არავინ მიყვარს.

— არა? — თვალები აუწყლიანდა გოგონას, — არც მე?

— იმ ასაკში აღარ ვარ, რომ ვინმე შემიყვარდეს. თანაც, შენნაირი ჩერჩეტი და პატარა გოგო.

— აბა, რა გინდა ჩემთან?

— არაფერი, ვიცი, რომ შენ გინდა ჩემთან და ამიტომ, არ გაწბილებ, — სასტიკად ვუპასუხე.

— ახლავე გააჩერე! — მიბრძანა და ცალი ხელით კარის სახელურს ჩააფრინდა.

— აქ? აქ გავაჩერო? ახლა ქალაქგარეთ ვართ, სადაცაა, დაღამდება, შინ როგორ წახვალ?

— ამის დარდი ნუ გექნება, გააჩერე! — ლამის იყვირა გოგონამ.

დავემორჩილე და მანქანა გზის პირზე გავაჩერე.

ნიცა გადავიდა, კარი მთელი ძალით მოაჯახუნა და გზას ფეხით გაუყვა.

მე კი მანქანა მოვაბრუნე და უკან, ქალაქისკენ წამოვედი. თან უკანა ხედვის სარკეში ვუყურებდი, როგორ წელმოწყვეტილივით მიაბიჯებდა. ძალიან შემეცოდა, ასე რომ მოვექეცი, მაგრამ ვიცი მე გოგონების ბუნება, თუ უთხარი, რომ გიყვარს, მერე სხვა მოთხოვნები უჩნდებათ, ვალდებულების აღებას გაიძულებენ, რომ მათ დაკრულზე იცეკვო. პრინციპში, ტყუილიც არ მითქვამს, რადგან ნიცა მართლა არ მიყვარდა. მე ის მსურდა, მისი დანახვა ცეცხლს მინთებდა და ჯოჯოხეთური ნებისყოფა მჭირდებოდა, რომ თავი მომეთოკა და არ დავტაკებოდი. მართალია, ამის წინააღმდეგი თვითონ არ იყო, მაგრამ ჯერჯერობით, მე ვიყავი წინააღმდეგი. ეს „ჯერჯერობით“ სადამდე გაგრძელდებოდა, თავად არ ვუწყოდი. ახლა უნდა შემომერიგებინა, მაგრამ როგორ? ახლა უკან მიბრუნება ალბათ არ ღირდა. დაე, იწვნიოს, ჩემი სუსხი და სხვა დროს ასე აღარ მოიქცევა. ალბათ ეგონა, რომ ხვეწნას დავუწყებდი, მაგრამ ჩემი ბუნება ჯერ კიდევ ვერ გაიცნო და ამიტომ უშვებს შეცდომებს. — უნდა გამოვზარდო ჩემს ჭკუაზე, კატასავით უნდა მოვათვინიერო. — გავიფიქრე და სიჩქარეს მოვუმატე.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ჯრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

## ქალები



1. გავიცნობ განქორწინებულ ან ქვრივ მამაკაცს, 30 წლამდე, დასავლეთიდან. ია.

2. ვარ სალო, 20 წლის. მინდა შევქმნა ოჯახი, ღირსეულ ადამიანთან ერთად. მყავს შვილი. ვარ პუტკუნა და არ ვარ თბილისელი. გასართობად ნუ დამირეკავთ, ძალიან გთხოვთ.

3. მარ, ვიკა ვარ, განცხადებაში ჩამწერე და ვისაც ენდომება ჩემი ნომერი, მიეცი. ვიკა.

4. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს მამაკაცი, 40 წლამდე.

5. გამომიგზავნეთ „გზა“ №48, მე-6 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

6. გავიცნობ თბილისელ ბიჭს, ყველაფრით უზრუნველყოფილს, მაგრამ უზომოდ ყურადღებიანსა და ჭეშმარიტად მორწმუნეს, ლამაზი მეგობრობისთვის. ვარ ბუნებით უბრალო.

## მამაკაცები

7. ვარ 20 წლის. მინდა გავიცნო 17-19 წლის, სიმპათიური, თბილისელი გოგო.

8. ვარ 33 წლის, ქვრივი მამაკაცი. ვეძებ ნორმალურ ქალს. შემომეხმიანეთ.

9. ვარ 19 წლის ბიჭი და გავიცნობ გოგოს, 17 ან 18 წლისას, რა თქმა უნდა, პატიოსანს.

10. გთხოვთ, მისცეთ ეს ნომერი თბილისელ, ნებისმიერ გოგოს. დათო.

11. ვარ 32 წლის მამაკაცი, დასავლეთიდან. მსურს, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო წესიერი და მხიარული გოგო.

12. ვარ თბილისელი მამაკაცი, განქორწინებული, საკმაოდ სიმპათიური, მავნე ჩვევების გარეშე. გამომეხმაუროს 20-დან 40-წლამდე ასაკის, ლამაზი ქალბატონი.

13. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №49, მე-5 განცხადების ავტორის ნომერი. გმადლობთ.

14. „გზა“ №49, მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მჭირდება. ვერ დამეხმარებით?

15. ვარ მარტოსული მამაკაცი, 40 წლის. ვმუშაობ. ვარ რომანტიკული. გამომეხმაუროს თბილისელი ან რუსთაველი ქალბატონი, 40 წლამდე, ვისაც თავს შემოვავლებ.

16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 24-დან 31-წლამდე ასაკის მანდილოსანს. თუ შემეხმიანებით, უკეთ გაგეცნობით, მანდილოსანო! მსურველი შემეხმიანოს. ხვიჩა.

17. 25-დან 31-წლამდე მანდილოსანო, შემეხმიანე, თუ გსურს, რომ შექმნა ოჯახი და გყავდეს მოსიყვარულე მეუღლე. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით დაგელოდები, ძვირფასო. ხვიჩა.

18. გავიცნობ კარგ, განათლებულ მანდილოსანს, 25 წლიდან — ზევით, სერიოზული ურთიერთობისთვის.

19. გთხოვთ მომწეროთ „გზა“ №49, 1-ელი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

## ვეძებ

20. ვეძებ ვართანოვ ვალერის. თუ იცნობთ, გთხოვთ, გამომეხმაუროთ. ვალერი, იმედი მაქვს, „გზის“ მეშვეობით გიპოვი. ჩემო ბავშვობის სიყვარულო, მენატრები. მარიკუნა, გეხუტუნე გულში. შენი იმედი მაქვს.

21. არც კი ვიცი, ვის ვეძებ. უბრალოდ, ერთ ფაქტს შევახსენებ: მატარებლით მგზავრობდა. ურეკში ჩავიდა, ძმაკაცებთან ერთად. რამდენიმე „პრიკოლი“ დავუბლუთუზე. ნანა.

22. ვეძებ მამაკაცს, რომელიც „ლურჯ მონასტერში“ მეჯვარედ იყო, 18 ოქტომბერს.

## სალაღობო

• ო, რა ლამაზი ხარ, სიცოცხლევ! ნეტა მას, ვისაც ფიალა ბოლომდე აუვსე და აგრძნობინე შენი სასწაული ძალა, შენი ღვთაებრივი სურნელი... ვინც გიჟურად დაგეწაფა, ეს სავსე ფიალა ბედნიერი ღიმილით გამოგართვა და სულმოუთქმელად დაცალა. ნეტა მას, სხვებზე უფრო მდიდარს, სხვებზე ბედნიერს, მაგრამ შენთვის მაინც პეპელასავით საცოდავ, წუთისოფლის სტუმარს. მარი, ეს შენ! აბრაკადაბრა.

• მე მენატრებით ყველანი, ძველ-ახალ მგზავნელიანად/ და თან მიყვარხართ მუდამდღე, ჩვენი მარიამულიანად./ მე მსურს მივბაძო სტიქიას და ჩვენს ლიმონის ქალსაო/ და ამ პატარა ლექსითა, გაჩუქოთ სითბო ყველასო./ ბაო, კაკუ და მაესტრო, ჩემო ოჯახის წევრებო,/ თქვენთვის ძგერს გული პატარა, თქვენი სითბოთი სავსეო./ მე მიყვარს გიჟი ილინი და ჟურნალისტი თოჯინა,/ თქვენ, თქვენი სილამაზითა, ჰგავხართ ბარბისა თოჯინას./

აპოლონი და ლელუჩი, კანიბალკა და ელისო./ ამ ლექსის პატარა ავტორი, თქვენგან შექებას ელისო./ ნიკოლს უყვარხართ ყველანი, სესი, როკო და პავლიკა,/ იკუშკებიც, კამელიაც, ეშმაკი ეგოისტკაც./ მენატრება ზემლიაკი, შეწირული ჩვენი დათო,/ გაუმარჯოს ქუთაისის სიამაყეს, ნათათოს./ ბანკების გამტანს უყვარსო 9717/ და კიდევ უყვარს ანარქია და გიჟი ჩორტიოზნაეტი./ crazy girl-ი მასწავლის, ცოტ-ცოტა ინგლისურსაო/ და გიჟი ჩვენი ლიმონა, მეგრულად — „მე მიყვარხარო"./ პარიჟანკავ, კარგო ქალო, გაიხარე ლამაზო,/ მე დავლოცავ ლორელაის და მის ჯარისკაცსაო./ მოვიკითხავ ჩორი-ჩორის, ჩვენს კარატისტ ქალსაო,/ მე ვუსურვებ, გამოცდებში, დიდ წარმატებებსაო/ და ბოლოს ყველა მიყვარხართ, გფარავდეთ წმინდა გიორგი,/ წმინდა ნინო და მარიამ, ღმერთი, უფალი, მაღალი... p.s. ეგოისტკავ, კიდევ ვარ დამპალი? ნიკოლი.

• მარი, დიდი ხანია, ჟურნალ „გზას" ვკითხულობ და ეს შენი დამსახურებაა. მართლა გაფასებ... ცხოვრებაში ვინმე ტირილამდე, კივილამდე და გულის წასვლამდე მოგნატრებია? ეჰ, ვინმეს რომ კარგავ, მხოლოდ მაშინ ხვდები, თუ რას ნიშნავდა შენთვის, მაგრამ იმასაც მიხვდები, რომ უკვე ყველაფერი გვიანია... სმაილუკა16.

• მარ, ჩემი ტელეფონით ნაპოვნი სიყვარულები, სიხარულები და გულუკები შენ, მთლიანად „გზა", „გზავნილები" და მგზავნელები ხართ. ძილშიც არ მასვენებთ. დამესიზმრა, თითქოს კოსტიუმირებული წვეულება იყო. დარბაზში საპატიო ადგილზე ნეფე-დედოფალი, მარი ჯაფარიძე და გრაფი თარხანი ისხდნენ, იქვე ილინი და მამაცი თოჯინაც იყვნენ. ძველები ყველანი აქ იყვნენ — იურისტი კანიბალკა, ჩემი სიყვარულები დუჩი, პოეტი სტიქია, პატარა კაკუ, მუკობაზიერი, საძაგელი, პარაზიტი ფელამუშა, ნათათო, გერასიმე, ესმერალდა, ვასასი, თაისი. უუუსაყვარლესი, უტკბილესი და უმხიარულესი, ჩემი გული და სული, პავლიკა, მაცდური ვერმახტი, საკალელი აპოლონი, ყურადღებიანი მაესტრო, აბიტურიენტი ნიკოლი, პატარა აბეზარა, პატრული ელისო, ბოხო, ჩიხტიკოპიანი დილეტანტი, ამორძალი მეგერა, გურული იკუშკები, ახალგამოჩენილი საჩალელი, ანარქია, აფერისტკა, მე, ნიღბოსანი, ბაო, მოუცლელი ლორელაი, შეყვარებული პარიჟანკა, დაკარგული ლეო, შეწირული, ჯეჯე, ბოა, ოლეგარიო, მოკლედ, ყველანი ძააალიან მიყვარხართოო! მარად თქვენი მოუსვენარი გოგო, ეშმაკუნა.

• ისე, სად დაიკარგა ძველი სასტავი? ყველანი მაგრები იყვნენ, თან, უფრო ხალისი იყო. მარი, დააბრუნე რა, ძველები.

• გამარჯობა, მარი, იცი, მე თქვენთან ახალი ვარ და ძალიან მინდა თქვენს ქალაქში, თუნდაც ერთ პატარა ბინაში ჩასახლება. ხომ მიმიღებთ? baby კნუტი.

• ახალი ვარ თქვენს სასტავში, ჩამიბრატეთ, რა. გაუმარჯოს „გზას", მარორიტას თამადობით. მაგრები ხართ ყველა, მაგრამ ნუ ვიჩხუბებთ, რა გვაქვს გასაყოფი? სმაილუკა16.

• მარიკუნა, 9717-ს აშკარად მგზავნელი უყვარს, არა? რატომ მალავს მის ვინაობას? ენიგმა სად არის დაკარგული? კახელოს და ჯეჯეს „ლოვე" ჰყავთ? თქვენი ფანი.

• მაარიკუნა, როგორ ხარ? თქვენც მოგიკითხავთ, მგზავნელებო, ნეტავ, რა თემა გაქვთ? ძალიან მაინტერესებს, 2 კვირაა, „გზა" ველარ ვიყიდე და უკვე ცუდად ვარ.

• ხუთშაბათ მშვიდობისა, მარიკუნა. დადგა ეს სანატრელი დღეც, გადავშალე „გზა" და ჩავუჯექი. ახლა ერთი ამოსუნთქვით შევისრუტავ „გზავნილებს", მგზავნელებიანად. sweeT-girl.

• მარი, როგორ ხარ? ძალიან დამწყდა გული, მესიჯები რომ არ დამიბეჭდე. შეგეძლო, ჩემს გაცნობაზე მაინც დაგეწერა. მინდოდა, ბავშვებს გავცნობოდი, მაგრამ არა უშავს, გადავიტან. გუმა.

• დილა მშვიდობის, მარ. გმადლობთ, სიხარულით სავსე წუთებისთვის. მარ, ყოჩაღ და აქტიურ გოგონებში ვერ მოვხვდი, მაგრამ მგონია, რომ არ გაბრაზებ არასდროს. :) პარიჟანკას უყვარხარ.

• ქართველებო, ყველანი მყვარხართ. ძალიან მენატრება ჩემი საქართველო და ჩემი ნათესავები. ნეტავ, როდის დადგება ის დრო, როცა ყველას ჩავეხუტები? ანი, ათენი.

• მარი, ახლა ვკითხულობდი „გზავნილებს" და მიკვირს, ზოგიერთები რატომ იწერენ თუ აწერენ მეგობრებს სხვის ამბებს? აი, მაგალითად, პარიჟანკამ ცოცხალი ტყუილი თქვა, „მე და ღამეზე". ეგ ძველისძველი ანეკდოტია! აღარ იციან, რა მოიგონონ. მარი, ამ მესიჯს თუ არ დაბეჭდავ, დავრწმუნდები, რომ იმას ბეჭდავ, რომლებიც შენ გაწყობს, საყვარელლო. :) ისე, მაგარი ინტრიგანი ვარ. :) ნათია, ბათუმი.

• გრუზინკა, ასეთი იუბილეს მილოცვა აჰა და, პირველად წავიკითხე. :) იმედია, საიქიოში მაინც გამეცნობიო. :) მაგას კაცი უნდა **გწერდეს,** ქალო... მწარე.

• ფისუნიავ, როგორ ხარ? მიაუ დაგავიწყდა. :) მწარე.

• ვაკვირდები და ამ მაესტროს თავისი თავი პლეიბოი ჰგონია, რა. :) ნუ, სად შეუძლია ამხელა პოპულარობა, ეს გაუთავებელი ჭორები და რამე... :) მალე ჟურნალ „გზის" გარეკანზე გაჩნდება წარწერები: „აქავებული ენები თუ გრძელცხვირა ჭორიკანები", „ვინ არის მაესტროს გულის სწორი?" და ა.შ. :) მწარე.

• ვაااااა, ბიჭო, ბიჭო, ბიჭოო, ვიღაცის ძმას თურმე კახელო ევასება და ნომერი მინდაო, თან „მობილი-ზაციაში" დატოვეო. ისა და, ნატახტარის ლიმონათი არ გინდა? მე მოგცემ კახელოს ნომერს, აი: 855647263642537562486254246525 35. ეგაა კოდი, ჰოდა, თუ დაიმსახურებ, ნომერს მერე მოგწერ. ეგ გოგო ძალიან მიყვარს და ზედმეტებს მოვეშვათ, თორემ მარტო კახელოს კი არა და შეიძლება, კახეთის გაგონებაზეც კანკალებდნენ ვინცხებიი. გეინწიეთ იქეთ საცხა, არ ეგონოს ვინცხას რაცხა. 9717.

• მარ, ყველაზე საყვარელი და „გემრიელი" ჟურნალისტი ხარ, ხოლო ვისაც არ ევასები, უსიტყვოდ მიბრძანდეს. ისე, შენც არ უნდა ინერვიულო, ასეთი სულელური მესიჯის გამო.

• როგორ ხართ, ჯიგრებო? :) გენაცვალეთოოოო... მეგრელ მგელოს დაბადების დღეს ვულოცავ. დიდი გოგო გაიზარდე. :) გახსოვარ, ნეტავ? მოხევე ვარ...

• ყველაზე დიდი ბედნიერებაა, იყო მებაღე. მრავალი ყვავილი აფრქვევდეს სურნელს და ამ სურნელში გამოარჩევ მხოლოდ იმ ერთს. ამ სილამაზეში — ყველაზე ლამაზს, თავს ევლები, მის ფესვებთან ხვდები მზის სიდიადეს. მასთან ფუსფუსში გეპარება ღამის წყვდიადი. მისი სინორჩით ჭაბუკად გრძნობ თავს. რა ტკბილია ცხოვრება. ვიყოთ მებაღეები ყველაზე ლამაზი ბაღის, სადაც მხოლოდ სიყვარ-

ული ხარობს. იყავით ბედნიერნი. ბედნიერებაა, როცა გიყვარს და ეს სიყვარული შენს ბაღში ხარობს. მოხუცი.

• ღამეს თავისი ხიბლი აქვს. მთვარე, ვარსკვლავები და მე. ჩურჩულით ვუამბობთ ჩვენს გულისთქმას ერთმანეთს. ჩვენ-ჩვენი სიყვარულით ვიწვით. ეს ცეცხლი ანათებს ღამის წყვდიადს და მთვარის შუქი გგონიათ. სიყვარულით თვალნადენი ცრემლებითაა დანამული ბუნება. ასე, ფუსფუსში გვათენდება. მთვარეც, მზის სიყვარულით გულდათუთქული, უჩინარდება თავის წყვდიადში. ვრჩები მარტო და დღის შუქივით ველოდები, ვნახო და ვუთხრა: შენ ჩემი გულის გაზაფხული ხარ, ცივი ზამთრის შემდეგ. ჩემი სიცოცხლე. მოხუცი.

• მესიჯომანი სადااااا ნათია30, სვანკა, ზარმაცა, სესი, მანაველი, თათუ, აკვა, ვანსკი, ბაჭია, სინიორელა, მის ბელურა, კარორჩე, ძველები სად ხართ? მენატრებით. კაკუ.

• მე როგორც ვატყობ, შენს ნიკს სხვა ამოეფარა და ორივეს ბოდიშს გიხდით. მაპატიეთ და მიყვარხართ. ეგოისტკა, მადლობა, დაი. ეჰ... რა მწარეა არა, ცხოვრება დეი? ლუნა.

• მაესტრო, მე რომ გავიგე, ამ ჟურნალიდან ბევრს კერავდი? ა? ეს ჭორია, უბრალოდ? რა ვიცი, რა ვიცი... გოგონებო, ერთად დადექით, ნუ მისცემთ უფლებას ბიჭებს, მოგატყუონ.

• პრივეტები, როგორ ხართ? ყველა მაგრად მომენატრეთ. ჩემს სიხარულებს, კიკოს და ბუბუსიკას, და ჩემს — დედით არა და არც მამით ძამიკოს, აპოლონს მოვიკითხავ. კახელო.

• ჩემზესისაძაგლეებისლაპარაკს შეეშვით. ვინც მიცნობს, იცის, როგორიც ვარ. ღმერთის გეშინოდეთ, ყველაფერს ხედავს. p.s. აპატიე მოუსვენარ გოგოს ყველაფერი. ეშმაკუნა.

• თქვენი ფანი, გაიხარე გენაცვალე, ალბათ არ ღირს ნომრის დატოვება. ათენელებო, როგორ ხართ? ათენი-23, სად დამეკარგე? გკოცნით, გეხვევით, კახელო.

• აპოლონს უღრმესი მადლობა, უნიჭიერესი ხარ! გრუზინკა და ლუნა, ჩემი ბედნიერება ხართ! ლილუ-20, მაგრად მენატრები, დაიკო, დაგვიბრუნდი. გიჟ-ხიფათავ, მიყვარხარ! კამელია.

• გამარჯობა, მგზავნელებო! პარიუანკას სიხარული, ჩარჩო დაიმსახურა შენმა „მე და ღამემ". მაესტრო, მაგის დაწერას, ჭორიკანები მოგესვა, არ ჯობდა? ჰა! თუმცა, თვალი აეხილა ერთ გოგოს ძლივს და დავისვენე მეც. ზოგიერთ ჭორიკანას ვურჩევ, თავიანთ თავებს მიხედონ, თორემ წააგებენ. აქ ყველამ ყველაფერი ვიცით! რა, პირი მოვაღოთ? ლუნას და, მირანდა.

• ნეტავ კითხულობდე „გზას", ჩემო მაიკო. ძალიან ცუდად ვარ. შეიძლება ამან ბოლო მომიღოს. თუ გადავიტანე ეს, მაინც იმად დარჩები, რაც იყავ, ჩემთვის.

• აფრიდონიძეს: განძის მაძიებელი აღარ მოვა, ის ახლა ენიგმაა და გპასუხობს, რომ „ფულიან ქალებს" გავურბივარო, რადგან ღარიბი ბიჭების არ სჯერათ. მშვიდობით, ნათი... ენიგმა.

• არ შემიძლია, დაგივიწყო, ჩემო მეგობარო, იმედი მაინც ბუუტავს, რომ არ დატოვებს ობლად ჩემს სულს შენი სპეტაკი გული. მარტყოფი.

• ჩემი და ვერ ითანს გზას. გზავნილებზე ეგ და მისი დაქალები მაგრად კაიფობენ, ტვინში მასხამს და ვეჩხუბები ხოლმე. 1 წელი შესრულდა, რაც „გზა" გავიცანი. ლამაზფეხება.

• ანარქია, საყვარელო ადამიანო, ნაავარიევს 3 დღეში გამწერენ და პირდაპირ მონასტერში მივდივარ, 2 თვით. მერე გიპოვი. მადლობა ყველას, ვისაც ვახსოვარ. გკოცნით ყველას. ენიგმა.

• მგზავნელებო, გამარჯობა და ნახვამდის. პირადი პრობლემების გამო 2 თვით ვიკარგები, ტელეფონი არ მექნება. მარიამულ, ხელზე გეამბორები, ყველა მიყვარხართ, მომენატრებით. ენიგმა.

• რავა ხართ, „გზის" მარგალიტებო? ხომ ხართ მაგრად? ლუნა, პათალა ქალო, მიკალქალ! როდის ჩავკრათ? კამი, გრუზინკა, მაესტრო, იკუშკები და ენიგმა, საკალელები ხალთ. ვიკა.

• როცა მართალი ვარ და რომელიმე ძმაკაცი მეკამათება, ასე ვიწყევლები: — ისემც, ჩვენში მტყუანს დაეტაკოს ელისოს წიხლი! დათო. p.s. პრივეტ, მარ! მოკითხვა ყველას.

• და მენატრები კვლავაც კივილად, რომ დავიღვრები ვიცი, ტკივილად, რომ ატირდება ცრემლი ჩივილად და არ ეყოფა ეშმას სიცილად... მე. ვაი, მე, ჩემთავ-მკვდარ-სااااا!

• ბავშვებო, ახლა წავიკითხე 1 წლის წინ დაღუპული სტუდენტების მოსაგონარი წერილები და კიდევ ერთხელ ძალიან მეტკინა გული. ეჰ, რატომ ხდება ნეტავ ასე? სიკვდილა.

• ჰაა, მის რეალ, ლიმონავ და იკჩოვ, თქვენ გეგონათ, დამავიწყდით? იფ, ვერ მოგართვით! ფელამუშ და პავლიკ, თქვენც მახსოვხართ. ნუ, სტარიკი ოლე ხომ საერთოდ... სიკვდილა.

• მინდა, ქუთაისელ ლაშა მაღლაფერიძეს ვუთხრა, რომ ჩემი ცოდვა არასოდეს გაგახარებს. უსაზღვროდ მიყვარდი, შენ კი... ბარტყი.

## მიხეილ

• მარ, რა მინდა გკითხო, იცი? სულ მაწუხებს ეს კითხვა და ვდარდობ: ნეტავ, მამჩნევ? იქნებ მიპასუხო... გთხოვ. ძალიან მიყვარხარ, ძალიან, ძალიან. გკოცნი უთვალავს.

• ქრისტინა ქართველიშვილო და პატარა გიგი ტაბატაძევ, მინდა იცოდეთ, რომ ძალიან, ძალიან მაგრად მიყვარხართ და რომ ჩამოვალ, მაგრად ჩაგეხუტებით. ანი.

## ალეკო



• ალეკო დამენიას 4 დეკემბერს დაბადების დღეს ვულოცავ. ულევ ბედნიერებას, სიხარულს, უფლის წყალობას და უსაზღვრო სიყვარულს ვუსურვებ. სიკეთე იყოს შენი მეგზური.

• სალომე ტაბატაძეს! სალო, 7 დეკემბერს დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ ცხრათვალა მზეს, მზის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს ბევრს და მინდა, უზომოდ უყვარდე ღმერთს!

• მინდა, მთელი გულით ნიშნობა და გაბედნიერება მივულოცოთ მაიკო მითაღვარიას. ნატალია და ირაკლი კომახიანი ვუსურვებთ ბედნიერებას.

• ბუსკუს, გილოცავ! უფალი იყოს შენი მფარველი! მიყვარხარ!

• ნათი, ჩემო ქაჯანავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავ დაბადების დღეს, 3 დეკემბერს. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი. შენი დედიკო.

• 20 დეკემბერს გიორგი მარტიაშვილს, თავისი მონატრებული დედიკო, შორეული ათენიდან ულოცავს 16 წლის იუბილეს. ღმერთმა ჯანმრთელი, ბედნიერი, ჭკვიანი და სახელოვანი ვაჟკაცი გაგზარდოს. ძალიან მიყვარხარ და ძალიან მენატრები, ეს ყოველივე მონატრება და ტანჯვა დაგეფასებინოს. დღემდე ვამაყობ შენით, ჩემო სიხარულო, როგორ მინდა, გულში ჩაგიხუტო. უფალი იყოს შენი მფარველი. ბევრს გეფერები ყოველ წუთს და ყოველ წამს, სიხარულო. გწერ ახლა და თვალები ცრემლებით მევსება, ისე მინდა შენ გვერდით ყოფნა. შენი დედიკო, შორენა ქავთარაძე.

• პატარა ქრისტი, 4 დეკემბერს გილოცავთ 2 წლის შესრულებას. გაიზარდე ჯანმრთელი. უფალი გფარავდეს, საყვარელო ემიგრანტო. გვიყვარხარ. ეთო, ეკა, ნათი, ზურა, ბესო.

• მარინე ბათიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. გფარავდეთ ღმერთი. დიდი სიყვარულით, თამილა.

• მარეხ ვარდანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას და სიხარულს, ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი უამრავს. დარეჯან დეიდა.

• ათენში, ჩემს მეგობარ ნანა ტყეშელაშვილს ვულოცავ დიდი სიყვარულით, დაბადების დღეს. უფლის წყალობა, ბედნიერება და სიხარული არ მოგკლებოდეს, ჩემო კარგო. ინეზა.

• ჩემს საყვარელ ბიძაშვილს, ზაზა ტაბატაძეს ვულოცავ 4 დეკემბერს, დაბადების დღეს. სულ ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი, ძამი. ღმერთი გფარავდეს, მუდამ. ანი.

• 12 დეკემბერს ჩემთვის უსაყვარლეს ადამიანს, ზაზა რუსიას ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, სიყვარული და სიხარული არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ოჯახთან და შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. სულ ნათელ გზაზე გევლოს, დღეიდან კიდევ ასი წელი, ჯანმრთელსა და ბედნიერს, წლები ვერ მოგერიოს. იმედი და უფლის რწმენა არ მოგკლებოდეს.

• ზესტაფონში, სოფელ მარტოთუბანში, გიორგი ბებიაშვილსა და მაკა გოგუას ვულოცავ პატარა ლიზის დაბადებას. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. მარიამ ღვთისმშობელი და წმინდა გიორგი ყოფილიყოს შენი მფარველი, ჩემო პატარა ანგელოზო. ციცო ბებო.

• სალამი კაი ხალხს. რას შვრებით მეგობრებო, ხომ არ მოიწყინეთ? სოფი, გილოცავ პატარა მარკოზის დაბადებას, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი გაგეზარდოს. მოვიკითხავ ფიქრიას. ლანდი.

• ჩემო სიცოცხლევ, სიხარულო და ჩემო ცხოვრების იმედო, შვილო, რომა ლიკუაშვილო, 10 დეკემბერს გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, უფალი, ღმერთი და ღვთისმშობელი ყოფილიყოს შენი მფარველი. შენი მონატრებული დედიკო.

• საყვარელ და მონატრებულ დედას, ციალა ხარაბაძეს დაბადების დღეს და ბარბარობას, 17 დეკემბერს ვულოცავთ ათენიდან შვილები, მზია და კობა, შვილიშვილი ძაკო. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. დედა ძალიან, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები.

• გულო ფრანგიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 დეკემბერს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულსა და ბედნიერებას, ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად. თიკო.

• ჩვენს მონატრებულ შვილს, ეროსი ჩიტოშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ჯანმრთელობა და სიკეთე არ მოგაკლოს. გკოცნით და გეფერებით, დედა და მამა.

• კოხი, გილოცავ პატარას დაბადებას, ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს, ბედნიერი გაგეზარდოს. კაკუ.

• კოხის ვულოცავ პატარის დაბადებას, გახარებული გეყოლოს, ჩემო კარგო. ჭრიჭინ, სად დაიკარგე, სადა? მაესტრო და აბეზარა, გამიხარდა თქვენი გაცნობა. დუჩის მპუა. სიკვდილა.

• ბოხოს და მგელოს იუბილეს, ხოლო კოხი20-ს ვაჟის დაბადებას ვულოცავ. ღმერთი გფარავდეთ. აბეზარა.

## ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

**დაათვალიერდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში, შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალება და შეიტყვე იმის შესახებ, როგორი ადამიანი ხარ.**



1. ჩაიფიქრე ნებისმიერი რიცხვი, 2-დან 9-მდე.

2. მიღებული რიცხვი გაამრავლე 9-ზე.

3. რიცხვში, რომელსაც გამრავლების შედეგად მიიღებ, ციფრები შეკრიბე.

4. ასოზე, რომელზეც ახალმიღებული რიცხვი იწყება, მოიფიქრე სამეშაო იარაღი.

5. იმავე ასოზე მოიფიქრე ცხოველი.

ა) თუ შენი შედეგი „ცელი“ და „ცხვარია“, სავარაუდოა, რომ ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ადამიანი ხარ და ფანტაზიის უნარი საერთოდ არ გაგაჩნია. შენნაირ ადამიანებს „ნაცრისფერს“ უწოდებენ. სხვის აზრზე ხარ დამოკიდებული და ნებისმიერი კამათი შენი დამარცხებით მთავრდება. ეს იგივეა, რომ სურათზე გამოსახული პაიკი ხარ.

ბ) ნებისმიერი სხვა შედეგი იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, კიბოს წამალი გამოიგონო, უკვდავების მიქსტურა მიიღო ან საქართველოს პრეზიდენტი გახდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სურათზე გამოსახული დედოფალი ხარ.

# ქალმა და მამაკაცმა საუბარი ქორწილიდან 10 წლის შემდეგ

მამაკაცი: როგორც იქნა! უკვე ველარ ვითმენ...

ქალი: გინდა, რომ წავიდე?

მამაკაცი: არა, ამაზე არც იფიქრო!

ქალი: გიყვარვარ?

მამაკაცი: რა თქმა უნდა!

ქალი: ოდესმე თუ გიღალატია ჩემთვის?

მამაკაცი: რა თქმა უნდა, არა. ამას კითხვა უნდა?

ქალი: მაკოცებ?

მამაკაცი: რა თქმა უნდა, ყოველთვის, როცა კი ამის საშუალება მომეცემა.

ქალი: მითხარი, ხომ არასოდეს გამაბრაზებ?

მამაკაცი: რა თქმა უნდა — არა, გაგიჟდი?

ქალი: შენი უნდა მჯეროდეს?

მამაკაცი: ჰო...

ქალი: საყვარელო...

*ახლა, თუ გსურთ გაიგოთ, როგორია იმავე წყვილის საუბრის შინაარსი ქორწილიდან 10 წლის შემდეგ, იგივე დიალოგი უკუღმა წაიკითხეთ (ბოლოდან თავისკენ).*

# ანეკდოტები

☺ ☺ ☺

სახანძრო სამსახურის უფროსი იმ ოთახში შედის, სადაც ბრიგადა გამოძახების მოლოდინში თავს იქცევს ხოლმე. ხელები ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი, სახეზე არავითარი ღელვა არ ეტყობა და მშვიდი ხმით ამბობს:

— აბა, ბიჭებო, ნელ-ნელა, აუჩქარებლად მოემზადეთ და გამოდით, გამოძახება გვაქვს, საგადასახადოს შენობაში ხანძარი გაჩენილა.

☺ ☺ ☺

ერთ-ერთი სასტუმროს ჰოლში ახალგაზრდა მამაკაცმა ლამაზი ქალი შენიშნა. მივიდა და რესტორანში დაპატიჟა.

— შემოსასვლელთან რომ „მერსედესი“ დგას, შენია?

— არა, — მოწყენილი სახით უპასუხა მამაკაცმა.

— შენ ამ სასტუმროს ლუქსში ცხოვრობ?

— არა.

— არც ორსართულიანი ვილა გაქვს ზღვის სანაპიროზე?

— არა, — კიდევ უფრო მოიწყინა მამაკაცმა.

— მაშინ არავითარი რესტორანი, აქედან გაეთრიე და ჩემთან მოახლოება არ გაბედო!

მამაკაცი განაწყენებული სახით გაშორდა, იქვე მდგარ მეგობართან მივიდა და ჰკითხა:

— მე რომ ჩემი საპრეზიდენტო ნომერი დაგითმო, შენს ლუქსს დამითმობ?

— რა თქმა უნდა.

— ჩემი ლიმუზინი რომ გათხოვო, შენს „მერსედესს“ მათხოვებ?

— რაზეა ლაპარაკი?

— კარგი, ეს ყველაფერი მოვაგვარე, მაგრამ ახლა მამაჩემს როგორ ვუთხრა, რომ ჩვენს სამსართულიან სახლს ერთი სართული მოანგრიოს?

☺ ☺ ☺

მივდივარ ტყეში, წვიმს, ქარია, ცივა და უკვე დალამდა კიდეც. უეცრად, ტყეში გაჩერებული მანქანა დავინახე. შევიხედე და შიგნით არავინ იყო. კარი მოვსინჯე, ღია დამხვდა. გადავწყვიტე, უკანა სავარძელზე დავმჯდარიყავი და გავმთბარიყავი. მოულოდნელად მანქანა დაიძრა. შიშისგან თმა ყალყზე დამიდგა. საჭესთან არავინაა, მანქანა კი მიდის... უეცრად, ფანჯარაში ბანჯგვლიანი ხელი გამოჩნდა და საჭე მოაბრუნა. შიშისგან ლამის ჩავისვარე. რალაც სოფელი გამოჩნდა. შესასვლელთან მანქანა გაჩერდა. უკანა საქარე მინაში მამაკაცის სახე გამოჩნდა. მერე თავი ფანჯარაში შემოყო.

— აქ რას აკეთებ? — მკითხა გაბრაზებულმა.

— რას ვაკეთებ? აი, მივდივარ, — შეშინებულმა ხელი გავიშვირე და ხმის კანკალით ვუთხარი.

— ჰმ, ნამუსი სულ დაკარგე? მე ვაწვები, შენ — მიდიხარ, არა?

☺ ☺ ☺

იყო და არა იყო რა, იყვნენ „უჰ“, „ვაუ“ და „ოოო-ჰო-ჰოო!“... „უჰ“ პესიმისტი იყო, ზარმაცი და მუდამ ოხრავდა. „ვაუ“ — ოპტიმისტი, ხალისით სავსე და მხიარული. „ოოო-ჰო-ჰოო!“ კი უბრალოდ, ქალებს მოსწონდათ.

☺ ☺ ☺

მეგრელი მატარებლით მგზავრობს. მეზობელთან საუბარი გააბა, ენამახვილობს, ხუმრობს.

— იცი, რა განსხვავებაა პატრულსა და ვირს შორის? — ეკითხება ღიმილით.

ამ დროს კუპესთან პატრულის თანამშრომელმა გაიარა და მის ნათქვამს ყური მოჰკრა. კარი გამოაღო და ჰკითხა:

— აბა, მითხარი, რა განსხვავებაა...

— არავითარი, შენ შემოგევლე, არავითარი...

# ჩოპოჩ ლილინეპლა ჰაუპაჩპ იუპალიელი ქაჩთულ „იპვნანას“

**ზესტაფონელმა გოგომ უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა და ინგლისური ენის სპეციალისტის დიპლომი მიიღო. მაინც ჟურნალისტობაზე ოცნებობდა, სპორტიც აინტერესებდა და იმდენი ქნა, რომ ორივე სფეროსთან კავშირში აღმოჩნდა — გაზეთ „ლელოში“ მუშაობდა სპორტულ ჟურნალისტად. ყოველთვის იზიდავდა მოგზაურობა უცხო ქვეყნებში. ამ მხრივაც გაუმართლა: 25 წლის ლელა ჭანჭუტაძეს ბედმა — არც მეტი, არც ნაკლები — იტალიაში ამოაყოფინა თავი...**

ანა აგულავა

## პონაია ლელას „ზღაპარი“

— ოცნებად მქონდა გადაქცეული საზღვარგარეთ წასვლა. არა იმიტომ, რომ საქართველო არ მიყვარდა, არც იმიტომ, რომ ხელფასი მხოლოდ გზის ფულად მყოფნიდა, უბრალოდ, საზღვარგარეთული ცხოვრების სტილი მაინტერესებდა. ცხადია, ჩემს მშობლებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მემოგზაურა, ვიცოდი, მიზნის მისაღწევად სამუშაოს ძებნა იყო საჭირო. ხან ამერიკაში ვაპირებდი წასვლას, ხან — საბერძნეთში, ხანაც — საფრანგეთში მიწვევდნენ... მეგობრები მეხუმრებოდნენ, — ლელუცი, შენ პარიზში გვგონიხარ და კიდევ აქა ხარო? ბოლოს და ბოლოს, სამშვილიც დავაყენე: ერთ მშვენიერ დღეს იტალიაში, უმშვენიერეს ქალაქ ფლორენციაში აღვმოჩნდი (ფლორენცია ქართულად, იების ქალაქს ნიშნავს). აპენინის ნახევარკუნძულზე ჩეხეთიდან ჩავედი, მახსოვს, ღამე იყო, თავი სიზმარში ნანახ ტკბილ ზღაპარში მეგონა. დილა რომ გათენდა, ფანჯარაში თავგაყოფილი შევცქეროდი უცხო ქალაქის ქუჩას და ვფიქრობდი, რომ უკვე სულ მთლად დამოუკიდებელი ადამიანი გავხდი.

## ფლორენცია – იების ქალაქი

— იტალიელები ბევრი რამით ჰგვანან ქართველებს: სიყვარულით, მეგობრობით, გულისხმიერებით. ქუჩაში გამვლელს თუ ჰკითხავთ რამეს, ყურადღებით მოგისმენთ და შეძლებისდაგვარად, დახმარებასაც გაგიწევთ. იტალიელები ამბობენ: ეს ქართველები ჩვენსავით კეთილი ხალხიაო... ფლორენციის ქუჩებში ხშირად გაიგონებთ ქართულ ლაპარაკს. ეს აღარავის უკვირს — იტალიაში ჩვენი თანამემამულე მართლაც რომ მრავლადაა. ჩასვლისთანავე შევუდექი სამსახურის ძებნას. ცხადია, დიდი არჩევანი არ მქონდა, ძიძად თუ მიმიღებდნენ. მართლაც, ერთ შესანიშნავ იტალიურ ოჯახში მოვხვდი, სადაც ორწლინახევრის ელეტრას აღზრდა მევალებოდა. ოჯახში მეორე პატარას ელოდნენ და თადარიგიც დაიჭირეს, რომ უფროს გოგონას მომვლელი ჰყოლოდა. როცა ოჯახის უფროსთან გასაუბრებაზე პირველად მივედი, მას საქართველოზე ძალზე მწირი ინფორმაცია ჰქონდა. იცოდა მხოლოდ ის, რომ ჩვენი ქვეყანა ადრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა... მეორე მისვლაზე უკვე გამდიდრებული ცოდნით დამხვდა: იოსებ სტალინის, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, პაატა ბურჭულაძის, თბილისის „დინამოსა“ და, რაღა თქმა უნდა, კახა კალაძის თანამემამულე მიწოდა.

## როგორ ღიღინებდა იტალიელი ქართულ „იავნანას“

— ელეტრა მალე შემეჩვია. საოცრად თბილი და მხიარული გოგონაა. მას შემდეგ, რაც ოჯახში მეორე ბავშვი — ანასტასია გაჩნდა, ელეტრა გვერდიდან აღარ მცილდება. მეც ვცდილობ, არ მოიწყინოს, ხან რით ვერთობით, ხან — რით, ქართულად ლაპარაკსაც ვასწავლი და „იავნანასაც“ ვუმღერი ძილის წინ. ერთხელ, ჩემს არყოფნაში ბავშვს ძილი მორევია, დედას სანოლში ჩაუწვენია და ოთახიდან რომ გამოსულა, ელეტრას ღიღინი გაუგონია. საძინებლის კართან ატუზული იტალიელი მშობლები გაოცებით უსმენდნენ ბავშვის უცნაურ ღიღინს. ამ დროს მეც მივედი. ოჯახის უფროსმა ტუჩზე თითის მიტანით მანიშნა — ჩუმად მიუგდე ყური, რას მღერის ელეტრაო. ყურებს არ დავუჯერე: ორწლინახევრის იტალიელი გოგონა ქართულ „იავნანას“ ღიღინებდა!

## ხინკალი თუ ჰიცა...


ლელა და ელეტრა

— ვფიქრობდი, რომ იტალიელები თავიანთი განთქმული პიცისა და მაკარონის იქით არ იცქირებოდნენ. ერთხელაც, ქართულ კერძებს მონატრებულმა, მცირე ულუფა ნიგზიანი ბადრიჯანი მოვიმზადე. სამზარეულოში ოჯახის უფროსმა შემოიხედა და ქართული წესისამებრ, მივიპატიჟე. იტალიელმა ერთი ლუკმა გადაყლაპა და... გაკეთებული კერძის ნახევარიც აღარ დამიტოვა. მთხოვა, მეორე დღისთვის კიდევ მომემზადებინა. უარი არ მითქვამს. კერძი მის მეუღლესაც ისე მოეწონა, თავადაც გადაწყვიტა, მისი მომზადება ესწავლა. გულმოცემულმა ერთ დღეს ხინკალი გავაკეთე და... ნეტავ, არ გამეკეთებინა! მთელი იტალიური ოჯახი გაოცებული დარჩა... ახლა ხშირად მთხოვენ ხინკლისა და ნიგზიანი ბადრიჯნის მომზადებას. მეც ვუსრულებ თხოვნას. ერთი კია, რომ სხვა ქართულ კერძს აღარ ვამზადებ, თორემ ისიც თუ მოეწონათ, მთლად მზარეულად დამაწყებინებენ მუშაობას... ძალზე თბილი ხალხია. მათი ახლობლებიც მიცნობენ. როცა სტუმრად მოდიან, ჩემთვის ნამცხვარი და შოკოლადი მოაქვთ საჩუქრად. ხშირად მეუბნებიან: შენი შემხედვარე, ყველა ქართველი გვიყვარსო.

## თეფში თუ ცხელი ტაფა?

— იტალიურს საფუძვლიანად ვსწავლობ. თავისუფალ დროს წიგნებთან ვატარებ. ზოგჯერ, ზესტაფონში დარეკვისას, მეშლება და მშობლებს იტალიურად ველაპარაკები. აქამდე, თუ ოჯახის უფროსებს ინგლისურად ველაპარაკებოდი, ახლა უკვე მათი მშობლიური ენით მივმართავ. ხშირად კურიოზიც გადამხდენია. ერთხელ, ვახშმის დროს მკითხეს, — რომელი კერძი მოგართვათო? ვუპასუხე, — თუ არ შეწუხდებით, პიცის ნაჭერი მომაწოდეთ-მეთქი. როცა მზარეულმა ცხელ-ცხელი ტაფით პიცა წინ დამიდგა, მაშინღა მივხვდი, თუ რატომ ჰქონდა გაოცებული თვალები: თურმე შემშლია და იტალიურად, „ტაფა“ მითქვამს, თეფშის ნაცვლად.

## ქართულ წირვას მონატრებული

— ომი ძალიან განვიცადე. დღედაღამ განერვიულებული ვიყავი. ინტერნეტით ვიგებდი ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. იტალიური ოჯახიც ნერვიულობდა. ოჯახის უფროსი კიდევ უფრო დაინტერესდა ჩემი ქვეყნით და ხშირად მთხოვდა, მომეყოლა საქართველოს შესახებ. ახლა მან იცის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა; იცის, ვინ იყვნენ დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, ერეკლე მეორე; თუ როგორ იბრძოდნენ ქართველები გმირულად და ისიც იცის, რომ ქართულ ხმალს ქარქაში ჰქონდა დავიწყებული... მენატრება საქართველო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჯერ დასაბრუნებლად არ ვარ მზად. მინდა, ენაც კარგად ვისწავლო და გარკვეული თანხაც დავაგროვო. საბუდარელი ჭაბუკისა არ იყოს — არ მინდა, შინ ხელცარიელი დავბრუნდე... აქ ქართული ეკლესია არ არის, ამიტომ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავდივარ და ქართული წირვა მენატრება.



# „ყველა თავგადასავალი" ანუ პუჩყვერი მოგზაურობა

*მას ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ნიჭი ჰქონდა. უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, პოეზია... თავადაც წერდა. ემოცია, რომელიც მისი ნაწერების კითხვის დროს გეუფლება, დიდხანს მიგყვება. ავტორის მრავალფეროვან, საინტერესო სამყაროში „იზრდები" და უფრო მდიდარი ხდები, ვიდრე იყავი. ამას ერთეულები თუ ახერხებენ. მალე, მამუკა სალუქვაძის გარდაცვალებიდან 12 წელი სრულდება. მართალია, ამქვეყნად აღარ არის, მაგრამ სიცოცხლეს მაინც აგრძელებს და გვაიმედებს: „ყველაფერი კარგად იქნება!"*

## „ამ რთულ დროში მამუკას სამყარო საოცარი თავშესაფარია..."

თამუნა კვინიკაძე

**დოდო იაშვილი**, *მამუკა სალუქვაძის ქვრივი:*

— მე და მამუკამ ერთმანეთი ტელევიზიაში გავიცანით: მე — საბავშვო, ხოლო მამუკა ახალგაზრდული გადაცემების რედაქციაში მუშაობდა. ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი ხანგრძლივი არ ყოფილა და მალე დავოჯახდით. მამუკას პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი — 5 წლის ნინიკო ჰყავდა.

**— მამუკა როგორი მეუღლე იყო?**

— სახლში ვერასდროს ნახავდი (*იცინის*), მაგრამ ოჯახთან დაკავშირებულ ყველა საკითხს აგვარებდა. თუ რამეზე დავიწუწუნებდი, მამხნევებდა, — შენ არ იცი, ყველაფერი კარგად იქნება, ბედნიერად ვიცხოვრებთო. მომავალს ისეთ ფერებში დაგიხატავდა, თავს მართლა ბედნიერად იგრძნობდი. მამუკა დროის დიდ ნაწილს მეგობრებთან ატარებდა. დღეს, როცა მის განვლილ ცხოვრებას თვალს გადავავლებ ხოლმე, ვფიქრობ, კაცურად იცხოვრა. მისი გარდაცვალებიდან 12 წელი გავიდა. მამუკას დაბადების და გარდაცვალების დღეს მეგობრები მის საფლავზე იკრიბებიან, ამ თარიღების შეხსენება არ სჭირდებათ. მათ ყველაფერი გააკეთეს, ლუკასთვის უმამობა რომ შეემსუბუქებინათ. მამუკას ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ბევრი მეუბნება: საშინელ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ მამუკამ ისეთი სანუგეშო სიტყვები მითხრა, შვება მომგვარაო. არ მახსოვს, მას ვინმეზე აუგი ეთქვას. მეუბნებოდა, — ადამიანს ყოველთვის კარგი მხრიდან შეხედეო.

**— ამას თავად თუ ახერხებდა?**

— ახერხებდა, ადამიანში სულ დადებითს ეძებდა. რა თქმა უნდა, რაღაცები სწყინდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

**— წერის დროს მისთვის განმარტება აუცილებელი იყო?**

— არა, წერის დროს დიდ სიამოვნებას განიცდიდა. ხშირად, ჩვენ სიონში, ჩემი ნათესავის სახლში ვისვენებდით. მას ეს სოფელი ძალიან უყვარდა. როცა ბავშვები ეზოში ჟრიამულობდნენ, მათ ჩვენი მასპინძელი აჩუმებდა, — დაწყნარდით, მამუკა წერს და ხელი ეშლებაო. არადა, მამუკას ის ხმა საერთოდ არ ესმოდა, სხვა სამყაროში იყო. წერდა დილაადრიან, შუაღამისას, სტუმრად ყოფნის დროს და ნაწერს პირველად მე მაკითხებდა. მისი ხელნაწერებით სავსე 4 ჩემოდანი მაქვს. როცა ეს მის მეგობრებს ვუთხარი, გაიკვირვეს, — ამდენის დაწერა როდის მოასწროო?!. მამუკა ზაზა დარასელთან მეგობრობდა. მალე მისი მეუღლის, ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილის დაფინანსებით მამუკას ოთხტომეული გამოვა: ერთი ტომი საერო პოეზიას დაეთმობა, მეორე — სასულიეროს. ასევე, გეგმაში გვაქვს მისი დრამატურგიული ნაწარმოებების გამოცემა. მამუკას 5 პიესიდან 4 დადგმულია („სიმარტოვე", „ვნების კვირა", „რეპეტიცია ლაზარეს აღდგინების" და „მიაგებდა კაცად კაცი"). მე-5 პიესა — „არაფერია მარადიული" სტალინს და მის ცხოვრებას ეხება. მამუკას არა მარტო წერის, არამედ ფიქრის დროსაც სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა. ხშირად, მანქანის მართვის დროს ფიქრებში იძირებოდა, ფრაზებს ეთამაშებოდა. „მა-მუ-კა!" — დავუძახებდი და ფხიზლდებოდა. ამის გამო ძალიან ვშიშობდი და ვეუბნებოდი, — შენი საჭესთან ჯდომა არ შეიძლება-მეთქი. მანქანა მალე გაყიდა.

**— მას ბევრი იდეა განუხორციელებელი დარჩა...**

— დიახ. ისტორიული თეატრის, მთარგმნელობითი სკოლის, ექსპერიმენტული ბაღის პროექტები ჰქონდა. მან მთელი საქართველო შემოიარა და ღირსშესანიშნავი ადგილები ფირზე გადაიღო (მხოლოდ ისტორიულ ძეგლებს არ ვგულისხმობ). მამუკა ფიქრობდა იმაზე, თუ სად რა შეიძლებოდა, გაკეთებულიყო. მაგალითად, სოფელ სიონში ქაცვი ხარობს და ამბობდა, — იქ ქაცვის ზეთის გამოხდაც შესაძლებელიაო.

**— მითხარით, რომ მამუკას სასულიერო პოეზია ცალკე წიგნად გამოიცემა. ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა?**

— სასულიერო პოეზიის წიგნი მამუკასთან თამარ ცაგარეიშვილის მიერ ჩაწერილი ინტერვიუთი იწყება, სადაც მამუკა ამბობს: ღმერთს პირობა რომ მივცე, მეშინია, მერე არ დავარღვიოო. მორწმუნე კაცი იყო. ბოლო 10 წელზე მეტი „ბიბლიაზე" მუშაობდა. უნდოდა, მთელი „ბიბლია" გაელექსა. მან დატოვა რელიგიური ლიბრეტო „მირიანი", ხოლო — „10 მცნება", „7 დღე შესაქმისა", „ეკლესიასტე", „ქართლის მოქცევა", „ანდრია პირველწოდებული", „დილის ლოცვები" — გალექსა. მამუკას მოძღვარი მეუფე დანიელი გახლდათ. ავადმყოფობის დროს აღსარება ჩააბარა და ეზიარა. ის სამკურნალოდ გერმანიაშიც იყო წასული. თითქოს სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, ცდილობდა, ყოველი დღე ლამაზად გაეტარებინა. ბოლო დროს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. ექიმმა ურჩია, — შენთვის გადაღლა და თავდახრილი მუშაობა არ შეიძლებაო. ერთი დღეც კი არ ჩაწოლილა, ექიმს უთხრა: მე ცოტა დრო მაქვს და ყველაფერი უნდა მოვასწროო. მეგობრებს შინ ეპატიჟებოდა, ყველას დავალებას აძლევდა — ზოგს წიგნის მოტანას, ზოგს ნაკარნახე-

მამუკა და ლუკა სალუქვაძეები

ბის ჩაწერას, ზოგსაც სუფრის გაშლას სთხოვდა. სიცოცხლის ბოლო წლებში მამუკამ ამერიკელი მწერალი — ტომ ბერტრანი გაიცნო. მან მამუკას საკუთარი წიგნი აჩუქა, ხოლო როცა მისი ავადმყოფობის ამბავი გაიგო, ამერიკიდან ექიმი გამოუგზავნა, რომელმაც პაციენტის საზღვარგარეთ წაყვანა მოითხოვა. 1996 წლის 27 დეკემბერი იყო. მამუკამ ექიმს მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა: „გვიანია!“ ის 1997 წლის 3 იანვარს გარდაიცვალა.

**ლუკა სალუქვაძე:**

— მამა რომ გარდაიცვალა, 13 წლის ვიყავი. მახსოვს, სულ რაღაც ამბებს მიყვებოდა, ინტელექტუალურ თამაშებს მასწავლიდა.

**— დარიგებას, რჩევებს როგორი ფორმით გაძლევდა?**

— ისე გირჩევდა და გეტყოდა, რომ დაუჯერებდი. ერთხელ, სიონში, ჩვენი მეზობელი კოტეჯის ეზოში 8-9 წლის ბავშვები სიგარეტს ვწეოდით. მამამ დამინახა, ჩემი საქციელი არ მოეწონა, მაგრამ ამის გამო არ დავუტუქსივარ. მან მეგობრულად მირჩია, — 18 წლამდე ნუ მოსწევ და მერე, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მამას დავუჯერე, სიგარეტს 18 წლიდან ვწევი.

**— მითხარი, ინტელექტუალურ თამაშებს მასწავლიდა. როგორ თამაშობდით, გახსოვს?**

— მამას ისტორია, პოეზია, გეოგრაფია ძალიან უყვარდა. ინტელექტუალურ თამაშებს ხან სიტყვების ამოცნობაზე, ხან — გარითმვაზე ვთამაშობდით. უშუქობის პერიოდში, საღამოობით, ჩვენთან მამის მეგობრები მოდიოდნენ და მე და ჩემს თანატოლ ბიჭს კარტს, დომინოს გვეთამაშებოდნენ. თუ უფროსები წააგებდნენ, ჩვენთვის კანფეტები უნდა მოეტანათ, ხოლო თუ ჩვენ წავაგებდით, ლექსი უნდა გვესწავლა. ასე, თამაშ-თამაშით ვისწავლე გალაკტიონის, შექსპირის, ბლოკის და სხვა პოეტების ლექსები.

**დოდო:**

— მამუკას რატომღაც ეგონა, რომ ქართველმა ხალხმა პოეზია დაივიწყა. მისთვის ეს ტრაგედია იყო და ამიტომაც, ცდილობდა, პოეზია სხვა ფორმით, საინტერესოდ მიეწოდებინა. ამ განზრახვით სატელევიზიო ფილმები: „გაზაფხულია“ (შეყვარებულებს შორის ლექსად გაკეთებული დიალოგი), „ჩვენ გაგვიმარჯოს“ (ქართული სუფრის ტრადიციული სადღეგრძელოები, რომლებსაც გურამ საღარაძე კითხულობდა) და „შთაბეჭდილება“ (ლექსით ახსნილი ნახატები) გააკეთა.

**— როგორც ვიცი, თუთიყუში ჟაკო რეალურად არსებობდა.**

**ლუკა:**

— დიახ, ჟაკო ტელევიზიაში, ერთ-ერთი გადაცემისთვის დასჭირდათ, მერე კი მამამ სახლში მოიყვანა. მალე ჩემი სახელი ისწავლა. ერთ დღეს გალიის კარი თავად გააღო და გაფრინდა.

**დოდო:**

— მამუკამ იფიქრა, ლუკამ თუთიყუშის გაფრენის გამო არ ინერვიულოსო, და როცა სახლში მოვიდა, უთხრა: ჟაკო სულ გალიაში ხომ ვერ იქნებოდა? ჰოდა, კარი ჩვენ გავუღეთ და გაფრინდაო. ლუკამ მამის ნათქვამი ყურადღებით მოისმინა და თქვა ის, რაზეც ჩვენ მართლა არ გვიფიქრია: თუთიყუშები მაღლა ვერ დაფრინავენ, მაგას კატა შეჭამდაო. მამუკამ „ჟაკოს თავგადასავალი“

**„ზემო ძვირფასო ადამიანო!**

**ბოლო ორ წელიწადს, რომ ვერ გნახე, მაგრამ იმედი მაქვს, ჩანხარო! ეინახეოლეგ ოუანრაი რამ მაქვს შენთვის გასახარებელი და კარგი იყო ჩემი „ბაბათ-კვირა“, გეძლოობ იმ ბედნიერი პერიოდისთვის ანა, შენ იცი, ეს ბატარა დედამიწასავით ბოროთი სითბის და ძალას ბოგცემს, ისეთი ქვა, ნამდვილად ბოგეძარება**

**ბეოცნი და ძალიან მიყვარხარ“.**

ლუკას მიუძღვნა.

ლუკა ჟაკოს რაღაცით ჰგავს — ვერ გეტყვით, დილიდან საღამომდე სად „დაფრინავს“.

*მამუკა სალუქვაძის არქივში, ხელნაწერებთან ერთად, მისი მეგობრის — ქალბატონ მარიკა დარჩიას მიერ მიწერილი წერილი ინახება:*

**დოდო:**

— მარიკამ ეს წერილი, მალაქიტის „ბურთთან“ ერთად მაშინ მისცა, როცა სამკურნალოდ გერმანიაში მივდიოდით. მამუკას ძვირფასი ქვა სულ ხელში ეჭირა. ბოლოს, იმ ექიმს მისცა, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა და უთხრა, — ეს „ბურთი“ ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ამიტომაც, თქვენ უნდა გაჩუქოთო.

ტელევიზიაში გადაცემაზე მუშაობისას:
მარჯვნივ — მამუკა სალუქვაძე, მარჯვნიდან მეორე — მარიკა დარჩია

*ჟურნალ „საბავშვო კარუსელში“ „ჟაკოს თავგადასავლის“ დაბეჭდვა მამუკას მეგობრის და მედიასახლ „კვირის პალიტრის“ კრეატიული დირექტორის,* **მარიკა დარჩიას** *ინიციატივით მოხდა.*

— მე და მამუკას დიდი სამეგობრო წრე გვქონდა. მათ შორის მამუკა გამორჩეული და ენერგიული იყო. ის ნიჭიერი და საინტერესო ადამიანების გარემოცვაში გაიზარდა. ლექსებს 6 წლიდან წერდა, კარგად მღეროდა. ***„დროთა დინებას ვგავარ/ წლების ჩანჩალა ურმებს/ მივდივარ, განა ვდგავარ/ და კვალად ვტოვებ ხნულებს“.*** დაუჯერებელია, მაგრამ ეს მან 7 წლის ასაკში დაწერა. სამწუხაროდ, მამუკამ ბევრი კარგი პროექტის განხორციელება ვერ მოასწრო, ძალზედ ნაადრევად, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**— თქვენ არა მარტო მეგობრები, საქმიანი პარტნიორებიც იყავით.**

— დიახ, ეს 80-იან წლებში იყო, მაშინ სხვა საქმით ვიყავი დაკავებული. მამუკა მოვიდა და მითხრა: მე და შენ ახალი პროგრამა, „შაბათ-კვირა“ უნდა გავაკეთოთო. ეს იყო შემეცნებითი გადაცემა, რომელსაც ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციაში ვამზადებდით. მაყურებელს სპორტული დარბაზების და სანახაობების შესახებ ინფორმაციას ვაწვდიდით; ჩვენი მეშვეობით იგებდნენ, თუ რა ხდებოდა შაბათ-კვირას თბილისში, როგორ უნდა გაეტარებინათ დასვენების დღეები და ა.შ. ჩვენთან ბევრი კარგი ავტორი მუშაობდა. მამუკა „ანთებული“ იყო, ბოლომდე იხარჯებოდა. ამის შემდეგ რადიოშიც არაერთი საინტერესო პროექტი გავაკეთეთ. მამუკას გარდაცვალების შემდეგ, ერთ-ერთმა ამ პროექტმა პრიზიც მიიღო.

**— როცა მამუკამ „ჟაკოს თავგადასავლის“ წერა დაიწყო, მეგობრებს თუ გიკითხავდათ?**

— როგორ არა, ყველანი დიდი ინტერესით ვკითხულობდით. ავტორი მკითხველს, ჟაკოსთან ერთად, სხვადასხვა ქვეყანაში ამოგზაურებს. ეს თავგადასავალი შვილებს ყველა მშობელმა უნდა წაუკითხოს. თან, ატლასი უნდა ჰქონდეთ გადაშლილი. მოუყვნენ მათ, თუ ვინ იყვნენ ვიკინგები და თუ საჭირო იქნება, ენციკლოპედია მოიშველიონ. ეს მაღალი კლასის პოეზიაა. მამუკას სიცოცხლეში, საბავშვო ჟურნალ „დილაში“ ამ ნაწარმოების ნაწყვეტები იბეჭდებოდა. ავტორის ჩანაფიქრით, თუთიყუშს მოგზაურობა 1900 წელს უნდა დაეწყო და მთელი საუკუნე მოეცვა. ჟაკოს ყოველ წელს, იმ ქვეყანაში უნდა ემოგზაურა, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა. სამწუხაროდ, მამუკამ მხოლოდ 25 თავის დაწერა მოასწრო.

**— ჟაკო „საბავშვო კარუსელის“ მკითხველებმა როგორ მიიღეს?**

— ჟაკო ახსოვდათ. იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებიც თუთიყუშის თავგადასავალს „დილაში“ კითხულობდნენ, ახლა ამ ნაწარმოებს თავიანთ პატარებს უკითხავენ. მინდა, ქალბატონ დოდოს და ლუკას დიდი მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ თუთიყუშის თავგადასავლის „საბავშვო კარუსელში“ დაბეჭდვაზე დაგვთანხმდნენ. ყოველ ახალ თავს შესავალს ლუკა უკეთებს. სასწავლო წლის დასასრულისთვის, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს „პალიტრა L“ „ჟაკოს“ ლამაზ, ილუსტრირებულ წიგნად გამოსცემს, რომელსაც თან პატარა მკითხველების ნახატებიც დაერთვება. მამუკა სალუქვაძე ის ავტორი და ადამიანი გახლდათ, რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. ამ რთულ დროში მამუკას სამყარო საოცარი თავშესაფარია.

***„სურომ დაფარა თეთრი კედელი***
***სულ რომ აღარ სჩანს,***
***და რადგან იყო გამოკეტილი***
***სარკმელი გადარჩა“.*** — ეს ჩემი თანამდევი სტრიქონია. მოდით, სარკმლებს ნუ გამოვკეტავთ. ■




დასაწყისი იხ „გზა“ №43-49

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიარით ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

აღელვებულმა სიგარეტს მოვუკიდე... ხელები ისე მიკანკალებდა, ცხრაჯერ ჩამოვკარი სანთებელას.

— არ იცი, რამ?

— არ ვიცი...

— „არ ვიცი“ საუკეთესო გამოსავალია. ეს სიტყვა რომ არ მოეგონებინათ, რა გეშველებოდათ ქალებს?! — იქედნურად ჩავიცინე.

— ასე მგონია, გინდა, ყველაფერში მე დამადანაშაულო.

— რატომ გგონია, მერე? არც მიფიქრია. ვიცი, ჩემი ბრალია ბევრი რამ, მაგრამ სპეციალურად არ გამიკეთებია ასე, სიტუაციამ მოიტანა. იმ დღეს რაღაც ერთ საათში შემეცვალა გეგმები, ამიტომაც ვერ შეგხვდი. არ უნდა გამიგო? იქნებ, რა ხდებოდა?!

— იმ დღის მერე სხვა დღე არ გათენებულა? — ირონიულად აწკიპა წარბები.

— მერე... მერე გამოცდები გეწყებოდა და ხელი არ შეგიშალე.

— დაბადების დღის მოლოცვაც ხელის შეშლა იქნებოდა?

— დაბადების დღის? როდის იყო შენი დაბადების დღე?

— ხომ ხედავ, არც გახსოვს...

— არ მახსოვს? მართალი გითხრა, არ ვიცი და არც არასდროს მცოდნია.

— 19 ივლისს იყო... მეგონა, ნათქვამი მქონდა.

— მაპატიე, მაგრამ... არ ვიცი, შეიძლება, ნათქვამიც გქონდა და არ გამახსენდა. ამის გამო მიბრაზდები? სულ ეგ არის შენი განრისხების მიზეზი?

— არა, ეგ არ არის. მე წინა შეკითხვას შეგახსენებ: რატომ გაღიზიანებს ჩემი საქციელი, რა გადარდებს? ამ კითხვაზე პასუხი არ გაგიცია...

— არც ვაპირებ. თუ ვერ ხვდები, რას ვითხოვ შენგან და რატომ, მაშინ ლაპარაკს აზრი არა აქვს, — ვთქვი გადაჭრით, მაღიზიანებდა მისი კატეგორიული ტონი.

— თუ ასეა, წავიდეთ, რაღას ვუცდით? არც არაფერი გვქონია გასარკვევი, — საოცრად მშვიდად თქვა და კარი გამოაღო, კვლავ უკანა სავარძელში გადაჯდა.

თათო მიხვდა, საუბარი რომ დავამთავრეთ და ჩვენკენ წამოვიდა. გვერდით მიუჯდა ნატას, თან ცნობისმოყვარედ ხან მე შემომხედავდა, ხან — მას.

ისე შემოვედით ცენტრში, არც ერთს კრინტი არ დაგვიძრავს.

— აქ გამიჩერე, — ცივად გაიჟღერა ნატას ხმამ, როცა უნივერმაღს მივუახლოვდით.

დავამუხრუჭე.

— ნახვამდის, — თქვა და გადავიდა.

თათო გაოგნებული მომჩერებოდა.

— რა მოხდა, ზაზა? — მთელი გზის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა.

— არაფერი, მოვედით, — თავი მოვაბრუნე და გავუღიმე... თუ ამას გაღიმება ერქვა...

როგორ არ მინდოდა, ჩვენი შეხვედრა ასე დასრულებულიყო, მაგრამ სიჯიუტეს ვერ მოვერიე. ვერ შევძელი, მეთქვა ნატასთვის, რაოდენ ძვირფასი იყო ჩემთვის, როგორ მიყვარდა... ხომ ვიცოდი, რომ ის ბავშვი იყო და შეცდომებიც ბავშვურად მოსდიოდა, მაინც ვერ გადავაბიჯე ჩემს სიამაყეს. ვხვდებოდი, ბედნიერება ხელიდან მეცლებოდა, მაგრამ პირველმა მაინც არ გადავდგი ნაბიჯი, მაინც არ დავთმე. რას ველოდი? ალბათ პატიების თხოვნას მისგან. მან კი ეს არ გააკეთა. რამაც, სიმართლე გითხრათ, ჩემი თავმოყვარეობა შელახა.

ყველა სიკეთესთან ერთად, მამაჩემთანაც გამიფუჭდა ურთიერთობა. გინდა თუ არა, მუშაობა დაიწყე, უსაქმურად როდემდე უნდა იყიალოო?! ერთ საღამოს ამის გამო მაგრად დავცხეთ ერთმანეთს. ლამის სახლიდან წავედი. დედაჩემის ხვწნამ გამაჩერა მხოლოდ. ის მუდამ მანდილის როლს თამაშობდა ჩვენ შორის.

— რას ერჩი ამ ბავშვს, ადამიანო, რა ცოცხლად შეჭამ! მოეკიდება ოჯახს და დაიწყებს მუშაობას. შეეშვი, ახალგაზრდაა, წელის მოწყვეტა მერეც ეყოფა, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით ამქვეყნად, — როგორც ყოველთვის, გამომესარჩლა დედა.

— შენი ბრალია, ეგ რომ ეგეთია, შენ გააფუჭე! — დაუყვირა მამამ. — როდემდე უნდა იაროს ასე უაზროდ?! ცუდს რას ვთავაზობ? გახსნას დრამატული წრის სტუდია ჩემთან, თეატრში, აიყვანოს ბავშვები და რაღაც გააკეთოს. ერთი-ორი კაპიკი შემოუვა, რა არის ამაში მიუღებელი?! არ მოგბეზრდა მაინც, პატარა ბიჭივით, ყოველდღე ფულს რომ აძლევ?

— კიდევ კარგი, შენი ჯიბიდან არ ვაძლევ, თორემ რა გაგიძლებდა, ვეღარ ამოვიდოდით შენი ყბიდან, — არც დედა დარჩა ვალში, — საწამ შემეძლება, მივცემ და როცა არ შემეძლება, თვითონაც კარგად იშოვის.

— ვიღაცას დააყაჩაღებს, არა?!. ეგ არის მაგის ბოლო, გული მიგრძნობს, — დაიღრიალა მამამ და კარი გაიჯახუნა.

არ მიყვარდა ასეთი სცენები. გული მტკიოდა, როცა მშობლების განაწყენება მიწევდა. ორივე ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებით — დედა. მასზე ახლობელი არავინ მყავდა. იშვიათად, მისთვის რამე დამემალა. ნატას ამბავიც იცოდა, ოღონდ არა — დაწვრილებით, არამედ ისე, გაკვრით. პირადულ თემებზე ცოტათი მიჭირდა მასთან საუბარი. როცა მამასთან უთანხმოება მომდიოდა, დედა ყოველთვის ჩემს მხარეს იჭერდა, კრუხივით გადამეფოფრებოდა და ბოლომდე მიცავდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, არ ვიყავი მართალი. ახლა, როგორც ჩანს, თვითონაც აევსო მოთმინების ფიალა, თავზე დამადგა და თმაზე ხელი გადამისვა.

— ზაზუკა, იქნებ მართალია მამაშენი, შვილო? სხვა თუ არაფერი, სიგარეტის ფული მაინც გექნება. ხელფასს დაგინიშნავენ, ბავშვებს ამეცადინებ, სპექტაკლებს დადგამ, ხალხი გაგიცნობს. მერე, რა იცი, რა ხდება, იქნებ...

— კარგი, რა, დე, ზღაპრებს ნუ მიყვები, ძალიან გთხოვ.

— მაინც დაფიქრდი. ჩემი აზრით, არ უნდა იყოს ცუდი ვარიანტი, — თქვა და სამზარეულოში გავიდა, ზედმეტი შეგონებით არ შემაწუხა.

მეც დავფიქრდი. ერთი მხრივ, არ იყო ცუდი იდეა. ტყუილუბრალოდ ყოფნას ნამდვილად სჯობდა. ბავშვებთან მუშაობა სასიამოვნოდაც კი წარმომედგინა, ამასთან, თეატრში ვიქნებოდი და რეპეტიციების დროს ნატასაც ხშირად ვნახავდი.

სწრაფად მივიღე გადაწყვეტილება და სამოქმედო გეგმაც შევიმუშავე. საღამოს, მამა სამსახურიდან რომ დაბრუნდა, შინ დავხვდი და დატუქსული ბავშვივით წინ ავეტუზე.

— რა იყო, ფული შემოგაკლდა? — გამომცდელად შემათვალიერა.

— არა, სხვა რამე მინდა გითხრა. შენი წინადადება მომეწონა და თანახმა ვარ, ვიმუშაო.

— ვაჰ! რა ბზიკმა გიკბინა, ხომ კარგად ხარ?.. — კმაყოფილმა ჩაიცინა.

— ოღონდ ერთი პირობით... — კეფა მოვიქექე და თვალებმოჭუტულმა გავხედე.

— პირობებსაც მიყენებ, კაცო?! შენ ვინ ყოფილხარ?! — როხროხით გაიცინა და მაგიდას მიუჯდა.

— ორი კვირა უნდა მაცალო. მანამდე ბავშვები შემიკრიბე და დავიწყებ.

— ორი კვირა რა ამბავია?! სადმე აპირებ წასვლას?

— არსად, სახლში მინდა ვიყო. ფეხს არ გავადგამ შინიდან. თუ ვინმე მიკითხავს ან დამირეკავს, ყველას ეტყვით, რომ მოსკოვში ვარ, ვითომ თეატრიდან გამიშვით საქმეზე.

— აუჰ! მერე? შინ რა უნდა აკეთო?

— არაფერი. ცოტა დეპრესია მაქვს და... ორთქლს გამოვუშვებ. ხომ იცი, ხელოვან ხალხს ხშირად ემართება ასეთი რამე.

— ვიცი, ვიცი, — მრავლისმეტყველად გაიღიმა მამამ და თავი გააქნია, — შენ თუ ეგ გიშველის, თანახმა ვარ, ოღონდ დედაშენიც გააფრთხილე, არაფერი წამოსცდეს.

— რა თქმა უნდა, მაგ საქმეს მოვაგვარებ.

— მოკლედ, ორ კვირაში დრამბრე უკვე დაკომპლექტებული იქნება და არ მიმტყუნო, იცოდე. გასაგებია?

— გასაგებია. დიდი მადლობა, მამა.

არ ვიცი, რაში მჭირდებოდა ეს ტყუილი — ვითომ მოსკოვში ვიყავი, მაგრამ ჩემი გეგმის მიხედვით, ასე იყო საჭირო. ვიცოდი, ჩვენს პატარა ქალაქში ახალი ჭორი სწრაფად ვრცელდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, ნატას ყურამდეც მალე მიაღწევდა ჩემი გამგზავრების ამბავი. ცოტათი მაინც ხომ აუფართხალდებოდა გული?! მანამდე რაღაც ლამაზ საჩუქარს ვუყიდდი და მერე, შერიგების მიზნით, ვუტყოდი, მოსკოვიდან ჩამოგიტანე-მეთქი. მართალია, „მარიაჟობა“ გამომდიოდა, მაგრამ ხანდახან ასეთი მსუბუქი ტყუილები აუცილებლადაც კი მიმაჩნდა. ქალი მხოლოდ საჩუქრებით და ქათიანაურებით არ უნდა დაიპყრო. შიგადაშიგ უნდა ანერვიულო კიდეც, რომ ყურადღება არ მოადუნოს და სხვისკენ არ გაიხედოს. გაუჩინარება კი ამ დროს საუკეთესო საშუალებაა. გარკვეული დროის განმავლობაში მთელი გულისყური იქითკენ ექნება მიმართული, „ის“ როდის გამოჩნდება.

უფრო და უფრო მომწონდა ჩემი იდეა. კარგია!.. მთელი ორი კვირა ჩემს მოლოდინში იქნება. მერე კი მოულოდნელად გამოვეცხადები და...

დედაჩემს ვთხოვე, — გადამყიდველებს კარგად იცნობ და იქნებ რომელიმეს გერმანული თოჯინები ჰქონდეს ჩამოტანილი, საჩუქრად მინდა-მეთქი. ეშმაკურად შემომხედა, მივხდა, რისთვისაც მჭირდებოდა და... დატრიალდა. იმავე საღამოს მომიტანა საკმაოდ ორიგინალური, ზანგი ბიჭის თოჯინა, შავი ხუჭუჭა თმით, რომელსაც ყვითელი ზედატანი და ჭრელი შორტი ეცვა. რომ შეხედავდი, ნამდვილ ბავშვს ჰგავდა. კარგა ხანია, ასე არაფერი მომწონებია...

თხუთმეტი დღე იმაზე სწრაფად გავიდა, ვიდრე ველოდი. არც სატელეფონო ზარებს ვპასუხობდი, არც ფეხს ვადგამდი სახლიდან. სულიერადაც დავისვენე და ფიზიკურადაც. მეთექვსმეტე დღეს თმა გავიკრიჭე, წვერი გავიპარსე, ფორმაში ჩავდექი და თეატრისკენ მიმავალ გზას დავადექი. იქ უკვე მელოდნენ მოსწავლეები — ქალაქის სკოლების მერვე-მეათეკლასელები. ჩემი „მსახიობური“ ნიჭი სხვა ვერაფერში გამოვიყენე და აქ მაინც ვცდიდი ბედს. თოთხმეტი ბავშვი დამხვდა — სამი ბიჭი და თერთმეტი გოგო. ამის დანახვაზე კინაღამ გული გამისკდა. ძლიერი სქესი აშკარად უმცირესობაში მოყვა, ეს კი არ იყო კარგი. თუმცა ბევრი არ მიფიქრია, ეგრევე მომწიფდა თავში იდეა, „ქამუშაძის გაჭირვება“ ან „დარისპანის გასაჭირი“ დამედგა. ამ შემთხვევაში, გოგონების სიმრავლე სწორედაც რომ გამომადგებოდა. პირველი მეცადინეობა გაცნობას დავუთმე. გონებაგახსნილი ბავშვები ჩანდნენ, ნიჭიერები. შევთანხმდით, რამდენიმე გაკვეთილი მხატვრული მეცადინეობისთვის დაგვეთმო — ლექსები და მოთხრობები წაგვეკითხა, მერე კი როლებს გავანაწილებდით და სერიოზულად დავიწყებდით მუშაობას. საახალწლო ზეიმზე კი პირველი სპექტაკლით წარვდგებოდით მაყურებლის წინაშე. ეს ჩემი დებიუტიც იქნებოდა და მათიც. სიხარულისაგან ისე ახმაურდნენ, რამდენიმე თანამშრომელმა კარიც კი შემოაღო, — ერთმანეთს ხომ არ ხოცავთო?! რეპეტიციები ორშაბათსა და ხუთშაბათს დავნიშნე, სამიდან ხუთ საათამდე. თენგოსაც სწორედ ამ დღეებში ჰყავდა მოცეკვავეები დაბარებული. დროც ხელს მაძლევდა, მე ხუთ საათზე დავითხოვდი ბავშვებს, თენგო — ექვსის ნახევარზე. ამის გამო ნატასთან შეხვედრა გარანტირებული მქონდა.

ნატა... როგორ მომენატრა! მთელი ჩემი სულის სამყაროც მისი სიყვარულით იყო გაჯერებული და ჩემი სხეულის ყველა წერტილიც, ყველა უჯრედიც. სადაც უნდა ვყოფილიყავი, ყველგან მას ვეძებდი თვალებგაფაციცებული — ქუჩაში, შენობაში, პარკში, ტრანსპორტში... ჩემს ფიქრებსა და ფანტაზიებშიც კი. ამხელა კაცს უსასრულოდ შემეძლო, ფანტაზიებში ჩავძირულიყავი, მთელი ღამე მეოცნება და ჩემი პერსონალური სამყარო შემექმნა. ადამიანის ფანტაზია ხომ იმით არის მიმზიდველი, რომ მისი ასრულებაა შესაძლებელი. როცა ასეთი შანსი არ არის, ცხოვრება აშკარად მოსაწყენი ხდება. ფანტაზიების სამყარო კი რაღაცნაირად იდუმალია — სხვებისთვის მიუწვდომელი, გამოუცნობი და ყველაზე მეტი საიდუმლოებით მოცული. აქ ყველაფერი შეიძლება — ის, რასაც რეალობაში ვერ აისრულებ, რის უფლებასაც ცხოვრებაში ვერ მისცემ საკუთარ თავს... აქ ყველაზე თამამი სურვილები ყველაზე ლამაზად გისრულდება. აქ მხოლოდ შენ ცხოვრობ და ცხოვრობ იმასთან ერთად, რაც შენ აირჩიე... იქ, რეალურ ცხოვრებაში რომ მიუწვდომელია, აქ შენთან ერთად არის და ისე გესმით ერთმანეთის, როგორც არასდროს. აქ ყველაფერი „მოსულა“. ამიტომაც, ფანტაზიას ყოველთვის უნდა მისცე გასაქანი. ერთდროულად სასიამოვნოც არის და... ვფიქრობ, სასარგებლოც.

ყოველი შემთხვევისთვის, ნატასთვის განკუთვნილი საჩუქარი სამსახურში წავიღე და კარადაში შევინახე. მინდოდა, ახლოს მქონოდა, რომ, როცა შემთხვევა მომეცემოდა, გადამეცა მისთვის.

ეს დღეც დადგა. ხუთშაბათი იყო. სამის ნახევარი გახდა. მოსწავლეების მოლოდინში ფანჯარას მივუახლოვდი და გარეთ გავიხედე...

გავიხედე და ვიგრძენი, როგორ შეწყვიტა გულმა ფეთქვა, როგორ გამიჩერდა სუნთქვა... ნატა კიბეზე ამოდიოდა. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მომნუსხველი, თვალი ვერ მოვწყვიტე. წითელი კაბა ეცვა, მოკლე, შავი, ფართო ქამარი შემოერტყა წელზე. ამაყად მხრებგაშლილი და თავაწეული მოირხეოდა. ვერ მოვითმინე და მინაზე დავუკაკუნე. დაფეთებულმა მოიხედა და რომ დამინახა, სახე აუფორაჯდა. მოულოდნელად ისე შექანდა საფეხურზე, ვიფიქრე, გული წაუვა და დაეცემა-მეთქი. ხელით ვანიშნე, ჩემთან შემოსულიყო. მან თვალები დახარა და ნელა, სვენებ-სვენებით გააგრძელა კიბეზე ამოსვლა. რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ კარი გაიღებოდა... ჩემი დამემართა... სისხლი გამეყინა ძარღვებში. როგორც იქნა, მოვისაზრე, საჩუქარი გამოვიღე კარადიდან და მაგიდაზე შემოვდე. სწორედ ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა, თან საოცარი სურნელი შემოიტანა. ოდნავ შეცბუნებული ჩანდა.

— მეძახდი? — გაუბედავად იკითხა და ზღურბლზე გაშეშდა.

— ჰო. როგორ ხარ?

გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

— ამის სათქმელად დამიძახე?

— რაღაც კარგი სუნამო გასხია... „კლიმა“ უნდა იყოს, თუ არ ვცდები.

— მერე რა? — შეეცადა, ტუჩის კუთხეებთან გაჩენილი ღიმილი დაემალა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— ეს სურნელი ყოველთვის მაღელვებდა, ახლა — მით უმეტეს, — ვთქვი და ანერვიულებულმა სიგარეტს მოვუკიდე, — ეს წითელი კაბაც ჰარმონიულად ერწყმის შენი სუნამოს არომატს.

— ჰმ... — ტუჩაბზუებულმა გამომხედა. — ეგ კომპლიმენტი პატარა, სულელ გოგონებს უთხარი.

— ეს არ არის კომპლიმენტი, ეს ფაქტია. შეხედე! შენი კაბის ფერი ანთებულ სიგარეტთან კარგ კომბინაციას ქმნის — ერთიც წითლად ანათებს და მეორეც, — გავიხუმრე და საჩუქრისკენ გადავდგი ერთი ნაბიჯი.

— სულ ეს არის? — გულგრილად იკითხა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს უკვე მოჰბეზრდა ჩემთან საუბარი. — სხვათა შორის, ნებისმიერი სხვა შენს ადგილას...

— ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, — შევაწყვეტინე სიტყვა, — კარგად ვიცი და ალბათ არც შენ გესწავლება, რომ სხვა ყოველთვის სხვა ადგილასაა, მე კი — ჩემსაზე და შეუძლებელია, ერთმანეთის ადგილზე აღმოვჩნდეთ.

თითქოს შენიშვნა არ ესიამოვნაო, პროტესტის ნიშნად ტუჩი აიბზუა, შუბლი შეკრა, გაბრუნდა და გასვლა დააპირა.

— თუ ახლა გატრიალდები და წახვალ, იცოდე, მოვკვდები, — სუნთქვაშეკრულმა მივაძახე.

— ნუთუ? ვითომ სიყვარულისგან? — თავი მოაბრუნა და მომაკვდინებელი მზერა მესროლა.

— გულის შეტევისგან, — კვლავ გავუცრუე იმედი და თვალი ავარიდე.

— ჩემგან არ გესწავლება, მაგრამ შენი პირველი ხუმრობა წითელ კაბასა და სიგარეტზე გაცილებით წარმატებული იყო, ვიდრე ეს, მეორე, რის გამოც უფრო მეტად იძულებული ვხდები, წავიდე.

— რატომ მემტერები ასე, ნატა? ნუთუ პატიების უნარი არ გაგაჩნია?!

— როგორ თქვი? პატიების? განა რა ჩაიდინე ასეთი?! ჩემი საპატიებელი რა გჭირს?!

— მორჩი ირონიას! შენც კარგად ხედავ, რომ ორივე ცეცხლს ვთამაშებით. ეს კარგ ფინალამდე არ მიგვიყვანს. მე ვცდილობ, გამოვისყიდო დანაშაული, შენ კი ამის საშუალებას არ მაძლევ. რატომ ხარ ასეთი შეუვალი?

— ვერ გავიგე, რა გინდა ჩემგან, ზაზა? შენ შენი ნებით შემოიჭერი ჩემს ცხოვრებაში, საშინლად, საშიშად, ყველაფერი გააფუჭე, თავდაყირა დააყენე, გზა-კვალი ამიბნიე, არივ-დარიე ყველაფერი და ახლა რაღა გინდა, რას მთხოვ? ჩემი ცხოვრება შენი მოფიქრებული ხომ არ გგონია ან შენი დაგეგმილი, რომ როგორც შენ გინდა, ისე ვაკეთო ყველაფერი?

— მინდა, ისევ ისე ვიყოთ, როგორც აქამდე ვიყავით... მინდა, რომ ისევ გიყვარდე, — ძალიან, ძალიან ხმადაბლა ვთქვი.

— და ვიტანჯო ამ სიყვარულით, არა?!

— რატომ უნდა იტანჯო?.. ჩვენ ხომ ძალიან ლამაზი დღეები გვქონია ერთად... იქნებ დაგავიწყდა...

— ჩემდა სამწუხაროდ, არასდროს მავიწყდება ცუდი კომპლიმენტი, ცუდი კოცნა და ცუდი მამაკაცი.

მისმა სიტყვებმა მახვილივით გაიარა მკერდში და გული გამიგლიჯა. ნებისმიერი რამ ეთქვა, ოღონდ — ეგ არა. ცხოვრებაში არასდროს, არც ერთ ქალს ჩემთვის მსგავსი რამ არ უკადრებია. სასტიკად მიხდიდა სამაგიეროს, დაუნდობლად მისწორდებოდა.

— როგორი უგულო ყოფილხარ!.. მე კი მეგონა, ყველასგან განსხვავებული იყავი და ურთიერთობაც ასეთი გვქონდა. იქნებ უკან წაგელო შენი სიტყვები, — ვცდილობდი, იქ, სადღაც, გულის სიღრმეში გაწყვეტილი მთავარი სიმი როგორმე გადამება, რომ უაზრო ჯიბრის გამო ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ამბავი არ დამეარქივებინა.

— კიდევ მე ვარ უგულო?! რატომ ცდილობ, ყოველთვის შენ წამომიყენო ბრალდებები? შენ რა, უფრო სპეტაკი ხარ? უშეცდომო? მეტად დამთმობი? იცი, რა გადავიტანე შენთან განშორების შემდეგ ან მანამდე?!. რატომ არ მეკითხები? — ისე შეეკრა სუნთქვა, თითქოს ყელში თოკი წაუჭირესო, ერთიანად გაუწითლდა სახე.

— ახლა გეკითხები და მიპასუხე, — ისევ ძალიან ხმადაბლა ვთქვი.

მოულოდნელად მხრები აუცახცახდა. მივხვდი, კიდევ ერთი სიტყვა და აღრიალდებოდა. კედელს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და გაირინდა.

ადგილიდან არ დავძრულვარ, მოთმინებით ველოდი, რა მოხდებოდა.

ნატა გაჩუმდა, ღრმად ამოისუნთქვა და თანდათან დამშვიდდა. სახეც დაუწყნარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავი წამოსწია, თვალები ნელა გაახილა და უმწეოდ შემომხედა.

— იმ დღეს, პარკში რომ შეგხვდი, მეგონა, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. მეგონა, რაღაცას მოიმოქმედებდი ჩემს შესაჩერებლად... არ ვიცი, ალბათ მეტ აქტიურობას ველოდი შენგან. როცა გავტრიალდი და წავედი, შეშინებული ვიყურებოდი აქეთ-იქით, თვალებში ჭადრის ფოთლები მეჩხირებოდა, ასე მეგონა, ახლა მოტყდება რომელიმე ტოტი, თავზე დამეცემა და სასწაული მოხდება-მეთქი. მაგრამ არც სასწაული მოხდა და არც შენ გამოიქეცი ჩემკენ. ვგრძნობდი შენს დაჟინებულ მზერას ზურგიდან და გულისფანცქალით ველოდი, როდის დამიძახებდი... თან ვფიქრობდი, რომ დამიძახოს, როგორ მოვიქცე — გავჩერდე თუ გზა გავაგრძელო-მეთქი? შენ წარმოიდგინე, არჩევანის გაკეთება არ გამძნელებია.

— მივხვდი, რომ არ გაგძნელებია, ამიტომაც არ დაგიძახე. ვიცოდი, რომ ჯიუტად გააგრძელებდი გზას.

— ცდები, ზაზა: მე გაჩერება ვარჩიე. მაგრამ შენ არ ისურვე, გავჩერებულიყავი. აი, ესაა მთავარი.

ამის გაგონებაზე გული მომეწურა. ვერ ვუთხარი, რომ მაშინ სიამაყემ მძლია, რომ ვერ გადავლახე ის რაღაც, რამაც მისი თავი დამაკარგვინა. ახლა ახსნას კი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ვცადე, არ შემეძლო მისი ასე ადვილად დათმობა.

— ახლა რომ დაგიძახო, გაჩერდები?

მწარედ გაეღიმა.

— გაჩერებული არ ვარ? მგონი, არსად გავრბივარ.

იმდენად მოულოდნელი იყო მისი სიტყვები, დავიბენი. ყოველივე იმის შემდეგ, რაც რამდენიმე წუთის წინ მითხრა, ასეთ შემობრუნებას არ მოველოდი. წონასწორობადაკარგულმა ჯერ მისკენ გადავდგი ნაბიჯი, მერე ისევ შევტრიალდი და უეცრად თვალში საჩუქარი მომხვდა. უკვე ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა. ამწუთას მხოლოდ ზანგი ბიჭი თუ გადამარჩენდა.

— მე შენ საჩუქარი ჩამოგიტანე, — ვთქვი და თოჯინას ხელი დავავლე, ყუთი გავხსენი და ზანგი ბიჭუნა ნელ-ნელა ამოვაძვრინე იქიდან.

— რა ლამაზია! — აღფრთოვანება ვერ დაფარა ნატამ და ჩემკენ დაიძრა... უფრო სწორად, თოჯინისკენ.

— საიდან?

— მოსკოვიდან ჩამოგიტანე, — გავიბღინძე.



— მე ჩამომიტანე? არა-ა!..

— არა კი არა, კი.

— ძალიან უცხოა, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, ეს შენი საჩუქარია, აიღე.

საწყალი გოგონა... ერთიანად ცახცახებდა, როცა ყუთი გამომართვა. თან უნდოდა გამორთმევა, თან ყოყმანობდა, თითქოს ამისთვის ვინმე გაკიცხავდა.

— მოსკოვში რა გინდოდა? — მკითხა ბოლოს, თან დარცხვენილი მომჩერებოდა.

— საქმეზე გამგზავნეს.

— ისეთი რა საქმე იყო, ორი კვირა რომ მოუნდი?

შეუმჩნევლად გავიღიმე. არამცთუ ის იცოდა, წასული რომ ვიყავი, არამედ ორი კვირით რომ დავიკარგე, ისიც არ გამოჰპარვია. ეს კარგის მანიშნებელი იყო.

— თეატრს სჭირდებოდა რაღაც. იცი, იქ ყოფნისას დღეებს ვითვლიდი, როდის დავბრუნდებოდი უკან.

— რატომ? — სულმოუთქმელად მკითხა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ მისთვის სასურველ პასუხს ელოდა. მეც არ დავაყოვნე:

— შენი ხმის გაგონება მენატრებოდა, — ვუთხარი და მხარზე გადავხვიე მკლავი, ჩემკენ მოვიზიდე.

კნუტივით უსუსურად დამყვა, თავი მკერდზე მომადო და ნებიერად აკრუსუნდა.

— მეც მენატრებოდი, — დაიჩურჩულა.

— ჰოდა, როცა ორ ადამიანს ასე ენატრება ერთმანეთი, ჩხუბი რა საჭიროა? — დრო ვიხელთე, რომ საყვედურის მაგვარი რამ მეთქვა.

— მე არ მიყვარს ჩხუბი. ჩემი ბრალი არ არის, ასე რომ მოხდა.

— ვიცი, ვიცი, არ გვინდა ახლა კამათის თავიდან დაწყება. ერთხელ და სამუდამოდ, დავივიწყოთ უკან დარჩენილი დღეები და ხვალინდელზე ვიფიქროთ.

— მართლა დაიწყე მუშაობა თუ მომატყუეს?

— მართლა დავიწყე.

— რას აკეთებ?

— დრამატულ წრეს ვხელმძღვანელობ. მოსწავლეები ავიყვანე.

— ბევრნი არიან?

— ჯერჯერობით თოთხმეტნი. შენც ხომ არ გინდა?

— რატომაც არა? სიამოვნებით!

— სამწუხაროდ, შენ დიდი ხარ, მე მერვე, მეცხრე და მეათე კლასის ბავშვებს ვამეცადინებ.

— შენი აზრით, არ ვგავარ სკოლის მოსწავლეს?

— ჰგავხარ, მაგრამ მაინც არ გამომადგები... ამ საქმეში, რა თქმა უნდა, — ღიმილით დავაყოლე.

— გოგოებიც არიან? — ეშმაკურად იკითხა.

— „ც“ კი არა, გოგოები არიან თუ არიან. მხოლოდ სამი ბიჭია.

— ტუზი დაგცემია და ეგ არის!..

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! არ დაგავიწყდეს, რომ მე მასწავლებელი ვარ.

— ზაზა! — დამიძახა მოულოდნელად.

— რა იყო? — თმაში შევუცურე ხელი და უფრო ძლიერად მივიკარი გულზე.

— მაკოცე...

— აკი ცუდი კოცნაო და რამე?.. — გავუხსენე თავისი „ნაფილოსოფარი“.

— ეს ისე ვთქვი, შენს გასაბრაზებლად, — თავი ასწია და სიყვარულით სავსე მზერა შემომანათა.

ვის შეეძლო, ასეთი ცდუნებისთვის გაეძლო! ვერც ერთი კაცი ვერ მოითმენდა. თავი ოდნავ დავწიე და ტუჩებში წავწვდი. პირველ წამს ოდნავ გამიჭირდა, რადგან უგემური პომადის ატლეკვამ მომიწია, მერე კი... მერე თავდავიწყებით „გადავთელე“ ალერსს მოწყურებული ბაგეები და ნეტარებაში ჩაფლულმა ბოლოს მის ყელში ჩავრგე თავი.

ამ დროს კარი გაიღო და ბავშვები ხმაურით შემოიჭრნენ. უჩვეულო სურათის დანახვისას ბოდიში მოიხადეს და ეშმაკური ღიმილით გაიძურწნენ ოთახიდან.

— წავედი, მეც რეპეტიცია მეწყება, თენგო გამიგიჟდება, — უხერხულად შეიშმუშნა.

— რომ დაამთავრებ, ჩემთან შემოდი, კარგი?

— რისთვის? — მაცდურად მოჭუტა თვალები.

— დაწყებული საქმე გავაგრძელოთ. არ მიყვარს ასეთი რამეების შუა გზაზე მიტოვება, — კიდევ ერთხელ ვაკოცე და გავეცალე, რომ ცოტათი სული მომეთქვა, ძალიან ვიყავი აღგზნებული.

ნატამაც გაიწია, იქვე, სკამზე ჩამოჯდა, კოსმეტიკური ჩანთა ამოიღო და თავის მოწესრიგებას შეუდგა. თან პატარა სარკეში იყურებოდა, თან საგულდაგულოდ ისვამდა ტუჩებზე პომადას.

— ძალიან გთხოვ, მაგ საზიზღრობის გემო მეორედ არ გამასინჯო, კარგი? — საჩვენებელი თითი პომადისკენ გავიშვირე.

— როგორც კი კარს მოვუახლოვდები, მოვიცილებ, — კეკლუცად გაიღიმა და წამოდგა, — კარგ ფორმაში ვარ? — პატარა ბავშვივით დატრიალდა ჩემ წინ.

— მწიფე ატამივით, კარგი ჩასაკვნეტი ხარ და არ აგცდება, იცოდე! — „დავემუქრე“.

— ატმის ჩაკვნეტა არ გამიგია, — გადაიკისკისა.

— მაშინ, კარგი ჩასაკბეჩი ხარ, — გამოვასწორე შეცდომა.

— და არ ამცდება, არა?

— არ აგცდება, გპირდები.

— მაგასაც ვნახავთ... სულ ცოტა ხანში, — ცერა და საჩვენებელი თითი ერთმანეთს მიუახლოვა, რითაც „ცოტა“ გამოხატა და ბედნიერებისგან თვალებგაბრწყინებული, ოთახიდან რხევა-რხევით გავიდა.

სანამ კარს გაიხურავდა, მოიხედა და გამომწვევი მზერა მესროლა, ვნებით ანთებული, ნდომით გაჯერებული...

სამწუხაროდ, ჩვენი ხელმეორე შეხვედრა ვერ მოხერხდა. შუა რეპეტიციის დროს მამამ დამირეკა და მითხრა, დედაშენი ცუდად გამხდარა და მეზობლებს საავადმყოფოში წაუყვანიათო. აზრადაც არ მომსვლია ნატას გაფრთხილება, ბავშვებიც შუა დარბაზში მივატოვე და თავზარდაცემული, საავადმყოფოში გავვარდი. დედას აივანზე გული წასვლია, სარეცხს ფენდა თურმე. მეზობელი ლამარა ყოფილა ჩვენთან, ხახვის სათხოვნელად შემოსული, დაუნახავს გულწასული ქალი და „სასწრაფოში“ დაურეკავს...

მდგომარეობა არ იყო საგანგაშო, თუმცა კი მიკროინფარქტი დაუდგინეს. ორკვირიანი წოლითი რეჟიმი და მკაცრი დიეტა დაუნიშნეს. საავადმყოფოში არაფრით დარჩა, შინ წამიყვანეთო. რას გავაწყობდით? წამოვიყვანეთ. იმ დღესვე დავურეკე ჩემს დას ქუთაისში, — დროებით დატოვე ქმარ-შვილი და დედას მოხედე-მეთქი. საცოდავი გოგო, ორ საათში ჩვენთან გაჩნდა. დალი რომ მოვიდა, შვება ვიგრძენი, უკვე აღარ მეშინოდა. მამასაც მოეშვა გულზე.

საღამოს ნატასთან დარეკვა ვცადე, მაგრამ ამაოდ — მთელი ღამის განმავლობაში ყურმილს არავინ იღებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ეროვნების საკვანძოში

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ვის ეკუთვნის გამოთქმა „დრო ფულია“?
2. რა არის ზადი?
3. აშშ-ის მერამდენე პრეზიდენტია ბარაკ ობამა?
4. „კავშა“ და „კოჭბროლი“ სინონიმებია. რას ეძახდნენ ასე საქართველოში?
5. ვის ეკუთვნის სიტყვები: „კაგდა მაი გრუზინი პაიუტ, ია პრაშჩაიუ იმ ვსე ნედასტატკი“?
6. ლეონიდ გაიდაის გადასაღებ მოედანზე გადამღები ჯგუფის წევრები ხშირად აქებდნენ, — რა კარგია, როგორც ჩაპლინს, ისე გამოგვდისო. რას უპასუხებდა ხოლმე გაიდაი ამგვარ ქებაზე?
7. ლონდონში ტაქსებად ძველი მოდელის ინგლისური ავტომობილები, ეგრეთ წოდებული კებები მოძრაობენ. მათ სხვა მანქანებზე უფრო მაღალი სახურავი აქვთ. რატომ?
8. რატომ დგანან ლონდონში, ჰაიდ-პარკში შეკრებილი ორატორები სიტყვით გამოსვლის დროს ხის ყუთებზე?
9. რა ჰქვია კრივში პირდაპირ დარტყმას?
10. ერთხელ, როცა კახა ცაბაძემ მაყურებელთა დაჟინებული თხოვნით მამამისის, გოგი ცაბაძის სიმღერა „ჩემო თბილისს-ქალაქო...“ შეასრულა, მასთან ერთი ხანდაზმული სომეხი კაცი მივიდა და უთხრა: კახა ბატონო, მამათქვენი ამ სიმღერას ცოტა სხვანაირად მღეროდაო. — მაინც როგორო? — დაინტერესდა კახა. რა უპასუხა ხანდაზმულმა სომეხმა?
11. რომელი ცნობილი პიროვნება დაიღუპა „მერსედესის“ ფირმის ავტომობილში, რომელიც პარიზში, ერთ-ერთი საავტომობილო გვირაბის მეცამეტე საყრდენს შეეჯახა.
12. დასრულეთ დათო ევგენიძის ხატოვანი გამონათქვამი: „ცივი დო, ცივი რე, ცივი მი, ცივი ფა, ცივი სოლ, ცივი ლა...“
13. ერთხელ სანადიროდ წასულ ბარონ მიუნჰაუზენს, რომელსაც თოფი სახლში დარჩა, ბუჩქებიდან დათვი გამოუხტა. როგორ მოკლა ბარონმა იგი?
14. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა რუსი ქალბატონების გამონათქვამში: „უ მუშჩინ ადნი დაროგი, კუდა..., ტუდა ი ნოგი“.

# ანეკდოტები

***

ექვსი წლის მიხოს დაბადების დღეზე უამრავი საჩუქარი მოუტანეს და ისე გაუხარდა, რომ ინატრა: „ღმერთო,

სულითა და გულით გთხოვ, ყოველდღე ჩემი დაბადების დღე იყოს!“

სამი თვის შემდეგ, 96 წლის მიხო სიბერისაგან გარდაიცვალა.

***

ევერესტის მწვერვალზე ჩამომჯდარი ორი მთამსვლელის საუბრიდან:

— მინდოდა, ოთხოთახიანი ბინა მეყიდა, გარემონტებული, ავეჯით გაწყობილი. მოკლედ, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბოლოს მაინც გადავიფიქრე.

— რატომ?

— მეშვიდე სართული იყო, თანაც ლიფტი არ მუშაობდა.

***

— საინტერესოა, რა მოსწონდათ ადრე ქალებს მამაკაცებში?

— როდის?

— სანამ ფულს გამოიგონებდნენ.

***

ჩანაწერი დღიურში:

„ვარ მურტალ „პახმელიაზე“! ხელები დილიდან მიკანკალებს. ვიხსნი პიჟამას ღილებს — ღილები სწყდება. ვიღებ კეისს — სახელური სძვრება. მეშინია ტუალეტში შესვლის...“

***

სოციოლოგიის გამოცდაზე პროფესორი ეკითხება სტუდენტს:

— კაცობრიობის ისტორიის მანძილზე დამნაშავეობა მატულობს თუ კლებულობს?

— რა თქმა უნდა, კლებულობს — აბელისა და კაინის დროს მოსახლეობის 25 პროცენტი მკვლელი იყო.

***

განცხადება: „სამგზის ქვრივი მამაკაცი ეძებს ცხოვრების თანამგზავრს. საყვარელი საქმიანობა — სოკოს კრეფა და მომზადება“.

***

პოლიციელი:

— ქალბატონო, ამ მდინარეში ბანაობა აკრძალულია!

— კი, მაგრამ სანამ გავიხდიდი, ვერ მითხარით?

— გახდა შეიძლება...

***

ბიბლიოთეკაში:

— თვითმკვლელობებზე წიგნებს სად ინახავთ?

— მეხუთე თაროზე, მარჯვნივ.

— იქ რომ არაფერი დევს?

— იცით, აღარ აბრუნებენ ხოლმე...

***

კოჭლი, უკბილო, მელოტი და ჩამოძონძილი მამაკაცი მიდის პაემნების ბიუროში:

— ახალგაზრდა, მდიდარ, ლამაზ და პატიოსან ქალზე მსურს დაქორწინება.

— ალბათ ხვდებით, რომ ასეთი ქალი ცოლად არ გამოგყვებათ, თუ, რა თქმა უნდა, სულელი არ არის.

— არა უშავს, იყოს სულელი.



***

— დედა, დღეს მამამ ორჯერ მცემა.

— ორჯერ რატომ?

— ერთხელ, როცა ორიანებით სავსე დღიური ვაჩვენე და მეორედ, როცა მიხვდა, რომ ეს მისი ძველი დღიური იყო.

***

ორი ტეხასელი ტყეში მოხვდა. უცებ ხე გადატყდა და ერთს თავზე დაეცა. მეორე რეკავს „სასწრაფო დახმარებაში“.

— მიშველეთ, მგონი, მეგობარი მომიკვდა!

— დამშვიდდით. ჯერ დარწმუნდით, რომ მკვდარია.

ისმის გასროლა.

— მერე?...

***

— 200 დოლარი მომეცი, ყავა უნდა დავლიო.

— ამდენი რად გინდა?

— ამ ტანსაცმლით ხომ არ წავალ რესტორანში?!

***

მეხუთეკლასელის მშობლებმა შვილის ჩანთაში ხელბორკილები, მათრახი, ეკლიანი საყელური და სადომაზოხისტური ატრიბუტიკა აღმოაჩინეს. სხედან და ფიქრობენ. მამა ამოიოხრებს:

— მდაააა, როგორც ვხედავ, ცემას აზრი არა აქვს.

***

— რამდენ კათხა ლუდს ყიდით დღეში?

— ორასს!

— გინდათ გითხრათ, როგორ გაყიდოთ სამასი?!

— რა თქმა უნდა!

— გაავსეთ კათხა!

***

— მამიკო, რატომ აქვთ გორილებს ცხვირის ამხელა ნესტოები?

— სქელი თითები აქვთ და იმიტომ!

***

— ალო, პატრულია? მანქანა გამიძარცვეს, მანქანა!

— რა არის მოპარული?

— მაგნიტოფონი... პანელი... საჭე... პედლები...

— გვითხარით თქვენი კოორდინატები. ალო, არ ისმის თქვენი ხმა, ალო!...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ზარია საპატრულო პოლიციაში.

— ისევ მე გაწუხებთ. მოსვლა აღარ არის საჭირო. ყველაფერი ვიპოვე. შეცდომით უკანა სავარძელზე დავმჯდარვარ.

***

ქვის ხანაა. შვილი ბრუნდება სკოლიდან. მამა ნახულობს დღიურს. ხედავს, სულყველაფერში ორიანი უწერია და უყვირის:

— მათემატიკასა და ლიტერატურაზე არაფერს გეუბნები, რთულია და დავუშვათ, ვერ ისწავლე. ისტორიაში რაღამ მიგაღებინა ორიანი, შე შობელძაღლო, სულ ორი გვერდია მთელი საგანი.

***

განცხადება: „გოგონებო, თუ თქვენი ფიგურა არ მოგწონთ, დაგვირეკეთ ჩვენ! ჩვენ მოგვეწონება!“

# ᲖᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲗ

„ᲒᲖᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

## (ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ)

1. ბენჯამინ ფრანკლინს. მან ეს გამოთქმა პირველად საკუთარ თხზულებაში, „რჩევები ახალგაზრდა ვაჭარს“ გამოიყენა, საიდანაც იგი — მთელ ამერიკაში, ხოლო შემდგომ მთელ მსოფლიოში გავრცელდა.
2. ზადი და ნაკლი სინონიმებია.
3. 44-ე.
4. თეთრფეხება ცხენს.
5. კინორეჟისორ გიორგი დანელიას.
6. „დამშვიდდით, ისე როგორც ჩაპლინს, ჩვენ არასდროს გამოგვიგია“.
7. ეს მანქანები თავდაპირველად იმისთვის იყო გათვლილი, რომ ინგლისელ ჯენტლმენებს ავტომობილში ჩავჯდომისას ცილინდრის მოხდა არ დასჭირვებოდათ.
8. ინგლისის კანონმდებლობა უკრძალავს ბილწსიტყვაობას ყველას, ვისაც ინგლისურ მიწაზე უდგას ფეხი.
9. დირექტი.
10. „ჩემო“ კი არა, „ჩვენო თბილისქალაქო...“(!)
11. პრინცესა დაიანა.
12. „თბილი სი“.
13. ბარონი არ დაიბნა, ცხოველი წინა თათებით დაიჭირა და მანამ ეჭირა, სანამ დათვი შიშშილით არ მოკვდა (მას ხომ თათის ლოკვის საშუალებაც აღარ ჰქონდა!).
14. „ჩლენ“

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲛᲐᲚᲔᲠᲔᲐ

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა თამარ გოგოლაძემ გამოგვიგზავნა და ასეთი წარწერა დაურთო: „ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲯᲓᲐ ᲓᲐ...“

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „ᲒᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

# გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული იერი?

ასაკის მატებასთან ერთად ნაოჭების გაჩენა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა, სწორი და სისტემატური მოვლა საშუალებას მოგცემთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული ჯანი.

საერთოდ, ნაოჭების გაჩენას ყველაზე მეტად ჯანის გამოშრობა უწყობს ხელს. ზოგი ქალი გახდომის მიზნით, ძალზე ცოტა წყალს სვამს, რაც დაუშვებელია – ჯანი შრება და ელასტიკურობას კარგავს.

## კანის მკვებავი სპეციალური საშუალებები

### ნუშის ნატურალური რძე

25 გ გარჩეული, ტკბილი ნუში დანაყეთ, დაასხით 1/2 ჩ/ჭ თბილი, ანადუღარი წყალი, კარგად შეანჯღრიეთ, დაუმატეთ ცოტა მარილი, გაწურეთ დოლბანდში და შეინახეთ გრილ ადგილას. გამოყენებამდე (დილით და საღამოს) კვლავ შეანჯრიეთ, დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახისა და ყელის მიდამოებში.

### მცენარეული ნაყენის კომპრესები

თუ მშრალი კანი გაქვთ, ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია, დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის გაწმენდა შემდეგი ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილი მოხარშეთ ნახევარ ჭიქა რძეში და მიღებული ნაყენი 20-15 წუთით მოათავსეთ ცხელ წყალში.

თუ მგრძნობიარე, ნაზი და ფორებიანი კანი გაქვთ, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები: 1/2 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჭიქა წყალში და დაუმატეთ ამავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით.

### მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კანის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთ-ის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ.

# ისწავლეთ სტრესის დაძლევა

**სტრესი ორგანიზმს აუძლურებს. განერვიულებულ ადამიანს კი შეიძლება წვრილმანი საზრუნავიც გადაულახავ პრობლემად ექცეს. კარგი იქნება, თუ ნერვულობას არ აჰყვებით და თავს სტრესული მდგომარეობისგან დაიცავთ. ამაში უპირველეს ყოვლისა, სუნთქვითი ვარჯიშები დაგეხმარებათ:**

1. მოძებნეთ მყუდრო ადგილი, სადაც ყურადღებას არავინ გაგიფანტავთ და არც თქვენ შეუშლით ხელს ვინმეს. სკამზე ან იატაკზე დაჯექით, წელში გაიმართეთ, არ მოიხაროთ — ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია! დამშვიდდით და თვალები დახუჭეთ.

2. მთელი ყურადღება სუნთქვაზე გადაიტანეთ. ისუნთქეთ ნორმალურად, მშვიდად. არ შეეცადოთ სუნთქვის გაკონტროლებას. ნება მიეცით სუნთქვის რიტმს, დამოუკიდებლად ჩადგეს ნორმაში.

3. თუ ფიქრები (მით უმეტეს, უსიამოვნო), მაინც მოგეძალათ, შეეცადეთ, ნელ-ნელა ყურადღება ისევ სუნთქვაზე გადაიტანოთ.

4. ამ მდგომარეობაში (ჩუმად და უმოძრაოდ) დაახლოებით 15 წუთი დაყავით.

5. როცა თქვენი წარმოდგენით, ეს დრო გაივლის (საათის დანიშვნა საჭირო არ არის — ეს ყურადღებას გაგიფანტავთ), ნება მიეცით აზრებს, ყოველდღიურ საზრუნავს დაუბრუნდნენ. მერე თვალები გაახილეთ.

### შეინარჩუნეთ ტონუსი

მართალია, დაღლილს დივანზე წამოწოლა ყველაფერს გირჩევნიათ, მაგრამ ფიზიკური დატვირთვის გარეშე, სტრესული სიტუაცია უფრო მწვავდება. შეეცადეთ, ირბინოთ ან სწრაფად იმოძრაოთ და კუნთები დაძაბოთ. მათი აქტივობა გულ-სისხლძარღვთა სისტემას წვრთნის, სხეულსა და ტვინს უაგბადით უფრო აქტიურად ამარაგებს. ეს აგიმაღლებთ ტონუსს და ენერგიით აგავსებთ. როცა ფორმაში ჩადგებით, დატვირთვა ნაკლებ ძალას წაგართმევთ. ძალზე ეფექტურია ყოველდღიური ვარჯიში, თუნდაც ეს მხოლოდ გასეირნება იყოს. იდეალური ვარიანტი კვირაში 3-ჯერ, 30 წუთით ვარჯიშია.

### შეიკინეთ ახალი სამუსი და...

დაბალი თვითშეფასება ხშირად ქრონიკული დაღლილობის მიზეზი ხდება და შეიძლება დეპრესიამდეც მიგიყვანოთ. თუ სამუშაოსადმი ინტერესს კარგავთ, ცუდად გძინავთ, წონაში მოულოდნელად იმატებთ ან იკლებთ, რიგით ცხოვრებისეულ პრობლემებს ვერ უმკლავდებით — ასეთი მდგომარეობიდან საკმაოდ მარტივი გამოსავალი არსებობს. შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი და მსუბუქი ფლირტით გაერთეთ. მიღებული სიამოვნება სულიერ სიმხნევეს შეგმატებთ და ანტიდეპრესიული პრეპარატები აღარ დაგჭირდებათ.

# კვების ხუთი ოქროს წესი

ლამაზი ფიგურა ყველა ქალის ოცნებაა. თუმცა ის, ვინც გამუდმებით წონის დაკლებაზე ფიქრობს და ჯილოგრამებს ითვლის, სასურველ შედეგს ძნელად თუ აღწევს. საუკეთესო ალნაგობით უმეტესწილად, ისინი იწონებენ თავს, ვინც სწორად იკვებება. არსებობს ხუთი ოქროს წესი, რომელიც იდეალური ფიგურის შენარჩუნებაშიც დაგეხმარებათ და ავადმყოფობასაც აგაცილებთ თავიდან.

### წესი პირველი

კვებისას უპირატესობა ცოცხალ ხილსა და ბოსტნეულს მიანიჭეთ. ამავე დროს, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მაცივარში შენახული ხილი და ბოსტნეული ვიტამინებისა და სასარგებლო ნივთიერებების ნახევარს კარგავს. ამიტომ ჯობს, ხშირად-ხშირად იყიდოთ მცირე რაოდენობის ხილი და ბოსტნეული და იმ დღესვე მიირთვათ.

### წესი მეორე

სადილი და ვახშამი მსუბუქი სალათით დაიწყეთ. ის შიმშილის გრძნობას მოგიკლავთ და მისი წყალობით, ნოყიერ საკვებს — შემწვარ კარტოფილს ან ხორცს ნაკლები რაოდენობით მიირთმევთ.

### წესი მესამე

აუცილებლად გაითვალისწინეთ წელიწადის დრო. ზაფხულში თავისუფლად შეგიძლიათ კვების რაციონიდან ამოიღოთ ხორცი, ძეხვეული, მიირთვათ ნაკლები პური. ზამთარში კი ხორცი და პური აუცილებელია, მისი წყალობით ორგანიზმი ენერგიით იმუხტება. ზამთარში, ხორცი ან თევზი კვირაში 2-ჯერ მაინც თუ არ მიიღეთ, შიმშილის გრძნობა გამუდმებით შეგაწუხებთ, მეტს შეჭამთ და აქედან გამომდინარე, წონაშიც მოიმატებთ.

### წესი მეოთხე

რაც არ უნდა მშიერი მიხვიდეთ შინ, ნუ დაიხვავებთ თეფშზე ბევრ საჭმელს; ნუ მიეძალებით წინადღეს მომზადებულ კერძს — იმ მიზეზით, რომ მისი გადაყრა გენანებათ. სადილობისას, კერძი, შედარებით პატარა ზომის თეფშზე გადმოიღეთ — საჭმელი ბევრი მოგეჩვენებათ და მალე ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, თითქოს მაძღარი ხართ.

### წესი მეხუთე

ყოველი ჭამის შემდეგ, კბილები გაიხეხეთ. თუკი ამის საშუალება არ გაქვთ, დაღეჭეთ საღეჭი რეზინი. ამით თქვენი ორგანიზმი იღებს სიგნალს, რომ ჭამა დაასრულეთ.

### იდეალური საუზმე

*საუკეთესო ვარიანტია, თუ დილიდანვე ნახშირწყლებით მდიდარ პროდუქტებს მიიღებთ. მაგალითად, მიირთვით ფაფები, შავი პური და ჩაი. ჩაი ყავაზე უკეთ დაგეხმარებათ გამოფხიზლებასა და ენერგიის მოკრებაში.*

### აუცილებელი სადილი

*დიეტოლოგებმა დააგინეს, რომ ადამიანი, რომელიც არ სადილობს, გაათკეცებული მადით მიირთმევს ვახშამს. ასე რომ, აუცილებლად ისადილეთ. სასურველია, სადილის პირველი კერძი წვნიანი იყოს.*

### რაციონალური ვახშამი

*ეცადეთ, არაფერი მიირთვათ საღამოს 6 საათის შემდეგ. თუ მაინც გიწევთ გვიან ვახშმობა, სასურველია, ეს დაძინებამდე ორი საათით ადრე მოახერხოთ. სასურველია, მიიღოთ ბოსტნეული ან რძის პროდუქტები.* ■

## რჩევები დიასახლისებს...

● ფანჯრის რაფები და კარები გარეცხეთ წყალში გარეული ნიშადურის სპირტით (1 ლ წყალი, 1 ს/კ სპირტი). ფერადი საღებავებით შეღებილ კარ-ფანჯრების გარეცხვა რეკომენდებულია ჩაის ნაყენით (2 ჩ/კ მშრალ ჩაის დაასხით 1 ლ ცხელი წყალი, გააჩერეთ 10 წუთი და გადაწურეთ).

● ფანჯრის მინებზე მიმხმარ საღებავი ჯერ სამართებლით ან რაიმე ბასრწვერიანი საგნით ფრთხილად აფხიკეთ; დარჩენილი ლაქა კი მოაშორეთ სკიპიდრით.

● ფანჯრის საწმენდად, გირჩევთ, გამოიყენოთ 3 რბილი ქსოვილი. თბილ წყალში ჩაფშვენით ცარცი (1 ლ წყალზე 3-5 ს/კ ცარცი). პირველი ნაჭრით მინა გაწმინდეთ ცარციანი ხსნარით, მეორე ოდნავ დაასველეთ, კარგად გაწურეთ, გაწმინდეთ ცარციანი მინა და დაელოდეთ მის ოდნავ შეშრობას; მესამეთი კი გააპრიალეთ.

● ზამთარში ფანჯრის მინები რომ არ გაიყინოს, ორივე მხრიდან გლიცერინით გაწმინდეთ. ■


**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

**www.elva.ge**

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ИТОГИ | 3.00 | 39.00 |
| 2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА | 2.00 | 117.00 |
| 3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА. | 32.00 | 32.00 |
| 4. КАРАВАН ИСТОРИЙ | 8.00 | 24.00 |
| 5. НОВАЯ ГАЗЕТА | 1.50 | 39.00 |
| 6. ВОКРУГ СВЕТА | 9.00 | 27.00 |

ქ. თბილისი
ითსუბაძის ქ.№49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

აბრეშუმი ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

# კევინ ფედერლაინის გულახდილი ინტერვიუ

***ბრიტნი სპირსის ყოფილმა ქმარმა და მისი ორი ვაჟის მამამ, მომღერალმა კევინ ფედერლაინმა ჟურნალს People გულახდილი ინტერვიუ მისცა.***

**— ბრიტნისთან პირველი შეხვედრა თუ გახსოვთ?**

— ბრიტნი პირველად ჰოლივუდის ერთ-ერთ კლუბში ვნახე. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და წარმოუდგენელი რამ მოხდა! საერთო ენა მაშინვე გამოვნახეთ. მხოლოდ მოგვიანებით, პრესისგან შევიტყვე, რომ ამ ამბავმა დიდი ხმაური გამოიწვია.

**— ქორწინების შესახებ ბედნიერი მოგონებები დაგრჩათ?**

— ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, ბრიტნისთან ერთად ყოფნა მინდოდა თუ არა. ამ ქორწინებას თავი მთლიანად მივუძღვენი. ეს მართლაც ბედნიერი და საინტერესო ქორწინება იყო! ამ ქორწინებამ ბევრი რამ მასწავლა და ჩემს ნაბიჯს სრულიადაც არ ვნანობ.

**— რა შეცდომა დაუშვით?**

— ვფიქრობდი, რომ ოჯახისთვის მეტისმეტად უხეში ვიყავი, მაგრამ ბავშვის გაჩენამ ყველაფერი შეცვალა. ბავშვებს დიდ ყურადღებას ვუთმობდი. ვერ ვიტყვი, რომ ბრიტნის იგნორირებას ვახდენდი, მაგრამ ჩემთვის შვილები უფრო მნიშვნელოვანი იყო. მინდოდა, ოჯახში ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო... ულტიმატუმებს არ ვაყენებდი. მასთან დალაპარაკებას ვცდილობდი, მაგრამ ბრიტნი კონტაქტში არ შემოდიოდა. ადამიანში მომხდარი ესოდენ რადიკალური ცვლილებებით გაოგნებული ვიყავი!

**— ამბობენ, რომ ბავშვებზე მეურვეობის უფლების მოპოვება ფულის გამო გსურდათ...**

— პირველი კითხვა, რომლითაც ადვოკატს მივმართე, ბავშვებს შეეხებოდა: „ჩემი შვილების ნახვა როდის შემიძლია?“ ვარწმუნებდი, რომ მთელ ფულს მათ საკეთილდღეოდ დავხარჯავდი. ეს ძალზე რთული გადასატანი იყო. არ ვიცი, ბრიტნიმ ყოველივე ამას როგორ გაუძლო...

**— რა რეაქცია გქონდათ, როდესაც იანვარში ბრიტნი სააბაზანოში შვილთან ერთად ჩაიკეტა, შემდეგ კი საავადმყოფოში აღმოჩნდა?**

— ეს ჩემი ცხოვრების უმძიმესი მომენტი იყო. ძალზე ვნერვიულობდი. ბრიტნის გამო ვღელავ! აღარ მიყვარს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ამბავი არ მაინტერესებს! უბრალოდ, მასთან ურთიერთობაზე მეტად, ბავშვებთან ურთიერთობა მაინტერესებს. ბრიტნი ძალზე შეიცვალა — მუშაობს, ბავშვებს უვლის და ცდილობს, უკეთესი გახდეს! ■

# Guns N`Roses ჰიტ ალბომების სათავეში

ჯგუფის Guns N`Roses ახალმა ალბომმა ევროპაში, Tunes როკჩარტის მწვერვალი დაიპყრო, რაც ექსელ როუზისა და მისი ჯგუფის ახალი დისკის უდიდეს პოპულარობაზე მეტყველებს. რამდენიმე დღის წინ ალბომის გამომშვებთა წარმომადგენლებმა როუზი დაადანაშაულეს, რომ მას ახალი ფირფიტის პიარში მონაწილეობა არ სურს და მაგალითად ამერიკული როკჩარტის ლიდერი The Killers და Coldplay დაასახელეს. როგორც ცნობილია, ფირფიტამ Chinese Democracy საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრალიის, ბელგიის, კანადის, ფინეთის, საბერძნეთის, იტალიის, ირლანდიის, იაპონიის, ნიდერლანდის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ესპანეთის, შვეიცისა და შვეიცარიის Rock Chart-ში პირველი ადგილი დაიკავა; ხოლო გერმანიის, ავსტრიის, ბელგიის, ფინეთის, იტალიისა და იაპონის საერთო მუსიკალურ ჰიტაღლუმებში პირველ ადგილზე გავიდა! ■




# უილ სმიტი „ჰენკოკი-2“-ში კვლავ ითამაშებს!

უილ სმიტმა ოფიციალურად დაადასტურა გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ ანტიგმირის შესახებ შექმნილი ფილმის „ჰენკოკი-2“ გაგრძელებაში კვლავ ითამაშებს. შავკანიანი მსახიობის ახალი წარმატება მისი შემოქმედების შესახებ მსჯელობისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის. წარმატებული ფილმები — „მე — ლეგენდა“ და „ჰენკოკი“, რომელთა შემოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, გაგრძელებას თავისთავად ითხოვს! ერთი შეხედვით მოულოდნელი აღმოჩნდა უილ სმიტის მონაწილეობა დრამატულ ფილმებში, სადაც მსახიობს ფილმებისგან — „მგზავრობა ამერიკაში“ და „ველური, ველური ვესტი“ განსხვავებით საკუთარ სამსახიობო შესაძლებლობათა ახლებურად წარმოჩენის საშუალება მიეცა. რაც შეეხება ფილმს „ჰენკოკი-2“, აქ ყველაფერი თავისთავად ცხადია — მასში, რაღა თქმა უნდა, უილ სმიტი ითამაშებს, მაგრამ ნუ ავჩქარდებით — სურათი ეკრანებზე მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოვა. ■

# ჯენიფერ ენისტონი ანჯელინა ჯოლის კვლავ ექიმპება

ჯენიფერ ენისტონმა ჟურნალს — Entertainment Weekly პირადი ცხოვრების შესახებ მოუთხრო და რამდენიმე საიდუმლოც გაუმხილა. პირველი, რაც მსახიობმა განაცხადა, უარყოფაა გავრცელებული ჭორისა — თითქოს ჯენიფერი მისი ამჟამინდელი ბოიფრენდის ჯონ მაიერისგან ბავშვს ელოდება. „დედობაზე ვოცნებობ და ახლა სწორედ რომ შესაფერის ასაკში ვარ, მაგრამ ვგრძნობ, ცოტა კიდევ უნდა მოვიცადო. ზოგიერთი ფანატიკოსი დედის მსგავსად, ბევრი შვილის გაჩენას არ ვაპირებ!“ — განაცხადა ჯენიფერმა და ამ სიტყვებით ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის ბედნიერ ოჯახს გადაჰკრა. ინტერვიუს დასასრულს მსახიობმა პირობა დადო, რომ იმ ბედნიერ დღეს, როდესაც იგი დაორსულდება, სიხარულს მთელ ქვეყანას გაუზიარებს! მაგრამ ამ პირობის შესრულების ბევრს არ სჯერა, რადგან ვარსკვლავთა უმეტესობა ამჯობინებს, ორსულობა დაფაროს. პრესის წარმომადგენლები კი ფიქრობენ, რომ უმჯობესია, ჯენიფერ ენისტონი გონს მოეგოს და ანჯელინა ჯოლისთან ქიშპობა დაივიწყოს... ■

# Christie`s-ის აუქციონის ძვირად ღირებული ლოტები

1976 წელს კევინ მაკლორიმ შონ კონერისა და ლენ დეიტონთან ერთად „ბონდიანის“ ერთ-ერთი ეპიზოდის — „საბრძოლო იარაღი“ სცენარი შექმნა, რომლის ეკრანიზაცია არ განხორციელებულა. რამდენიმე დღის წინ სცენარი Christie`s-ის აუქციონზე 465,800 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ლოტის ღირებულება (ფილმის „არასოდეს თქვა — არასოდეს!“ ჩათვლით) 3.000 გირვანქა სტერლინგი იქნებოდა. მოლოდინს კიდევ ერთი ლოტის ღირებულებამ გადააჭარბა. მერილინ მონროს ნაქონი ბეწვით გაწყობილი შავი სვიტერი აუქციონერთა პროგნოზით 10-15 ათას გირვანქა სტერლინგად უნდა გაყიდულიყო, მაგრამ ანონიმმა მყიდველმა სვიტერში 42.000 გირვანქა სტერლინგიც არ დაიშურა. მერილინ მონროს კუთვნილი რუხი შალის ჟაკეტი (სასტარტო ღირებულება 6.000 გირვანქა სტერლინგი) აუქციონზე 39.600 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ■

# რომანტიკული საჩუქარი

შობამდე ორ კვირაზე მეტი დარჩა, მაგრამ მერაია ქერის მეუღლემ, ნიკ კენონმა სათაყვანებელი ცოლის დროზე ადრე გახარება განიზრახა და ცნობილ სამთო-სათხილამურო კურორტ ასპენში (კოლორადოს შტატი) მდიდრული შალე შეიძინა. ასპენი ხომ წლის



უმთავრესი დღესასწაულის — შობის შესახვედრად იდეალური ადგილია!

„აშკარაა, რომ ნიკი ჯერ კიდევ თაფლობის თვის ფაზაში იმყოფება (წყვილი აპრილში დაქორწინდა). მისმა აკვიატებულმა სურვილმა — ცოლისთვის მშვენიერი თავშესაფარი საჩუქრად მიეძღვნა, ნიკის მეგობრები შოკში ჩააგდო. ნიკს არ სურს, მერაია არენდასთან დაკავშირებული პრობლემებით შეაწუხოს. მან კარგად იცის, რომ ასპენი — მერაიას უსაყვარლესი ადგილია. ასე რომ, ეს მისი ნაადრევი საშობაო საჩუქარია“, — ამბობს ნიკ კენონის ერთ-ერთი ახლობელი, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა... პრესისთვის ჯერჯერობით უცნობია ის თანხა, რომელიც კენონმა სახლში გადაიხადა, მაგრამ ამბობენ, რომ მოსიყვარულე ქმარი მხოლოდ უძრავი ქონებით არ შემოფარგლულა, მან მერაიასთვის იმდენი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იყიდა, რამდენი ოთახიც არის შალეში (საგულისხმოა, რომ სახლში 5 საძინებელი ოთახია). სავარაუდოდ, ნიკი ბეჭდებს ოთახებში დამალავს, მერაიას კი მათი პოვნა მოუწევს!!! ■

# სარა ბრაუნის ახალი იმიჯი – „ა-ლა-ა კარლა ბრუნი“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის მეუღლე სარა ბრაუნმა საზოგადოება ახალი იმიჯით გააოცა, რომელიც, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, საფრანგეთის პირველი ლედის, კარლა ბრუნი-სარკოზისგან „ისესხა“. ბრიტანულმა გაზეთმა Daily Mail ბრიტანეთის პარლამენტის ახალი სესიის გახსნასა და დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედთან მიღებაზე გადაღებული ფოტოსურათები გამოაქვეყნა, რომლებზეც „განახლებული“ სარა ბრაუნია გამოსახული. გამოცემა აღნიშნავს, რომ საზოგადოება გაოგნებული დარჩა, როდესაც ტრადიციული შავი კაბის ნაცვლად ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი სარა ბრაუნი იხილა! უფრო მეტიც, ქალბატონი ბრაუნი ახალი ფერებით აელვარდა, როდესაც პატარძლის ყვავილისფერი ბერეტი დაიხურა! აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრსაც იმავე ფერის ჰალსტუხი ეკეთა!!! გაზეთი მკითხველებს რამდენიმე რჩევასაც აძლევს. Daily Mail ირწმუნება, რომ სარა ბრაუნის მსგავსად, ბრიტანელ ქალბატონებსაც იოლად შეუძლიათ იერის შეცვლა, რადგან ბერეტი სულ რაღაც 7 გირვანქა სტერლინგი ღირს...

სააგენტო „ფრანს პრესის“ აზრით, სარა ბრაუნმა გარდერობის ზოგიერთი დეტალი ნიკოლა სარკოზის მეუღლისგან „ისესხა“. ყოფილი მოდელისა და საყოველთაოდ აღიარებული ლამაზმანის დახვეწილმა სამოსმა და გემოვნებით შერჩეულმა აქსესუარებმა წელს ბრიტანელები მართლაც რომ გააოგნა. კარლა ბრუნი ბრიტანეთს Christian Dior-ის ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი მოევლინა და ფრანგული პრესა ირწმუნება, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეუღლემ სწორედ ბრუნი-სარკოზის კაბის „ასლი“ შეიძინა... ■

# ომის ჯაფოთით

# ორი საუკუნის ანექსიები, კონტრიბუციები და მტაცებელი მაღალჩინოსნები

**90 წლის წინ პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. ბოლშევიკებმა მაშინვე წამოაყენეს წინადადება — მხარეებს ხელი მოეწერათ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე და უარი ეთქვათ „ყოველგვარ ანექსიასა და კონტრიბუციაზე“. მაგრამ ანექსიაც და კონტრიბუციაც ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ძირითად საფუძვლად იქცა.**

ევროპის რუკა არაერთხელ გამხდარა „ჭრა-კერვის“ პოლიგონი...

*ბევრს ჰგონია, რომ ომის შედეგად მიღებული ნადავლი გამარჯვებული მხარის გენერლებსა და საერთოდ, გამარჯვებული სახელმწიფოს მოქალაქეებს ამდიდრებს. სინამდვილეში, ტერიტორიული შენაძენი და რეპარაციები უპირველეს ყოვლისა, ბიუროკრატებისა და განსაკუთრებით, იმ მოხელეებისთვისაა ხელსაყრელი, ვისაც ბიზნესმენები ქრთამებს აძლევენ.*

## რაინის სადარაჯოზე

ანექსია — სხვისი ტერიტორიის მიტაცება, და კონტრიბუცია — გამოსასყიდი, რომელსაც დამარცხებული გამარჯვებულს იმისთვის უხდის, რათა ახალ მსხვერპლს აარიდოს თავი — ნებისმიერი დამპყრობლის მიზნებს წარმოადგენს. ფეოდალურ ეპოქაში ჩვეულებრივ, წარმატებულ ანექსიას, ერთგული ვასალებისთვის მიწების დარიგება მოსდევდა, ამდენად, ტერიტორიული შენაძენით ყველაზე მეტად, მიწათმფლობელები იყვნენ დაინტერესებული. მრეწველობის განვითარების კვალობაზე, ახალ ტერიტორიებს სულ უფრო ხშირად, მეწარმეები ეტანებოდნენ, რადგან მათ ენერგორესურსები და ნედლეული სჭირდებოდათ. იმ დროიდან მოყოლებული, ანექსიებს არა მარტო ტერიტორიული ძღვენი, არამედ ხელსაყრელი კონცესიები ახლდა თან. და მაინც, ანექსიებისა და კონტრიბუციების შედეგად, არა მიწათმფლობელები და კაპიტალისტები, არამედ უპირველეს ყოვლისა, მაღალჩინოსნები და ის მეწარმეები რჩებოდნენ მოგებული, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლებთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ.

ევროპაში ინდუსტრიული ეპოქა დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტით, რომელიც საფრანგეთის რევოლუციას მოჰყვა. საფრანგეთის რესპუბლიკამ თავისი არსებობა დაიწყო რაინის მხარის დაპყრობით, რომელიც მანამდე სხვადასხვა გერმანულ სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ამასთან, აღნიშნული ტერიტორიის ანექსიამ თავიდან, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერაც კი გამოიწვია. მაგალითად, ერთ-ერთმა იქაურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ პარიზში გაგზავნა პეტიცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ მის წევრებს სურთ გაიზიარონ „საფრანგეთის დიადი ბედი, რათა ვიცხოვროთ ერთობაში, რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებს დაეფუძნება“. ამ პეტიციაზე პირველი ხელმომწერი, მსხვილი ზაარელი მეწარმე იოჰან რიხლინგი გახლდათ, რომელსაც რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რამდენიმე მეტალურგიული ქარხანა ეკუთვნოდა. რიხლინგი ზაარის მხარეში არსებული 22-დან ერთ-ერთი შახტის მფლობელიც გახლდათ, 13 კი ნასაურელ პრინცს ეკუთვნოდა, რომელსაც ეს შახტები ებრაელი ვაჭრისთვის, ზაქარია სერფისთვის იჯარით, წელიწადში 100 ათას ლივრად ჰქონდა გადაცემული. რიხლინგი იმედოვნებდა, რომ შახტებიდან პრუსიელთა განდევნის შემდეგ, მათი მესაკუთრეებიც შეიცვლებოდნენ და, ფრანგების წყალობით, სერფის ადგილსაც თავად დაიკავებდა. ის თითქმის არ შემცდარა: პრინცს შახტები მართლაც ჩამოართვეს და საფრანგეთის ხაზინას გადაულოცეს, მაგრამ სერფის ადგილი არა რიხლინგმა, არამედ ფრანგმა მეწარმემ ეკერმა დაიკავა, რომელსაც პარიზში, სახელისუფლებო წრეებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. არც ადგილობრივ მოსახლეობას დაადგა კარგი დღე, რადგან XIX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსის, ანუერანის თქმით: „მალე კონვენტმა იმ მხარეში, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ნამდვილი ყაჩაღები მიავლინა, რომლებიც რეკვიზიციების საბაბით, „ფასეული ნივთების ევაკუაციას“ ეწეოდნენ“.

როგორც რევოლუციური, ისე ნაპოლეონის მტაცებლური ომების შედეგად განხორციელებულმა კონტრიბუციებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, ხოლო სახელმწიფო საზღვრების „ჭრა-კერვა“ პრაქტიკულად, ყოველწლიურად ხდებოდა. 1795-დან 1808 წლამდე საფრანგეთის ხაზინაში კონტრიბუციების შედეგად, 535 მლნ ფრანკი შევიდა, აქედან 210 მლნ ჰოლანდიამ გაიღო, ხოლო 120 მლნ — პრუსიამ. ნაპოლეონის იმპერიის დამხობის შემდეგ, 1915 წელს ევროპის საზღვრები კვლავ შეიცვალა, საფრანგეთმა ადრე დაპყრობილი ყველა ტერიტორია, მათ შორის რაინის მხარეც დაკარგა და კონტრიბუციის სახით, 700 მლნ ფრანკიც გადაიხადა. ევროპაში მშვიდობამ დაისადგურა და სახელმწიფოებიც ტერიტორიულ მთლიანობას ინარჩუნებდნენ.

მაგრამ ამ დროს ომი სხვა კონტინენტებზე მძვინვარებდა. მაგალითად, 1846-1848 წლებში, ამერიკულ-მექსიკური ომის შედეგად, აშშ-მა მექსიკის ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაიკავა. მაგრამ ანექსია ყოველთვის ომის შედეგს როდი წარმოადგენდა, რადგან ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე მიწებით ვაჭრობით სოლიდურად მდიდრდებოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბუენავენტურა ბაესი, რომელმაც რამდენჯერმე გაყიდა თავისი სამშობლო. 1846 წელს ის შეეცადა დაეყოლიებინა საფრანგეთი, დომინიკის რესპუბლიკა საკუთარ პროტექტორატად გამოეცხადებინა. ფრანგებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს. მაგრამ ბაესი არა და არ ცხრებოდა: 1849 წელს მან თავისი ქვეყანა შეერთებულ შტატებს „შეაძლია“. როცა იქიდანაც უარი მიიღო, ესპანეთს მიაშურა... მალე „პატრიოტი“ პრეზიდენტი დაამხეს. მან მადრიდში გაქცევით უშველა თავს და ესპანეთის სამეფო კარის ნაწყალობები სახსრებით წლების მანძილზე უზრუნველად ცხოვრობდა. შემდეგ, 1868 წელს დაიბრუნა პრეზიდენტის სავარძელი, კვლავ სცადა აშშ-თან შეთანხმება და ამჯერად, თითქმის განახორციელა ჩანაფიქრი.

ბაესმა იდე გაუზიარა გენერალ უილიამ კაზნოსა და მის ნათესავს, პოლკოვნიკ ჯოზეფ ფეიბენსს, რომლებიც დომინიკის რესპუბლიკაში აშშ-ს წარმოადგენდნენ და 1862 წლიდან, როგორც ამერიკული ვესტინდური კომპანიის მესაკუთრეები, ქვეყნის ყველაზე დოვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიან მიწებსა და უძრავ ქონებას იძენდნენ. ჩრდილოამერიკული შტატების მიერ დომინიკის რესპუბლიკის ანექსირების შემთხვევაში, კაზნოსა და ფეიბენსის ქონების ფასი უეჭველად რომ გაიზრდებოდა, ისინი ამას თავიდანვე კარგად მიხვდნენ, ამიტომ ბაესის წინადადება ჭკუაში დაუჯდათ და ვაშინგტონში მის ლობირებასაც მიჰყვეს ხელი. ცხადია, მიზნის მისაღწევად, თაღლითობასაც არ ერიდებოდნენ. მაგალითად, ფეიბენსმა აშშ-ის პრეზიდენტ გრანტს წარუდგინა მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო, რომ დომინიკის საგარეო ვალი სულ 600 ათას დოლარს შეადგენდა, თუმცა სინამდვილეში, რამდენჯერმე აღემატებოდა ამ თანხას. ამავე დროს, ბაესმა გააჩაღა პროპაგანდისტული კამპანია, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა მოსახლეობა იმაში, რომ ანექსია ქვეყანას მხოლოდ სიკეთეს მოუტანდა.

ამასობაში, ბაესის ხელშეწყობით, კაზნო და ფეიბენსი ახალ-ახალ კონცესიებს იძენდნენ, თავად პრეზიდენტი კი, სანამ სამთავრობო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ამერიკულ კრედიტებს იღებდა და სულაც არ ფიქრობდა მათ დაბრუნებაზე — მას ხომ წინ ანექსია ელოდა!.. საინტერესოა, რომ ბაესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მან სესხად 38 ათასი დოლარი მიიღო, არადა, სინამდვილეში, კრედიტის თანხა 50 ათასს შეადგენდა.

აშშ-ის მიერ დომინიკის რესპუბლიკის ანექსირების შესახებ ხელშეკრულება 1870 წელს დაიდო. მაგრამ სენატმა მის რატიფიცირებაზე უარი თქვა, რადგან ბოლოს და ბოლოს, ამერიკელებმა დომინიკის საგარეო ვალის რეალური ოდენობა მაინც დაადგინეს და არც „ფერადკანიანთა“ გასაამერიკებლად აღმოჩნდნენ მზად. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ანექსია ვერ განხორციელდა, ბაესმა, კაზნომ და ფეიბენსმა მათ მიერ ჩატარებული ავანტიურით მაინც იხეირეს.

## ლუდის პატენტები

ამ დროს ევროპაში უკვე ახალი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. 1860 წელს სარდინიამ იტალია გააერთიანა, 1871 წელს პრუსიამ შექმნა გაერთიანებული გერმანული იმპერია...

გაერთიანებული გერმანია ფრანგულ-პრუსიული ომის შედეგად იშვა. სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, გერმანიამ ანექსია-ც მოახდინა და დიდძალი კონტრიბუციაც მიიღო. ამ სახელმწიფოს, საფრანგეთისგან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაგროვილი გადასახადების სახით, 49 მლნ, რეკვიზიციების სახით — 227 მლნ, სხვადასხვაგვარი ბეგარის სახით — 40 მლნ ფრანკი ერგო. გარდა ამისა, მას ქვანახშირით მდიდარი მხარეები — ელზასი და ლოტარინგია დარჩა. ახალი იმპერიის ხაზინაში შესული ფულის წყალობით, სახელმწიფოს საშუალება მიეცა, ხელმისაწვდომი კრედიტები გაეცა, რაც გერმანული ეკონომიკის ბუმის საფუძვლად იქცა. რაც შეეხება ელზასსა და ლოტარინგიას, ამ შემთხვევაში უმთავრესად, კვლავ ჩინოსნებმა იხეირეს. წიაღისეულით მდიდარი ეს მხარეები ბისმარკმა და მისმა თანამზრახველებმა არა იმდენად ეკონომიკის ასაყვავებლად, არამედ გერმანულ მიწებს შორის კავშირის გასამყარებლად გამოიყენეს. მაგალითად, თუ ბავარია ან საქსონია ფართო ავტონომიით სარგებლობდა, ელზასი და ლოტარინგია იმპერიაში გაერთიანებული ყველა სახელმწიფოს საერთო საკუთრებად გამოცხადდა.

პრუსიელი მოხელეებისთვის იქ სამსახური კარიერის გასაკეთებლად ერთგვარ ტრამპლინსაც წარმოადგენდა. ამის მაგალითად გამოდგება ჰანოვერის სარკინიგზო ხაზების უფროსის, ალბერტ ფონ ფაიბახის მაგალითი, რომელიც 1871 წლიდან, დაპყრობილი პროვინციების რკინიგზის მმართველი გახდა. იმხანად, იმპერიის დაქვემდებარებაში მხოლოდ ელზას-ლოტარინგიაში მდებარე რკინიგზა შედიოდა, ბისმარკს კი ცენტრალური ხელისუფლებისთვის მთელი ინფრასტრუქტურის დაქვემდებარება სურდა. ამ მიზნით, მაიბახს დაევალა, თანდათან ცალკეული სარკინიგზო ხაზები შეესყიდა. დასახულ ამოცანას მან საუცხოოდ გაართვა თავი და რამდენიმე წლის შემდეგ, იმპერიის მთელი სარკინიგზო სისტემის თავკაცად მოევლინა ქვეყანას.

გერმანელებზე გაცილებით თავხედურად იქცეოდნენ ავსტრია-უნგრეთის ჩინოსნები: როცა 1878 წელს ჰაბსბურგების მონარქიამ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოკუპაცია მოახდინა, ეს ტერიტორიები ბიუროკრატთა გამდიდრების ულევ წყაროდ იქცა. იმ დროს ბოსნია და ჰერცეგოვინა ფორმალურად, ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის პროვინციებად რჩებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა თურქები დაამარცხა და ბერლინის ხელშეკრულება გაფორმდა, ავსტრიელებს მიეცათ უფლება, ამ ტერიტორიებზე „წესრიგის დასამყარებლად“, მათი ოკუპირება მოეხდინათ. სათავისო წესრიგი მართლაც დამყარეს... ოკუპანტთა ეკონომიკურ პოლიტიკაზე ნათელ წარმოდგენას ქმნის ჩეხი პუბლიცისტის, იოსიფ გოლეჩეკის მიერ მოწოდებული ინფორმაცია: „სარაევოში ლუდსახარში ააშენეს. მთავარი აქციონერი — ბატონი კალაი გახლავთ (ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საოკუპაციო ადმინისტრაციის თავკაცი). საქციო საზოგადოება აქციებს მართლმადიდებელ სერბებზე არ ყიდის; ამასთანავე, ბოსნიელი მოხელეები მათ ლუდის გაყიდვის პატენტებს ართმევენ და თავიანთი ბანაკის წევრებს გადასცემენ...“

ელზასის ქვანახშირი — არაერთი დავის საგანი

ორი ბალკანური მხარის ოკუპაცია 1908 წლამდე გრძელდებოდა, ხოლო შემდეგ, ავსტრია-უნგრეთმა მათი ოფიციალური ანექსირება მოახდინა, ოღონდ მანამდე ეს საკითხი რუსეთს შეუთანხმა. ამას გრანდიოზული საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა, რომელმაც კინაღამ მასშტაბური ომი გამოიწვია. მაგრამ საბოლოოდ, დიპლომატებმა მაინც მოახერხეს სიტუაციის მოგვარება და გარკვეული ხნით, კონტინენტზე კვლავ მშვიდობამ დაისადგურა.

## „სეზონური სახელმწიფო“

პირველი მსოფლიო ომი ანექსიებისა და კონტრიბუციების მოსაპოვებლად გაჩაღდა, ამიტომ, როცა რუსმა ბოლშევიკებმა ომის დამთავრებისას წამოაყენეს წინადადება — მხარეებს ამაზე უარი ეთქვათ, — ევროპამ უბრალოდ, წაუყრუა. როგორც ცნობილია, გამარჯვებულმა ქვეყნებმა გერმანიას, ომით მიყენებული მთელი ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს, ამას კი მსოფლიოში ვერც ერთი ქვეყნის ეკონომიკა ვერ გაუმკლავდებოდა... დიდძალი ქონება-დოვლათის გარდა, გერმანიამ 5,5 მლნ ადამიანით დასახლებული 67,6 ათასი კვ/კმ ტერიტორიაც დაკარგა. ანტანტის ბლოკის წევრი სახელმწიფოები იმედოვნებდნენ, რომ ანექსიები და კონტრიბუციები მათი ეკონომიკური აღმასვლის საფუძვლად გამოდგებოდა. მაგრამ ამ გზით კრიზისის დაძლევის იმედი გაუცრუვდათ. პოლონეთმა ინგლისსა და საფრანგეთს გამოსთხოვა გერმანული სილეზიის ის ნაწილი, სადაც ამ მხარის ქვანახშირის 95% მოიპოვებოდა; საფრანგეთმა და ბელგიამ მოგვიანებით — 1923 წელს გერმანიის უმსხვილესი სამრეწველო რეგიონის — რურის ოკუპირება მოახდინეს, მაგრამ ამან ცნობილი გერმანული ჰიპერინფლაცია გამოიწვია, რამაც ქვეყანას რეპარაციების გადახდის საშუალება მოუსპო, ხოლო პოლონეთის ეკონომიკა, სილეზიის საბადოების დასაკუთრების დღიდან კიდევ 10 წლის განმავლობაში ვერ გამოვიდა სტაგნაციიდან...

ამ უარყოფითი შედეგების გარდა, ანექსიები და კონტრიბუციები ახალ ტერიტორიულ ურთიერთპრეტენზიებს წარმოშობდა და ამით, ქვეყნებს შორის ნორმალურ ურთიერთობებს უშლიდა ხელს. ომის შემდგომ წლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას ანექსიების მთელმა ტალღამ გადაუარა, თუმცა ამას ვერსალის ხელშეკრულების არც ერთი მუხლი არ ითვალისწინებდა. მაგალითად, 1919 წელს პოლონეთი თავს დაესხა საბჭოთა რუსეთს და უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიების, აგრეთვე

ლიტვის ნაწილი (ამჟამინდელი დედაქალაქის — ვილნიუსის ჩათვლით) დაიპყრო. მოგვიანებით, როცა პოლონეთი ვარშავისკენ დაძრული წითელი არმიის შეჩერებას ცდილობდა, ჩეხოსლოვაკიამ ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა და მუქარის ძალით აიძულა მეზობელი, ადრე მიტაცებული სილეზიის ნაწილი დაეთმო. ტერიტორიების გაყოფისას ორმა მოდავე სახელმწიფომ ისეთ შეთანხმებას მიაღწია, რომელიც ქალაქ ტეშინის შუაზე გახლეჩასაც კი ითვალისწინებდა!.. მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია კიდევ წლების მანძილზე რჩებოდნენ მოქიშპე მხარეებად, სანამ — რაოდენ ნიშანდობლივია! — ნაცისტურმა გერმანიამ ორივე არ დააჩოქა.

1930-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფოები, რომლებმაც ყველაზე მეტად იზარალეს ვერსალის ხელშეკრულებით, ფეხზე წამოდგნენ და თავად გადავიდნენ აქტიურ ექსპანსიაზე. ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლიდან ცოტა ხანში, ანექსია ანექსიას მოსდევდა. ამის შედეგად, ყველაზე მეტად, კვლავ ჩინოსნები ხეირობდნენ. მაგალითად, ავსტრიის ანშლუსის შემდეგ, იქაური კონცერნი — Alpine Montan, რომელიც საბადოებსა და მეტალურგიულ ქარხნებს აერთიანებდა, გერმანიის სახელმწიფო კორპორაციის — Goering Werke — საკუთრებად იქცა, მას კი უკონტროლოდ განაგებდა ჰერმან გერინგი, რომელსაც მთავრობაში რამდენიმე უმაღლესი პოსტი ეკავა. ჩეხეთის დაპყრობის შემდეგ, გერინგმა Skoda-ს ქარხნებიც „ჩაიჯიბა“.

ყაღაჩობებს, ოღონდ გაცილებით მცირე მასშტაბისას, ყველა დონის უფროსები სჩადიოდნენ — გენერლით დაწყებული, კაპრალით დამთავრებული, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაღაზიებსა თუ ცალკეულ ოჯახებს უცვივდებოდნენ და მოსახლეობისგან პირველადი მოხმარების საგნებისა და პირადი ჰიგიენის ნივთების წამოღებასაც არ თაკილობდნენ; ან ადამიანებს ატუსაღებდნენ და გამოსასყიდის მიღების შემდეგ ათავისუფლებდნენ; ან კიდევ, ამა თუ იმ ობიექტს ნაღმავდნენ და, ასევე გამოსასყიდით, განნაღმავდნენ...

## ქვანახშირი და ფოლადი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპა კვლავ „ჭრა-კერვის“ პოლიგონად იქცა, ხოლო გერმანიას კვლავ რეპარაციები დააკისრეს. მაგრამ ზოგიერთი სახელმწიფო ამანაც არ დააკმაყოფილა. მაგალითად, საფრანგეთი, ისევე, როგორც ომამდე, კვლავ გერმანული სამრეწველო რეგიონების დაპყრობის გზით საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ლამობდა. ოღონდ ამჯერად, ზოგიერთი ევროპელი მოხელე უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, ვიდრე მისი წინამორბედები — 1918 წელს.

ფუფუნების მოყვარულ გერინგს ლომებიც კი ჰყავდა მოთვინიერებული

გერმანიის მორიგი დაქუცმაცების მცდელობის ინიციატორად ამჯერად, ფრანგი ჩინოსანი ჟან მონე მოგვევლინა, რომელიც დღემდე აღიარებულია ერთიანი ევროპის მესაძირკვლედ. მან კარიერა მამის მომცრო ფირმაში სავაჭრო აგენტად დაიწყო. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, 26 წლის ჟან მონემ მთავრობას შესთავაზა გეგმა, რომელიც უმალვე მოიწონეს. გეგმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯარის მომარაგება ინგლისელ მოკავშირეებთან კოორდინირებულად განეხორციელებინათ, რამაც ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას შეუწყო ხელი. იქიდან მოყოლებული, ჟან მონეს, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში უცილობელ ავტორიტეტად მიიჩნევენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას მონემ შეიმუშავა პროგრამა, რომელსაც საფრანგეთის ეკონომიკა უნდა აეღორძინებინა და გერმანიის ეკონომიკა ხანგრძლივი პერიოდით დაესუსტებინა. ეს გეგმა გერმანიისგან ზაარისა და რურის მოწყვეტას ითვალისწინებდა. ორივე რეგიონი ნომინალურად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადებულიყო, ოღონდ — საერთაშორისო მმართველობით, ხოლო იქ არსებული წიაღისეული მთლიანად საფრანგეთს უნდა განეკარგა. ამით საფრანგეთი ერთდროულად, ქვანახშირის დეფიციტის პრობლემასაც გადაჭრიდა და გერმანელ მრეწველ-კონკურენტებსაც უდიდეს დარტყმას მიაყენებდა: მონე იმედოვნებდა, რომ გერმანული ქვანახშირით ფრანგული მრეწველობა წელიწადში 15 მლნ ტონა ფოლადს გამოუშვებდა და ამ მაჩვენებლით, ევროპაში პირველ ადგილზე გაიჭრებოდა.

ამ პროგრამის შესრულებით, ცხადია, კვლავ ბიუროკრატები მოითბობდნენ ხელს. გერმანული ქონების სამართავად ჩამოყალიბდა სპეციალური დაგეგმარების კომისარიატი, რომელსაც ჟან მონე ჩაუდგა სათავეში და რომლის აპარატიც თავდაპირველად, თვალის დახამხამებაში იზრდებოდა. მაგრამ მონეს პროგრამას განხორციელება არ ეწერა. რურის მიტაცება მან ვერ მოახერხა, რადგან ინგლისელები და ამერიკელები წინ აღუდგნენ გერმანიის შემდგომ დანაწევრებას. მაშინ მონე მიხვდა, რომ შესაძლებელია, ანექსიის ნაცვლად, ნებისმიერ ტერიტორიულ შენაძენზე უფრო სარფიან ხერხს მიაგნო. მას ჯერ კიდევ წლების წინ უთქვამს: „ევროპაში არ დამყარდება მშვიდობა მანამ, სანამ სახელმწიფოები მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპზე დაყრდნობით იმოქმედებენ. ევროპის ქვეყნები მეტისმეტად პატარებია საიმისოდ, რომ თავიანთ ხალხებს აყვავებისა და სოციალური განვითარების გარანტიები მისცენ. ევროპის ქვეყნებმა ფედერაცია უნდა ჩამოაყალიბონ“.

ჟან მონე პროგრესულად მოაზროვნე და შორსმჭვრეტელი ადამიანი გახლდათ. მან დროულად გაიაზრა, რომ საფრანგეთი ვერაფრით მიიღებდა მისთვის საჭირო ყველა რესურსს იმ შემთხვევაში, თუკი თავისი მეზობლების გაძარცვის გზას დაადგებოდა. და მან უმალ იმაზე ზრუნვა დაიწყო, თუ როგორ შეიძლებოდა, მის ქვეყანას საუკეთესო პირობებით შეეძინა გერმანიისგან ქვანახშირი. ურთიერთხელსაყრელი გაცვლის მიღწევა არცთუ ისე ძნელი იყო, რადგან საფრანგეთს, ქვანახშირის სანაცვლოდ, რკინის მადნის მდიდარი მარაგის გამოყენება შეეძლო...

სწორედ ჟან მონე მოგვევლინა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შექმნის ინიციატორად, რომელიც 1951 წელს ჩამოყალიბდა და მომავალი გაერთიანებული ევროპის წინამორბედად იქცა. და ამ წამოწყებას სწორედ რურის საკითხის გადაწყვეტამ შეუწყო ხელი: ფრანგებმა უარი თქვეს ამ მხარის მიმართ პრეტენზიაზე, ხოლო გერმანელები ამის პასუხად, აღნიშნულ გაერთიანებაში შესვლას დათანხმდნენ.

თუმცა ამით ანექსიების ისტორია არ დასრულებულა: ზაარის მხარე მაშინ გერმანიას მაინც მოსწყვიტეს და ის ფრანგულ პროტექტორატად გამოცხადდა, ქვანახშირის შახტები კი კვლავ საფრანგეთის საკუთრებად დარჩა. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ამ რეგიონზე კონტროლის აღდგენა მხოლოდ 1957 წელს შეძლო, თან დიდძალი სახსრები გაიღო საიმისოდ, რომ დაერწმუნებინა ზაარელები — რეფერენდუმზე, გერმანიასთან მიერთებისთვის მიეცათ ხმა. იმ დღიდან მოყოლებული, ევროპის კონტინენტზე სახელმწიფო საზღვრების გადახედვის საკითხი არავის წამოუჭრია. იმ დღიდან — 2008 წლის აგვისტომდე, როცა რუსეთი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიჭრა და შემდგომ, დე იურედ ცნო ორი რეგიონი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო...



გაერთიანებული ევროპის იდეოლოგი ჟან მონე



მოამზადა ზურაბ სამანელმა

# „როდესაც დასჭირდება, ტერაქტებს მაშინ მოაწყობს, ტერორისტებად კი ჩვენ მოგვნათლავს“...



ტაქტიკური მნიშვნელობის ბრძოლები ჩვენებმა მოიგეს

**მოსკოვის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის ახალმა დარღვევებმა და საზღვაო აკვატორიაში რუსული სამხედრო გემების გამოჩენამ ქართული საზოგადოება საგონებელში ჩააგდო. სამხედრო ექსპერტები კი ახალი ომის საფრთხეზე ალაპარაკდნენ. მათი აზრით, თბილისიდან 40 კილომეტრში შვიდიათასკაციანი რუსული სამხედრო შენაერთების განლაგება და ოსურ-აფხაზური შეიარაღებული ფორმირებების არსებობა იმის მანიშნებელია, რომ რუსეთს ჩვენს ქვეყანაში კონკრეტული სამხედრო საფრთხის შექმნა ნებისმიერ მომენტში შეუძლია. ჩვენი ხელისუფლება კი ე.წ. „სიტუაციური მოვლენების“ მძევალია და ადვილი შესაძლებელია, ახალ ინტერვენციას ვერაფერი დაუპირისპიროს. რა შემთხვევაში დაიწყებს რუსეთი საქართველოში ომს და შეძლებს თუ არა ქართული არმია მორიგი შემოტევის მოგერიებას? ამ კითხვებით ექსპერტებს — ირაკლი სესიაშვილსა და ვახტანგ მაისაიას მივმართე.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— გარდა იმისა, რომ რუსული ჯარი დედაქალაქთან ახლოს დგას, ახალი ომის დაწყების წინა პირობად სხვა რა ფაქტორი შეიძლება მოგვევლინოს?**

**ირაკლი სესიაშვილი:**

— მიუხედავად იმისა, რომ სარკოზი-მედვედევის შეთანხმების საფუძველზე, გარკვეული პოლიტიკური შეთანხმებები დოკუმენტურადაა გაფორმებული, რუსეთის მხრიდან პროვოკაციები მაინც გრძელდება. მოსკოვი ნაცად ხერხს მიმართავს და კონფლიქტის რეგიონში, სეპარატისტების დახმარებით, ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას, რომ შემდეგ ეს ყველაფერი საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენოს. ფე-ეს-ბეს მიერ გაკეთებული განცხადება, — საქართველოს ხელისუფლება ტერაქტებს გეგმავსო, — იმის მანიშნებელია, რომ კრემლს როდესაც დასჭირდება, ცხინვალსა და აფხაზეთში ტერიტორისტულ აქტებს მოაწყობს, ტერორისტებად კი ჩვენ მოგვნათლავს და „მშვიდობის დასამყარებლად“, საქართველოში ჯარს კიდევ შემოიყვანს. დასჭირდება თუ არა მოსკოვს ტერორისტებად ქართველების გამოცხადება, ეს ახლა მხოლოდ საქართველოზე კი არა, მთელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული. ასეა თუ ისე, ოკუპანტი, რომელიც საერთაშორისო სამართლის დარღვევით იმყოფება ჩვენს ტერირიტორიაზე, სერიოზულ საფრთხეს გვიქმნის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმისათვის, რომ კონფლიქტები არ გავამწვავოთ და აგრესორი არ გავაღიზიანოთ.

**— ამჟამად რა შეიძლება გახდეს რუსეთის გაღიზიანების მიზეზი?**

**ვახტანგ მაისაია:**

— როგორც ცნობილია, რუსეთი არაპროგნოზირებადი სახელმწიფოა. კაცმა არ იცის, რა სიზმრებს ნახავენ პუტინი და მედვედევი ღამით და როგორ ხასიათზე გაიღვიძებენ დილით. შესაძლებელია, კრემლის გაღიზიანების ერთ-ერთი მიზეზი — ნატოში საქართველოს ინტეგრაციის დაჩქარებაც გახდეს. აგვისტოს ომამდე ერთი თვით ადრე მიღებულ საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციაში რუსებს პირდაპირ შავით თეთრზე დაუწერიათ, რომ ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრება მოსკოვისთვის ღირსების შემლახავი იქნება და კრემლი ამას არავითარ შემთხვევაში, არ შეეგუება. დმიტრი მედვედევმა და „ედინაია როსიას“ ლიდერმა ბორის გრიზლოვმა განაცხადეს, — დასავლეთი, საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა გადაბირებას ცდილობს და

ძალზე საშიშ სიტუაციას ქმნისო.

**სესიაშვილი:**

— მე აგვისტოს ომს, ჩვენი მხრიდან მაპის მიღების სურვილს უშუალოდ არ ვუკავშირებ. კრემლმა მშვენივრად იცის, რომ საქართველო ნატოს უმთავრეს მოთხოვნას — ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას ვერ ასრულებს და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი გაწევრებაც დიდი ხნით გადაიდო. ჩემი აზრით, პუტინი და მედვედევი სამხედრო ინტერვენციის გზას იმისთვის დაადგნენ, რომ თავიანთი გეგმა განეხორციელებინათ: ცხინვალსა და აფხაზეთში საკუთარი, არაკანონიერი მმართველობა დე იურედ გაეფორმებინათ, ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები განეთავსებინათ და აფხაზეთის საზღვაო წყლები მიესაკუთრებინათ. დღეს მათ ხელში საკმაოდ მძლავრი ბერკეტებია და ნებისმიერ დროს შეუძლიათ, საქართველოში სიტუაცია დაძაბონ, მერე კი დასავლეთთან სარფიანად ივაჭრონ.

**— დღევანდელი ქართული არმია რუსულ ჯართან გამკლავებას რამდენად შეძლებს?**

— რუსეთის არმიის მრავალრიცხოვნებას თუ გავითვალისწინებთ, უპირატესობა ყოველთვის მის მხარეს იქნება. მთავარია, რომ ქართულმა ჯარმა რუსული აგრესიის გარკვეულ დონემდე შეკავება შეძლოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი არმია, თავდაცვითი სახმელეთო ბრძოლებისას, მოწინააღმდეგეს შეაჩერებს. ძალზე სასიკეთოა ის ფაქტი, რომ კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის სადამკვირვებლო ჯგუფები მოძრაობენ: მათი იქ ყოფნა იმის გარანტიას იძლევა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოება ობიექტურ ინფორმაციას მიიღებს და დასავლეთი წინანდელზე უფრო აქტიურად დაგვიჭერს მხარს; ჩვენი თავდაცვითი სისტემის რეფორმირებასაც უფრო ღიად დაიწყებს და საჰაერო თავდაცვის ორგანიზებაშიც დაგვეხმარება.

**მაისაია:**

— გამიჭირდება იმის თქმა, რომ ქართული არმია მოსალოდნელ საფრთხეს გაუმკლავდება და რუსული აგრესიის გარკვეულ დონემდე შეჩერებას მოახერხებს. აგვისტოს ომის დროს ჩვენ ძალზე ბევრი შეცდომა დავუშვით. მართალია, რეგულარუ-

ლი არმიის ჯარისკაცები გმირულად იბრძოდნენ და დასახულ ამოცანებს კარგად ასრულებდნენ, მაგრამ მაღალჩინოსნები სერიოზულ სტრატეგიულ შეცდომებს უშვებდნენ. „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა“

**მათ ხელში საკმაოდ მძლავრი ბერკეტებია და ნებისმიერ დროს შეუძლიათ, საქართველოში სიგუაცია დაძაბონ**

საკმაოდ კარგად გააანალიზა აგვისტოს ომის შედეგები, მაგრამ თავდაცვის სამინისტრო ამ საკითხით ჯერ კიდევ არ დაინტერესებულა და ისევ ძველ სისტემას „აწვება“. არა მგონია, ამან კარგ შედეგამდე მიგვიყვანოს, მით უმეტეს, რომ რუსები რეალურად იაზრებენ არსებულ სამხედრო საფრთხეებს.

**— თავდაცვის სამინისტრო სამხედრო ექსპერტებთან არ თანამშრომლობს?**

— როგორც ვიცი, ამჟამად ყველა სამხედრო ექსპერტი დამოუკიდებლად მუშაობს. გარკვეული ტიპის ანალიზი თავდაცვის სამინისტროშიც კეთდება, მაგრამ ვერ ვხვდები, ამდენი ხანი რას აკეთებენ! წესით, დასკვნები უკვე გაკეთებული უნდა იყოს, იმიტომ, რომ დრო ჩვენ საწინააღდეგოდ მუშაობს. გარდა ამისა, ჩვენი ხელისუფლების მიერ უსაშველოდ „გაპიარებული“ რუსი სამხედრო ექსპერტის, პაველ ფელგენგაუერის გარდა, რომელიც ლამის ერთადერთ და განუმეორებელ სამხედრო ანალიტიკოსად გვევლინება, ჩვენშიც არიან და იყვნენ მართლაც კვალიფისიური სამხედრო ექსპერტები, რომლებმაც გაცილებით ადრე გააკეთეს სერიოზული პროგნოზები ამგვარი ომის შესაძლებლობის შესახებ. ჰოდა, ბუნებრივია, გახსენდება ქართული ანდაზა — შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო...

**სესიაშვილი:**

— თავდაცვის სამინისტრო არასოდეს თანამშრომლობდა ექსპერტებთან. ეს სტრუქტურა, ყველასათვის დახურულად გადაიქცა. სამინისტროს წარმომადგენლები ყველას მტრებად მიიჩნევენ, ვინც მათი საქმიანობის გაკრიტიკებას შეეცდება. ასეთი დამოკიდებულება ქვეყნისთვის ძალიან საზიანოა.

**— ამ სისტემაში საკადრო ცვლილებები უკვე განხორციელდა. როგორ შეაფასებთ დავით კეზერაშვილის გათავისუფლებას და რა აზრის ხართ გაერთიანებული შტაბის ახალ უფროს ჩაჩიბაიაზე?**

— მე კეზერაშვილისა და გოგავას გადადგომას ომის დასრულებისთანავე ვითხოვდი და კარგია, რომ ისინი ამ სტრუქტურიდან გაუშვეს. დღეს „თავდაცვას“ ისეთი ხელმძღვანელი სჭირდება, რომელიც სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს. რაც შეეხება გაერთიანებული შტაბის უფროსს, — ჩაჩიბაია სამხედროა, კარგი განათლება აქვს და დიდი ხანია, ქართულ ჯარში მსახურობს, მაგრამ ახალგაზრდაა და დაბრძენება სჭირდება. ამ თანამდებობის მქონე პირს კი განსაკუთრებული უნარ-ჩვევები მოეთხოვება. კარგი იქნება, თუ ის მაინც გაითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას და სამხედრო ექსპერტებით, ყოფილი სამხედრო ჩინოვნიკებითა და ყოფილი თავდაცვის მინისტრებით დაკომპლექტებულ მრჩეველთა საბჭოს ჩამოაყალიბებს. გარწმუნებთ, ასეთი საბჭო მას საკმაოდ სასარგებლო რჩევებს მიაწვდის.

**მაისაია:**

— ომში განცდილი მარცხის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს ავტომატურად უნდა დაეტოვებინათ თანამდებობები. ეს ცვლილებები მაინც, ფორმალური ხასიათის ნაბიჯებს უფრო ჰგავს, ვიდრე გათვლილ და გაანალიზებულ საკადრო ცვლილებებს. სამწუხაროდ, ზუსტად ის საღად მოაზროვნე ადამიანები გაათავისუფლეს, რომელთა სამსახურიდან გაშვება უბრალოდ, არ შეიძლებოდა.

**— ვის გულისხმობთ?**

— ამ ადამიანების ვინაობის დასახელებას ნუ მთხოვთ (კეზერაშვილს ნამდვილად, არ ვგულისხმობ); არ მინდა, ვინმე უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდო, მაგრამ ცხადია, რომ ვისზეც ჯოხი გადატეხეს, მათ საბრძოლო ოპერაციებში არაფერი დაუშავებიათ. სიმართლე თუ გნებავთ, ტაქტიკური მნიშვნელობის ბრძოლები ჩვენებმა მოიგეს, მაგრამ სტრატეგიულ დონეზე ომი თავიდანვე წაგებული იყო. ჩაჩიბაია საკმაოდ გამოცდილი სამხედრო კადრია, გაერთიანებული შტაბის უფროსად მისი დანიშვნა კარგი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ახლა მთავარი — სისტემური ცვლილებების განხორციელებაა. თუ ეს არ მოხდა, თუნდაც ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი ჩამოიყვანონ ან კლაუზევიცი გააცოცხლონ, არსებულ პრობლემებს მაინც ვერ გამოასწორებენ.

## გაეცანით სამყაროს «გზასთან» ერთად!

**გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად**

**„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“**

ან **„ვეფხისტყაოსანი“**

**„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია“**

**„დიდი წიგნი ხელოვნებაზე“**



### მედია სახლი „პალიტრას“ გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

**დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“**

**www.elva.ge**

**T: 38 26 73; 38 26 74**

**elva@kvirispalitra.com**

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

**თითოეული წიგნის ფასი 29 ლარი**

**თქვენ კი მხოლოდ 19 ლარს იხდით!**

**აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე**

# ნაადრევი და თანაც, უსიყვარულო ქორწინება

## „შარვლიდან ქამარი გამოიძრო და გამეტებით მთხლიშა მუცელში...“

**გამიგონია, — ნაადრევი ყველაფერი კარგია, სიკვდილის გარდაო, მაგრამ ახლა იმასაც ამბობენ, რომ ნაადრევი ქორწინებაც არ არის კარგი. რატომ? — ამ კითხვაზე პასუხს ჩვენი რესპონდენტები გაგცემენ. თუმცა, ყველას ერთნაირი ბედ-ილბალი როდი აქვს და ნაადრევად დაქორწინებულ წყვილებს შორისაც მოიძებნებიან ისეთები, რომელთა სიყვარულსაც დრომ ვერაფერი დააკლო.**



### ლიკა ქაჯაია

**ელენე,** *30 წლის:*

— 15 წლის ასაკში გავთხოვდი. იცით, ძალიან ღარიბ ოჯახში ვიზრდებოდი და ჩემმა მშობლებმა ჩემს ნაადრევ გათხოვებას იმიტომ არ შეუშალეს ხელი, რომ გიო მდიდარი ოჯახიდან იყო. თავის დროზე მათ ჩემთვის რაიმე რომ აეკრძალათ, ახლა შეიძლება, ბედნიერი ოჯახი მქონოდა. გიო ფიქრობდა, რომ ვუყვარდი, მაგრამ ქორწინებიდან 2 წლის შემდეგ აღიარა, რომ ჩემ მიმართ მხოლოდ ვნებას განიცდიდა, არ ვუყვარდი და არ უნდოდა, ჩემგან შვილი ჰყოლოდა, თქვა, რომ მამობისთვის მზად არ იყო. ვცდილობდი, მისთვის თავი შემეყვარებინა, მაგრამ ეს ვერ შევძელი და ჩვენი ოჯახიც დაინგრა.

**— თავის დროზე მშობლებს შენთვის გათხოვება რომ აეკრძალათ, ამ ნაბიჯს ნამდვილად არ გადადგამდი?**

— არა, არ გადავდგამდი, რადგან მშობლების აზრს დიდ პატივს ვცემდი, მათი ნათქვამი ჩემთვის კანონი იყო... რაიმეს აკრძალვა კი არა, დედა თავად ცდილობდა, გიოს შევყვარებოდი.

**— ამისთვის რას აკეთებდა?**

— ჩვენთან ეპატიჟებოდა, თავს ევლებოდა, ეფერებოდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიო მე კი არა, დედაჩემმა „შეაბა“.

**— მეუღლე შენ თუ გიყვარდა?**

— მაშინ მეც მეგონა, რომ მიყვარდა, მაგრამ დაშორების მერე მივხვდი, რომ ეს ის გრძნობა არ იყო, რასაც ჭეშმარიტი სიყვარული ჰქვია.

**— გიოსთან დაშორების მერე ხომ არ გწვევია ეს ჭეშმარიტი სიყვარული?**

— რა თქმა უნდა, მეწვია და სწორედ ამის შემდეგ მივხვდი, რომ ქმარი არ მყვარებია... გიოს მშობლები ძალიან მანებივრებდნენ. მთავარი იყო, რაიმე მომნდომებოდა და სურვილს მაშინვე მისრულებდნენ. ალბათ, ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ გიო მათი ერთადერთი შვილი, თანაც აყვანილი გახლდათ. ეს მე ვიცოდი და ეშინოდათ, მისთვის სიმართლე არ გამემხილა.

**— მასთან დაშორებისას საიდუმლოს ფარდა უნებლიეთ ხომ არ ახადე?**

— რა სისულელეა?! ასე რომ მოვქცეულიყავი, მთელი ცხოვრება ამ ცოდვის მონანიებაში უნდა გამეტარებინა. ასეთი უსულგულო ნამდვილად არ ვარ. სხვათა შორის, მე და გიო დღემდე ვმეგობრობთ.

**— ეგ როგორ? ასეთი ურთიერთობის შემდეგ, მეგობრობა შესაძლებელია?**

— მართალია, ჩვენ შვილი არ გვაერთიანებს, მაგრამ ერთურთს დიდ პატივს ვცემთ და ერთმანეთს გაჭირვებაში არ ვტოვებთ.

**— ამ ამბავს შენი ახლანდელი მეუღლე როგორ ეგუება?**

— ჩემი ქმარიც და გიოს ამჟამინდელი მეუღლეც ჩვენს მეგობრობას მშვენივრად ეგუებიან. უფრო მეტიც, ისინი ცდილობენ, თავადაც ნამდვილი მეგობრები იყვნენ.

**— ანუ შეიძლება ითქვას, რომ ნაადრევ, თანაც — უსიყვარულო ქორწინებას თავისი ხიბლი აქვს?**

— ჩემთვის რაღაც ხიბლი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ყველას ასე ხომ არ უმართლებს? ამიტომაც, თინეიჯერებს ვურჩევ, მსგავსი ნაჩქარევი ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავონ და როცა დაღვინდებიან, ოჯახის შექმნაზე მერე იფიქრონ. მერწმუნეთ, ზრდასრულ ასაკში შექმნილი ოჯახი უფრო მყარია!

**მარიკო,** *19 წლის:*

— უსიყვარულოდ შექმნილმა ოჯახმა ცხოვრება დამინგრია. მე იმიტომ გავთხოვდი, რომ ზვიოს გარეგნობამ მომხიბლა და მომწონდა, როცა ჩემ გვერდით მყოფს გოგონები ხარბად უყურებდნენ. გარეგნობის გარდა, ზვიოს სხვა დადებითი არაფერი ჰქონდა. ის ძალიან უხეში, სასტიკი ადამიანი გახლდათ.

**— სისასტიკეში რას გულისხმობ?**

— ხშირად მეჩხუბებოდა, ნერვებს მიშლიდა, დღედაღამ მაგინებდა, მშობლებს მილანძღავდა, ჩემს მეგობრებს ეკურკურებოდა და ბევრ მათგანთან სხვას თუ არაფერს სჩადიოდა, „ზასაობდა“ მაინც და ამის შესახებ ყველაფერს თავად მიყვებოდა. როცა ნასვამ მდგომარეობაში იყო, სიტყვიერი შეურაცხყოფის მოყენებით არ კმაყოფილდებოდა, მცემდა კიდეც... როცა შვილი დამეღუპა, მას დავშორდი. უფრო სწორად, მისგან თავ-პირის მტვრევით გამოვიქეცი.

**— შვილი როგორ დაგეღუპა?**

— ქმრის წყალობით. 5 თვის ორსული ვიყავი, როცა შინ ღორივით გალეშილი მოვიდა. ჯერ მითხრა, — შენი დაქალი ვიხმარეო, მერე კი შარვლიდან ქამარი გამოიძრო და გამეტებით მთხლიშა მუცელში. მერე ესეც არ იკმარა და მთელი სხეული „ჩამიწიხლა“.

**— ამ დროს შინ არავინ იყო?**

— იყვნენ, დედამთილ-მამამთილი, მისი და-ძმა, მაგრამ მათ ეგონათ, რომ ჩვენს ოთახში მორიგი „კონცერტი“ იყო და ჩემს მოსაშველებლად არ შემოვიდნენ. სხვათა შორის, ზვიოსი მათაც ძალიან ეშინოდათ და ამიტომაც ცდილობდნენ, რომ ჩვენ საცხოვრებლად ცალკე გადავსულიყავით, მაგრამ ზვიო კატეგორიულ უარზე იყო — ცოლ-შვილის რჩენა გამიჭირდებაო.

**— როცა მისმა მშობლებმა შეიტყვეს, იქ სინამდვილეში რაც მოხდა, შენს საშველად რა გააკეთეს?**

— უკვე ძალიან გვიანი იყო. მე დილით მიპოვა ზვიომ, თითქმის უსულოდ ვეგდე იატაკზე და იქვე სისხლის გუბე იყო. ატეხა ყვირილი, — მიშველეთ, მგონი ცოლ-შვილი მოვკალი, მიშველეთ, თორემ თავს მოვიკლავო... საავადმყოფოში ჩემი გადარჩენა შეძლეს, ბავშვი კი აღარ სუნთქავდა. ამ ამბის შემდეგ ქმარს დავშორდი და სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ ჩემნაირად არ გაუმართლებს ყველა იმ ადამიანს, რომელიც ნაადრევად და თანაც, დაუფიქრებლად დაქორწინდება. გოგონებო, გთხოვთ, ბიჭების გარეგნობამ არ მოგხიბლოთ. იცოდეთ, გარეგნობის უკან შესაძლოა, სასტიკი მკვლელი იმალებოდეს. თქვენი საქმროები სიმთვრალეშიც გამოცადეთ. ყველას წარმატებებს გისურვებთ!

**— მარიკო, შენთან კიდევ ერთი კითხვა მაქვს — როცა ზვიოსთან განქორწინება გადაწყვიტე, ამ ამბავს შენი მეუღლე და მისი ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ?**

— დედამთილ-მამამთილმა მითხრა, რომ სწორად ვიქცევი; რომ მათი შვილი ნამდვილი ვირი და უფრო მეტიც, ნამდვილი ჯალათია. თავად ზვიომ კი მას შემდეგ შერიგება ბევრჯერ მთხოვა. ახლაც მიმტკიცებს, რომ შეიცვალა, მაგრამ მისი არ მჯერა და საერთოდაც, კაცთა მოდგმის ძალიან მეშინია.

**ოქუნია დეიდა:**

— ნაადრევი სიყვარული ყოველთვის გაუმართლებელი როდია. მე და ჩემი ქმარი 15 წლის ასაკში დავქორწინდით. მას შემდეგ 27 წელი გავიდა, მაგრამ ერთმანეთი დღემდე გვიყვარს და ბედნიერებიც ვართ. სხვათა შორის, უკვე 2 შვილიშვილიც გვყავს და ჩვენს ბედნიერებას ბევრი შენატრის. ჩვენ ერთმანეთის ღალატი გულში არასდრის გაგვივლია.

**— თქვენს ოჯახში უკმაყოფილება არასდროს ყოფილა?**

— უკმაყოფილება ყველა ოჯახშია, ჩხუბიც „მოსული პონტია", მაგრამ სიყვარული ყველანაირ პრობლემას დაგაძლევინებს. თუ გიყვარს, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. და კიდევ, მთავარია, ერთმანეთს ქორწინების შემდეგაც გაუგოთ. როცა მატერიალური პრობლემის წინაშე დადგებით, ქმარს არ უსაყვედუროთ. მან ისედაც მშვენივრად იცის, რომ მის ცოლ-შვილს რაღაც აკლია და მერწმუნეთ, ის თავად შეეცდება, თქვენი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს. უფალმა დაიფაროს ყველა ოჯახი.

# „გულს ხშირად მტკენს და თავს დამნაშავედ არასდროს ცნობს"

**მტირალა მარი:**

„მყავს შეყვარებული. უკვე 9 თვეა, ერთად ვართ. ძალიან მიყვარს, მასავით არასდროს არავინ მყვარებია. თავადაც მეუბნება, რომ ვუყვარვარ და ეს ბევრჯერ დამიმტკიცა კიდეც, მაგრამ იცით, პრობლემა რა არის? — გულს ხშირად მტკენს და თავს დამნაშავედ არასდროს ცნობს. საკუთარი თავი ყოველთვის მართალი ჰგონია. გარდა ამისა, ძალიან ხშირად მეუბნება, რომ ჩემს გარეგნობაში რაღაც არ მოსწონს. ამას წინათ ერთმა ბიჭმა მითხრა, — შენი თვალები მაბნევს, ძალიან ლამაზი თვალები გაქვსო. ეს ჩემს „ლოვეს" რომ ვუთხარი, სიცილით ჩაბუერდა, — სამაგიეროდ, შენი თვალები მე ნამდვილად არ მაბნევსო. ბევრი თაყვანისმცემელი მყავს და ეს არ მოსწონს. რამდენჯერმე ვუთხარი, — მოდი, დავშორდეთ-მეთქი. მეგონა, ამის შემდეგ თავის შეცდომებს აღიარებდა, მაგრამ პირიქით, ბრაზდებოდა და მეუბნებოდა, — ჩემთან ყოფნა აღარ გინდა და ამიტომ მშორდებიო. მის გამო ხშირად ვტირი. ძალიან მიყვარს და ყველაფერს ამიტომაც ვპატიობ. 16 წლის ვარ. გთხოვთ, ჩემი მესიჯი დაბეჭდოთ და რაიმე მირჩიოთ".

# „ჩემი პატარა ბიჭუნა მომიკლეს, ცხოვრება დამინგრიეს!"



**უცნობი:**

„16 წლის ვიყავი, როცა ჩემმა თაყვანისმცემელმა (ახლა უკვე ყოფილმა მეუღლემ) მომატყუა და ცოლად ისე მომიყვანა. ასაკით ჩემზე ბევრად უფროსი იყო, თუმცა ეს დიდად არ ეტყობოდა. მასთან შეგუება გამიჭირდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა და ყველაფერს შევეგუე. 3 თვე თავს ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ დედამთილის ჩვენთან გადმოსვლის შემდეგ, ურთიერთობა სულ აგვერია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამითვალწუნა, ქმარს რომ ვეფერებოდი და სასიყვარულო სიტყვებს ვეუბნებოდი, ამას ვერ იტანდა. მამცირებდა, მეუბნებოდა, — ძალიან პატარა ხარ და ამიტომაც, მალე მოჰბეზრდები, ჰა, ჰა, შეიძლება, 6 თვე გაძლოთ ერთადო. მართლაც, მისი სიტყვები ახდა. თან, იმ პერიოდში 2 თვის ფეხმძიმე ვიყავი. ჩემს ქმარს ვერ ვცნობდი, ისე მექცეოდა, ერთ მშვენიერ დღეს კი გამომიცხადა, — აბორტი უნდა გაიკეთოო! ცუდად გავხდი და სასტიკი უარი ვუთხარი. ვიჩხუბეთ და მან ხელიც კი გამარტყდა. ამ დროს დედამთილი ისეთი კმაყოფილი სახით იყურებოდა, რომ აშკარა გახლდათ, ამ ამბავმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. უკან მაინც არ დავიხიე და ვცდილობდი, ქმარი ჩემკენ მომებრუნებინა, მაგრამ — უშედეგოდ. გეფიცებით, ჩემთან არც კი წვებოდა, დედასთან ეძინა. მშობლებთან დავბრუნდი. აბორტზე არც ვფიქრობდი, რადგან იმედი მქონდა, დამიბრუნდებოდა. ამ ლოდინში 4 თვის ფეხმძიმე გავხდი. მამა არ მყავს, ძალიან პატარა გახლდით, როცა მიგვატოვა. სახლში მარტო მე, დედა და ბებია ვცხოვრობდით. ჩემებმაც მიჩიჩინეს, — გინდა თუ არა, აბორტი გაიკეთეო. მხარში არავინ მედგა, ძალიან ცუდად ვიყავი და საშველი არსაიდან ჩანდა. ვლოცულობდი, ქმარი გონს მოსულიყო და დამბრუნებოდა. ერთ დღეს, იმ დაწყევლილ სამშობიაროში ძალით წამიყვანეს. ვყვიროდი, მშველელს ვეძახდი, მაგრამ... ჩემი პატარა ბიჭუნა მომიკლეს, ცხოვრება დამინგრიეს! ვიცი, გამკიცხავთ, მაგრამ მაშინ 16 წლის ვიყავი და არაფრის გაკეთება არ შემეძლო. დღეს 18 წლის გახლავართ და ჩემი პატარა ყოველღამე მელანდება. ლამის თავი მოვიკლა. დამეხმარეთ და მირჩიეთ, ახლა რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო?"

**P.S.** მაშ ასე, თუ **მტირალა მარისა** და **უცნობის** წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: **8.58. 25.60.81.** მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

# „ქმარი ყველას უნდა ვეჯიბნოს...“

## „წასვლა არ გაბედო, თორემ შვილის სიყვარულს დაკარგავ!“

„გზის“ №49-ში დაიბეჭდა 21 წლის ნინიკოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ 5 წელია, გათხოვილი ქალის სახელი ჰქვია, ჰყავს 2 წლის გოგონა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ქმრის შეყვარება დღემდე ვერ მოახერხა. „3 თვის წინ გავიცანი მამაკაცი და ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა. მირჩიეთ, უსიყვარულოდ ვიცხოვრო თუ საცხოვრებლად შეყვარებულთან გადავიდე?“

**სვანის ასული:**

„პირველი შეცდომა ნაადრევი გათხოვებით დაუშვი. მე შენი ასაკის ვარ და ჯერ შეყვარებულიც არ მყოლია, საინტერესოა, ამ 5 წლის მანძილზე ქმარი თუ ცდილობდა შენი კეთილგანწყობილების მოპოვებას ან შენი შეყვარებული თუ მოგცემს ბედნიერების გარანტიას? იქნებ, შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველს?..“

**ნერტილი:**

„ღალატი ღალატია! თუ არ გიყვარდა, რას მიჰყვებოდი?.. თუ შენი სიტუაცია მართლაც ისეა, როგორც წერ, იმას, რომ მასთან იყო და გულით, ფიქრებით, გონებით ღალატობდე, სჯობს, ქმარს დაშორდე“.

**თეო:**

„მაპატიე, მაგრამ მგონი, ჭკუაზე ვერ ხარ. მეზობლად მსგავსი სიტუაცია იყო და ახლა იცი, ის გოგო ვინაა? — ნამდვილი კაპა. რას ჰქვია, შენი შვილის მამა არ გიყვარს? ვიღაც კაცი როგორ შეიყვარე? კარგად დაფიქრდი და სწორი გადაწყვეტილება მიიღე, თორემ მერე, საქმე სანანებლად გაგიხდება“.

**სიკვდილა:**

„ქმარს პატივი ეცი. მართალია, ძნელია იცხოვრო ადამიანთან, რომელიც არ გიყვარს, მაგრამ ამაზე თავიდანვე უნდა გეფიქრა. ახლა ნამდვილად გვიანია!“

**ეფემაკუნა:**

„უსიყვარულოდ რატომ გათხოვდი? ხომ იცოდი, რომ ცუდად იქცეოდი? ცუდია, ქმარი რომ ვერ შეიყვარე, მაგრამ რას იზამ. მართალი ხარ, ახლა ნამდვილი სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო. ბრბოს აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ვიცი, გაგკიცხავენ, მაგრამ „დაიკიდე“. ხომ იცი, სხვა სხვის ომში ბრძენია. ადამიანი ამქვეყნად ერთხელ მოდის და იმ ქვეყნად უსიყვარულოდ არ უნდა წავიდეს“.

**ლუნა:**

„რა უნდა „დაიკიდო“, ნინიკო, ოჯახი? ნუ გამაგიჟე, ოჯახის მიტოვება და შეყვარებულთან წასვლა არც კი უნდა გაიფიქრო. შენს გოგონაზე იფიქრე, მას არაფერი დაუშავებია. ვალდებული ხარ, შენი შვილის ლამაზ მომავალზე იზრუნო. უნდა შეძლო, სხვისი სიყვარული გულში ჩაიკლა და ქმარი შეიყვარო“.

**ეგოისტკა:**

„თუ არ გიყვარდა, ცოლად რატომ გაჰყევი და თუ გაჰყევი, სხვისკენ რატომლა გაიხედე? შვილს ცხოვრებას ნუ დაუნგრევ! ისე, მაგარი ქარაფშუტა ჩანხარ“.

**მარიამი:**

„შენ სითბო და სიყვარული გაკლდა, ამას ეძებდი და იპოვე კიდეც. ჩემი ცხოვრებისეული დევიზია, ვიცხოვრო ისე, როგორც მინდა და სხვების აზრი ნაკლებად გავითვალისწინო“.

**თიკუნია:**

„შენი უბრალო ახირებისთვის არა მგონია, ოჯახის დანგრევა ღირდეს. ბავშვზეც იფიქრე. მაგრამ თუ მაინც გადაწყვეტ, რომ ოჯახი უნდა დაანგრიო, დაიმახსოვრე, ოდესმე ამას აუცილებლად ინანებ“.



**პატარა ფერია:**

„იცი, შენს ადგილას ყველას აზრს „დავიკიდებდი“ და საყვარელ ადამიანთან ვიცხოვრებდი. თუ ქმარს უყვარხარ და უნდა, ბედნიერი იყო, გაგიგებს. ჩემი ახლობლები ამბობენ, — რად მინდა ისეთი ცოლი, რომელიც გვერდით მიწევს და სხვაზე ფიქრობსო? აბა, შენს ქმარს ჰკითხე, უნდა შენნაირი ცოლი? არა მგონია, უნდოდეს“.

**აბეზარა:**

„თუ ჯვარი დაწერილი გაქვთ, იცოდე, ქმართან გაშორება უდიდესი ცოდვაა. კარგი იქნება, თუ ჯერ საკუთარ გრძნობებში გაერკვევი და და მერე იმოქმედებ“.

**იკუმკეპი:**

„თუ ყველაფერი ისე მარტივადაა, როგორც შენ ამბობ, ე.ი. უნდა ადგე და წახვიდე. მთავარია, შენმა ქმარმა არ „გაჭედოს“ და იმ კაცს მართლა უყვარდე. უსიყვარულო ოჯახის შენარჩუნება დიდი სისულელეა. მერწმუნე, გავა დრო და შენს თავგანწირვას, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს შეინარჩუნებ, არავინ დააფასებს. ბედნიერების უფლება ყველას აქვს, მით უმეტეს, სიყვარულს მოწყურებულ ქალს. მინდა, ბედნიერება გისურვო! იცოდე, თავს ნურავისთვის გაწირავ, ბოლოს მაინც, ყველა უმადურია“.

**ნაზი ბეგო (რუსთავიდან):**

„თავის დროზე ვერც მე შევძელი მეუღლის შეყვარება და გავშორდი. ახლა შვილები მყავს. დღეს 60 წლის ვხდები და მასთან დაშორებას ვნანობ. ვფიქრობ, რადგან მისი ცოლი გავხდი, ბოლომდე მის გვერდით უნდა ვყოფილიყავი. დღე და ღამე შვილებსა და მათ მომავალზე ვფიქრობ, ამქვეყნად მათზე უკეთესი არავინ მყავს, მაგრამ თურმე, შენი შვილის მამა ყველას უნდა გერჩივნოს. თუ ქმარი ცუდად არ გექცევა, პატივს გცემს, არ შეცდე, ბებო და ოჯახი არ დაანგრიო. შვილს მამა უნდა და არა — მამინაცვალი. იცოდე, ჩემსავით, ბოლოს საქმე სანანებლად არ გაგიხდეს“.

**ვ:**

„თუ არ გიყვარდა, მანამ უნდა გაშორებოდი, სანამ ბავშვი გეყოლებოდათ. ახლა კი გირჩევ, ვნებები დაიოკო და შვილზე იფიქრო. ახლოს რომ ვიყო, ყურს აგიწევდი :))“.

**მწარე:**

„თუ არ გიყვარდა, რაღას თხოვდებოდი? ექსპერიმენტს ატარებდი — აბა, თუ შემიყვარდებაო? რა კარგია, არა? იცი, ახუნტრუცებული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებ. რას ჰქვია, ყველა „დაიკიდო“ და შეყვარებულთან გადახვიდე? რაღაც, ყველანი ძალიან გამიევროპელდით, რა“.

**ვიკა:**

„მე მყავს დაქალი, რომელიც შენნაირ სიტუაციაშია — შეყვარებულთან ჩხუბის შემდეგ 3 დღის გაცნობილ ადამიანს გაჰყვა ცოლად. მას უკვე წლინახევრის შვილი ჰყავს, ქმარი კი ნარკომანი აღმოჩნდა და დაიჭირეს. ახლა ძველ სიყვარულს ხვდება და ქმართან გაშორებას აპირებს... მასთან წასვლა არ გაბედო, თორემ შვილის სიყვარულს დაკარგავ“

# „სხვის ჯიბეში ჩიჩქნა როგორ არ „გიტყდება“?

**„გზის“ №49-ში დაიბეჭდა გუჯას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ ცხოვრებამ ბევრი ნიღაბი აჩუქა და ისიც, მათ წარმატებით ირგებს. „დღისით პატიოსნად ვმუშაობ, მაგრამ ტრანსპორტში ასული, სხვის ჯიბეში ვიჩიჩქნები, ღამით კი უფრო სერიოზულ საქმეებს ვაკეთებ... ჰო, შეყვარებული ვარ, ცალმხრივად და კიდევ, ეკლესიაშიც თითქმის ყოველდღე დავდივარ“.**



**მაყვალა დეიდა (ათენიდან):**

„შვილო, ვხედავ, ღმერთმა მრავალნაირი ნიჭით დაგაჯილდოვა და ეს შენს სასარგებლოდ რატომ არ უნდა გამოიყენო? გზა, რომელსაც ახლა ადგახარ, სახიფათო და დამღუპველია. ერთი თხოვნა მაქვს, თუ შენი არჩევანი „ღამის სერიოზული საქმეების“ კეთებაზე შეჩერდეს, ათენში მაინც ნუ ჩამოხვალ (ხომ თქვი, საზღვარგარეთ ვაპირებ გამგზავრებასო), ამ ბოლო დროს ქართველებს ისედაც გაგვიტყდა სახელი. ახალ ამბებს თვალს შიშით ვადევნებთ — კიდევ ხომ არ „გვასახელა“ ვინმე ჩვენებურმა-თქო?!“

**მალფიო:**

„მიკვირს, როგორ ხარ ასეთი თავხედი? მას შემდეგ, რაც შენ მოგვწერე, ჩვენგან თანაგრძნობას როგორ ელოდები? იმაზე თუ დაფიქრებულხარ, შენი საქმიანობით რამდენ ადამიანს დასწყვიტე და ატკინე გული? შენ შებრალების ღირსი არ ხარ!“

**ანასტასია:**

„შენმა „ესემესმა“ შემძრა. ამ საქმიანობას შეეშვი და ფული პატიოსანი შრომით მოიპოვე!“

**მწარე:**

„გრცხვენოდეს! ეკლესიაში რა სინდისით შედიხარ? თუ პატიოსნად მუშაობ, სხვის ჯიბეში ჩიჩქნა როგორ არ „გიტყდება“? ვაჟკაც, საკუთარ ცხოვრებაზე კარგად დაფიქრდი“.

**ერატო:**

„სამყარო მკაცრია, მაგრამ შენ უნდა შეძლო და კაცური კაცის სახელით იცხოვრო. ნიღბებს ვირგებო, — თქვი. ეცადე, იმდენი არ ქნა, რომ საკუთარი სახე თავადაც ვერ იცნო. შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი“.

**იკუშკები:**

„გაქცევით თავს ვერ უშველი... ჯანღონით სავსე, 25 წლამდე ასაკის კაცი ხარ, არა მგონია, ავადმყოფი ან ხეიბარი იყო, ჰოდა, რა გიშლის ხელს იმაში, რომ პატიოსნად იცხოვრო? — არაფერი. თუ მოინდომებ, პატიოსნად ცხოვრებას ისწავლი, საყვარელ ადამიანსაც დაუახლოვდები და მის სიყვარულსაც მოიპოვებ. გთხოვ, გამოფხიზლდი“.

**მარიკუნა:**

„ღმერთი გწამდეს და ცოდვები მოინანიე. იცი, როცა იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს, ქურდმა ლურსმანი მოიპარა... გირჩევ, უფლის არსებობა არასდროს დაივიწყო“.

**ბარტყი:**

„გუჯა, ეკლესიაში სიარული წინ გადაგმული ერთი ნაბიჯია. მოძღვართან მიდი და აღსარება ჩააბარე. დასძლიე შენში ჩაბუდებული სატანა. ამბობ, — ვმუშაობო, ეს კარგია. შეეცადე, პატიოსანი შრომით მოპოვებული მცირედით დაკმაყოფილდე. უფალი ამას დაინახავს და აუცილებლად დაგასაჩუქრებს. დამიკავშირდი“.

**„დავინახე ვირი, რომელმაც მოხუცებულის 10 თეთრი მოიპარა“**

**კაჭკაჭი (ნამდვილი და არა თვითმარქვია):**

„გუჯა, მიდი, შენი ცხოვრებით იცხოვრე (აქ ზოგიერთი თინეიჯერი ჭკუის სწავლებას დაგიწყებს). წადი საქართველოდან, ეს ქვეყანა „კაპიკად“ არ ვარგა. ძალიანაც კარგი, რომ იპარავ. რაც ცუდად დევს, უნდა მოიპარო. შენი მსხვერპლებიც ნუ იქნებიან დოყლაპიები...“

**ნაკა23:**

„თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი. ჩვენი ცხოვრება ერთმანეთს ძალიან ჰგავს. მერე რა, რომ გოგო ვარ, მეც ბევრჯერ ჩამიდენია მსგავსი რაღაცები. ამას მთელი გულით ვნანობ. თურმე, გვერდით საიმედო მეგობრის ყოლა ბევრს ნიშნავს“.

**T.D.**

„ეტყობა, გულის სიღრმეში სინდისი გქენჯნის... ახლა თუ წარმატებით ითვისებ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის, ოდესმე ამ ყველაფრის უკან დაბრუნება მოგიწევს. ოღონდ, ვერ გეტყვი, რა სახით — მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, ბედნიერების თუ რაიმე სხვა სიკეთის დაკარგვით. ეს ცხოვრებისგან პროცენტიანი ვალის აღებას ჰგავს!“

**გრუზინკა:**

„თუ გგონია, რომ ეკლესიაში სიარულის გამო ცოდვები მიგეტევება, ძალიან ცდები. სხვისთვის ფულის მოპარვა ცუდი საქციელია. შენ ხომ ვიღაცას პურის ფულს ართმევ. კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ეცადე, ლუკმაპური პატიოსანი შრომით მოიპოვო“.

**პანკუშკა:**

„გუჯა, ეკლესიაში სიარულით და პირჯვრის გადაწერით კი არა, ცოდვები გულით უნდა მოინანიო. ხელმრუდობა უნდა დასძლიო. აბა, ქურდი ქმარი ვის ენდომება?“

**ეშმაკუნა:**

„ცუდი გზა აგირჩევია. მოდი, ეს ნიღბები შორს მოისროლე და მის გარეშე იცხოვრე. გთხოვ, ცუდ საქმიანობას შეეშვი და წესიერი ცხოვრებით იცხოვრე. ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

**ნამდი:**

„როგორც ვხედები, პატარა აღარ ხარ, რომ მსგავსი რაღაცებით გაერთო. ვერ გავიგე, მოპარვა შენი მოთხოვნილებაა თუ ამით ერთობი? ჩემს მაგალითს მოგწერ და ამით მიგანიშნებ, როგორც უნდა მოიქცე. დღეს აფთიაქში მოხუც ქალს ხურდის — 10 თეთრის აღება დაავიწყდა. ვინაიდან მე ამ ქალის შემდეგ ვიდექი, ის ფული ავიღე. ამ დროს შევეცდე, ჩემი თავი სხვა კუთხიდან დამენახა (და არა სხვისი თვალით) და... დავინახე ვირი, რომელმაც გულგრილად მოიპარა მოხუცებულის 10 თეთრი და ძალიან შემრცხვა. ამიტომაც, ის ფული გაჭირვებულს მივეცი“.

**GREEN GIRL:**

„გუჯა, ჟურნალის ფურცლებიდან საკუთარ თავს რომ შეხედე, გული არ აგერია? მე — მაგრად. ვის ატყუებ? პირველ რიგში, საკუთარ თავს. ღმერთის გეშინოდეს!“

**სვანის ასული:**

„ორმაგ თამაშს უნდა შეეშვა. თუ ეკლესიისკენ გადადგი ნაბიჯი, ე.ი. გამოსწორების გზას ადგახარ. წირვას ბოლომდე დაესწარი, მოძღვრის ქადაგებას მოუსმინე. მერწმუნე, უცხო მიწაზე ბედნიერებას იშვიათად პოულობენ“.

# მოგების წყურვილი და სახლიდან „პოკერებში“ გაპარული ქალები

## ანუ როდის თამაშობს თამაში ჩვენით?

**იმ ადგილას, სადაც ფულზეა თამაში, ყოველთვის ბევრი ხალხი ტრიალებს. თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გახსნილი პოკერკლუბების, სლოტკლუბებისა თუ ინტერნეტკაფეების მოციმციმე შუქი თვალს სჭრის ადამიანებს, უფრო სუსტი ნებისყოფის მქონეთ კი ხშირად — თავსაც. აზარტისა და თამაშის „მულამზე“ სასაუბროდ ქალაქის უამრავი ინტერნეტკაფე და პოკერკლუბი შემოვიარე...**

ელენე ბასილიძე

**ქეთა,** *ინტერნეტკაფეს თანამშრომელი:*

— აქ ძირითადად, 10-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შემოდიან, გვყავს ისეთი ყოველდღიური კლიენტებიც, როგორიც ბაჩოა (*ჩვენ წინ მჯდომ 15-ოდე წლის ბიჭზე მანიშნებს. — ავტ.*). ეს ბავშვი თითქმის მთელი დღე ჩვენთანაა. ადრე ეს ინტერნეტკაფე სადღეღამისო იყო და ერთმა ოპერატორმა გოგონამ მითხრა, ხშირად ღამესაც აქ ატარებდაო.

**— მშობლები არასოდეს აკითხავენ?**

— რა აზრი აქვს?! მაინც არ მიდის სახლში! ხანდახან მგონია, სადაცაა, ჭკუიდან შეიშლება. მთელი დღე ეკრანსაა მიშტერებული და ბახაბუხი ესმის. შეიძლება ახლა ეს ბავშვი, ნორმალური ფსიქიკის პატრონი იყოს?!

**— ქეთა, ყველაზე მეტად, რომელ თამაშს ეტანებიან ბავშვები?**

— ძირითადად, GTA-სა და „ქაუნთერს“. ჩვენი კომპიუტერები ერთმანეთთან ქსელითაა დაკავშირებული და ხშირად, 7-8 ბავშვი ერთ თამაშს თამაშობს. ერთმანეთს დასდევენ და ხოცავენ.

**— წაგების შემთხვევაში რა რეაქცია აქვთ?**

— აბა, დააკვირდი, ჯერ ჩვეულებრივად თამაშობენ და ლამისაა მაუსი შემოეჭამოთ და წარმოიდგინე, რა რეაქცია ექნებათ, როცა წააგებენ. ისმის გინება, ყვირილი, ბღავილი... მოკლედ, საშინელი სიტუაციაა! ღმერთმა დაგიფაროთ აქ შემოსვლისგან.

**— ბაჩოს დავუბრუნდეთ. ბუნებრივია, მშობლები თამაშის ფულს არ მისცემენ...**

— მშობლების ფული არც სჭირდება, დიდი „იგროკის“ სახელი აქვს გავარდნილი. როცა რამდენიმე ბავშვი ქსელში თამაშობს, ერთმანეთს უთანხმდება და რომელიც წააგებს, თამაშის საფასურსაც ის იხდის. ხან ერთი მოთამაშე იხდის, ხანაც ბოლო ადგილზე გასული 2 მოთამაშე და ა.შ.

**— თუ განსხვავდებიან რაიმეთი ასეთი ბავშვები თავიანთი თანატოლებისგან?**

— კი, თითქმის ყველაფრით. იარაღში კარგად ერკვევიან მოთამაშე ბავშვები, სწრაფად ბეჭდვა შეუძლიათ (*იცინის*), ცხოვრებას თამაშივით უყურებენ და უფრო აგრესიულებიც არიან. სახლში 13 წლის დისშვილი მყავს, მას და ამ ბავშვებს ერთმანეთს რომ ვადარებ, ვხვდები, რომ თურმე ანგელოზი ყოფილა. აქ მყოფი ბავშვებიდან თითოეულს სერიოზული ფსიქოლოგიური დახმარება ესაჭიროება. რომ გაიზრდებიან, კაცმა არ იცის, მათგან რა დადგება...

**— როცა ფული არ აქვთ, ნისიად თამაშს თუ გთხოვენ?**

— კი, ასეთ შემთხვევებიც არის, მაგრამ ვცდილობ, თავი შევიკავო. როცა ბავშვი მოვა და „ყელს გამოგიწევს“ — მოდი, რა, მათამაშე და მერე გადაგიხდიო, — დიდ უხერხულობაში ვვარდები...

**— ვალს მალევე აბრუნებენ?**

— ზოგი — კი, ზოგი — არა. როცა ვალი აქვთ, აღარ შემოდიან, თავს მარიდებენ. ვალის გადახდას იმ ფულით ისევ თამაში ურჩევნიათ და ამიტომაც სხვა ინტერნეტკაფეში მიდიან.



როცა ვალი აქვთ, აღარ შემოდიან, თავს მარიდებენ

**— სხვა ინტერნეტკაფეშიც თამაშობენ ნისიად?**

— იქ, სადაც ოპერატორად თავად მეპატრონე ზის. ხშირად თამაშობენ ბავშვები ნისიად და მშობლებსაც კარგა გვარიანი თანხის გადახდა უწევთ.

**— მშობლები ასეთ შემთხვევაში როგორ იქცევიან?**

— ხშირად მიდიან და ეუბნებიან, ჩემი შვილი ნისიად არ ათამაშოთო. ერთხელ მსგავს ფაქტს მეც შევესწარი. ფულის გადახდა კი მაინც უწევთ მშობლებს. სხვა რა გზა აქვთ?!

**თემო,** *19 წლის:*

— ადრე მეც ვთამაშობდი ხოლმე ინტერნეტკაფეში. როცა ბევრი ხალხია, ემოციურად უფრო დამუხტული ხარ და უფრო „დუხით“ თამაშობ. ისეთი მოთამაშე ნამდვილად არ ვყოფილვარ, დღე და ღამე ინტერნეტკაფეში რომ ვმჯდარიყავი, მაგრამ ვაღიარებ, გატაცებული ნამდვილად ვიყავი.

**— რამ გაგიტაცა თამაშში?**

— თამაში რამდენადაც პრიმიტიულია, მით მეტი თამაშობს მას. აი, მაგალითად, GTA ავიღოთ. ეს რბოლაა, განსაკუთრებული არაფერი ხდება იმის გარდა, რომ ყველაფრის უფლება გაქვს თამაშში. იმას, რასაც ცხოვრებაში ვერ ახერხებ (თუმცა სურვილი გაქვს, გააკეთო), თამაშში — აკეთებ. აი, ნახე, ეს მე ვარ (*მაჩვენებს კომპიუტერის ეკრანზე ადამიანისგამოსახულებიან თოჯინას. — ავტ.*). შემიძლია, მანქანა გავაჩერო, მისი პატრონი გადმოვათრიო და საჭესთან დავჯდე. შემიძლია, პოლიციელები ვცემო, მანქანები ჩემს გემოზე ვამტვრიო, ავარიები მოვახდინო და არ მოვკვდე...

**— ანუ თამაშში იმას აკეთებ, რაზედაც ცხოვრებაში პასუხი მოგეთხოვება...**

— კი, აკრძალული ხილი ხომ იცი, რომ გემრიელია?! თან ეს ყველაფერი, ძალიან მარტივია. მთელი ცხოვრება კაცობრიობა იმაზე ფიქრობდა, როგორმე ადამიანისთვის ცხოვრება გაეადვილებინა. ამდენი ტექნოლოგიური მიღწევაც ამიტომ გვაქვს. „ბითლზი“ გაიხსენე, პრიმიტიულ, ძალიან „იოლ“ მუსიკას უკრავდნენ. სულ 2 აკორდი ჰქონდათ აღებული, მაგრამ ხალხი დღემდე აფანატებს მათზე. ხალხს ის მოსწონს, რაც ადვილად გასაგები და მისაღებია. მართალია, ამით ტვინი ზარმაცდება, მაგრამ „ზატო“ ყველასა და ყველაფერში „ადვილს“ მოძებნი და ცხოვრებაც გაადვილდება (*იცინის*).

**— შენ ისევ თამაშობ იმ „იოლ“ თამაშებს?**

— არა, დიდ ხანია, მათთვის დროს აღარ ვკარგავ. ახლა ძირითადად, „სტრატეგიებს“ ვთამაშობ ანუ ტვინს აღარ ვაზარმაცებ.

**— „სტრატეგიის“ თამაში რას გაძლევს?**

— იმას, რასაც ჭადრაკის თამაში აძლევს ადამიანს. ზუსტად ჭადრაკივითაა „სტრატეგიაც“. უნდა იცოდე, სად, რამდენი და რა რაოდენობის ჯარი ჩააყენო. თან ისტორი-

ულ ცნობებსაც კრებ... აი, ეს ნაპოლეონის არმიაა. მოსკოვი უნდა დავიპყრო...

**— არასოდეს გიფიქრია, რომ თამაშით ცხოვრობ და ეს, თითქოს არაფრის მომცემი თამაში შენზე გავლენას ახდენს?**

— არა, ასე არასოდეს მიფიქრია, თუმცა არ უარვყოფ, რომ თამაშს ადამიანებზე დიდი გავლენა აქვს! რუსეთში ასეთი შემთხ-

ქალები შემოდიან, დასხდებიან და თამაშობენ

ვევა დაფიქსირდა: ერთი ბიჭი დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდა Half-life-ს (*ეს თამაში ზომბებზეა, რომლებიც უნდა დახოცო და მსოფლიო გადაარჩინო. — ავტ.*). ჰოდა, მართლაც გავლენის ქვეშ მოექცა და თან ისე, რომ დედა და ძმა ჩაქუჩით დახოცა. ვინც „შეგნებულად" თამაშობს ყველა თამაშს (რაც მთავარია, თამაშს შენ თამაშობ და არა თამაში თამაშობს შენით), გავლენის ქვეშ არ მოექცევა, უბრალოდ გაერთობა და მორჩა!

**გიგლა,** *17 წლის:*

— სახლში კომპიუტერი მაქვს, მაგრამ სად ის, მარტო რომ თამაშობ და სად — მთელ საძმაკაცოსთან ერთად! აქ შეიძლება, 1 თამაშში 10 ბავშვი იყოს ჩართული და მერწმუნე, უფრო საინტერესოა.

**— რას გაძლევს ეს თამაში?**

— არაფერს. რა უნდა მომცეს?! „პროსტო" ვერთობი და დრო გამყავს, თორემ სხვას რას უნდა მაძლევდეს?!

**— დროის გაყვანა და გართობა სხვა ხერხით არ გიცდია?**

— რა არის, იცი?! მე ხომ არ გეკითხები, რატომ აირჩიე ჟურნალისტის პროფესია, რა, სხვა პროფესიები დაილია-მეთქი?..

**— კი, მაგრამ ამჯერად თამაშზე ვსაუბრობთ...**

— ვისაც როგორც უნდა, დროს ისე ატარებს. კომპიუტერთან ჯდომა და თამაში აშკარად სჯობს ბირჟაზე დგომასა და გინებას, ასე რომ...

**ვინ,** *21 წლის, პოკერკლუბის მოლარე:*

— გვყავს ისეთი კლიენტები, რომლებიც ყოველდღე შემოდიან და შეიძლება, მთელი დღეც ისხდნენ და ითამაშონ. როცა ფულს აგებენ, უფრო მეტსა და მეტს თამაშობენ, რომ როგორმე ის წაგებული ფული მაინც ამოიღონ...

**— თუ ამოულიათ წაგებული ფული?**

— არა, ეს ძალიან იშვიათია, ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად არ მახსენდება... თუმცა როგორ არა?! იყო შემთხვევა, როცა ერთმა მოთამაშემ 1.200 ლარი მოხსნა.

**— როცა აგებენ, რა რეაქცია აქვთ?**

— დაკვირვებული ვარ, რაც მეტს აგებენ, მით მეტს თამაშობენ. ფიქრობენ, რომ თავნს მაინც ამოიღებენ, მაგრამ საბოლოოდ ხელცარიელნი გადიან აქედან. ხშირად, ფული რომ გაუთავდებათ, გარეთ გადიან, იშოვიან და ისევ შემოდიან სათამაშოდ. ერთხელ ვითამაშე და მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არაა (*იცინის*).

**— რატომ?**

— იცი, როგორი შეგრძნებაა?.. თითქოს ვიღაც შიგნიდან გითრევს. იმდენად გიპყრობს მოგების სურვილი, რომ ვერც კი ამჩნევ, თანდათანობით როგორ კოტრდები. გონზე რომ მოვედი, 40 ლარი მქონდა წაგებული და ისე გავიძახოდი, ცოტა ხანი მაცალეთ, აუცილებლად მოვიგებ-მეთქი (*იცინის*).

**— გოგონები თუ შემოდიან?**

— მარტო გოგონები?! ქალები შემოდიან, დასხდებიან და თამაშობენ. შენ წარმოიდგინე, აზარტულობით მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებიან! ხშირად, როცა ფული უთავდებათ, პირადობის მომწობის დატოვებაც შემოუთავაზებიათ, მაგრამ ვერ ვენდობი. უარს თუ ვეტყვი, გადიან და ფულით ბრუნდებიან. ყველაზე საკვირველი ისაა, რომ როცა იგებენ, თამაშს მაშინაც არ წყვეტენ. გუშინ ვიღაც ბიჭი შემოვიდა, საკმაოდ ბევრი მოიგო, მაგრამ თავი არ დაანება თამაშს, კიდევ უნდოდა მოგება. ბოლოს კი ისე მოხდა, რომ მოგებული თანხაც აქ დატოვა და თავნიც. ყველაფერი გამართლებაზეა, არ არსებობს კომბინაცია ან რაიმე ხერხი, რომლის მეშვეობითაც მოგება შეიძლება. ყველაფერი აპარატზეა დამოკიდებული. ისე კი ზედმეტად ემოციური და აზარტული ადამიანები პოკერკლუბში შესვლისგან თავს თუ შეიკავებენ, კარგი იქნება.

**გიორგი,** *27 წლის, პოკერკლუბის დაცვის თანამშრომელი:*

— ეს „პოკერები" უსაქმური ხალხის გასართობი ადგილი მეგონა, მაგრამ ამ ბოლო დროს, ბევრი „საქმიანიც" შემოდის და ცოტა აზრი შემეცვალა...

**— ბევრია აზარტული ადამიანი?**

— ძალიან ბევრი. ქართველებს ერთი ცუდი თვისება — მიმბაძველობა გვაქვს. რადგან საზღვარგარეთ არის „პოკერის" აპარატები, ჩვენთანაც უნდა იყოს და ვთამაშობდეთ. დაწესებულების მესვეურები კი — ფულს იჯიბავენ (*იცინის*).

**— გოგონებიც შემოდიან სათამაშოდ?**

— შენ წარმოიდგინე, გოგონები უფრო აზარტულები არიან. თუ ადრე ცოლები დაეძებდნენ ქმრებს რესტორნებში, დღეს ქმრები დაეძებენ ცოლებს „პოკერებში". სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ქალი ქმარს რომ დააძინებს და „პოკერებში" გაიპარება, ე.ი. ვერაა საქმე კარგად (*იცინის*). რაღაც მოდაა თითქოს: ბიჭი შემოვა, შეიძლება, 10 ლარი წააგოს, მაგრამ გარეთ რომ გავა, გაიძახის, — 100 ლარი წავაგეო. რაც მეტს ითამაშებს და მეტ ფულს წააგებს, მით უფრო მაგარი ბიჭი ჰგონია თავი...

**— მუდმივი კლიენტებიც არიან?**

— კი, ერთი ტაქსის მძღოლი, მთელი დღის განმავლობაში რასაც იშოვის, შემოდის და აქ აგებს. გუშინ 160 ლარი წააგო; ფული რომ გამოელია, გავიდა, „იტაქსავა" და ისევ მოვიდა სათამაშოდ! თუ ვინმე იგებს და მაშინვე წყვეტს თამაშს, დიდი ალბათობაა იმისა, რომ მოგებული ფულით სხვა პოკერკლუბში შევა და იქ ითამაშებს.

**— თქვენ არასდროს გაგჩენიათ სურვილი, რომ გეთამაშათ?**

— როცა ხედავ, რომ 1000 მოთამაშიდან 900 აგებს, იდიოტი უნდა იყო, თამაშის სურვილი რომ გაგიჩნდეს.

**— მაინც, უფრო მეტად, რა ასაკის ხალხი შემოდის სათამაშოდ?**

— 18 წლიდან — ზემოთ. აი, შეხედეთ (*მითითებს წინ მჯდომ მოხუც მამაკაცზე*) — ხედავ, ამ ბაბუს? გვერდით შვილიშვილის ტოლი ბავშვი უზის და ორივე თამაშობს... „პოკერებმა" ასაკი არ იცის. თუმცა არასრულწლოვნებს არ ვაჭაჭანებთ, პირადობის მოწმობის გარეშე აქ არავის ვუშვებთ. ■


**ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ**

*სამთავროს დედათა მონასტერში, ბერი გაბრიელის საფლავზე ღვთის სასწაულით ფეხადგმული* **ვაბა მურცხვალაძე** *თქვენგან თანადგომას ელის.*

*ჯაბასთვის თითო ლარი შეგიძლიათ გაიღოთ მაგთის (200-344), ჯეოსელის (700-344), გაერთიანებული ტელეკომის (919-344) და საქართველოს ტელეკომის (822 009-344) სატელეფონო ნომრებზე დარეკვით.*

საქველმოქმედო სპეცანგარიში:
თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220101830; ბ/ა 11701022

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
**ქოგულეთი, ციხისძირი**
**893 906-275**

# ყოფილი პარლამენტარის დაყაჩაღების საქმე კვლავ გაუხსნელია

2005 წლის 25 აგვისტოს თბილისში, შატბერაშვილის ქუჩაზე საკუთარ ავტომფარეხში ყაჩაღთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა წინა მოწვევის პარლამენტის წევრ თამაზ ყაჭეიშვილს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, ავტომანქანა, მობილური ტელეფონი, ფულადი თანხა და საბუთები წაართვა. კრიმინალებმა თავიანთ მსხვერპლს ეს არ აკმარეს, იგი თავში მძიმე საგნის ჩარტყმით გათიშეს, საკუთარ მანქანაში ჩასვეს და მცხეთასთან ახლოს, ტყეში ხეზე სკოჩით მიაბეს.

ნანა ფიცხელაური

*იმავე წლის სექტემბერში სამართალდამცველებმა დანაშაულში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, გორის მკვიდრი შალვა გულიაშვილი დააკავეს. საქმე გახსნილად გამოაცხადეს და, როგორც ბრალდებულის ადვოკატი აცხადებს, კანონდარღვევით წარმართული პროცესის შემდეგ, შალვა გულიაშვილს სრულიად უკანონოდ, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და 8 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა განუსაზღვრეს. მსჯავრდადებული დანაშაულს დღემდე არ აღიარებს. დაცვის მხარემ განაჩენი თავდაპირველად — სააპელაციო, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და მას შემდეგ, რაც საჩივრის განხილვაზე უარი მიიღო, სტრასბურგის სასამართლოს მიმართა.*

*2005 წლის 24 დეკემბერს შედგენილი საბრალდებო დასკვნის მიხედვით, შალვა გულიაშვილის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში (სტილი დაცულია): „2005 წლის 25 აგვისტოს, დაახლოებით 21 საათზე თბილისში, შატბერაშვილის ქუჩაზე გულიაშვილი, დაუდგენელ პირებთან ერთად, ყაჩაღური გზით თავს დაესხა პარლამენტარ თამაზ ყაჭეიშვილს. ყაჩაღებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, წაართვეს მას კუთვნილი, 25 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქანა „ჰიუნდაი-გალოპერი" — SVS-430, „ელჯის" ფირმის მობილური ტელეფონი, 1.200 ლარი, პარლამენტის წევრის მოწმობა, ავტომანქანის რეგისტრაციის და მართვის მოწმობები. დამყაჩაღებლებმა თამაზ ყაჭეიშვილს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, წაიყვანეს მცხეთის რაიონში არსებულ ტყის მასივში, სკოჩით ხეზე მიაბეს და ღამით იქ დატოვეს. ამის შემდეგ, შალვა გულიაშვილი, თანმხლებ პირებთან ერთად მიიმალა. მან გატაცებული ავტომანქანა ცხინვალში გადაიყვანა და გამოძიებით დაუდგენელ მიზეზს და ვინმე ცხოვრებოვს მიჰყიდა. თამაზ ყაჭეიშვილს, დაყაჩაღების შედეგად, 26.800 ლარის ოდენობის ზიანი მიადგა. სამართალდამცველებმა გორში, სუხიშვილის ქუჩაზე მდებარე, გულიაშვილის ბინის ჩხრეკის დროს ამოიღეს თამაზ ყაჭეიშვილის ავტომანქანის მართვის მოწმობა და მობილური ტელეფონი. რაც შეეხება სხვა დოკუმენტებს, მათი ამოღება ვერ მოხერხდა".*

*ქარელის რაიონულმა სასამართლომ გამოძიების მიერ შალვა გულიაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულად მიიჩნია და მას სასჯელის ზომად (179-ე მუხლის ნაწილით), 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და 8 ათასი ლარი ჯარიმა განუსაზღვრა. ამას დაემატა ბორჯომის რაიონის სასამართლოს მიერ 2004 წლის 20 იანვარს გულიაშვილისთვის გამოტანილი სასჯელიდან მოუხდელი, პირობითად შეფარდებული 8 თვე და მას საბოლოოდ, თავისუფლების აღკვეთა 15 წლითა და 8 თვით შეეფარდა.*

**ზურაბ როსტიაშვილი,** *შალვა გულიაშვილის ადვოკატი:*

— ქარელის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში უცვლელი დარჩა. 2006 წლის 26 ოქტომბერს ამ პიროვნების მიმართ შედგა მორიგი საბრალდებო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, შალვა გულიაშვილის ქმედება გამოიხატა შემდეგში: „2006 წლის 9 სექტემბერს შალვა გულიაშვილი ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისთან მოძრაობდა. სოდის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა მას კანონის სრული დაცვით, ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვეს. გულიაშვილმა ძალადობით და მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, სოდის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია, სვლას უმატა და მათი მიმართულებით, უკანონოდ შეძენილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა. შალვა გულიაშვილი დაიკავეს, ხოლო მისი ავტომანქანის საბარგულიდან ამოღებულ იქნა AKC-ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 24 საბრძოლო ვაზნით". 2004 წლის 23 აპრილს, ქარელის რაიონულმა სასამართლომ გულიაშვილს მორიგი განაჩენი გამოუტანა, მას 5 წლით თავისუფლება აღუკვეთა და 8 ათასი ლარი ჯარიმა დაკისრა. ამას დაემატა იმავე წლის 20 იანვრის განაჩენით დაფიქსირებული სასჯელი, 15 წელი, 8 თვე, 8 ათასი ლარი ჯარიმა და შალვა გულიაშვილს საბოლოოდ, 20 წლითა და 8 თვით აღეკვეთა თავისუფლება და 16 ათასი ლარი ჯარიმა დაეკისრა. ეს კონკრეტული განაჩენიც გავასაჩივრეთ სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი ძალაში დატოვა. უზენაესმა სასამართლომაც საჩივარი დაუშვებლად ცნო და ვინაიდან მისი განჩინება საბოლოოა, იძულებული გავხდით, ევროსასამართლოსთვის მიგვმართა.

**— რაში გამოიხატა ის, რომ თამაზ ყაჭეიშვილის დაყაჩაღების საქმეში სასამართლო, გულიაშვილის მიმართ მიკერძოებული და უკანონო იყო? კონკრეტულად რა დარღვევები აღმოაჩინეთ გამოძიების მიმდინარეობის პროცესში?**

— საქმეში არანაირი უტყუარი მტკიცებულება არ მოიპოვება, რომელსაც გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს ანუ გულიაშვილის ბრალეულობას ადასტურებდეს. როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო გამოძიების დროს, დაზარალებულმა თამაზ ყაჭეიშვილმა განმარტა, რომ როდესაც მან ავტომანქანა ფარეხში გააჩერა, მას ორი პიროვნება ერთი მხრიდან, ორი — მეორე მხრიდან მიუახლოვდა და ვინაიდან საკმაოდ ბნელოდა, მათი გარეგნობის დამახსოვრება ვერ შეძლო. მათ მომენტალურად თავში რაღაც ჩაარტყეს და გათიშეს. ამის შემდეგ ის თავისსავე ავტომანქანაში აღმოჩნდა და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. როგორც ბატონმა ყაჭეიშვილმა განაცხადა, იგი კილოკავით მიხვდა, რომ ყაჩაღები ქართლელები იყვნენ და დარწმუნებულია, რომ ერთ-ერთი მათგანი ოსი უნდა ყოფილიყო.

**— რამდენი კაცი დაესხა თავს პარლამენტარს და მათგან რამდენია დაპატიმრებული?**

— როგორც დაზარალებული ჰყვება, დამყაჩაღებლები ხუთნი იყვნენ. დღესდღეობით, გულიაშვილის გარდა, არავინ არის დაპატიმრებული. დაზარალებულს მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ ყველანი გამხდრები და საშუალო სიმაღლისანი იყვნენ. გამომძიებლებმა თავად შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში ორჯერ მოასმენინეს თამაზ ყაჭეიშვილს სატელეფონო საუბრები. მან აღნიშნა, რომ ჩანაწერში მოსმენილი ხმები ყაჩაღებისას ჰგავდა, მაგრამ ხმით მაინც არ შეეძლო ამის მტკიცება და მათი ამოცნობა. ძნელია, ტელეფონზე მოსმენილით ვინმეს ხელი დაადო. გამომძიებას თავდაპირველად ეჭვი სვანებზე ჰქონდა. დაზარალებული ყაჭეიშვილის ჩვენებიდან არ დასტურდება, რომ შალვა გულიაშვილს ჩაედინოს თავდასხმა. მოსამართლემ განაჩენში აღნიშნა, რომ ყაჭეიშვილის განმარტებით, ერთ-ერთი ყაჩაღი იერით გულიაშვილს ჰგავდა, მაგრამ დაზარალებულს სასამართლო დაკითხვის დროს იგივე არ განუცხადებია. მან მხოლოდ ის განმარტა, რომ ოთხნი საშუალო სიმაღლისანი იყვნენ, ხოლო მეხუთე — დაბალი და ჩასკვნილი. იგი მხოლოდ ლანდებს ხედავდა და წინასწარ გამოძიებაში კატეგორიულად განაცხადა, რომ არც ერთი ყაჩაღის ამოცნობა არ შეეძლო. გაურკვეველია, საიდან დაასკვნა სასამართლომ, რომ ერთ-ერთი ყაჩაღი იერით გულიაშვილს ჰგავდა. მოწმე ნინო ზაზარაშვილის ჩვენებით, მან 2005 წლის 26 სექტემბერს, დაახლოებით 20 საათზე შეიტყო, რომ შალვა დააკავეს. როდესაც მამამისს შვილის დაპატიმრების შესახებ აცნობეს, ნინომ პირადად დაკეტა სახლის ფანჯრები და ოჯახის წევრებთან ერთად, პოლიციაში წავიდა. ამასობაში პოლიციის შენობიდან 6-7 პოლიციელი გამოვიდა და სადღაც წავიდა. 15 წუთის შემ-

დეგ, ერთ-ერთმა პოლიციელმა განაცხადა, რომ გულიაშვილის ბინაში ჩხრეკის ჩასატარებლად უნდა წასულიყვნენ. როდესაც პოლიციელები ოჯახის წევრებთან ერთად სახლთან მივიდნენ, ის 6-7 პოლიციელი, რომელიც მათზე 15 წუთით ადრე გავიდა განყოფილებიდან, იქ დახვდა. სახლში შესვლისთანავე ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ საწოლისკენ წავიდა, ძებნის იმიტაცია არც გაუთამაშია, ლოგინი ასწია და იქიდან მართვის მოწმობა და ავტომანქანის ფოტოები ამოიღო. მოწმის ჩვენებით, როცა ისინი სახლში შევიდნენ, სამზარეულო ატალახებული დახვდათ, ფანჯარა კი — ღია. როგორც ჩანს, პოლიციელები სახლში ფანჯრიდან შევიდნენ, ვინაიდან ტალახიანი ნაფეხურები ფანჯრის რაფაზეც ნახეს. აღნიშნული ფანჯარა შიგნიდან ლურსმნით იკეტებოდა და ხელის მიწოლითაც შეიძლებოდა მისი გაღება.

**— გინდათ თქვათ, რომ ჩხრეკის ჩატარებამდე იქ პოლიციელები მივიდნენ და გულიაშვილის სახლში სამხილები დატოვეს?**

— ეს ცხადზე უცხადესია. მათ კვალი დატოვეს სახლში. სამხილი იმ საწოლიდან ამოიღეს, სადაც შალვას მამა იწვა. თუ მართვის მოწმობა და ფოტოები მართლაც იქ ინახებოდა, მათ დეფორმაცია უნდა მიეღო, ვინაიდან ეს ადამიანი ზედ იწვა. პოლიციელებს დანარჩენი ოთახებისკენ არც გაუხედავთ, პირდაპირ საძინებლისკენ წავიდნენ, რაც გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა. მოწმე ნინო ზაზარაშვილს ცარიელ ოქმზე მოაწერინეს ხელი და არ დააფიქსირებინეს, რომ ფანჯარა წასვლამდე თავისი ხელით დაკეტა. იგი დარწმუნებულია, რომ მართვის მოწმობა და მანქანის ფოტოები პოლიციელებმა ჩადეს. ანალოგიური ჩვენება მისცა ჩხრეკის დამსწრე მადინა მაყიშვილმაც. სოდ-იდან შემოსული ინფორმაციით, შალვა გულიაშვილს (მეტსახელად სემსოტა) მობილურ ტელეფონზე უკავშირდებოდნენ დანარჩენი პირები, რომლებმაც თ. ყაჭეიშვილზე თავდასხმაში მიიღეს მონაწილეობა. საქმეში არ დევს „მაგთიკომიდან“ ამოღებული ცნობა იმის შესახებ, რომ დასახელებული ტელეფონის ნომერი შალვა გულიაშვილის სახელზე ირიცხებოდა. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, გულიაშვილს დევნა დაუწყეს და დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას მის მიმართ არავითარი მტკიცებულება არ ჰქონდა. მას ბრალი დასდეს, რითაც უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვა, კერძოდ — გამომძიებელმა პროკურორ თ. ჩიტიაშვილს მიმართა, რომ შსს მთავარი სამმართველოს მე-10 განყოფილების თანამშრომლების ოპერატიული ინფორმაციით, ყაჭეიშვილზე ყაჩაღურ თავდასხმაში შალვა გულიაშვილი მონაწილეობდა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, შატბერაშვილის ქუჩაზე ამოიღეს სიგარეტ „კენტის“ კოლოფი, რომელზეც ექსპერტიზა არ ჩატარებულა. თითის ანაბეჭდების ამოღების მიზნით, ასევე არ ჩატარებულა ბიოლოგიური ექსპერტიზაც. შალვა გულიაშვილმა განმარტა, რომ არ იცნობს ცხოვრებოვს და მიშკას, რომლებსაც თითქოს, ცხინვალში ყაჭეიშვილის ავტომანქანა მიჰყიდა. დაიკითხა ასევე ქართლოს ბოჭორიძე, რომელიც არ იცნობს გულიაშვილს, „ელჯის“ ფირმის ტელეფონი კი ერგნეთის ბაზრობაზე შეიძინა.

**— სასამართლომ, როგორც თქვენ ბრძანეთ, უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნია საქმეში არსებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერები. თუ ჩატარდა ექსპერტიზა ხმის იდენტურობის დადგენის მიზნით?**

— თუმცა დადგენილი არ არის, თუ ამოღებულ ჩანანერებში ვისი ხმებია დაფიქსირებული, სასამართლომ ის მაინც მტკიცებულებად მიიჩნია. ხმის იდენტურობაზე ექსპერტიზა არ ჩატარებულა და აქედან გამომდინარე, გამოძიებას საფუძველი არ ჰქონდა, დაესკვნა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში გულიაშვილის ხმა ისმის. არც საბრალდებო დასკვნაში და არც განაჩენში არ არის აღნიშნული, რომ გულიაშვილის ბინის ჩხრეკისას ამოღებული იყო თამაზ ყაჭეიშვილის ავტომანქანის სურათები. ამასთან, საქმეში არსებული ოქმის მიხედვით, გამომძიებელმა პატარიძემ გახსნა დალუქული პაკეტი, რომელშიც აღმოჩნდა მართვის მოწმობა და „ჰიუნდაის“ (სახელმწიფო ნომრით — 400) ფოტოები. გამოძიებამ დაასკვნა, რომ აღნიშნული ავტომანქანა თამაზ ყაჭეიშვილს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტომანქანის ნომერი არა 400, არამედ 430-ია. ამასთან, არც ავტომანქანის ძარასა და ძრავას საიდენტიფიკაციო ნომრები გამოკვლეულა. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებულია სკოჩის ნაწყვეტები, სისხლის ლაქებით, და მამაკაცის წინდა.

**— ალბათ დაადგინეს, ვის ეკუთვნოდა სისხლი და წინდა.**

— გამოძიებას ეს აზრადაც არ მოსვლია, თუმცა ვალდებული იყო. საქმეში ჩამოთვლილია 7 პიროვნების გვარი და მითითებულია, რომ ისინი კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან. გამოძიებამ უამრავ ტელეფონს მოუსმინა, მაგრამ ამით ვერაფერი დაადგინა. როგორც შალვა გულიაშვილი დააპატიმრეს, ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა უამრავი პირის დაკავება. მაგრამ სამართალდამცველებს ეს მუშაობასა და საქმის გახსნაში ჩაეთვალათ. ამდენად, შალვა გულიაშვილს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, მით უმეტეს, არ მიუღია მონაწილეობა თამაზ ყაჭეიშვილზე ყაჩაღურ თავდასხმაში. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ მისი ბრალეულობის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ არის საქმეში. უფრო მეტიც, ყაჩაღობის დღეს შალვა გულიაშვილი ბათუმში იმყოფებოდა, ამას მისი ახლობლები და მოწმეები ადასტურებენ და საინტერესოა, როგორ მოახერხა ბათუმიდან თბილისში მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა?!. იმედი მაქვს, სტრასბურგის სასამართლო ობიექტური იქნება და გულიაშვილს გაამართლებს.

**თამაზ ყაჭეიშვილი,** *პარლამენტის ყოფილი წევრი, დაზარალებული:*

— თავდამსხმელები პროფესიონალი ყაჩაღები არ ჩანდნენ, ვინაიდან ძალზე უხეშად მექცეოდნენ. არც მითხრეს, რა უნდოდათ, რას მერჩოდნენ... შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი მანქანის გამტაცებლები არ იყვნენ. არც იმის ეჭვი მაქვს, რომ ჩემზე ანგარიშსწორება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. სასამართლოზე ვთქვი, რომ მათი ამოცნობა არ შემეძლო, ვინაიდან საკმაოდ ბნელოდა, თან ხუთივე ნიღბით იყო. მათ თავში მძიმე საგანი ჩამარტყეს, შესაძლოა — იარაღის ტარი... როცა გონზე მოვედი, მანქანიდან გადმომიყვანეს და მცხეთასთან ახლოს, უკაცრიელ ადგილას, ტყეში შემიყვანეს. ყაჩაღებს წინააღმდეგობა გავუწიე. მათ კვლავ გამთიშეს დარტყმით და გონს რომ მოვედი, ხეზე ვიყავი სკოჩით მიბმული. დაახლოებით 14 საათი დავყავი ამ მდგომარეობაში. წასვლისას ერთადერთი სიტყვა მითხრეს — მოვალთო, მაგრამ იქ აღარავინ მოსულა. მეორე დღეს, სადღაც შორს, შემაღლებულ ადგილას ერთადერთ კაცს მოვკარი თვალი, რომელიც საქონელს მოუძღოდა. საშველად დავუძახე. რომ არ შეშინებოდა, ვუთხარი, მონადირე ვარ, დავიჭერი და დამეხმარე-მეთქი. იმ კაცმა რის გაივაგლახით დამიხსნა... ყაჩაღებმა ყველაფერი წაიღეს, რაც თან მქონდა — მანქანა, მობილური ტელეფონი, ფული და საბუთები. შინაგან საქმეთა სამინისტრო მპირდებოდა, მანქანას დღეს-ხვალ ვიპოვით და დაგიბრუნებთო, არც მე მომცეს იმის საშუალება, რომ ჩემით მეძებნა და მისთვის მიმეკვლია. სამინისტროს წარმომადგენლებმა თქვეს, ყაჩაღები სვანები იქნებოდნენო, მაგრამ ვუთხარი, რომ მათ ქართლური კილო ჰქონდათ. ჩემი რწმენით, ისინი ან ქართულად მოლაპარაკე ოსები იყვნენ, ან ოსური სოფლის ქართველი მცხოვრებლები. მართალია, მე არაფერს მეუბნებოდნენ, მაგრამ ერთმანეთში ხომ საუბრობდნენ და ამით მივხვდი. გასაკვირია, რომ აქამდე ერთი კაცია დაჭერილი, თანაც ის, ვისაც არ ვიცნობ და სასამართლოზეც ვთქვი, — არ მგონია, ეს ადამიანი ჩემს დაყაჩაღებაში მონაწილეობდა-მეთქი. გამოძიების იმედი აღარ მაქვს. ან კი როგორ უნდა მჯეროდეს, როცა 3 წლის განმავლობაში ვერაფერი გაარკვია და არავინ დაუჭერიათ?! ■

## დანიელამ SEXY-სთვის გაიხადა

„ლივერპულის“ ბრაზილიელი გოლკიპერის, დიეგო კავალიერის მეუღლემ, დანიელამ თაყვანისმცემლები და კლუბის ქომაგები გაახარა. მან ჟურნალ Sexy-ისთვის მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, დიეგო და დანიელა ბრაზილიაში ცხოვრობდნენ. სამშობლოში კავალიერი „პალმეირასის“ ღირსებას იცავდა, ხოლო მისი ცოლი მოდელად მუშაობდა. მალე ისინი ინგლისში გადაბარგდნენ. სატრანსფერო თანხამ კი 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. სექსუალურმა შავგვრემანმა ლამაზმანმა ნისლიან ალბიონზეც მალე დაიმკვიდრა თავი, როგორც პროფესიონალმა მოდელმა. ის დიდი სიამოვნებით თანხმდებოდა ამა თუ იმ გამოცემას ფოტოსესიაში მონაწილეობაზე. ცხადია, მისი ეროტიკული ფოტოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ გარემოებით თავად დიეგოც აღფრთოვანებული იყო...

## შერილმა ყველა დაჩრდილა

ერთბაშად ორი სასიამოვნო ცნობა მიიღო „ჩელსის“ მოთამაშის, ეშლი კოულის ცოლმა, ჯგუფი Girls Aloud-ის წარმომადგენელმა შერილმა. ბრიტანული მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის სამშობლოში „ყველაზე პოზიტიური არტისტი“ ყოფილა. ამგვარად, შერილი საყოველთაოდ პოპულარულ ქალთა ჰიტაღლუმის სათავეში მოექცა. თანაც ლამაზმანმა უკან მოიტოვა მწერალი ჯოან როულინგი და თავად დედოფალი ელისაბედიც კი. გარდა ამისა, ბრიტანეთში საუკეთესო სტილისტ ტრევორ სორბის თქმით, სწორედ შერილია მთელ პლანეტაზე ყველაზე ლამაზი თმის პატრონი.

## რონალდუ არც ნერეიდას გარეშე დაიჯარგება

ზოგიერთის აზრით, „მანჩესტერის“ ვარსკვლავ კრიშტიანუ რონალდუს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრესტიჟული პრიზი „ოქროს ბურთი“ მხოლოდ თავისი საფეხბურთო ნიჭის წყალობით არ მოუპოვებია: თურმე ეს წარმატება მისი ყოფილი გელფრენდის, ნერეიდა გალიარდოს დამსახურებაც ყოფილა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სწორედ ამ ესპანელი ლამაზმანის გამო, რონალდუზე ისინიც კი ალაპარაკდნენ, ვისაც ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებდა. თავდაპირველად, პორტუგალიელის არჩევანზე მსჯელობდნენ, მოგვიანებით, ნერეიდას ვნებისაღმძვრელი გარეგნობით ტკბებოდნენ, რომლის დემონსტრირების შესაძლებლობასაც იგი ხელიდან არასოდეს უშვებდა. ამას მოჰყვა შეყვარებულთა განშორება, რაც ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორიც მათი რომანი და ისიც თანდათან დავიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, რონალდუმ მაინც მოახერხა საფეხბურთო სამყაროში თავისი უპირატესობისა და კიდევ იმის დამტკიცება, რომ სექსუალური პარტნიორების გარეშეც შეუძლია საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფნა...

## სილამაზეს ასაკი არ გააჩნია!



რუსი ჰოკეისტის ალექსეი იაშინის მეგობარმა გოგონამ ბევრი თაყვანისმცემელი გააოცა. 47 წლის მსახიობმა და მოდელმა გაბედული ნაბიჯი გადადგა და Playboy-ს ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მაშინ, როდესაც მისი საყვარელი, ჰოკეის კონტინენტურ ლიგაში, იაროსლავლის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავს, კეროლ ალტი აშშ-ში ცხოვრებასა და მუშაობას განაგრძობს. სულ მალე კი ჰოკეისტი თავისი რჩეულის ფოტოებს მამაკაცთა პოპულარულ ჟურნალში იხილავს. როგორც ცნობილია, Playboy ბევრისთვის პოპულარობის მოპოვებისა და თავის გამოჩენის შანსს წარმოადგენს. მაგალითისთვის შეიძლება, პამელა ანდერსონი დავასახელოთ. თუმცა ხშირად, ლამაზმანები ფოტოობიექტივის წინ ახალგაზრდა კოლეგებს შორის საკუთარი უპირატესობის წარმოსაჩენად შიშვლდებიან. აი, კეროლიც ალბათ უფრო, მეორე პრინციპით მოქმედებდა. თავისი თამამი ფოტოსესიით მას იმის დამტკიცება სურდა, რომ სილამაზეს ასაკი არ გააჩნია.

# Mini-ს ახალი კაბრიოლეტი

მომავალი წლის იანვარში დეტროიტში ახალი თაობის კაბრიოლეტის — Mini Cooper — მსოფლიო პრემიერა შედგება, რომლის შესახებაც ოფიციალური ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტით ცოტა ხნის წინ გავრცელდა. სიახლე წინამორბედისგან გარეგნულად მხოლოდ შეცვლილი ბამპერით, ნისლის საწინააღმდეგო ფარების ფორმით, ასევე შეცვლილი რადიატორის ცხაურითა და მოდერნიზებული უკანა მაშუქებით განსხვავდება. Mini Cooper Cabrio-ს სალონში ახალი ხელსაწყო დაამონტაჟეს, რომელიც მძღოლს უჩვენებს, თუ რა დროის განმავლობაში იარა მან გადახდილი სახურავით. რბილი დასაკეცი სახურავის საბარგულში შენახვა სულ რაღაც 15 წამშია შესაძლებელი, თანაც ამ ოპერაციის შესრულება მაშინაც ხერხდება, როდესაც მანქანა 30 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს. მეორე რიგის სავარძლების უკან უსაფრთხოების დგარებია განთავსებული, რომლებიც საავარიო სიტუაციაში უსწრაფესად ამოქმედდება. თავდაპირველად ახალი თაობის კაბრიოლეტს — Mini Cooper — კლიენტებს 1,6-ლიტრიანი ატმოსფერული და ტურბოვერსიის ორი მოტორით შესთავაზებენ. პირველის შემთხვევაში ძრავას სიმძლავრე 118 ცხ.ძ-ია, ხოლო მეორე შემთხვევაში — 172 ცხ.ძ. გარდა ამისა, ავტომობილი აღჭურვილი იქნება ისეთი სისტემებით (მაგალითად, მოტორის ავტომატური ჩართვა-გამორთვა), რომლებიც საწვავის ეკონომიასა და ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვის გამოყოფის შემცირებას შეუწყობს ხელს. მარკის წარმომადგენელთა მტკიცებით, ახალი ღია „მინი" საშუალოდ, თავის წინამორბედზე 22%-ით ნაკლებ საწვავს მოიხმარს. ევროპულ ბაზარზე სიახლის გასაღება 2009 წლის პირველ ნახევარში დაიწყება. დიდ ბრიტანეთში ამ მანქანის მინიმალური ფასი 15.995 გირვანქა სტერლინგიდან იქნება. ■



# Saab-ის ახალი კროსოვერი

ზოგიერთ შვედურ საიტზე ახალი კროსოვერის — „სააბის" პირველი არაოფიციალური ფოტოები გავრცელდა. იგი უნივერსალის — Saab-9-3 — საფუძველზეა შექმნილი. მანქანა სრულამძრავიანია. მისი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. სავარაუდოდ, ის იმავე ძრავებით აღიჭურვება, რომლებიც გამოყენებულია უნივერსალზე — Saab 9-3. უცნობია ის, თუ როდის გამოჩნდება ბაზარზე კროსოვერ-უნივერსალი. შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპისთვის „სააბს" მხოლოდ ერთი ყველგანმავალი — 9-7X აქვს, რომელიც Chevrolet TrailBlazer-ის ბაზაზეა აწყობილი და აშშ-ში იყიდება. ■

# ყველაზე სწრაფი ელექტრომოტო

ბრიტანულ გამოფენაზე — NEC Bike Show კომპანიამ — Kingston მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ელექტრომოტოციკლი — TTX01 წარმოადგინა. მიმდინარე თვეში ამ მოტოს გამოცდა დაიწყება, რის შემდეგაც იგი სამოგზაუროდ, პორტუგალიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში გაემგზავრება, შემდეგ, კუნძულ მენამდე მივა, სადაც მომავალი წლის ივნისში ელექტრომოტოციკლების რბოლა გაიმართება. გამოფენაზე წარმოდგენილია მხოლოდ TTX01-ის პროტოტიპი, რომელიც კომპანია „სუძუკის" ერთ-ერთი ჩვეულებრივი მოტოს ბაზაზეა შექმნილი. მოტოციკლის სერიული ვერსიის ასაწყობად, მისი შასის გამოყენება იგეგმება, რომელიც კარბონისგან იქნება შექმნილი. TTX01 ორი ელექტრომოტორითაა აღჭურვილი, რომლებიც აკუმულატორებისგან იღებენ ენერგიას. დატენილი აკუმულატორით მოტოციკლს დაახლოებით 80 კმ-ის გავლა შეუძლია. ჩვეულებრივი დენის წყაროდან აკუმულატორის დატენვას კი ორიოდე საათი დასჭირდება. TTX01-ის ელექტრომოტორის სიმძლავრე 86 ცხ.ძ-ია. 96 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი მოტო 3,5 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/სთ-ია. დიდ ბრიტანეთში TTX01-ის გაყიდვა 2009 წლის ბოლოდან დაიწყება. სიახლის ფასი 20 ათასი გირვანქა სტერლინგია (დაახლოებით 32 ათასი დოლარი). ■



1. არსერიო-ზული, თავა-რიანი
2. აშშ-ის მუსიკალური პრემია
3. სამხედრო მატარებელი
4. ხმელეთში შეჭრილი ზღვის ნაწილი
5. მოკლე მუსიკალური მისალმება
6. სახლხო ერება ძველ რუსეთში
7. მკვდარი ცხოველის სხეული
8. საუბრის საკანი
9. პარიზის აეროპორტი
10. გამხმარი ხილი
11. ეაუგა კამეჩი
12. ნარგავი ტყე
13. მუტანტლეუ-ლი უსყოფა-ფილი
14. დანიის დედაქალაქი
15. მწვანილი
16. ვრამატიკული კავშირი
17. უეცარი რევიზია
18. პარლის ძვ. ქართული სახელწოდება
19. სიდუმლო სიტყვა
20. ლოკატორი
21. ფულის ერთეული მოლდავეთში
22. გახუცელი ხალხში გა-ბუსელი
23. რეჟისორი ფილმისა „ბაში-აჩუკი“
24. ამერიკის შტატი
25. კოებრის ქამანდი
26. ამერიკის შტატი
27. პატარა ქვევრი
28. ნაცვლა-ხელი
29. ზღვათანთა კუნძულები
30. სამოთხე
31. ქვეყანა აფრიკაში
32. ხახა
33. გადა-ღები სერის ფართოდ გაურცელება
34. დამალი მაგიდა
35. ბულგარეთის დედაქალაქი
36. მხარე ისტ. სამხრეთ საქართველოში
37. რომის პაპის ელჩი
38. ამრეული თეთბურნავი
39. ცეური სხეულის სამოძრაო გზა
40. წყალქვეშა კლდე
41. ავტო-სპორტის საერთაშორისო ფედერაცია
42. მუსიკალური მიმდინარეობა
43. კურორტი საქართველოში
44. ქლაჩის ტრანსპორტი

**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. მუქთახორა; 2. ქოფაკი; 3. თათი; 4. ჭაჭა; 5. ხელფასი; 6. ფრონტერა; 7. ნაფთალინი; 8. იაკი; 9. მანე; 10. ვილა; 11. ნექტარი; 12. ისარი; 13. ნამუსი; 14. ექო; 15. ტბორი; 16. აფრიკა; 17. მეგობარი; 18. ირაო; 19. ასლი; 20. მარინა; 21. სარდელი; 22. ბუქარესტი; 23. იქ; 24. ტარანტინო; 25. ჯეტა; 26. სი; 27. ამანათი; 28. ურნა; 29. ლოქო; 30. სინოდი; 31. აქ; 32. ჩიჩვირი; 33. თოლია; 34. ბორჯომი; 35. ნონეშვილი; 36. აჩმა; 37. კალოში; 38. ნიკოლ; 39. ღლინოისი; 40. ახო; 41. აშარი.

**სურათებზე:** მონიკა ბელუჩი; კეიტ მოსი.

# ხართ თუ არა ლიდერი?



1) ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა იძულებული ვიყავი, ვინმეს დავმორჩილებოდი, ეს ჩემთვის პრობლემა გახლდათ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

2) მიმაჩნია, რომ იმ ადამიანების გარეშე, ვისაც სხვებზე მბრძანებლობის განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნილება აქვთ, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში პროგრესი წარმოუდგენელია.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

3) ვფიქრობ, ნამდვილმა მამაკაცმა კარგად იცის, როგორ უნდა დაუმორჩილოს საკუთარ ნებას ქალი.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

4) ვალიარებ, რომ არ მსიამოვნებს, როცა ახლობლები ჩემდამი მოჭარბებულ ყურადღებას იჩენენ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

5) ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ქალი ბუნებით მორჩილი უნდა იყოს.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

6) შესაძლოა, ახლობლები ვერ ხვდებიან, მათ ნაცვლად პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება იმიტომ მიხდება, რომ სწორედ მათ კეთილდღეობაზე ვზრუნავ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

7) ჩემი აზრით, ხშირ შემთხვევაში პრობლემის წარმოქმნის მიზეზი ისაა, რომ ლიდერის „მტკიცე ხელის" ნაკლებობას განვიცდით.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

8) რთულ სიტუაციებში, როდესაც გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაა აუცილებელი, ჩვეულებრივ, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო არ მჭირდება.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

9) ჩემთვის ცნობილია, რომ სხვების მართვის უნარიც მაქვს და მათი ' ხელმძღვანელობაც მომწონს.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

10) ვინმესთვის ბოლომდე გულის გადაშლის არც სურვილი მაქვს და ვფიქრობ, ამის გაკეთება არც შემიძლია.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

11) მსიამოვნებს, როცა „მყუდრო ნავსაყუდელზე" ვოცნებობ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

12) ჩემი აზრით, ხელქვეითმა ხელმძღვანელის ნებისმიერი ბრძანება უნდა შეასრულოს.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

13) შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ როცა იძულებული ვარ, ახლობლებს რაიმე ვთხოვო, ყოველთვის შინაგანი წინააღმდეგობის გრძნობა მეუფლება.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

14) ხშირად, როცა ვინმე ჩემგან ახსნა-განმარტებას ელის, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ისედაც ყველაფერი ნათელია.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

15) მგონია, რომ ხასიათით მამას (დედას) ვგავარ, რომელიც ყოველთვის ჩვენი ოჯახის ბურჯი იყო.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

## ტესტის შედეგები

150-100 ქულა: პასუხების მიხედვით, თქვენ უდიდესი დიქტატორების ტიპს მიეკუთვნებით და მიგაჩნიათ, რომ ყველაზე უკეთ მოგესსენებათ, რა როგორ არის და სინამდვილეში, რა როგორ უნდა იყოს. თანაც ნებისმიერ ქცევას ძალზე იოლად უძებნით გამართლებას. სხვების დარწმუნებისა და მათი ხელმძღვანელობის უნარითაც გამოირჩევით. თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის, რომ აიძულოთ ხელქვეითები, მკაცრად განსაზღვრულ დროს ჩაგაბარონ შესრულებული სამუშაო. გაითვალისწინეთ, ასეთი ხელმძღვანელის ხელქვეითთა მზერასა და ტუსტებში მუდმივად გამოსჭვივის განწყობილება — „მაცალე სულის მოთქმა!"

99-50 ქულა: ჰარმონია და გამბედაობა, სიბრძნე და ანგარიშიანობა, კეთილი რჩევის მიცემის უნარი — აი, თვისებები, რომლებიც თქვენი უმთავრესი ღირსებაა. თუკი თქვენ ამის აუცილებლობას ხედავთ — ხელმძღვანელობთ, თუკი საჭიროა — თმობთ, ყოველთვის ანგარიშს უწევთ სხვების აზრებსა და სურვილებს. აი, ერთი რამ კი მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი — ეს არის ის, თუ რამდენად ღირსეული ხერხებით აღწევთ მიზანს.

49-0 ქულა: თქვენი პასუხების მიხედვით, მივიღეთ ძალზე უჭრინციპო და უნებისყოფო ადამიანის ტიპი. თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ნებისმიერი საყვედური, მაშინაც კი, თუ ამის აუცილებლობის წინაშე არ დგახართ. შეგიძლიათ ვინმეს შესწიროთ ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ამას თქვენგან არავინ ითხოვს. პარადოქსია, მაგრამ ხშირად, როცა საკუთარ უძლურებას გრძნობთ, გაბედული ნაბიჯის გადადგმაც კი შეგიძლიათ. იმდენად განიცდით საკუთარ უსუსურობას, რომ ნებისმიერ ადამიანში იმ თვისებას ეძებთ, რაც თავად გაკლიათ და უკეთესი ცხოვრებისა და მომავლის აზრს სწორედ ამაში პოულობთ.

# ჰოროსკოპი

(11 – 17 დეკემბერი)

### ვერძი

თქვენი საქმიანობის მიმართ ინტერესს გამოიჩენენ მაკონტროლებელი ორგანოები. ამ პერიოდში მეგობრების იმედი ნუ გექნებათ. ოჯახში სასიამოვნო ახალი ამბავი მოქმედების სტიმულს გაგიზრდით. ხშირად ილოცეთ.

### ხუთი

თავს ენერგიულად იგრძნობთ და პროფესიულ წინსვლასა და კარიერულ ზრდაში ინტუიცია და მოხერხებულობა დაგეხმარებათ. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ ხელშეკრულებებსა და საბუთებს.

### ტყუპი

ეს კარგი დროა ხელმძღვანელებთან ახალ პროექტებსა ან დაწინაურებაზე სასაუბროდ. ახალი ნაცნობობა და ხშირი შეხვედრები დამქანცველი აღმოჩნდება. გაუგებრობების გამო შესაძლოა გადაიდოს მივლინებაც.

### კიბორჩხალა

სიფრთხილე გმართებთ სასიყვარულო ურთიერთობაში, რადგან ეჭვიანობა ჩხუბისა და დაცილების მიზეზი შეიძლება გახდეს. მოზღვავებული ენერგია შემოქმედებითი სფეროსკენ მიმართეთ. ახალი საქმეები და ცოდნის გაფართოება დაგეხმარებათ ემოციური კრიზისის დაძლევაში.

### ლომი

საქმიან პარტნიორებთან შეიძლება დაგეძაბოთ ურთიერთობა, რაც თქვენი კავშირის დაშლის საბაბი გახდება. ასევე გაგიჭირდებათ კავშირების დამყარება ყველა სფეროში. ერიდეთ აზარტულ და საბირჟო თამაშებსა და რისკს. მეტი დრო დაუთმეთ სახლსა და საყვარელ ადამიანს.

### ქალწული

გადაამოწმეთ საკვების ვარგისიანობა და თავი შეიკავეთ წამლების, გამაბრუებელი საშუალებებისა და ალკოჰოლისაგან, რათა დიდი ზიანი არ მიაყენოთ ორგანიზმს. მიღებული ინფორმაცია შეიძლება ცრუ აღმოჩნდეს. მეტი პასუხიმგებლობით მოეკიდეთ ოჯახურ პრობლემებს.

### სასწორი

გონება არეული გექნებათ და შესაძლოა ჩიხში მოექცეთ, საიდანაც თავის დაღწევა ძალზე გაგიჭირდებათ. წარუმატებლობას მხოლოდ ხელფასის დაგვიანებას ნუ დააბრალებთ. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სასწრაფო ცვლილებებს ითხოვდეს.

### მორიელი

ეცადეთ, მოზღვავებული ენერგია მხოლოდ აგრესიული ქცევებით არ გამოავლინოთ. სამსახურში დამოუკიდებლად იმოქმედეთ, თუმცა გართობის მიზნით დაუკავშირდით მეგობრებს, დაამყარეთ ახალი კავშირები.

### ზეგიზეგიზესტი

ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად გააკონტროლეთ ხარჯები. სამუშაო თვითდამკვიდრებაში დაგეხმარებათ და თავდაჯერებულობას შეგმატებთ. მეტისმეტად ნუ გადაიტვირთებით, დროდადრო დაისვენეთ, რათა ორგანიზმი არ გამოგეფიტოთ.

### თხის რქა

სამსახურებრივი ცვლილებები თქვენს შემოსავალზე აისახება, ამიტომ ეცადეთ, გონივრულად იმოქმედოთ. ნუ გარისკავთ — ყურადღებით მოეკიდეთ საბუთებს. ამ პერიოდში გადაადგილებები და მივლინებები სასურველ შედეგს ვერ მოგიტანთ.

### ბეჭედი

მხიარულებას ბევრ დროს ნუ დაუთმობთ. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია კარიერაში წინსვლისათვის. ეცადეთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ არც ერთი წვრილმანი და კარგად აწონ-დაწონოთ ნებისმიერი ნაბიჯი. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და ბავშვებს.

### თევზები

ზღვარი გაავლეთ მუშაობასა და დასვენებას შორის. თუ შვებულებაში გაემგზავრებით, ეცადეთ, წყნარი ადგილი შეარჩიოთ. შესაძლოა, სამსახურის გამოცვლის წინადადებაც მიიღოთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას გრძნობების გამოვლენისგან თავს ნუ შეიკავებთ, უფრო ღრმად დაანახვეთ საკუთარი პიროვნება.

## ყოველდღიური

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 9 | 2 | 6 | 7 | 3 | 1 | 8 |
| 6 | 3 | 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 2 | 7 |
| 2 | 7 | 1 | 8 | 3 | 5 | 6 | 4 | 9 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 3 | 2 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 5 | 9 | 6 | 3 | 8 | 2 | 1 | 7 | 4 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 |
| 9 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 |
| 8 | 4 | 5 | 1 | 2 | 6 | 7 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 4 | 5 | 3 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 7 |
| 8 | 3 | 5 | 1 | 7 | 2 | 6 | 9 | 4 |
| 4 | 7 | 2 | 6 | 3 | 9 | 8 | 1 | 5 |
| 2 | 9 | 4 | 3 | 1 | 7 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 6 | 7 | 4 | 2 | 8 | 1 | 3 | 9 |
| 3 | 8 | 1 | 5 | 9 | 6 | 7 | 4 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 6 | 1 | 2 | 4 | 9 | 7 | 8 |
| 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 2 | 3 | 4 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 9 | 7 | 6 | 1 | 5 |
| 3 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 | 8 | 2 | 9 |
| 7 | 4 | 8 | 9 | 1 | 2 | 3 | 5 | 6 |
| 9 | 5 | 2 | 6 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 |
| 6 | 9 | 5 | 2 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 | 4 | 9 | 1 |

### იაპონური სენსაციია

* ევიმრა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | | 5 | 8 | | | | 2 |
| | 6 | | | | 4 | | 5 | 3 |
| | | 1 | 9 | | | 4 | | |
| | 1 | | | 4 | | 9 | | |
| 3 | | 2 | 7 | | | 8 | | 5 |
| | | 5 | 3 | 1 | | | 2 | |
| | | 6 | | | 2 | 3 | | |
| 5 | 3 | | 6 | | | | 8 | |
| 1 | | | | 9 | 3 | | 4 | 6 |

* * * ესლეკ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | 9 | | 2 | | |
| | | | | 4 | | | 6 | |
| 8 | | | | | 2 | 3 | | |
| 6 | | | | 7 | 1 | | 3 | |
| | | 7 | | | 8 | 6 | | |
| | 1 | | 3 | | | | | 2 |
| | | 1 | 7 | | | | | 9 |
| | 5 | | | 3 | | | | |
| | | 4 | | 1 | | | 2 | |

* * * ეჩქეფრ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 4 | | | 7 | | |
| 1 | | | 5 | | | 2 | | |
| | | 3 | | | 2 | | | |
| | | 2 | | 8 | | | 4 | 9 |
| | | 5 | | 6 | | 1 | | |
| 8 | 6 | | | | | 5 | | |
| | | | 9 | | | 4 | | |
| | | 4 | | | 1 | | | 5 |
| | | 9 | | | 3 | | | 6 |

# ფოტოკუთხეები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო ბანკი

b 63/46

## ანაბრების აქცია "პოზიტივი"

**+2%** საჩუქრად ყველას

თანხის გატანა ნებისმიერ დროს

5-ჯერ მეტი შანსი მოიგო:

**5** ბინა თბილისში

**50** პრიზი

**500** საჩუქარი

პირველი გათამაშება - 2008 წლის 27 დეკემბერს

☎ 55-55-00 www.peoplesbank.ge